ენათმეცნიერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი

შეადგინა

რაფიელ შამელაშვილმა

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი—1975

4 (038)
ლ 631

ლექსიკონში შესულია 2000-ზე მეტი ტერმინი ენათმეცნიერების ყველა დარგიდან (ფონეტიკა, ფონოლოგია, გრამატიკა, ლექსიკოლოგია, ლექსიკოგრაფია, სემასიოლოგია, ეტიმოლოგია, სტილისტიკა, დიალექტოლოგია, ზოგადი ენათმეცნიერება, ენის ფილოსოფია, ენის ისტორია, ენათმეცნიერების ისტორია), ჩოცეშულია მათი დეფინიცია და ხშირ შემთხვევაში საილუსტრაციო მაგალითებიც. ზოგჯერ აღნიშნულია ისიც, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის ტერმინი.

ზოგ შემთხვევაში ახსნილია მომიჯნავე მეცნიერებათა ისეთი ტერმინებიც, რომლებიც ხშირად გვხვდება ლინგვისტიკაში.

ლექსიკონი დახმარებას გაუწევს სტუდენტებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებს.

©გამომცემლობა „განათლება", 1975

III 70105—011
M—602 (08)—75 ბრძ-75

წინასიტყვაობა

ენათმეცნიერულ ტერმინთა ლექსიკონი ქართულ ენაზე დღემდე არ მოგვეპოვება. წარსულში იყო ცდები, შეექმნათ ენათმეცნიერული ტერმინების სიტყვან-ცნობარები. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ 1887 წელს ქუთაისში ქართული სიტყვიერების მოყვარულთა მიერ შედგენილი და გამოცემული ნაშრომი — „ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია“, რომელშიც მოცემულია ენათმეცნიერული ტერმინები დეფინიციის გარეშე რუსული შესატყვისებით; აღსანიშნავია აგრეთვე „საენათმეცნიერო ტერმინოლოგია“ (შედგენილი გ. ახვლედიანის მიერ; ჟურნალი „ჩვენი მეცნიერება“, № 2—3, 1923). აქ ტერმინები ჩამოთვლილია ახსნა-განმარტების გარეშე, ახლავს რუსული თარგმანი; აქვე უნდა მოვიხსენიოთ „ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ტერმინოლოგია“ (თბილისი, 1928 წ.) და სხვა, მაგრამ ესენი, ჯერ ერთი, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ, და, მეორეც, ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე ენათმეცნიერების გაზრდილ მოთხოვნებს.

წინამდებარე ქართული ენათმეცნიერული ტერმინოლოგია ძირითადად დაფუძნებულია სამ წყაროზე: რუსულ ლინგვისტიკურ, საერთო ევროპულსა და **საკუთრივ ქართულ ნიადაგზე** შექმნილ ტერმინოლოგიაზე. ამ უკანასკნელისათვის გამოყენებულია ქართული ენის ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებები.

ლექსიკონში ჩვენ შევიტანეთ ის ტერმინები, რომლებიც ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება (წიგნში სულ შევიდა 2.000-ზე მეტი ტერმინი). აქ საერთო აღიარების მქონე ლინგვისტიკური ტერმინებიცაა და ისეთებიც, რომლებმაც რამდენიმე წელი იარსება და შემდეგ ისტორიის კუთვნილება გახდა.

ლექსიკონში შევიდა ზოგი ისეთი ტერმინი, რომლებიც წმინდა ენათმეცნიერული ხასიათის არ არის. ამას ენათმეცნიერულ ტერმინთა ლექსიკონის შედგენის ტრადიციაც უპერს მხარს; მაგ., ე. მარუზოს ლექსიკონში არის ტერმინები პოეტიკიდან და მეტრიკიდან ძალიან ვრცლად, ასევეა ო. ახმანოვას, დ. როზენტალის, მ. ტელენკოვასა და სხვათა ლექსიკონებში. ზოგიერთ ტერმინს მითითებული აქვს, რა

დროიდან იხმარება და ვინ არის მისი შემომტანი ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

ჩვენი ლექსიკონისათვის წყაროებს პირობითად ორ ჯგუფად ვყოფთ: პირველში შედის ლექსიკონები, ხოლო მეორეში — პირველწყაროები, ანუ უშუალოდ ლინგვისტიკური ხასიათის გამოკვლევები, საიდანაც ვიღებთ ტერმინოლოგიას (ზოგს უცვლელად, ზოგს კიდევ გარკვეული მეტამორფოზით). გამოვიყენეთ აგრეთვე „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეული, გ. ახვლედიანის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, მიხ. ჯაბაშვილის მიერ შედგენილი „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, ვ. თოფურიას და ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ და სხვ.

ლექსიკონს ბევრი სპეციალისტი წინასწარ ხელნაბეჭდში გაეცნო და ძვირფასი შენიშვნები მოგვაწოდა. ეს შენიშვნები დაგვეხმარა ნაშრომის საბოლოოდ გამართვაში. განსაკუთრებით დავალებული ვართ პროფ. ზ. სარჯველაძის, პროფ. ალ. ფოცხიშვილის, დოც. მიხ. ალავიძის, დამსახ. მასწ. ნ. ნიკოლაიშვილისაგან.

შესაძლებელია, ბევრი გრამატიკული ტერმინი მხედველობიდან გამოგვრჩა და ვერ მოხვდა ჩვენს ლექსიკონში. შემდგენელი მადლობით მიიღებს ყველა სამართლიან შენიშვნას.

ვფიქრობთ, ლექსიკონი დახმარებას გაუწევს სტუდენტებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებს.

29.XI.1975 **რ. შამელაშვილი**

ჭ. ჭუთაიხი

ლექსიკონის აგებულება

ტერმინები ლექსიკონში დალაგებულია ანბანის რიგის მიხედვით. თუ ტერმინი ერთზე მეტსიტყვიანია, მაშინ ყურადღება ექცევა პირველი სიტყვის დასაწყის ასოებს; მაგ., მეტყველების კულტურა, მეტყველების ნაწილები; გრამატიკული კატეგორია და სხვ. თუ მრავალსიტყვიანი ტერმინის პირველი სიტყვები ერთნაირია, მაშინ ყურადღება ექცევა მომდევნო სიტყვას: მეტყველება ზეპირი, მეტყველება შინაგანი, მეტყველება წერითი.

გრამატიკიდან, ენათმეცნიერების სხვა დარგებიდან ტერმინის ქვეტერმინები ერთად არის მოცემული, რაც აადვილებს მის მოძებნას; მაგ., გვარის განსაზღვრებასთან ერთად მოცემულია გვარის ქვესახეების (მოქმედებითი, ვნებითი, საშუალი) დეფინიცია, ასევეა ქცევის, კილოს, კონტაქტისა თუ სხვ. ტერმინების განსაზღვრებები.

ტერმინებიდან არ არის გამოყოფილი, გარდა გამონაკლისისა, სახელობითი ბრუნვის ნიშნები.

ლექსიკონში გარკვეული ადგილი დაეთმო ენათმეცნიერებაში ახალი მიმდინარეობის წარმომადგენლების სტრუქტურალისტების მიერ გამოყენებულ ლინგვისტიკურ ტერმინებს, მაგრამ მთავარი ყურადღება გადატანილია ტრადიციულ ლინგვისტიკასა და სასკოლო გრამატიკებში გამოყენებულ ტერმინებზე.

ტერმინთა უმეტესობას ახლავს სათანადო მაგალითები, ამოღებული უმთავრესად ქართველ მწერალთა თხზულებებიდან. თუ წიხადადება უცვლელადაა მოტანილი, მაშინ ფრჩხილებში მითითებულია ავტორიც შემოკლებულად.

შემოკლებათა ახსნა

ანდ. — ანდაზა
ვ. ბარნ. — ვ. ბარნოვი
ბერძნ. — ბერძნული
ე. გაბ. — ე. გაბაშვილი
გადატ. — გადატანით
კ. გამს. — კ. გამსახურდია
გერმ. — გერმანული
რ. გვ. — რ. გვეტაძე
ი. გოგ. — ი. გოგებაშვილი
შ. დად. — შ. დადიანი
დიალექტ. — დიალექტური
ი. ევდ. — ი. ევდოშვილი
გ. ერ. — გ. ერისთავი
ესპერ. — ესპერანტო
ინგლ. — ინგლისური
დ. კლდ. — დ. კლდიაშვილი
ლათ. — ლათინური
გ. ლეონ. — გ. ლეონიძე
ლინგ. — ლინგვისტიკა
კ. ლორთქ. — კ. ლორთქიფანიძე
მაგ. — მაგალითად
ლ. მეგრ. — ლ. მეგრელიძე
მისთ. — მისთანა
მუს. — მუსიკა
მნიშვ. — მნიშვნელობით
კ. ნად. — კ. ნადირაძე
პროვანს. — პროვანსული
თ. რაზ. — თ. რაზიკაშვილი
რ. — რაიონი
შ. რუსთ. — შ. რუსთაველი
სანსკრ. — სანსკრიტი
საპირისპ. — საპირისპიროდ
სხვ. — სხვა
უმართ. — უმართებულო
ფიზ. — ფიზიკა
ლ. ქიაჩ. — ლ. ქიაჩელი
ა. ყაზ. — ა. ყაზბეგი
ყოფ. — ყოფილი
შდრ. — შეადარეთ
ძვ. — ძველი
ა. წერ. — ა. წერეთელი
გ. წერ. — გ. წერეთელი
წიგნ. — წიგნური
ი. ჭავჭ. — ი. ჭავჭავაძე
ხალხ. — ხალხური
მ. ჯავ. — მ. ჯავახიშვილი
რ. ჯაფ. — რ. ჯაფარიძე

ლექსიკონის წყაროები

გ. ახვლედიანი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ტფილისი, 1933.

გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.

О. С. Ахманова, А. И. Полторацкий, Словари лингвистической терминологии: Лексикографический сборник, вып. V, М., 1962.

О. С. Ахманова, Словарь лингвистических терминов, издание второе, стереотипное, М., 1969.

თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1, თბ., 1961.

გ. გიორგაძე, გ. კარტოზია, საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი, თბ., 1962, 1974.

ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, 1, თბ., 1973.

ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, გ. ახვლედიანის რედაქციით. თბ., 1972.

თამარ დაფქვიაშვილი, მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონი, თბ., 1955.

სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961.

Н. Н. Дурново, Грамматический словарь, М.-П. 1924.

И. Вахек, Лингвистический словарь пражской школы, М., 1964.

შ. კეკელია, აკ. დავითიანი, ქართული ენა, თბ., 1973.

ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1961, 1969.

ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966.

ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ტერმინოლოგია, თბ., 1928.

ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, თბ., 1972.

Ж. Марузо, Словарь лингвистических терминов, М., 1960.

Л. И. Жирков, Лингвистический словарь, М., 1946.

გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ელენე ნიკოლაიშვილმა, თბ., 1970.

რუსულ-ქართული ლექსიკონი, შეადგინეს პროფ. გ. ს. ახვლედიანმა და ს. გ. იორდანიშვილმა, პროფ. გ. ს. ახვლედიანის რედაქციით, ტ. I, ტფ., 1931, ტ. II, 1935.

რუსულ-ქართული ლექსიკონი, გამოცემული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ, ტ. I, II, III, თბ., 1956—1959.

საენათმეცნიერო ტერმინოლოგია, შედგენილი გ. ახვლედიანის მიერ: ჟურნალი „ჩვენი მეცნიერება", 1923, № 2—3.

Словарь иностранных слов, под редакцией И. В. Лехина, С. М. Локшиной, Ф. Н. Петрова и Л. С. Шаумяна, изд. шестое, М., 1964.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა მიხეილ ჭაბაშვილმა, თბ., 1962, 1973.

ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია, სილ. ხუნდაძის წინასიტყვაობით, ქუთაისი, 1887.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I — VIII (1950—1964).

მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა სვანურში, თბ., 1969.

ა. შანიძე, ალ. ბარამიძე და ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, თბ., 1953.

ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, 1973.

არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, თბ., 1945.

არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, თბ., 1948.

არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში: II, ერგატიული კონსტრუქციის რაობის თეორიები, თბ., 1961.

ა. ჭილაია, ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, თბ., 1971.

Эрик Хемп, Словарь американской лингвистической терминологии, Перевод и дополнения В. В. Иванова, под редакцией и с предисловием В. А. Звегинцева, М., 1964.

ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.

ი. ქობალავა, მასალები გლოსემატიკურ ტერმინთა ლექსიკონისათვის: თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, IV, თბ., 1974.

ქართული ანბანი

ა	ან	მ	მან	ღ	ღან
ბ	ბან	ნ	ნარ	ყ	ყარ
გ	გან	ო	ონ	შ	შინ
დ	დონ	პ	პარ	ჩ	ჩინ
ე	ენ	ჟ	ჟან	ც	ცან
ვ	ვინ	რ	რაე	ძ	ძილ
ზ	ზენ	ს	სან	წ	წილ
თ	თან	ტ	ტარ	ჭ	ჭარ
ი	ინ	უ	უნ	ხ	ხან
კ	კან	ფ	ფარ	ჯ	ჯან
ლ	ლას	ქ	ქან	ჰ	ჰაე

ა

ა 1. პირველი ასო ქართულ ანბანში; მისი სახელია **ან**-ი; 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ერთს (1).

აბზაცი (გერმ. Absatz) 1. აზრის წერილობითი გამოსახვის დროს წინადადების ახალი, შეწეული სტრიქონით დაწყება. 2. შეწეული სტრიქონით გამოყოფილი ტექსტის მცირე ნაწილი.

აბლატივი [ლათ. (casus) ablativus) დაწყებითი ბრუნვა] ბრუნვა ზოგიერთ ენაში (მაგ., ლათინურში), რომელიც დაშორებას აღნიშნავს; ქართულში მას შეესატყვისება **-გან** თანდებულიანი მოქმედებითი; მაგ., სახლიდან (← სახლით-გან).

აბლაუტი ანუ აპოფონია [(გერმ. Ablaut, ინგლ. apophony)] ეკალურ ფონემათა მორფოლოგიური ფუნქციის მქონე ალტერნაცია, რომელიც ისტორიულად უბრალო ფონოლოგიური ალტერნაციისაგან წარმოდგება; გერმანული ენებისათვის აბლაუტის მოყვლენა ცნობილი იყო ჯერ კიდევ ი. გრიმიდან მოყოლებული; აბლაუტი იგივე ხმოვანთმონაცვლეობაა, ძირეული ხმოვნის ცვლა: gehen—ging—gegangen; გრეხს—გრიხა, გლეჯს—გლიჯა, წყვეტს—წყვიტა...

აბრევიატურა [ლათ. abbreviatura] შეკვეცა, შემოკლება 1. პირობითი შეკვეცა სიტყვებისა წერაში; მაგ., ე. ი. „ესე იგი“-ს ნაცვლად. 2. ორი ან რამდენიმე სიტყვის ნაწილებისაგან შედგენილი სიტყვა; მაგ., „ჯგუფორგი“ (ჯგუფის ორგანიზატორი), „სახელგამი“ (სახელმწიფო გამომცემლობა).

აბრუპტივები (ლათ. abruptio მოწყვეტა, მოგლეჯა) ისეთი ბგერებია, რომელთა წარმოთქმა ხდება სახმო სიმების ხშვა-სკდომით. მათ ყელხშულებსაც ეძახიან (მაგ., კ, ტ, პ, წ, ჭ, ყ).

აბსოლუტური (ლათ. absolutus-დან) თავისთავადი, არაშეფარდებითი (საპირისპ. შეფარდებითი, რელატიური, პირობითი).

აბსოლუტური აგებულება როცა ზმნაში მარტოოდენ ერთი პირია გამოხატული. ეს პირი სუბიექტურია; მაგ., ვკვდები (მე), იტანჯები (შენ), წევს (იგი), ვართ (ჩვენ), იმალებით (თქვენ), მიდიან (ისინი) და მისთ.

აბსტრაქტული განყენებული, განყენებითი; განზოგადებული (საპირისპ. კონკრეტული, კერძო).

აბსტრაქტული სახელები გან-

ყენებული სახელები, რომლებიც აღნიშნავს ისეთ რამეს, რომელსაც ნივთიერი სახე არ გააჩნია; მაგ., სიცოცხლე, გულწრფელობა, სიმშვიდე, ბედნიერება, ზომიერება და სხვ.

აბსტრაქცია [ლათ. abstractio) მოცილება, მოშორება] რაიმე საგნის, მოვლენის ზოგი ნიშნის (ჩვეულებრივად, არაარსებითი ნიშნების) უგულებელყოფა და სხვა (არსებითი) ნიშნების გამოყოფა აზროვნებაში, — განყენება.

აგლუტინაცია (ლათ. agglutinatio) შეწებება, აფიქსების სუსტი, მექანიკური დაკავშირება სიტყვის ძირეულ ნაწილთან), ყოველ გრამატიკულ მნიშვნელობას ცალკე აფიქსი გადმოგვცემს. აფიქსების გამოყოფა და სიტყვის დაშლა ადვილია. აგლუტინაცია გვაქვს, მაგ., ქართულში (ტერმინი აგლუტინაცია ვილ. ჰუმბოლტის მიერ შემოღებულად ითვლება).

აგლუტინაციური ენა, რომელსაც აგლუტინაცია ახასიათებს. კავკასიური ენები, და მათ შორის ქართული, აგლუტინაციური ენებია, აგრეთვე, თურქულ-თათრული და ფინურ-უნგრული ენები და ბევრი სხვ.

ადამიანთა და არაადამიანთა სახელები ქართულ ენაში ის სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანს (კაცი, ქალი, ბავშვი, მუშა, კოლმეურნე, პიონერი, მეეტლე, მეპურე და სხვ.), გამოიყოფა სხვა სახელებისაგან, სხვათა შორის, იმითაც, რომ ამათზე ითქმის ვინ? ყველა დანარჩენზე კი — რა?

ადაპტაცია[1] (ლათ. adaptatio მორგება, შეგუება) კერძოდ ერთი ენის ბგერათა სისტემის შეგუება მეორე ენის ბგერათა სისტემასთან: მაგ., სამხრეთ ოსეთში უკვე ოსურად ამბობენ: პიტნა, ტაფა, პეტრე...

ადაპტაცია[2] რომელიმე ნაწარმოების გამარტივებული ტექსტის შედგენა.

ადგილის გარემოება წინადადების წევრი, რომელიც უჩვენებს მოქმედების ადგილს (სად წარმოებს, საიდან გამომდინარეობს ან საითკენ მიემართება მოქმედება).

ადგილის გარემოებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც ხსნის მთავარ წინადადებაში მისათითებელი ზმნიზედით გამოხატული ადგილის გარემოების მნიშვნელობას ან ასრულებს მთავარში გამოტოვებული ადგილის გარემოების როლს; მაგ.: „სადაც ჭალა თავდებოდა, ფშაც იქ ერეოდა მდინარეში“ (ვაჟა); „სადაც მოესწრო დედამიწას თოვლისაგან განთავისუფლება, თავყვითელა ყვავილს და დათვის ტერფას ამოეყო თავი“ (რაზ.); „ასიოდე ბალღმა და ჭაბუკმა მხიარული ჟივილით მოჰკურცხლეს იქით, სადაც ლურჯა ბედაური... მოაქანებდა... ოძელაშვილს“ (მ. ჯავ.).

ადგილობითი[1] (გუარობა სხმით — გარდასლვითისა) ძვ. სიტყვაწარმოების ერთ-ერთი სახე, მოიცავდა წარმომავლობის სახელებს (მაგ., ზეციერი, ქართველი, მთიული).

ადგილობითი[2] ძვ. იგივეა, რაც ადგილობრივი ბრუნვა ზოგიერთ ენაში, აღნიშნავს ადგილს (ქართულში ჩვეულებრივ მას გადმოსცემს -ზე ან -ში თანდებულიანი მიცემითი: მთა-ზე, ბარ-ში), — ლოკატივი.

ადგილობითი ზმნისზედა ძვ. ადგილის ზმნიზედა.

ადვერბი (ლათ. adverbium) ზმნისართი.

ადვერბიალიზაცია (ლათ. adverbium ზმნისართი) არსებითი ან ზედსართავი სახელის ზმნისართად ქცევა.

ადვერბული და ადვერბიალური — ზმნისართული.

ადიღეური (ანუ ჩერქეზული) შედგება ქვემო ადიღეურისა (ანუ კაბარდოულისა) და ზემო ადიღეურისაგან (ანუ უაბარდოულისაგან).

ადიღეური ენები იგივეა, რაც ჩერქეზული ენები.

ადიშის ოთხთავი გადაწერილია 897 წ... უკანასკნელად ის დაცული იყო ზემო სვანეთში, ს. ადიშში (სვანური გამოთქმით: ჰადიშში), ამიტომ მას ადიშის ოთხთავს ეძახიან. ა. შანიძე ფიქრობს, რომ ადიშის ოთხთავი შატბერდში უნდა იყოს გადაწერილიო.

ადსტრატი (გერმ. Adstrat, ასევეა ინგლისურად და ფრანგულადაც) უცხო ერთა (მოსულთა) ენა (არაიშვიათად ეროვნული უმცირესობა), რომელიც ზეგავლენას ახდენს ამა თუ იმ ადგილის თავდაპირველ ბინადართა ენაზე.

ავდაიბჰავა (composita adverbialia) **ან ზმნისართოვანი კომპოზიტები** ისეთი კომპოზიტებია, რომელთა პირველი წევრი უცვლელი სიტყვაა, უკანასკნელი კი — არსებითი სახელი (მაგ., მარადჟამს, მუდამდღე).

ავტოგრაფიული გამოცემა გამოცემა, რომელშიც ფოტომექანიკური ან სხვა გზით ზუსტად არის აღბეჭდილი ავტოგრაფი, იგივეა, რაც ფაქსიმილური გამოცემა.

ავტოლოგია (ბერძ. autos თვით და logos სიტყვა) სიტყვის ხმარება პირდაპირი მნიშვნელობით (ფიგურალური ხმარების ან გადატანითი მნიშვნელობის საპირისპიროდ).

ავტონიმი ავტორის ნამდვილი გვარი, რომლითაც დაიბეჭდა მისი ნაწარმოები (საპირისპ. ფსევდონიმი).

ავტორიზებული გამოცემა, რომლის ტექსტი დადასტურებულია ავტორის მიერ.

ავტორიზებული თარგმანი თარგმანი, რომელიც წაკითხული და დადასტურებულია ავტორის მიერ.

ავტორის ენა ავტორისეული მეტყველების ყველა ფორმა. მხატვრულ ნაწარმოებში ყველა ის სიტყვა, რომლებიც პირადად ავტორს წარმოუთქვამს. ასეთია:

ამბავთგადმოცემა, გმირთა დახასიათება, გარემოს აღწერა, საკუთარი აზრებისა და გრძნობების გამოთქმა, ე. წ. ლირიკული გადახვევები.

აზროვნება ტვინის ფუნქციაა: პროცესი აზრთა შედგენა-შეპირისპირებისა, მსჯელობისა, დასკვნების გამოტანისა.

აზროვნების ფსიქოლოგია ზოგადი ფსიქოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს აღქმისა და აზროვნების, პრაქტიკული აზროვნების, ხატოვანი აზროვნებისა და ცნებითი აზროვნების პრობლემებს.

აისორული ენა ამიერკავკასიაში (საქართველოში, სომხეთში) და შემდეგ მთელ რუსეთში თანამედროვე არამეულის აღმნიშვნელი ტერმინი (სახელწოდება „აისორ“ სომხურიდან მომდინარეობს და „ასურ“ სიტყვის სომხურ გადმოცემას წარმოადგენს). სახელწოდება „აისორი“, „აისორული“ თანამედროვე არამეელთათვის შეურაცხმყოფელად ითვლება, რამდენადაც იგი მეფის რუსეთში იხმარებოდა, როგორც დამამცირებელი სახელწოდება არამეელების მიმართ (კონსტ. წერეთელი).

აკადემიური გამოცემა 1. ნაწარმოების ისეთი გამოცემა, როდესაც ტექსტი დამზადდება მეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდების გამოყენებით; 2. აკადემიის მიერ გამოცემული წიგნი.

აკვფალური წიგნი ძველი წიგნი, რომლის დასაწყისი ფურცლები დაკარგულია.

აკუზატივი (ლათ. accusativus) ბრალდებითი (რუს. (винительный), — პირდაპირი დამატების ბრუნვა რუსულს, გერმანულს, ლათინურსა და რიგ სხვა ენებში. ქართულში ეს ბრუნვა არ არის. მის ნაცვლად ხან მიცემითი იხმარება (წერს სამუშაოს, შდრ. пишет работу), ხან სახელობითი (დაწერა სამუშაო, შდრ. написал работу).

აკურა, ამაღლება (ჭმისა) ძვ. მახვილი; მახვილიანი მარცვლის გამოთქმა.

აკუსმა ინტერნაციონალური ზოგადლინგვისტიკური ტერმინი ფსიქოლოგიური ფონეტიკიდან—ბგერის ისე წარმოდგენა, როგორც აღიქმება სმენით (ტერმინი ეკუთვნის ა. ბოდუენ დე კურტენეს).

ალაროდიული ენა ვანის ლურსმული წარწერების ენა, რომელიც სეისმა გაშიფრა (ტერმინი ეკუთვნის ჰეროდოტეს).

ალბანური დამწერლობა ერთერთი (იბერიულ-კავკასიური) ალბანური ენის დამწერლობა, აღმოჩენილი პროფ. ილ. აბულაძის მიერ.

ალბანური ენა ბალკანეთის ალბანელების ენა (ნარევი ინდო-ევროპული ენა).

ალბანური ენები ძვ. ალბანეთის (ძველი იბერიის მეზობელი ქვეყანა; ესაზღვრებოდა იბერიას აღ-

მოსავლეთით) მკვიდრთა ენები, — იბერიულ-კავკასიური წრის ენები (ახლანდელი დაღესტნის ენების ახლო მდგომი ენები ჩანს).

ალგორითმი (ლათინური ფორმა შუასაუკუნეების მათემატიკოსის ალ-ხორეზმისა — algorithmi) გამოანგარიშების სისტემა, რომელიც გამოიყენება ზუსტად განსაზღვრული წესით, რომლის თანამიმდევრულ შესრულებას მივყავართ დასმული ამოცანის გადაწყვეტისაკენ (ამ ტერმინს ხმარობენ მათემატიკურ ენათმეცნიერებაში, სახელდობრ, მანქანური თარგმნის საკითხებთან).

ალერსობითი სახელი კნინობითის სახეობა, რომელიც მოფერებას გამოხატავს; მაგ., მამილო! დედილო! ან: მამი! დედი!

ალვეოლარი თანხმოვნები თანხმოვნები, რომელთა წარმოთქმისას ნაპრალი კეთდება იმ ადგილას, სადაც ხშვაა უკანა ნუნისმიერ თანხმოვანთა (ჯ, ჭ, ჩ) წარმოთქმისას; მაგ., შ, ჟ.

ალვეოლარული ბგერები ნუნისმიერი ბგერები (მაგ., შ, ჟ).

ალოგრაფი 1. სხვისი ხელით ნაწერი; 2. ყალბი ხელნაწერი.

ალომორფი (ბერძნ. allos სხვა და morphè ფორმა) მორფემის ვარიანტი, სახესხვაობა (მაგ., მოთხ. ბრ.-ის -მა და -მ; კაც-მა, მამა-მ).

ალომორფიზმი იგივეა, რაც განსხვავება. (იგულისხმება სტრუქტურულ-ტიპოლოგიური განსხვავება. შდრ. იზომორფიზმის თეორია).

ალონიმი ავტორის მიერ ფსევდონიმად გამოყენებული სხვისი გვარი.

ალოფონი (ბერძნ. allos სხვა და phónè ბგერა) ფონოლოგიაში ისეთი ფონემები, რომელთა წარმოთქმისას ხმა არ ისმის; ფონემის ვარიანტი, ფონემის წარმომადგენელი; ბგერითი ვარიანტები.

ალტერნაცია ანუ ბგერათმონაცვლეობა ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმაში ბგერათა კანონზომიერი შენაცვლება; გვაქვს როგორც თანხმოვანთა (გრძნობა, გრძნობდა, მაგრამ გრძნოფს), ისე ხმოვანთა მონაცვლეობა (გაქცევა, მაგრამ გეიქცა; გაშვება, მაგრამ გოუშვა).

ალფა (ბერძნ. alpha) ბერძნული ანბანის პირველი ასოს სახელწოდება.

ალფაბეტი (ბერძნული პირველი ორი ასოს alpha და bèta-ს სახელწოდების მიხედვით) იგივეა, რაც ანბანი.

ალფაბეტური ანუ ანბანური სისტემა ფონეტიკური წერის ისეთი სისტემა, რომელშიც გამოყენებულია ასოები და სხვა დამატებითი პირობითი ნიშნები.

ალფონემი ფონემის ვარიანტები, დივერგენტი, ფონემის ელფერი (ინგლ. allophónè) ფონემის სახესხვაობა.

ამერიკანიზმი ინგლისური ენის თავისებურება ამერიკის შეერთე-

ბული შტატების მკვიდრთა მეტყველებაში.

ამიანი ზმნები იხ. თემის ნიშნები.

ანალიზი (ფრანგ. analyse, ბერძნ. analysis-იდან დაშლა) შესასწავლი ობიექტის გამოკვლევა შემადგენელ ნაწილებად დაშლის გზით (საპირისპ. სინთეზი).

ანალიტიკური ანბანი ისეთი ანბანი, რომელიც ითვალისწინებს ბგერის შემადგენლობას და მარტივ ბგერას გამოხატავს მარტივი ასოთი, რთულ ბგერას—რთული ასოთი.

ანალოგია (ბერძნ. analogia შესატყვისობა) მსგავსება საგანთა ან მოვლენათა (საერთო ნიშნების არსებობის საფუძველზე), თავისი ხასიათის მიხედვით ანალოგია შეიძლება იყოს ფონეტიკური, მორფოლოგიური ან სინტაქსური.

ანალფაბეტური ანუ არაანბანური სისტემა ფონეტიკური წერის ისეთი სისტემა, რომელშიც არაა გამოყენებული ასოები, როგორც ბგერის გამომხატველი ნიშნები.

ანანიმი ფსევდონიმის ნაირსახეობა, წარმოადგენს ავტორის გვარს ან სახელს, შებრუნებულად დაწერილს; მაგ., ესომ—მოსე (ჯანაშვილი).

ანაპტიქსი [გერმ. Anaptyxis (გა)ვშლი), (გა)ვმართავ] უფუნქციო ხმოვნის განვითარება სიტყვაში: ანაპტიქსური ხმოვანი; ამავე მნიშვნელობით იხმარება ტერმინი სვარაბჰაქტი: მთიულური კირწყილი ← ძვ. კრწყილი, თუშ., ფშავ., კურკო ←ძვ. კრკო.

ანბანი (შედგენილია ორი დასაწყისი ასოს სახელწოდებისაგან. ან-ი, ბან-ი) ამა თუ იმ სამწერლობო ენის ასოთა ერთობლიობაა, ასოები, გარკვეული თანამიმდევრობით დალაგებული. იხ. ალფაბეტი.

ანბანთქება ისეთი ლექსი, რომლის ტაეპთა დასაწყისში ან ტაეპში სიტყვათა პირველი ასოები ანბანის რიგზეა დალაგებული.

ანგლიციზმი (ფრანგ. anglicisme) — ინგლისურიდან ნასესხები სიტყვა ან გამოთქმა.

ანდაზა აღმზრდელობითი ხასიათის ალეგორიული გამონათქვამი, რომელიც ერთ წინადადებაშია მოქცეული და რომელშიც დამრიგებლობითი შინაარსი მინიშნებით გვეძლევა; მაგ., „ვიცის დედა ტიროდაო, არვიცის იცინოდაო“; „შენი ჭირიმეთი შვილი არ გაიზრდებაო“; „ორი ყური და ერთი პირი იმისთვის არის, რომ ბევრი ისმინოს და ცოტა სთქვასო“.

ანთროპონიმიკა, ანთროპონიმი (ბერძ. anthropos ადამიანი) ლექსიკოლოგიის (ზუსტად: ონომატოლოგიის) ნაწილია, რომელიც ადამიანების საკუთარ სახელთა სისტემას სწავლობს, ანთროპონიმი ადამიანის საკუთარი სახელია.

ანლაუტი (გერმ. Anlaut) სიტყვის ფონეტიკურად თავისებური დასაწყისი ანუ თავკიდური.

ანომალია (ბერძნ. anómalia უს-

წორმასწორობა), საერთო წესისაგან, ნორმისაგან გადახვევა; ანომალიები შედეგია ფონეტიკური ფაქტორის გაელენისა, სხვადასხვა კილოს ფორმათა ერთმანეთში გარევისა ან სალიტერატურო ენის შექმნისა და მისი ხანგრძლივი განვითარებისა ნაირ-ნაირ ისტორიულ პირობებში; ანომალიები ქართულში უმთავრესად ნაცვალსახელებზე მოდის.

ანომალიები საზოგადო წესის დარღვევა, საყოველთაო ნორმიდან გადახვევა.

ანონიმი (ბერძნ. anónymos უსახელო) ნაწარმოები, რომლის ავტორი არ ჩანს, უცნობია.

ანონიმური გამოცემა ბეჭდვითი გამოცემა, რომელზეც არ არის ავტორის გვარი.

ანჟანბემანი (ფრანგ. anjanbement გადატანა) მარტივი წინადადების გაწყვეტა სალექსო სტრიქონში, სიტყვების ან სიტყვის ნაწილის გადატანა მუხლიდან მუხლში, ტაეპიდან ტაეპში, სტროფიდან სტროფში.

ანტითეზისი (ბერძ. antithesis) პოეტური ფიგურა, სტილისტიკური ხერხი, რომელიც საწინააღმდეგო დებულებებით, ცნებებით და სახეებით გამოხატავს სინამდვილეს.

ანტიმენტალიზმი (ინგ. antimentalism) პოზიტივიზმი ენათმეცნიერებაში, რომელიც ლინგვისტიკის ობიექტს იმით საზღვრავს, რაც უშუალოდ არის მოცემული მეტყველებაში გონებრივი პროცესების გათვალისწინების გარეშე.

ანტიციპაცია (ლათ. anticipatio) კოარტიკულაციის საფუძველზე წინა ბგერის ზემოქმედება მომდევნოზე, სხვაგვარად, წასწრებულობა: დეიწყო, დოუწყო და სხვ.

ანტონიმი (ფრანგ. antonymes) სიტყვა, რომელსაც სხვა სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობა აქვს (მაგ., კარგი — ცუდი, დიდი — პატარა, ბევრი — ცოტა, მაღალი— დაბალი, ბოროტი — კეთილი და სხვ.).

ანჯანური დამწერლობა, მეტყველება საიდუმლო დამწერლობა, საიდუმლო ზეპირი მეტყველება.

აორისტი (ბერძ. aoristos განუსაზღვრელი) მოძვ. ზმნის დრო, რომელიც მიუთითებს, რომ ზმნით აღნიშნული პროცესი მიმდინარეობდა მასზე ლაპარაკის მომენტამდე; აორისტი ისეთი ნამყოა, რომელიც თავისი ხასიათით განუსაზღვრელია. სწორედ ამ ნამყოსათვის არის შესაფერისი სახელწოდება აორისტი aoristos განუსაზღვრელი; ჰანს ფოგტი მას უწოდებს passe commun. (ტერმინი „აორისტი" ნ. მარის მიერაა შემოღებული); იგივეა, რაც ნამყო ძირითადი, ნამყო უსრული.

აპოთეკა ძვ. იხ. კავშირებითი კილო.

აპოკონიმი ფსევდონიმი, მიღებული გვარიდან ზოგი ასოს ან მარცვლის ამოღებით.

აპოკოპე (apokopè მოკვეცა ბოლოში) სიტყვის ბოლოს ბგერის ან ბგერათა მოკვეცა ფონეტიკური პროცესების შედეგად: ახლად ← ახლა, ავტო (მობილი), დაიჭი ← დაიჭირე, მოიტა ← მოიტანე.

აპოსტროფი მძიმის მსგავსი სტრიქონზედა ნიშანი, რომელიც ისმება, ჩვეულებრივ, გამოტოვებული ასოს ადგილას; მაგ., ქართ. ჟანა დ'არკი.

არაბიზმი[1] არაბული ენიდან ნასესხები სიტყვა, გამოთქმა ან გრამატიკული ფორმები.

არაბიზმი[2] 1. ბარბარიზმის სახეობა — არაბულ ყაიდაზე გაკეთებული გამოთქმა რომელსამე ენაში: 2. არაბული ენიდან ნასესხები სიტყვა.

არაბისტი არაბული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი.

არაბისტიკა ერთობლიობა იმ სამეცნიერო დისციპლინებისა, რომლებიც არაბულ კულტურას (არაბულ ენას, ლიტერატურას, ისტორიას, ეთნოგრაფიას...) შეისწავლიან.

არაბული არაბების კუთვნილი, არაბებისაგან მომდინარე, არაბთა დამახასიათებელი (მაგ., არაბული ენა, არაბული ციფრები), იგივეა, რაც არაბული ენა.

„არაბული" ციფრები ესენია: 0, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, რომლებიც გამოიყენება მსოფლიოს ბევრი ენის დამწერლობაში და წარმოადგენენ დამწერლობის ინტერნაციონალურ ელემენტებს. ეს ციფრები წარმოშობით ინდურია, მაგრამ ევროპაში ისინი ცნობილი გახდნენ არაბების მეშვეობით. საქართველოში „არაბული" ციფრებით წერის შემთხვევები X ს. გვხვდება. პირველი ასეთი ნაწერი შესრულებულია ბაგრატის ტაძარზე (ქუთაისში); რუსეთში კი ცნობილია XVII—XVIII საუკუნეებიდან. მანამდე გამოყენებული იყო სლავური ნუმერაცია. რიცხვების გამოსახატავად იხმარებოდა ასოები.

არაბულდამწერლობიანი ენები ენები, რომელთაც დამწერლობისათვის ჰქონდათ არაბული შრიფტი (ყაზახური, უზბეკური, აზერბაიჯანული და სხვ.).

არადაქვემდებარებითია ისეთ სიტყვათა მიმართება, რომლებიც ერთი მეორის მიმართ თანასწორია, ე. ი. ერთი სიტყვა არაა მეორეზე დამოკიდებული; მაგ., ხეხილი წითლად, ყვითლად, თეთრად ყვაოდა (ვაჟა).

არაფონეტიკური ბგერათცვლილება ანუ ბგერითი ანალოგია (ბერძ. analogia შესატყვისობა, აზრის შესაბამისობა) სიტყვაში ისეთი ფონეტიკური მოვლენები, რომელთა ფაქტორი, საბოლოო ჯამში, სიტყვის ბგერითი შედგენილობის გარეთაა: დაღმართში ღ ჩართულია აღმართის ანალოგიით, სადაც ღ აღ პრეფიქსის შემადგენელი ელემენტია.

არგო (ფრანგ. argot) ცალკეული სოციალური ჯგუფის, პროფესიის,

წრის თავისებური მეტყველება, რომლის სიტყვები და გამოთქმები გასაგებია მხოლოდ სათანადო კოლექტივისათვის — იგივეა, რაც ჟარგონი, თეატრალური არგო, ქურდების არგო.

არგოტიზმი (ფრანგ. argot ჟარგონი) გასაშიფრავი სიტყვები, საერთო სამეტყველო ფორმისაგან განსხვავებული საიდუმლო ენა რომელიმე ჯგუფისა, რომელიც მხოლოდ შემდგენელისა და მისი თანამოაზრეებისათვის არის გასაგები; ენაში, საერთო სიტყვახმარებაში არგოდან (იხ. არგო) შემოტანილი სიტყვა ან გამოთქმა.

არეალი (ლათ. arealis მოედანი, სივრცე) ამა თუ იმ ენობრივი მოვლენების გავრცელების არე, ადგილი.

ართრონი (ბერძნ. arthron ნაწევარი) ძვ. 1. იგივეა, რაც ნაწევარი, არტიკლი. 2. აფიქსი, მაწარმოებელი.

არიელები 1. ინდო-ირანულ ენებზე მოლაპარაკე ტომებისა და ხალხების საერთო სახელწოდება; მე-19 ს-დან მოყოლებული იხმარებოდა ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ხალხების აღსანიშნავად; 2. ფაშისტურ გერმანიაში ამ სიტყვას მიენიჭა ტენდენციური და ანტიმეცნიერული მნიშვნელობა (უძველეს ძეგლებში ინდო-ირანელი ხალხები სხვა ხალხებისაგან განსასხვავებლად თავის თავს უწოდებენ „არიელებს“, რაც ნიშნავს სრულუფლებიან ადამიანებს).

არისტოკრატიზმი ქცევის დახვეწილი მანერები, გარეგნული მოხდენილობა: თავაზიანობა, მეტყველების სინტაქსი, სალონური თავდაჭერა და სხვ. ასეთი მანერები თავის დროზე შექმნა ფრანგული კლასიციზმის ლიტერატურამ და ვერსალის სასახლემ.

არმენისტი იგივეა, რაც არმენოლოგი.

არმენისტიკა იგივეა, რაც არმენოლოგია.

არმენოლოგი სომხური კულტურის (ენის, ლიტერატურის, ისტორიის, ეთნოგრაფიის...) მკვლევარი — სპეციალისტი, — არმენოლოგიის სპეციალისტი.

არმენოლოგია კომპლექსი სამეცნიერო, დისციპლინათა სომხური კულტურის (ენის, ლიტერატურის, ისტორიის, ეთნოგრაფიის...) შესახებ.

არსებითი, აღმატებითი (გუნარობა სხვით-გარდასულ თისა) სიტყვაწარმოების ერთ-ერთი სახე, მოიცავდა აბსტრაქტულ სახელებს (სიწმინდე, საქმე, მწერლობა და სხვ.).

არსებითი ზმნა ძვ. იხ. მეშველი ზმნა.

არსებითი ნაცვალსახელი ძვ. ნაცვალსახელთა ჯგუფი, რომელიც იხმარებოდა არსებით სახელთა ნაცვლად.

არსებითი სახელი ტრადიციული გაგებით მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს საგანს ან მოვლენას. უპასუხებს კითხვებზე: ვინ? რა? არსებითი სახელის ძირითად ნიშანს საგნობრიობის გა-

მოხატვა წარმოადგენს (ტერმინი წარმოდგა იქიდან, რომ დიდი წილი არსებითი სახელებისა ისეთ რამეს აღნიშნავს, რაც რეალურად არ სებობს — ა. შ ა ნ ი ძ ე). აბსტრაქტული, განყენებული სახელი, სახელი, რომელიც აღნიშნავს ისეთ რამეს, რომელსაც ნივთიერი სახე არ გააჩნია; მაგ., სიცოცხლე, გულწრფელობა, სიმშვიდე... ადამიანთა სახელები ქართულში ვინ კითხვას მოითხოვს. არაადამიანთა სახელებს ქართულში რა კითხვა დაესმით; კონკრეტული სახელი აღნიშნავს არსებას ან ისეთ ფიზიკურ ობიექტს, რომელსაც გრძნობათა ორგანოებით აღვიქვამთ: მაგ., ბავშვი, დათვი, წიგნი, ქალაქი, სახლი, კიბე, ბგერა... კრებითია სახელი, რომელიც აღნიშნავს ადამიანთა, ცხოველთა ან ფრინველთა კრებულს, როგორიცაა: ხალხი, ერი, სტუდენტობა, გუნდი, ჯოგი, ხროვა... ნივთიერებათა სახელები ისეთი სახელებია, რომელთაც გააჩნიათ გარკვეულ ნივთიერებათა თვისებები; მაგ., რკინა, ოქრო, ვერცხლი, ტყვია, სპილენძი, წყალი, ღვინო... საზოგადო სახელი აღნიშნავს არა ერთ გარკვეულს, არამედ მრავალ ერთგვარ საგანს, როგორიცაა: ხე, ქვა. თითი, კბილი, ბალახი, სოფელი, კოკა, ხარი, ცხენი, მგელი... საკუთარია სახელი, რომელიც ჰქვია ერთ რომელიმე საგანს: ქვეყანას ან კუთხეს, სოფელს ან ქალაქს, მთას, ადგილს, მდინარეს, ტბას და სხვ.; საქართველო, მოსკოვი, ტაბახმელა, მტკვარი, მყინვარწვერი... სულიერია საკუთარი ძალით მოძრავი ცოცხალი არსება (ადამიანები, ცხოველები, ფრინველები, თევზები, მწერები, ქვეწარმავლები) (ტერმინი ეკუთვნის ა ნ ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ს).

არტიკლი (გერმ. der Artikel) გრამატიკული სქესის აღმნიშვნელი დამხმარე სიტყვა, რომელიც დგას არსებითი სახელის წინ და განსაზღვრავს მის გრამატიკულ სქესს, რიცხვსა და ბრუნვას (არტიკლი ქართულად არ ითარგმნება); გერმანულში გვაქვს განსაზღვრული არტიკლი (der, die, das) და განუსაზღვრელი (ein, eine). სიტყვა „არტიკლი“ რუსულში ნასესხებია მე-19 საუკუნეში ფრანგული ენიდან და პირველად დალის ლექსიკონშია ფიქსირებული (1863).

არტიკულაცია (ლათ. articulatio) საწარმოთქმო ორგანოების მოქმედება ბგერის წარმოთქმისას!!საშეტყველო ორგანოების მოწყობა ბგერის წარმოსათქმელად.

არტოლად შერწყმული სახელები სახელები, რომლებიც ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ერთვის ზედსართავი ან მიმღეობა და რომლებიც გვიჩვენებენ ნიშანს, რაც სხვა საგანს ახასიათებს: შუბლთეთრი, შუბლ-გატეხილი...

არქაიზაცია [და არა არხაიზაცია] წიგნ. ძველი სიტყვებისა და გამოთქმების ხმარება (ჩვეულებ-

რივ საჭიროების გარეშე). სტილის არქაიზაცია — ენის არქაიზაცია.

არქაიზმი (ბერძნ. archaios ძველი) ხმარებიდან გამოსული სიტყვა, გამოთქმა ან გრამატიკული ფორმა. მხატვრულ ნაწარმოებებში მოძველებული სიტყვების ხმარება, ცოცხალი მეტყველებისათვის მკვდარი სიტყვების თვითნებური გაცოცხლება, საჭიროების გარეშე მოტანა; მაგ., ამირბარი, ამირსპასალარი, ეჯიბი, ვაზირი, სრა, ხვაშიადი...

არქაული (ბერძნ. archaios ძველი), ძველი, ძველებური. დრომოჭმული, ხმარებიდან გამოსული, უკუგდებული. არქაული წესები.

არქაულობა არქაულის დამახასიათებელი თვისება, — სიძველე. სტილის არქაულობა. — ლექსის არქაულობა. „ენას არ ემჩნევა ტერმინოლოგიის არქაულობა“ (ივ. ჯავახ.).

არქეტიპი (ბერძ archetypos) რისამე პირველსახე, საწყისი, ამოსავალი ფორმა.

ასიდენტური შეერთება უკავშირო შეერთება.

ასიმილაცია (ლათ. assimilatio დამსგავსება) ერთი ბგერის მეორესთან დამსგავსება: მანძილის მიხედვით კონტაქტური (უშუალო მეზობლობაში) და დისტანციური (არაუშუალო მეზობლობაში) ბგერათა ასიმილაცია; პირველის ნიმუშებია: მზგავსი, მიზდევს, ერდგული (მისაღებია: მსგავსი, მისდევს, ერთგული); მეორის ნიმუშია: შიმშილი (უნდა ყოფილიყო სიმშილი). მიმართულების მიხედვით გვაქვს რეგრესული და პროგრესული ასიმილაცია; მზგავსი, მიზდევს, შიმშილი რეგრესული ასიმილაციის მაგალითებია, ხოლო ტპა, კპილი, გაბრიყვტა, შეწუხთა — პროგრესულისა. შედეგის მიხედვით ასიმილაცია შეიძლება იყოს სრული (როცა მოცემული ბგერა სავსებით ემსგავსება ასიმილატორს— კქონდა, წუუღო, გუუკეთა) და ხაწილობრივი (როცა მოცემული ბგერა მიემსგავსება ასიმილატორს მხოლოდ რაიმე მხრივ; მაგ., ერდგულ-ში თ მიემსგავსა მჟღერ გ-ს მხოლოდ მჟღერობით; ასევეა ფორმაში მზგავსი...)

ასიმილირება სახელი ასიმილირდება ზმნის ვითარებამდგომარეობისა, ასიმილაციის პროცესი, დამსგავსება, ასიმილაცია მოხდება.

ასიმილირებული რაც ან ვინც ასიმილირდა, — დამსგავსებული.

ასირიოლოგია აღმოსავლეთმცოდნეობის დარგი, რომელიც სწავლობს ასურელ-ბაბილონელების, ურარტუელების, ხეთებისა და ძველი აღმოსავლეთის ზოგი სხვა ხალხის ენებს, ისტორიასა და კულტურას.

ასო სამეტყველო ბგერის ნიშანი (ტერმინი ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს).

ასომთავრული უძველესი ქართული დამწერლობა, მეცნიერებაში მრგლოვანად წოდებული.

ასომთავრული წიგნი ძვ. მთავრული ასო: ასომთავრული, მრგლოვანი ანბანი. იხ. კიდევ მრგლოვანი.

ასონანსი (ფრანგ. assonance) რითმა, რომელშიც სარითმავი სიტყვების მხოლოდ ხმოვნებია საერთო, ხმოვანი ბგერების გამეორება სალექსო სტრიქონში. ასონანსი აძლიერებს ლექსის მუსიკალობას, შინაარსის სიცხადეს. პოეტურ ენაში ასონანსის მუსიკალური ძალა უფრო დიდია იქ, სადაც ლექსი სილაბური ხასიათისაა.

ასპექტი (ლათ. aspectus შეხედულება, სახე) ზმნაში წარმოდგენილი მოქმედების სახე (აჩვენებს დასრულებულია მოქმედება თუ არა) (ზმნის უღლების დასაწყის ეტაპზე გარდამავალი ზმნის ორი ასპექტი გაირჩეოდა — განგრძობითი და ერთბაშიანუ დიურატიული და მომენტობრივი). გრამატიკული ტერმინი **ასპექტი** ქართული ზმნის აღსანიშნავად პირველად იხმარა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის სექციის წევრმა ედუარდ ლიოზენმა (1911).

ასპირატი (ლათ. aspiratio სუნთქვა, ფშვინვა) ფშვინვიერი თანხმოვნები (ასპირატებია, მაგ. ქართ. ფ, თ, ქ).

ასურული ქართულ ფილოლოგიაში ქრისტიან არამეელთა აღსანიშნავად ნახმარი სახელწოდება (აქედან, ასურული ენა).

ატრაქცია (ლათ. attractio) წინადადების წევრთა შეთანხმება აზრობრივად (გრამატიკული სტრუქტურის შეუფერებლად); მაგ., „საზოგადოების წევრთა უმრავლესობა დაესწრნენ“ (უნდა ყოფილიყო დაესწრო).

ატრიბუტივი თვისების აღმნიშვნელი, განმსაზღვრელი სიტყვა, ზედსართავი სახელი.

ატრიბუტივიანი შემასმენელი ისეთი შემასმენელი, რომელსაც ახლავს ატრიბუტივი; შემასმენელთან დაკავშირებულია ატრიბუტივი, რომელიც კარგავს სინტაქსურ კავშირს სახელთან და ზმნას ეკედლება (ტერმინი ეკუთვნის ალ. ღლონტს, 1955 წ.): „კიკოლიკი ძალიან გახარებული გამოვიდა მელიქალის სახლიდან“ (გ. წერ).

ატრიბუტულმსაზღვრელიანი კომპოზიტი ისეთი კომპოზიტი, რომელიც შეზრდილია საზღვრულს და მასთან ერთად ერთი ცნების გამომხატველ რთულ სიტყვას გვაძლევს: ვაჟბატონი, ფურკაწეჩი, ხარირემი, მამაკაცი, დედოფალი (დედა-უფალი), ახალციხე.

ატრიბუტული მსაზღვრელი „ატრიბუტი“ ლათინური ტერმინია, რომელიც საგნის თვისებაზე მიუთითებს. ატრიბუტული მსაზღვრელი მაშინ გვაქვს, თუ

მისი ბრუნვის ფორმა დამოკიდებულია საზღვრული სიტყვის ბრუნვის ფორმისაგან; მაგ., დიდი წიგნი, დიდმა წიგნმა, დიდო წიგნო.

ატრიბუტული ის, რაც ატრიბუტს ეკუთვნის, რაც განსაზღვრების როლში გამოდის, რასაც განსაზღვრების თვისება აქვს.

ატრიბუტული სიტყვათშეერთება ისეთი სიტყვათშეერთებაა, რომელშიც წამყვანი პოზიცია უჭირავს ატრიბუტულ (შეთანხმებულ) განსაზღვრებას: „თვალთა ხელი უკუიცლო, ცრემლნი ცხელნი მოიწურნა“ (შ. რუსთ.). ნინოწმინდა, ხუთშაბათი...

აუგმენტი ერთი წუება ზმნებისა წყვეტილის მხ. რ. III პ-ის ფორმაში წინიდან ირთავს ე ხმოვანს (თუ ფუძე ო ხმოვნით იწყება, მაშინ ზოგჯერ უ-ს). ამ მოვლენას აუგმენტაცია ეწოდება, ხოლო ეს ფუძეზე მინაზარდი აუგმენტია (შეინიშნება ძვ. სომხურ ენაში).

აუსლაუტი (გერმ. Auslaut) სიტყვის ბოლოკიდური.

აფაზია (ბერძნ. aphasia დუმილი, დამუნჯება) მეტყველების უნარის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვა თავის ტვინის ქერქის ზოგი ნაწილის დაზიანების გამო. მეტყველების ისეთი მოშლა, რომელიც აფატიკს (მეტყველებამოშლილ ადამიანს) არ შეუძლია წარმოთქვას სიტყვა, ან წარმოთქვამს, მაგრამ დამახინჯებულად (მოტორული ან მოძრაობითი აფაზია); აფაზიას უწოდებენ ისეთ შემთხვევებს, როცა წერა-კითხვის მცოდნე ადამიანს არ შეუძლია წეროს ან გაიგოს წაკითხული.

აფერეზისი (ბერძნ. apheresis წართმევა) სიტყვის თავში ბგერის დაკარგვა წინა სიტყვის ბოლო ბგერის ზემოქმედების შედეგად: რკო ←კრკო. ამავე მნიშვნელობით იხმარება ტერმინი კრაზისი. საწინააღმდ. ე ლ ი ზ ი ა (ეს მოვლენა ახასიათებს ძვ. ბერძნულს).

აფექტაცია (ლათ. affectatio) არაბუნებრიობა, ხელოვნურობა ქცევაში, მოქმედებაში, მეტყველებაში, აგზნებული, ყურადღების მიმპყრობი ლაპარაკი; პრანჭვა-გრეხით მეტყველება საერთოდ.

აფიქსი (ლათ. affixus მიმაგრებული) სიტყვის ნაწილი, რომელიც ერთვის სიტყვას მისი აზრის, მნიშვნელობის, ფუნქციისა და როლის ცვლილების მიზნით და რომელსაც აქვს გრამატიკული და არა საგნობრივი მნიშვნელობა (უპირისპირდება მარტივ ფუძეს, როგორც საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელს); მაგ., არაპროდუქტული აფიქსი, იხ. უქმი აფიქსი. მკვდარი აფიქსი. იხ. უქმი აფიქსი. მოქმედი აფიქსი (ანუ ცოცხალი, პროდუქტული) ისეთი აფიქსი, რომელიც ხმარება-გამოყენებაშია (იყენებენ დამოკიდებულების აღსანიშნავად, ფუძის საწარმოებლად...); ონონიმური

აფიქსები ისეთი აფიქსები, რომლებიც ბგერითად ერთნაირია და მნიშვნელობით კი სხვადასხვა; მაგ., ერთი მხრივ, ამახანაგ-ებ-ი, მეგობრ-ებ-ი, ძმ-ებ-ი და, მეორე მხრივ, აშენ-ებ-ს, აგ-ებ-ს, ამშვიდ-ებ-ს, ალამაზ-ებ-ს... -ებ სახელებში მრავლობითობას აწარმოებს, ზმნებში — თემის ნიშანია, პროდუქტული აფიქსი იხ. მოქმედი აფიქსი. სინონიმური აფიქსები ისეთი აფიქსებია, რომლებიც ბგერითად განსხვავებულია და მნიშვნელობით კი ერთი და იგივე: მაგ., ძმა-ნ-ი, ძმ-ებ-ი, დგა-ს, დგებ-ა, მოდი-ან, თამაშობ-ენ... უაფიქსო სიტყვები ისეთი სიტყვები, რომელთაც არ შეიძლება დაერთოს აფიქსები მნიშვნელობის შეუცვლელად. უქმი აფიქსი (ანუ მკვდარი, არაპროდუქტული) ისეთი აფიქსი, რომელიც იხმარებოდა გარკვეული დანიშნულებისათვის, მაგრამ აღარ გამოიყენება; ცოცხალი აფიქსი იხ. მოქმედი აფიქსი. აფიქსებიანი აფიქსების მქონე ენა. ენა, რომლის სიტყვებშიც აფიქსი (აფიქსები) შეიძლება გამოიყოს (საპირისპ. უაფიქსო). ქართული ენა აფიქსებიანია. აფიქსაცია სიტყვის წარმოქმნა აფიქსის (პრეფიქსის, სუფიქსის, პრეფიქს-სუფიქსის, ზოგიერთ ენაში კიდევ ინფიქსის) საშუალებით; ქართულში გვაქვს აფიქსაციით წარმოქმნის სამი საშუალება: ა) პრეფიქსული: სა-წერ-ი, მ-საჯ-ი; ბ) სუფიქსური: თავ-იან-ი, ძმურ-ი, გ) პრეფიქს-სუფიქსური: სა-თვალ-ე, სა-მაჯ-ურ-ი.

აფორიზმი (ბერძნ. aphorismos განსაზღვრება) მოკლე, ლაპიდალური, სხარტი გამონათქვამი, რომელიც ერთ წინადადებაშია მოქცეული და რომელშიც დამრიგებლობითი შინაარსი უშუალოდ გვეძლევა; მაგ., „ბოროტი საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია“, „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს; თავისუფლების ძებნაში მკვდარი“, „არ ვარგა კაცი უმტერო, არც ეგრე მტერმორეული“.

აფრიკატი ანუ რთული თანხმოვანი ხშულნაპრალოვანი თანხმოვნებისაგან შემდგარი ერთი რთული თანხმოვანი: ძ=დ+ზ, ც=თ+ს, წ=ტ+ს, ჯ=დ+ჟ, ჩ=თ+შ, ჭ=ტ+შ.

აფრიკატოიდი იგივეა, რაც სპირანტოიდი (ტერმინი ეკუთვნის ნ. იუშმანოვს).

აფხაზურ-ადიღეური ენების ჯგუფი შედგება სამი ენისაგან: აფხაზურისა, ადიღეურისა (ანუ ჩერქეზულისა) ყაბარდოულითურთ და უბიხურისაგან.

აფხაზური ენის კილოები 1. ბზიფური, 2. აბჟუური, 3. ტაპანთური და 4. აშხარული (ეს ორი უკანასკნელი აბაზურის სახელწოდებითაა ცნობილი).

აქტა ლინგვისტიკა (Acta linguistica) დასავლეთ ევროპაში სტრუქტურალისტების ორგანო, რომლის გამოცემა დაიწყო 1939 წ.

ეს არის „საენათმეცნიერო შრომები“, სტრუქტურალისტური ენათმეცნიერების საერთაშორისო მიმომხილველი, რომლის გამოცემაც ხორციელდება საერთაშორისო საბჭოს დახმარებით (ჟურნალს ხელმძღვანელობდნენ ბრონდალი და იელმსლევი). ამ საბჭოს წევრები არიან ფრანგი ენათმეცნიერები: ვანდრიესი, ბენვენისტი, სეშაი, ნორვეგიელი ზომერფელტი, ამერიკელი სეპირი, დანიელი იელმსლევი, ინგლისელი გარდინერი, პოლონელი კურილოვიჩი და სხვ. მათი სახით წარმოდგენილია შემდეგი სამეცნიერო ცენტრები: პარიზი, ჟენევა, ლონდონი, პრაღა, კოპენჰაგენი, ლვოვი, სოფია, ბუდაპეშტი, ბუქარესტი, ოსლო. ბერლინი... წამყვანი როლი ეკუთვნოდა პრაღისა და კოპენჰაგენის საენათმეცნიერო წრეებს, რომელთაც დაარსეს ეს ჟურნალი.

აქტი ანუ საქმე ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, ნახა მოუბარმა ზმნით გამოხატული მოქმედება თუ არა; აქტი დასწრებული იხ. აქტი ნახული; აქტი დაუსწრებელი იხ. აქტი უნახავი. აქტი ნახული ზმნის ფორმა, რომელიც მოქმედებას წარმოგვიდგენს როგორც მოუბრის მიერ ნახულს: დახატა, შეჭამა, გააკეთა, ააშენა; აქტი უნახავი ზმნის ფორმა, რომელიც აღნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომელიც მოუბარს არ უნახავს: დაუხატავს, შეუჭამია, გაუკეთებია, აუშენებია.

აქტივი იხ. მოქმედებითი გვარი.

აქტიური მარაგის სიტყვები ისეთი სიტყვებია, რომლებიც ყოველდღიურად იხმარება; მაგ., დედა, მამა, ჭამს, პური...

აქცენტი (ლათ. accentus) ხმის გაძლიერება ან აწევა (სიტყვის ამა თუ იმ მარცვალზე), თავისებური წარმოთქმა, რაც შეიძლება ახასიათებდეს არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკეს; მშობლიური ენის საარტიკულაციო ბაზისის გამოყენება უცხოურ ენაზე მეტყველებისას.

აქცენტირება — მახვილის გაკვეთით წარმოთქმა, გამოთქმა რისამე. გადატ. ყურადღების გამახვილება (რამეზე).

აქცენტუაცია (ფრანგ. accentuation) ამა თუ იმ ენის მახვილთა სისტემა; მეტყველებაში სათანადო ადგილას ხმის ამაღლება.

აქცესიური კომპლექსის სუპერაცია მეგრულში ჩანს მეგრული რ-ს ქართულის გ (ქ)-სთან ფონეტიკური (და, მაშასადამე, ეტიმოლოგიური, მატერიალური) შესატყვისობის საკმაოდ მრავალ შემთხვევაში — როგორც ცალკეულ ფუძეებში, ისე აფიქსებშიც: ქართ. ქსელავს, მეგრ. ორშუანს; ქართ. გწერს, მეგრ. რჭარუნს... (ტერმინი ეკუთვნის გ. ახვლედიანს).

აღთქმისა ძსქესი ძვ. პირობითი კილო.

აღმატებითი ხარისხი ზედსართავის ფორმა, რომელიც აღნიშნავს რაიმე თვისების ყველაზე მაღალ დონეს; მაგ., ულამაზესი... უმშვენიერესი... უდიდესი... უმაღლესი... უსასტიკესი... (შდრ. ლამაზი... მშვენიერი... დიდი... მაღალი... სასტიკი...).

აღმოსავლურ სირიული თანამედროვე აღმოსავლური არამეული დიალექტების ერთი ნაწილის აღსანიშნავი ტერმინი.

აღნაქსი ძვ. სინტაქსი; სიტყვათა შეწყობა, შეთანხმება.

აღყვანებითი ძვ. თანადამოკიდებული წინადადების სახეობა.

აღწერითი ზმნები აღწერის საშუალებით გადმოცემული მოქმედების ან მდგომარეობის გამომხატველი სიტყვები; ხშირად იხმარებოდა ძვ. ქართულში (მაგ., ღაღად-ყო, უარ-ყო, ნათელ-სცა...). ახალ ქართულში კი ამ ზმნათა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა, რადგან ძვ. ქართულშივე ისახება და ფართოდ ვითარდება ტენდენცია შეიცვალოს აღწერითი ფორმები ორგანულით. აღწერითი ზმნები მწკრივთა ფორმებს აწარმოებენ, ქცევისა და გვარის კატეგორიებს კი—არა. „ღაღად-ყო" ტიპის ზმნებისათვის ტერმინი აღწერითი ზმნები პირველად ნ. მარმა იხმარა. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ამ ტიპის ზმნების აღსანიშნავად გამოყენებულია აგრეთვე ტერმინები: რთული ზმნები (ა. შანიძე, ჰ. თევზაძე), კომპოზიტი ზმნები (ელ. ბაბუნაშვილი, ეკ. ოსიძე).

აღწერილობითი ვნებითი ანუ პერიფრასტულია ვნებითი, როცა ზმნას არ უხერხდება ვნებითის ფორმათა წარმოება და მის მაგივრად საუღლებელი ზმნა ვნებითის წარსულდროიანი მიმღეობის სახით არის წარმოდგენილი, მწკრივის წარმოება კი მეშველ ზმნას აქვს დაკისრებული (მაგ., გაღებულ იქნა, მოწვეულ იქნა, გაგზავნილ იქნა და ა. შ.).

აწმყო[1] ძვ. ახლანდელი დრო. აწმყო დრო იგივეა, რაც ახლანდელი დრო.

აწმყო[2] პირველი სერიის ერთ-ერთი მწკრივი, რომელსაც დრო ახლანდელი აქვს, კილო — თხრობითი: ვაკეთებ, ვხატავ, ვხნავ, ვთესავ...

აწმყოს კავშირებითი პირველი სერიის ერთ-ერთი მწკრივი, რომელსაც დრო ახლანდელი აქვს კილო—კავშირებითი: ვწერდე, ვაშენებდე, ვხნავდე, ვთესავდე...

აწმყოს ხოლმეობითი ძველი ქართულის ერთ-ერთი მწკრივი, რომელსაც მხოლობითში -ნ ჰქონდა დაბოლოებად, მრავლობითში -ედ: წერ-ნ, წერ-ედ.

აჭარული კილო (ქართული ენისა) აჭარლების მეტყველება (აჭარის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა: ბათუმის, ქობულეთის, შუახევის, ხულოს, ქედის რრ.).

ახალდამწერლობის ენები ენები, რომლებმაც დამწერლობა მიიღეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, შექმნეს ეროვნული სკოლები, მასობრივი და მხატვრული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურა, ეროვნული თეატრი, საქმის წარმოება სახელმწიფო დაწესებულებებში დედაენაზე და სხვ. ასეთი ენებია: უდმურტული, ოსური, იაკუტური, დაღესტნის ხალხთა ენები და სხვ.

ახალი არამეული თანამედროვე არამეული დიალექტების აღმნიშვნელი ტერმინია.

„ახალი მოძღვრება ენის შესახებ“ ანუ იაფეტური თეორია ენათმეცნიერული მიმართულება, რომელიც თავდაპირველად (1924 წლამდე) წარმოადგენდა მოძღვრებას ქართულისა და მისი მონათესავე ენების შესახებ, 1924 წლიდან კი იგი წარმოგვიდგა ზოგადლინგვისტიკურ თეორიად, მოძღვრებად ენის განვითარების ზოგადი კანონების შესახებ. 1916 წლიდან იაფეტური ოჯახი დამოუკიდებელ ენათა ოჯახად ცხადდება. მასში ქართველურ ენათა გარდა შედის სხვა მთის კავკასიური ენებიც და წინააზიის ძველი ცივილიზაციის შემქმნელ ხალხთა მკვდარი ენები (ხეთური, ურარტული, ელამური), მათ ემატება ბასკური ენა, მკვდარი პელაზგური და ეტრუსკული ენები; ნ. მარი ფიქრობდა, რომ იაფეტური ელემენტები გვხვდება დედამიწის ყველა ენაში. ამ დებულების აღიარებიდან იაფეტური თეორია ყალიბდება ენის შესახებ ზოგად მოძღვრებად, რომლის მიხედვითაც: 1. ენა არის ზედნაშენური კატეგორია. 2. ენათმეცნიერების საგანი ენის პალეონტოლოგიის ძიებაა; 3. ერთიანი ენათშემოქმედებითი პროცესის არსებობა გამორიცხავს ენათა ცალკე მონათესავე ოჯახების არსებობას; 4. ნ. მარი ცდილობდა, ყველა ენაში აღმოეჩინა ფანტასტიკური 4 ელემენტი (სალ, ბერ, იონ, როშ), რომელთა ურთიერთშეჯვარება იძლევა ენათა სისტემებსა და ენებს და სხვ., ი. სტალინმა ოთხელემენტოვან პალეონტოლოგიურ მეთოდს მკითხაობა უწოდა.

ახალი ქართული ენა გულისხმობს ქართულ სალიტერატურო ენას XIX და XX საუკუნის მწერლობისას.

ახლონათესაური ენები ენები, რომლებიც ერთმანეთთან ძალიან დაახლოებულია და ერთი ოჯახის ენათა შიგნით უფრო წვრილ ერთეულებს წარმოადგენენ.

ბ

ბ 1. მეორე ასო ქართულ ანბანში. მისი სახელია **ბან-ი**; 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ორს (2).

ბაგისმიერი თანხმოვნები წარმოიქმნება ბაგეებთან (ბ, ფ, პ, მ). მათ წარმოთქმაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ორივე ბაგე (ზედა და ქვედა) და ამიტომ მათ **ბაგისმიერ** (ლაბიალ) ბგერებს ეძახიან, უფრო ზედმიწევნით კი — **წყვილბაგისმიერ** (ბილაბიალ) ბგერებს.

ბაზა (ფრანგ. base) საფუძველი, საყრდენი (შდრ. ბაზისი).

ბაზისი (ბერძნ. basis საყრდენი) საზოგადოების ეკონომიური წყობილება მისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე.

ბარბარიზმი (ბერძნ. barbaros უცხო) ამა თუ იმ ენის ბუნებისათვის შეუფერებელი სიტყვაწარმოება თუ გამონათქვამი (ფრაზა). გამართული სხვა ენის ნორმების მიხედვით. უცხოური ენებიდან საჭიროების გარეშე შემოტანილი სიტყვები. ქართულისათვის ბარბარიზმებია: ბანკობიადა... ვაიმეომარი... თავში მომივიდა... არ მაწყობს... (მაგ., სხდომისათვის ესა და ეს დრო)... ცეცხლის გახსნა... (სხვადასხვა სპეციალობის სიტყვაწარმოება და ლექსიკა-ფრაზეოლოგია მრავლად გვაწვდის ბარბარიზმის ნიმუშებს ყოველ ენაში).

ბასკები პატარა (სულ 800 ათასამდე) ძველის-ძველი ხალხი პირენეის მთებში და ატლანტიკის ოკეანის სანაპიროზე (ჩრდილო-დასავლეთ ესპანეთსა და სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში). ბასკები ხეთურ-იბერიული წრის ხალხთა (პირენეის იბერთა) გადმონაშთს წარმოადგენენ.

ბასკური ბასკების კუთვნილი, ბასკების დამახასიათებელი. იგივეა, რაც **ბასკური ენა**.

ბატოლოგია ენაბლუობის ერთერთი სახე, როცა მთქმელი იმეორებს გამონათქვამის ერთ ელემენტს.

ბაცბური ენა იგივეა, რაც თუშური ენა („თუშურს“ იყენებს ა. შ ი ფ ნ ე რ ი).

ბაცბურ-ქისტური ჯგუფის ენები წარმოდგენილია საქართველოში: 1. ბაცბური (ანუ წოვათუშური) — სოფ ზემო ალვანში, კახეთში, ალაზნის გაღმა და 2. ქისტური — პანკისის ხეობის სამ თემში (ომალო, დუისი, ჯოყოლო — ახმეტის რ., კახეთში).

ბაჰუვრიჰი (სანსკრ. bahuvrihi) **ანუ კუთვნილებითი კომპოზიტები** (composita possessiva) მჭონეს აღნიშნავენ და ზედსართაული მნიშვნელობით იხმარებიან (მაგ., ლურჯთვალება, ლურჯკაბიანი, ლურჯსათვალა, ლურჯქათიბა).

ბგერა ჰაერის ნაწილაკთა განსაზღვრული რხევითი მოძრაობა, შეგრძნობილი სმენით; **ბ გ ე რ ა**

დაშდგარი, ის ბგერა, რომელიც ენაში მკაფიოდ გამოირჩევა ამ ენის სხვა ბგერებისაგან და წარმოადგენს ფონემას (იხ. ფონემა) ან მის სახესხვაობას.

ბგერათა გადასმა სიტყვაში ბგერათა თანამიმდევრობის დარღვევა. იხ. მეტათეზისი (მაგ., შხირი, ძრიელ, ხვრა, კვლა და ა. შ.).

ეს ფონეტიკური მოვლენა განსაკუთრებით დამახასიათებელია ჭანურ-მეგრულისათვის. მეგრულში ეს წესი ვრცელდება როგორც საკუთარ, ისე სხვა ენებიდან შემოსულ სიტყვებზედაც, ყველაზე უფრო რელიეფურად კი ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში ჩანს (ფრჩხილებშია მეგრული ფორმები, ფრჩხილებს გარეთ — ქართული): წარბი (წაბრი), ორბი (ობრი), პეტრე (პერტე), პირველი (პრიველი, პრიელი), დრო (რდო), ცრუ (რცუ), ჭრელი (რჭელი), ხშირი (შხირი), საწვრიმალო (სარწუმალო), ბევრი (ბრელი), მათრახი (მართახი), აზრი (არზი), ოქრო (ორქო), აპრილი (არპილი), აქლემი (არქემი), ერბო (ებრო), ფიქრი (ფირქი), გრილი (რგილი||რგიი), მადლობა (მარდობა)...

ბგერათა დაკარგვა ისეთი მოვლენაა, როცა მოსალოდნელი ბგერა სრულებით აღარ მოიპოვება არც თავის ადგილას, არც სხვა ადგილას გადასმული და არც სხვა ბგერით შენაცვლებული (მაგ., მამიდა ← მამისდა, დეიდა ← დედისდა, შვილიშვილი ← შვილისშვილი, ჰურია ← ურია, ჰომი ← ←ომი, ჰამბავი ← ამბავი).

ბგერათა შენაცვლება ისეთი ფონეტიკური პროცესია, როცა მოსალოდნელი ბგერის ნაცვლად სხვა ბგერაა გაჩენილი. იხ. სუბსტიტუცია. იმ ბგერას, რომელიც სხვას შეენაცვლა, **ბგერინაცვალი** ჰქვია (მაგ., ბზე ← საბძელი, ეპიფანე ← ეტიფანე).

ბგერათსუბსტიტუცია ანუ **ბგერათჩანაცვლება** (ლათ. substitutio ჩანაცვლება) ისეთი ფონეტიკური მოვლენაა, როცა ბგერა იცვლება ცალკეულ სიტყვაში ან მხოლოდ რამდენიმე სიტყვაში ყოველგვარი ენობრივი კანონის გარეშე (ტიმოთე — კიმოთე, თებზი, — თევზი, ნეფსი — ნემსი, პატიჟი — პატიჯი, რამდენი — რამტენი (დიალექტ.).

ბგერითი მეტყველება სამეტყველო ბგერების საშუალებით ადამიანთა შორის ურთიერთობა.

ბგერის სიმაღლე განისაზღვრება რხევათა სიხშირით. რაც უფრო მოკლეა სხეული, მით უფრო მაღალია მის მიერ გამოცემული ტონი.

ბგერის სიძლიერე, ანუ ინტენსივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ენერგიით ირხევა მბგერი სხეული. ბგერა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო დიდია მერხევ ნაწილაკთა გაქანება (ამპლიტუდა). სამეტყველო ბგერათა

სიდიდე დამოკიდებულია სახმო სიმების ამპლიტუდაზე.

ბგერის ტემბრი, ანუ ბგერის ელფერი ბგერის ის თვისებაა, რომლითაც, მაგ., განსხვავდება ერთმანეთისაგან სხვადასხვა მუსიკალური საკრავის ხმა: გიტარისა ვიოლინოს ხმისაგან, ორივესი ფორტეპიანოსაგან და ა. შ.

ბგერის წარმოთქმის სამი მომენტი: პირველი მომენტი ექსკურსია ანუ შემართვა, მეორე — მწვერვალი ანუ დაყოვნება, მესამე — რეკურსია ანუ დამართვა.

ბგერის ხანგრძლივობა ბგერის ის თვისებაა, რომელიც გამოიხატება ზოგის წყვეტილად შეგრძნობაში, ხოლო ზოგისა — გრძლივად შეგრძნობაში.

ბგერწერა საგნის ან მოვლენის აღწერა ხმაბაძვით, გაფორმებული სიტყვების მეშვეობით; მუსიკალობის შესაქმნელად სიტყვის შემადგენელი ბგერების ჟღერადობის გამოყენება მხატვრულ ლიტერატურაში (ტერმინი ეკუთვნ-ს ტ. გუდავას).

ბელორუსული ბელორუსების კუთვნილი, ბელორუსების დამახასიათებელი, იგივეა, რაც ბელორუსული ენა.

ბერძნული ბერძნების დამახასიათებელი, ბერძნების კუთვნილი, ბერძნებიდან მომდინარე (მაგ., ბერძნული ენა, ბერძნული ალფაბეტი...). იგივეა, რაც ბერძნული ენა.

ბიბლეიზმი ციტატები საღმრთო წერილიდან, ლიტერატურული იდიომები, ბიბლიური სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც შესულია საერთო ენაში; მაგ., აკრძალული ხილი, ამინ, აღთქმული ქვეყანა, მხარე, ბაბილონის გოდოლი, განკითხვის დღე, გეთსიმანიის ბაღი, გოლგოთა, ეძიებდე და ჰპოვებდე, თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ; იუდას ამბორი და სხვ.

ბიბლია (ბერძნ. biblia წიგნები) ქრისტიანული ეკლესიის მიერ აღიარებული საღმრთო წიგნები, ე. წ. „საღმრთო წერილი"; წიგნები, დაწერილი ქრისტემდე, იწოდება „ძველ აღთქმად", ქრისტეს შემდეგ დაწერილი კი — „ა ხ ა ლ ა ღ თ ქ მ ა დ" (სახელწოდება ბ ი ბ ლ ი ა აღებულია ძველი აღთქმის წიგნის „სიბრძნე ისო ზირაქისი"-ს შესავლიდან, რომელშიც ამ სახელით აღნიშნულია ებრაელთა საღმრთო წიგნების კრებული).

ბილაბიალური (ლათ. bis ორჯერ და labialis ბაგისა, ბაგისმიერი) ისეთი ბგერა, რომელიც წარმოითქმება ბაგეების მონაწილეობით; წყვილბაგისმიერი (ქართულში ასეთი ბგერებია: ბ, პ, ფ, მ).

ბილინგვა (ლათ. bilingua ორენოვანი) ორ ენაზე შედგენილი ტექსტი.

ბილინგვიზმი იგივეა, რაც ორენოვნება.

ბილინგვისტიკური იგივეა, რაც ორენოვანი.

ბინარი იგივეა, რაც ორი წევრი.

ბიოლოგიური ბგერები ადამია-

ნის პირიდან გამოსული ყოველგვარი ბგერა (ყვირილი, კივილი, წივილი, სტვენა, ხველა, კვნესა, წრუპუნი და სხვ.).

ბიჰევიორიზმი (ინგლ. behaviour ქცევა) ფსიქოლოგიის თანამედროვე ამერიკული მიმდინარეობა, რომელიც უგულებელყოფს ცნობიერებას და ადამიანის ქცევა მთლიანად დაჰყავს ფიზიოლოგიურ რეაქციამდე; ფსიქიკურის ბიჰევიორისტული თეორია XX ს-ის დასაწყისში წარმოიშვა. ბიჰევიორისტული თვალსაზრისი გადატანილ იქნა ენათმეცნიერებაშიც, სოციოლოგიაშიც და სხვ. მეცნიერებებშიც.

ბიჰევიორისტული ანტიმენტალიზმი მიმდინარეობა, რომელიც ამტკიცებს, რომ ენა არის ქცევის ფორმა, ენობრივი ფაქტის ძირითადი მნიშვნელობა წარმოადგენს სიტუაციას.

ბოლოკვეცილი სახელები სახელები, რომელთაც ფუძე ეკვეცებათ. ისინი ფუძის უკანასკნელ ბგერად ორ თანხმოვანს გვიჩვენებენ: ა-სა და ე-ს, რომლებიც ხმოვნით დაწყებულ სუფიქსებს უშუალოდ ხვდებიან და იკვეცებიან ნათ-სა და მოქ-ში, ებ-იან მრავლობითის ყველა ბრუნვაში (მაგ., რქა—რქის—რქით—რქები; ბაგე—ბაგის—ბაგით, მავრამ ბაგეები).

ბოლოკიდური. იხ. აუსლაუტი.

ბოლოუკვეცელი სახელები (სახელები, რომელთაც ბოლო არ ეკვეცებათ) ბოლოკვეცილისაგან მარტოოდენ ორ ბრუნვაში განსხვავდებიან — ნათესაობითსა და მოქმედებითში; ნათესაობითის ფორმა მიცემითისას ემსგავსება და მათი ერთმანეთისაგან გარჩევა შესაძლებელი ხდება მხოლოდ სინტაქსურად, სხვა სიტყვებთან დაკავშირებით (მაგ., ერბო—ერბოს—ერბოს; ერბოს ჭილა (ნათესაობითია), ერბოს ვუიდულობ (მიცემითშია).

ბონ-ტონ (ფრანგ. bon-ton) საზოგადოებაში მისაღები ქცევა, სალონური თავდაჭერა (იხ. არისტოკრატიზმი).

ბროკას ცენტრი მოტორული ცენტრი, რომელიც მოთავსებულია შუბლის მესამე ხვეულის უკანა ნაწილში, ტვინის მარცხენა ნახევარსფეროში (ბროკა ფრანგი ანთროპოლოგი, ანატომი და ქირურგი, რომელმაც მეტყველების მოტორული ცენტრი აღმოაჩინა 1861 წ.). ბროკას ცენტრის დაზიანების შემთხვევაში შეუძლებელი ხდება ბგერათა დანაწევრებული წარმოთქმა.

ბრუნება სახელისა (არსებითის, ზედსართავის, რიცხვითის, ნაცვალსახელის) ცვლა ბრუნვათა მიხედვით.

ბრუნვა კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს, რომ სახელის ნაირნაირი ფორმები ერთია ლექსიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით, მაგრამ განსხვავებულია წინადადებაში მოხმარების მიხედვით, ე. ი. სასიტყვათაშორისო ურთიერთო-

ბის თვალსაზრისით (ტერმინი ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს).

ბრუნვათა ნიშნები ქართულში თითოეულ ბრუნვას თავისი ნიშანი აქვს. ეს ნიშნები სიტყვას ბოლოში დაერთვის, დაბოლოებაა; სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი, მოთხრობითისა -მ, -მა, მიცემითისა -ს, ნათესაობითისა -ის, მოქმედებითისა -ით, ვითარებითისა -ად(-დ) და წოდებითისა -ო(ვ).

ბრუნვათა რიგი ამჟამად არსებული ბრუნვათა რიგი ქართული სისტემის თავისებურებათაგან მომდინარეობს; გათვალისწინებულია როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური მხარე: ჯერ მოთავსებულია სუბიექტის ბრუნვები: სახ., მოთხ., მიც., რომელთაც ფონეტიკურ-მორფოლოგიური თვალსაზრისით აერთიანებს ფუძეუკუმშველობა (არქვეული რიგის სახელებში); წოდებითი ბრუნვა ტრადიციულად ბოლოში დარჩა, ასევე ვითარებითიც, მოქმედებითსა და წოდებით ბრუნვებს შორის მოექცა.

ბრუნვათა სახელები ქართულში ბრუნვა შვიდია: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი; აქედან ხუთი (სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, წოდებითი) კალკირებულ თარგმანს წარმოადგენს, ხოლო ორი (მოთხრობითი და ვითარებითი) ქართულ ნიადაგზეა შემუშავებული. ძველ ქართულში მე-8 ბრუნვაც იყო (წრფელობითი), მას ნიშანი არ ჰქონდა; ნიშნის მქონე ბრუნვათა პირდაპირი ფუძე ბრუნვის ფორმას წარმოადგენდა. ახალ ქართულში წრფელობითი ბრუნვა არა გვაქვს. ბრუნვათა რაოდენობა დღევანდელ სალიტერატურო ქართულში, საერთოდ მიღებული შეხედულების თანახმად, შვიდია. თითოეულ ბრუნვას თავისი სახელი ჰქვია და საკუთარი ნიშანი აქვს.

ბრუნვის ნიშანთა გავრცობა მოთხრობით, მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვათა მხოლობითსა და ებ-იან მრავლობითში, აგრეთვე თან-იანშიც ნიშნები შეიძლება გავრცობილ იქნეს -ა ხმოვნის დართვით, რომელსაც სავრცობი, ანუ ემფატიკური ა ჰქვია; მას ნართაულ ა-საც ეძახიან, გვხვდება „მარცვალთღიაობის“ ა-ც (ტერმინი „ემფატიკური“ ნ. მარს ეკუთვნის, ხოლო „მარცვალთღიაობის“ ა — ალ. ფოცხიშვილს).

ბრუნვის ნიშანი ის ფორმანტი, რომელიც სახელს ბრუნვის ფორმას აძლევს.

ბრძანებითი წინადადება გამოხატავს მთქმელის ნება-სურვილს, რომლის შესრულებასაც ის ავალებს ამა თუ იმ პირს; მაგ.; მზეო, დამხედე! წვიმავ, დამწამე! (ვაჟა).

ბრძანებითი მსჭეხი ძვ. ბრძანებითი კილო.

ბრჭყალები სასვენი ნიშნები,

რომლებიც გამოიყენება: 1. უცვლელად, სიტყვა-სიტყვით მოყვანილ სხვათა ნათქვამთან: 2. ბრჭყალებში ჩაისმის ირონიულად, აგრეთვე ჩვეულებრივისაგან განსხვავებული მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა (თუ სიტყვები), სახელწოდებანი წიგნებისა, ჟურნალ-გაზეთებისა, თხზულებათა; მაგ., თვით მამამ ასწავლა „სამამაცონი ზნენი“ (ვაჟა).

ბრჭყუ ბგერა ძვ. ბგერა, რომელიც თანხმოვანსა და ხმოვანს შორისაა, ნახევრად ხმოვანი და ნახევრად თანხმოვანი („ორხმოვანი“) მაგ., უ (ბეჭრი, სიკუდილი...).

ბულგარული ბულგარელების კუთვნილი, ბულგარელების დამახასიათებელი. იგივეა, რაც ბულგარული ენა.

გ

გ 1. მესამე ასო ქართულ ანბანში, მისი სახელია **გან-ი**; 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა სამს (3).

გაარმსგავსება იხ. დისიმილაცია.

გადახხვაფერება იხ. დისიმილაცია.

გადევნილი სიტყვები იგივეა, რაც არქაიზმი (ტერმინი ეკუთვნის ალ. ხახანაშვილს. იხ. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, თბ., 1901, გვ. V).

გავრცობილია წინადადება რომელიც, გარდა მთავარი წევრებისა, შეიცავს ერთ ან რამდენიმე მეორეხარისხოვან წევრს; მაგ., „გაკვირვებულმა ხეებმა თელას თვალიერება დაუწყეს“ (ვაჟა).

გათიშული მსაზღვრელი ქართულში, ახალშიც და ძველშიც, მსაზღვრელი შეიძლება გათიშული იყოს საზღვრულისაგან წინადადების სხვა რომელიმე წევრით, წევრებით ან მთელი შესიტყვებითაც კი: „ესე არს პური ზეცით გარდამოსრული“ (ი. 6, 58), „შავი ეხურვის ნაბადი“ (ვაჟა), „ხარი მოეკლა ირემი“ (ვაჟა). პოეზიაში მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვა ტაეპის შინაგანი რითმის მოსაწესრიგებელ საშუალებად გამოდის; საერთოდ კი გათიშულ მსაზღვრელს სტილისტიკური მიზნებით იყენებენ მეტყველებისათვის ემოციურობის მისანიჭებლად.

გაკვეთა. იხ. ტმესი.

გაკვირვების ნიშანი ძვ. იგივეა, რაც ძახილის ნიშანი.

გამეორება სახელისა ისეთი

მორფოლოგიური ხერხი, რომელიც მრავლობითი რიცხვის მაგივრობას ეწევა სახელის მთლიანი განმეორება: „რაზმი და რაზმი ფიქრების“ (ვაჟა).

გამოსვლითი (დაწყებითი) ბრუნვა ბრუნვა, რომელიც მიგვითითებს რომელიმე პუნქტიდან გამოსვლას. ეს პუნქტი შეიძლება იყოს როგორც სივრცეში, ისე დროში: სახლ-იდან, სოფლ-იდან, გულ-იდან, ხ-იდან, წყარო-დან, რუ-დან, ორშაბათ-იდან, მაის-იდან, ამ წლ-იდან და მისთ.

გამოცანა მოკლედ გამოთქმული ორაზროვანი აღწერა საგნის ან მოვლენისა (ხშირად შერითმული), რომელშიაც მინიშნებულია მათი თვისებები და ამით უნდა გამოიცნონ საგანი, მოვლენა: „გარეთ ატლასი, შიგნით ათასი“ (ბროწეული), „ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე“ (გზა), „დავკარ ხმალი, არ დააჩნდა კვალი“ (წყალი).

განზოგადებულპირიანია წინადადება, რომელშიაც ზმნით ნაგულისხმევი პირი განზოგადებულია. მაგ.: „ამყოლს აჰყევი, დამყოლს დაჰყევიო“ (ანდ.).

განკერძოება წინადადების შემადგენლობაში აზრობრივად და ინტონაციურად გამოყოფილი სიტყვები, რომელნიც იძლევიან დამატებითს ცნობას ამა თუ იმ წევრის შესახებ: „მონადირე, ბედით კმაყოფილი, სიამოვნებით დასცქეროდა ნანადირევს“ (ვაჟა).

განკერძოებულია განსაზღვრება, რომელიც თავისი მიმყოლი სიტყვებითურთ პაუზით გამოეყოფა საზღვრულს და აზრობრივადაც უფრო დამოუკიდებელია, ვიდრე ჩვეულებრივი განსაზღვრება; მაგ.: „ამ ტყეში უზარმაზარი ხეები იდგა, თვალუწვდენელი“ (ვაჟა).

განკვეთილობისა და სასვენი ნიშნები ძვ. ეფრემ მცირე ამბობს: „ყოველივე ჩემ მიერ თარგმნილი წიგნი ერთ წერტილად და ექუს წერტილად გამიკუეთია. ერთწერტილი უკუე — მცირედ სასუენად, ორწერტილი — გასაკუეთებლად სიტყვასა და სამწერტილი — დიდად სასუენად, ექუსწერტილი — სრულიად დასაბოლოებლად და ახლად დასაწყებლად სიტყვსა“.

განმაზოგადებელი სიტყვები გამაერთიანებელი, შემკრები სიტყვები, რომლებიც ერთგვარ წევრებთან ერთად ერთსა და იმავე კითხვაზე მიუგებენ და ერთსა და იმავე სინტაქსურ ფუნქციას ასრულებენ; მაგ.: „იხვსა, ბატსა და ქათამსა — ყველას გავჰკარი კბილია“ (ხალხ).

განმათავსებელი ძვ. განსაზღვრების ერთ-ერთი სახე, ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელით გადმოცემული განსაზღვრება (ტერმინი ეკუთვნის ანტონ პირველს).

განმარტება[1] ძვ. იგივეა, რაც განსაზღვრება (ტერმინი გვხვდება არ. ქუთათელაძის გრამატიკაში).

განმარტება[2] სახელი, რომელიც მსაზღვრელადაა წარმოდგენილი.

იგი შეიძლება იყოს ზედსართავი და ნანათესაობითარი სახელი, ან თვით ნათესაობითის ფორმა: ღვინო ახალი, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მაენებელნი; ფიცხელსა სიტყუასა, დიდითა შრომითა...

განმარტებითი სიტყვა ძვ. იგივეა, რაც განსაზღვრება (ტერმინი გვხვდება ა. ბენაშვილთან; ამავე ტერმინს იყენებდა წინათ ა. შანიძეც).

განმარტებითი სიტყვები ძვ. იგივეა, რაც წინადადების მეორეხარისხოვანი სიტყვები.

განმარტებითნი კავშირნი ძვ. იგივეა, რაც მაიგივებელი კავშირები.

განმარტოებული მსაზღვრელი მსაზღვრელი, როცა მასთან საზღვრული არ არის ნახმარი, მაგრამ იგულისხმება: „სოფლის ამბავს ქალაქში ჩამოიტანს, ქალაქისას სოფელში წაიღებს“ (ი. ჭავჭ.).

განმმარტველი სიტყვა ძვ. იგივეა, რაც განსაზღვრება (ტერმინი გვხვდება თ. ყორდანიას, მ. ჯანაშვილის, დ. კარიჭაშვილის გრამატიკებში).

განსაზღვრება წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი, რომელიც ახლავს არსებითი სახელით ან მასთან გათანაბრებული სიტყვით გადმოცემულ წევრს და ახასიათებს ანუ განსაზღვრავს მას რაიმე ნიშნის მიხედვით; მაგ., „ყვითელი ფოთლები ყველგან მუხლამდე ეყარა“ (რ. გვ.).

განსაზღვრება (რამდენიმე) ერთგვარია, თუ ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებული საზღვრულთან და ერთნაირად მიემართებიან მას, ერთმანეთს უერთდებიან მაერთებელი კავშირებით ან უკავშიროდ — მხოლოდ ჩამოთვლის ინტონაციით; მაგ., „ბნელი, თბილი და წყნარი ღამე იყო“ (ი. ჭავჭ.).

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება განმარტებაა მთავარი წინადადების ისეთი წევრისა, რომელიც არსებითი სახელით (ან საწყისით) არის გადმოცემული; მაგ.: „ხალხი თავს დაჰბრუნავდა გაშოტილ ხარ-ირემს, რომელიც ამ დილით მონადირეებს მოეკლათ“ (ვაჟა).

განსაზღვრული იერი, იერი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სახელი ცნობილია, გარკვეულია (მაგალითი ძველი ქართულიდან: სახლი იგი).

განსაკვრეველი ძვ. გაკვირვების ნიშანი, ძახილის ნიშანი.

განუსაზღვრებელი ჰსქესი ძვ. განუსაზღვრელი კილო, იგივეა, რაც სახელზმნა (მასდარი).

განუსაზღვრელი იერი იერი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სახელი არაა ცნობილი, გაურკვეველია (მაგ., კაცი ერთი, კაცი ვინმე).

განუსაზღვრელპირიანია ანუ ქვემდებარეგაუჩინარებულია წინადადება, რომელშიაც ქვემდებარე არ მოიპოვება და მოქმედ პირად არც შეიძლება ვიგულისხმოთ რომელიმე კონკრეტული საგანი, მაგრამ ზმნას არა აქვს დაკარგული სუბიექტური პირის გაგება; მაგ.: „მეორე დილით საგინაშვილი ყელ-

გამოჭრილი იპოვეს“ (მ. ჯავ.).

განუსაზღვრელობითი ნაწილაკი ისეთი ნაწილაკი, რომელიც მიღებულია კითხვით სიტყვაზე (ნაცვალსახელზე, ზმნიზედაზე) მე ნაწილაკის დართვით: ვინმე, რამე, რომელიმე, რამდენიმე, როგორმე, სადმე, საიდანმე...

განყენებითნი ძვ. იგივეა, რაც განყენებული (განყენებულები).

განყენებული სახელი იგივეა, რაც აბსტრაქტული სახელი.

განყოფითნი კავშირნი ძვ. იგივეა, რაც მაცალკევებელი კავშირები.

გაორკეცება დასაწყისი მარცვლის შენაცვლებით ფუძეგაორკეცებული კომპოზიტების სახე, რომელშიც შეცვლილია არა მარტო ხმოვანი, არამედ მის წინ მდგომი თანხმოვანიც (ან თანხმოვნებიც): გიჟ-მაჟი, კუშ-მაშა.

გაორკეცება თანხმოვნის დისიმილაციით ფუძეგაორკეცებული კომპოზიტების სახე, რომლის გაორკეცებული ფუძის ერთ-ერთ ნაწილში (იშვიათად ორივეში) დისიმილაციის გამო თანხმოვანია შეცვლილი: გვირგვინი, ზანზალაკი, კერკეტი, კირკიტი, ღირღიტა...

გაორკეცება თანხმოვნის ჩავარდნით ფუძეგაორკეცებული კომპოზიტების სახე, რომლის ერთერთ ნაწილში თანხმოვანია ჩავარდნილი და ამის გამო გაორკეცების კვალი წაშლილია: პაატა (პატ-პატა), პაწაწა (პაწ-პაწა).

გაორკეცება ხმოვნის შენაცვლებით ფუძეგაორკეცებული კომპოზიტების სახე, რომელშიც ფუძე მარტივად კი არ მეორდება, არამედ ამასთანავე ერთად ხმოვანიც იცვლება ერთ-ერთ ნაწილში (ჩვეულებრივ მეორეში): ტყაპა-ტყუპი, ბაქი-ბუქი, ხევ-ხუვი, ბიჭ-ბუჭი, გორ-გალი; რიჟ-რაჟი...

გაორმაგება (გემინაცია) წერისას ბგერის განმეორება მისი ხანგრძლივობის აღსანიშნავად.

გარდამავალი ზმნა პირდაპირი დამატების მქონე ზმნა (საპირისპ. გარდაუვალი). ქართულ'ში ყველა სამპირიანი ზმნა გარდამავალია. გამონაკლისია უყვება ტიპის ზმნები.

გარდამავლობა ზმნის ფუნქცია, როცა სუბიექტი პირველ სერიაში სახელობითშია, ობიექტი — მიცემითში, მეორე სერიაში სუბიექტი მოთხრობითშია, ობიექტი — სახელობითში: კაცი აშენებს სახლს — კაცმა ააშენა სახლი.

გარდასატანი ნიშანი ძვ. იგივეა, რაც გადატანის ნიშანი, პატარა ხაზი.

გარდაუვალი ზმნა ისეთი ზმნა, რომელსაც პირდაპირი ობიექტი არ გააჩნია: უზის, ეწერება, ეყოლება...

გარემოება წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი, რომელიც აღნიშნავს მოქმედების ადგილს, დროს, ვითარებას, მიზეზს, მიზანს, ზომა-ოდენობას მოქმედებისას ან ხარისხს რაიმე ნიშან-თვისებისას; მაგ., „კესო ხმაამოუღებლივ მიჰყვა მიცვალებულს სასაფლაომდე“ (ი. ჭავჭ.).

გარემოების განკერძოება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც ერთი გარემოება მიემართება სხვა (წინა) გარემოებას და ხსნის, აზუსტებს მის მნიშვნელობას; მაგ.: „ერთი იმ დროის კაცი, სახელად გოჩი, ზღვის პირად სცხოვრობდა გამოქვაბულში, სულ მარტოდ-მარტო“ (ვაჟა).

გაუვრცობელია წინადადება, თუ იგი მარტო შემასმენელსა და მასთან დაკავშირებულ ძთავარ წევრებს შეიცავს. ან ზოგჯერ მარტო შემასმენელს; მაგ.: „ხეებმა თელას თვალიერება დაუწყეს“ (ვაჟა).

გეზი ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართებას სივრცეში მდებარე სხვადასხვა პუნქტთან; მიმართული ისეთი გეზია, რომელიც გვიჩვენებს ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართულებას. მიუმართავი ისეთი გეზია, რომელიც გვიჩვენებს ზმნით გამოხატული მოქმედების მიუმართაობას სივრცეში მდებარე პუნქტებისადმი. მაგ.: წერა და ჩაწერა, ხატვა და ჩახატვა, გდება და გაგდება, გორება და აგორება და სხვ.

გემინატი[1] გაორმაგებული თანხმოვანი (უმთავრესად სემიტურ ენებში); ორი სავსებით მსგავსი თანხმოვნის შეერთებისას წარმოქმნილი გრძელი ან გაორმაგებული თანხმოვანი: ურემმა, ვაზზე, ggონია...

გემინატი[2] იგივეა, რაც ორმაგი თანხმოვანი. აქ შედის როგორც აფრიკატები, ისე სპირანტები. ასეთი თანხმოვანი დასტურდება ლაკურ ენაში (ტერმინს ხმარობენ ნ. ს. ტრუბეცკოი, ლ. ი. ჟირკოვი, ე. ა. ბოკარევი, ს. მ. ხაიდაკოვი და სხვ.).

გემინაცია იგივეა, რაც გაორმაგება.

გემინაცია თანხმოვანთა ისეთი ფონეტიკური პროცესია, როცა ასიმილაციის ან დისიმილაციის შედეგად თანხმოვანი ორმაგდება, გაორმაგდება (ეს მოვლენა ხშირია სემიტურ ენებში. იგი არა მარტო ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა, არამედ მნიშვნელოვანი მორფოლოგიური ფუნქციის მატარებელიცაა).

გენეალოგია წარმოშობა, ენათა გენეალოგია — ენების წარმოშობა (ენათა წარმოშობას ადარებდნენ ცოცხალი ორგანიზმის წარმოშობას. ფიქრობდნენ, რომ ყოველი ენა წარმოიშვა მისი წინაპარი ენისაგან მსგავსად ცოცხალი არსებებისა. ეს თეორია ჩამოაყალიბა ა. შლაიხერმა 1866 წ.).

გენეალოგიური კლასიფიკაცია ენათა კლასიფიკაცია, რომელიც დაფუძნებულია ენობრივი ნათესაობის პრინციპზე; გენეალოგიური კლასიფიკაცია ენებს აჯგუფებს საერთო წარმომავლობის მიხედვით, რის შედეგადაც გამოიყოფა ენათა ოჯახები.

გენეალოგიური გენეალოგიის ხასიათისა. იხ. გენეალოგიური კლასიფიკაცია.

გენიტივი [ლათ. (casus) geniti-

vus] ნათესაობითი ბრუნვა.

გენიტიკური იგივეობა მონათესავე ენათა მასალების ბგერითი, სიტყვა-წარმოებისა და ძირეული მორფემების შედარებითი შეპირისპირება წარმოშობითი ერთიანობის დასამტკიცებლად (ტერმინი პირველად იხმარა ა. ი. სმირნიცკიმ 1952 წ.).

გენიტიური სახელი სახელი, რომელსაც გენიტივის გაგებაც აქვს. მაგრამ ამასთანავე სხვა ბრუნვის ფორმებსაც გვიჩვენებს. სახელობითს, მოთხრობითს, მიცემითსა და შემდგომთ (ტერმინი მიგვითითებს სახელის მორფოლოგიურ ნიშანზე, სინტაქსურად კი ასეთი სახელი იქნება მართულ-შეთანხმებული; ტერმინი და განმარტება ა. შანიძისაა).

გეოგრაფიული სახელები სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ქვეყნებს, მხარე-კუთხეებს, ხეობებს. ტბებს, მდინარეებს, ქალაქებს, სოფლებს, უბნებს, მთებს, ბორცვებს, ტყეებს, საძოვრებს...

გერმანიზმი გერმანული ენიდან ნასესხები სიტყვა ან გამოთქმა.

გერმანისტი გერმანული ენებისა და ფილოლოგიის სპეციალისტი.

გერმანისტიკა მეცნიერება, რომელიც შეისწავლის გერმანულ კულტურას, ენებსა და ფილოლოგიას.

გერმანული გერმანულის დამახასიათებელი, გერმანულის კუთვნილი, გერმანიიდან მომდინარე. იგივეა, რაც გერმანული ენა.

გერუნდივი (ლათ. gerundivum) ლათინურ ენაში: მყოფადის მიმღეობა ვნებითი გვარისა (მოქმედების შესრულების აუცილებელი ელფერით).

გერუნდიუმი (ლათ. gerundium) ლათინურ ენაში: ნაზმნარი არსებითი სახელის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც იხმარება ობიექტის გამოსახატავად.

გვარი[1] პირველყოფილ-თემურ წყობილებაში ძირითადი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, კავშირი დიდი ოჯახებისა, რომლებიც საერთო მეურნეობას ეწევიან და ერთმანეთთან ნათესაურ კავშირში იმყოფებიან (აქედან გვაროვნული ენა).

გვარი[2] ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორია ურთიერთობა გრამატიკულად მოქმედ პირსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის. მედიოაქტივი საშუალ ზმნათა ერთი ჯგუფი, რომელიც დანაკლისის ფორმათა შესავსებად იყენებს თავისი ფუძის მოქმედებითი გვარის ზმნათა ფორმებს: თოვს, წვიმს, ელავს, ცხოვრობს, ლაღობს, ხარობს... მედიოპასივი საშუალ გვართა ჯგუფი, დანაკლისის ფორმებს ივსებს თავისი ფუძის ვნებითი გვარის ზმნისაგან: დგას, წევს, უყვარს, სძულს; გვარი მოქმედებითი ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ გრამატიკულად მოქმედი პირი იგივეა, რაც რეალურად მოქმედი პირი, და მას მოეპოვება სამოქმედო ჰპირიც პირდაპირი ობი-

ექტის სახით: მაგ.: ვაგორებ; გვარი ვნებითი ზმნის ის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი იმასვე განიცდის, რასაც პირდაპირ ობიექტური სათანადო მოქმედებითში, ოღონდ ზმნის ფორმით არ ჩანს, თუ ვისგან ან რისგან. მაგ.: გორდება; გვარი საშუალი ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბ. პირი „მოქმედებს“ ისე, რომ სამოქმედო ობიექტი არა აქვს; მაგ: გორავს; გვარი აქტიური იხ. გვარი მოქმედებითი; გვარი პასიური იხ. გვარი ვნებითი; გვარი მედიალური იხ. გვარი საშუალი; აღწერილობითი ვნებითი ზმნის ისეთი ფორმა, რომელსაც არ უხერხდება ვნებითის წარმოება, ამიტომ ხმარობენ აღწერილობით ანუ პერიფრასტულ ფორმებს — საუღლებელი ზმნა წარსული დროის მიმღეობის სახითაა წარმოდგენილი, რომელსაც ემატება დამხმარე ზმნა „იქნება“, „იქნა“: გაღებულ იქნა, დანიშნულ იქნა; დეპონენსი ისეთი ზმნა, რომელსაც ფორმა პასივისა აქვს და მნიშვნელობა აქტივისა; მაგ.: იკბინება, ილანძღება, იმუქრება... მიჩნევის ვნებითი ზმნის ფორმა, რომელიც აღნიშნავს, თუ რად მიაჩნია გრამატიკული სუბიექტი გრამატიკულ ობიექტს ან რად ეჩვენება სუბიექტი ობიექტს; მაგ.: მედიდება, მებევრება, მეცოტავება. პოსიბილიტივი იგივეა, რაც პოტენციალისი. უგვარო ზმნები ისეთი ზმნები, რომელთაც საპირისპირო ფორმები სრულიად აკლიათ: არის, იცის, სწამს, აქვს, ღირს... შესაძლებლობის ვნებითი ფორმა, რომელიც აღნიშნავს, რომ მოქმედება შესაძლებელია, ეს შესაძლებლობა ან ფიზიკური ხასიათისაა ან გულისხმობს, რომ მოქმედება დაშვებულია, შესაძლებელია, არ არის აკრძალული; მაგ.: ზოგი სოკო იჭმევა, ზოგი კი — არა, ღვინო ისმევა. პოსიბილიტური ვნებითი იხ. შესაძლებლობის ვნებითი (ანტონ პირველის გრამატიკაში გვარის აღსანიშნავად ნათესავი იხმარება, ერთგან გვარიც გვხვდება. მაშასადამე, პირველად ანტონმა იხმარა ეს გრამატიკული ტერმინი).

გვარი[3] (გვარები) ანუ გვაროვნული სახელები საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს და გადაეცემა შვილს მამისაგან (ან დედისაგან) ან ცოლს ქმრისაგან. გურამიშვილი, ციციშვილი, მუჯირი, საააკაძე, ორბელიანი, უაზბეგი, ხადური, ჟღენტი, ჯაში, ახალკაცი, პირველი, მამასახლისი, კანდელაკი, შეწირული...

გვარნაკლი ზმნები ისეთი ე. წ. „ცალგვარიანი“ ზმნები, რომლებიც იხმარებიან მარტოოდენ მოქმედებითში და თავის ფუძისაგან ვერ აწარმოებენ ვნებითს; მაგ., უტეეებს, აგდებს, ყრის, კლავს,... ან პირიქით, ფორმის მიხედვით ჰგავს ვნებითი გვარის ზმნას, მაგრამ მოქმედებითი არა აქვს: მო-

კუდა, დავარდა, დაშთა და ა. შ.

გვაროვნული ენა ენა, რომელსაც გვარი იყენებს ურთიერთობისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის იარაღად. იხ. გვარი (მე-2 მნიშვ.) (გვაროვნული ენა ექსტრალინგვისტური (პროლინგვისტური) ცნებაა).

გლაგოლიცა სლავური დამწერლობის ერთ-ერთი სახე. წარმოიშვა IX საუკუნეში, ფიქრობენ, ბერძნული ნუსხური დამწერლობის საფუძველზე.

გლოსა განმარტება ტექსტში ნახმარი გაუგებარი სიტყვის ან გამოთქმისა, მიწერილი ხელნაწერის გვერდის არეზე ან მოთავსებული თვით ტექსტში.

გლოსემა ლინგვისტიკური გამოხატვის უმცირესი ერთეული, რომლის დანიშნულებაა რომელიმე მნიშვნელობის გადმოცემა.

გლოსემატიკა (გერმ. Glossematik) ზოგადლინგვისტიკური თეორია, რომელიც ჩაფიქრებული იყო, როგორც თავისებური „ენის ალგებრა“. ამ თეორიის წარმომადგენლები (იელმსლევი, ს. იოჰანესი, ნ. ეგე) ეძებდნენ ენის სტრუქტურის აღწერისათვის ფორმალურ ხერხებს; ცდილობენ მიაღწიონ იმას, რომ ენა, როგორც შესასწავლი ობიექტი, იყოს არა საშუალება, არამედ მიზანი; გლოსემატიკოსებს სურთ ლინგვისტიკა აქციონ ზუსტ მეცნიერებად; ისინი უარყოფენ ტრადიციული ლინგვისტიკის მიღწევებს (მაგ., ენის ცვალებადობას, ენას, როგორც სისტემას და სხვ. არ ცნობს გლოსემატიკა): ტერმინი „გლოსემატიკა“ ხმარებაში შემოდის 1936 წლიდან.

გლოტოგონია (ბერძნ. glótta ენა, gonos დაბადება) ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც იკვლევს ენის წარმოშობისა და განვითარების საკითხებს: [გლოტოლოგია (ბერძნ. glótta ენა, logos მოძღვრება), იგივეა, რაც ენათმეცნიერება].

გლოტოლოგია იგივეა, რაც მეცნიერება ენის შესახებ (ეს ტერმინი იშვიათად გვხვდება).

გლოტოქრონოლოგია (ბერძნ. glótta ენა, chronos დრო, logos მოძღვრება) ისტორიული ლექსიკოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ენობრივი ცვლილებების ტემპებს იმ მიზნით, რათა დაადგინოს ენის სიძველის ხასიათი; გლოტოქრონოლოგია ემყარება მონათესავე ენების ლექსიკის შესწავლის ლექსიკოსტატისტიკურ მეთოდს.

გლოტოქრონოლოგიის მეთოდი ანუ ლექსიკოსტატისტიკური დათარიღება გულისხმობს მონათესავე ენათა დივერგენციის აბსოლუტურ დათარიღებას (დივერგენცია (ლათ. divergentia) სხვადასხვაობა; გადახრა: განშტოება).

გოტიკური (გერმ. gotik) გოტიკასთან დაკავშირებული.

გოტიკური შრიფტი ლათინური შრიფტის ნაირსახეობა, რომელიც გამოირჩევა წვეტიანი და ტეხილი მოხაზულობით; იყენებ-

დნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში; განსაკუთრებით გავრცელდა გერმანიაში.

გრაგნილი (ანუ დახვეული) დახვეული საწერი თუ დაწერილი მასალა.

გრადაცია (gradatio) ლათინური წარმოშობის სიტყვა. მისი პირდაპირი მნიშვნელობა გულისხმობს თანდათანობით აწევას, ამაღლებას, გაძლიერებას; პირველად ეს სიტყვა ცნობილ ბუნებისმეტყველს ლამარკს უხმარია, როგორც თანდათანობითი განვითარების აღმნიშვნელი ცნება. ბუნებისმეტყველებიდან იგი რიტორიკასა და პოეტიკაში გადასულა და დამკვიდრებულა. გრადაცია პოეტური ფიგურაა, გამოსახვის სტილისტიკური ხერხია, შთაბეჭდილების გამაძლიერებელი ტონის გამომხატველია რიტორიკაში, მხატვრულ მეტყველებაში.

გრამატიკა (ბერძნ. grammatikè) 1. მეცნიერება ამა თუ იმ ენის აგებულების შესახებ. „გრამატიკა (მორფოლოგია, სინტაქსი) სიტყვათა ცვლილებისა და წინადადებაში სიტყვათა შეთანხმების წესების კრებულია“ (ი. ს ტ ა ლ ი ნ ი); ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ენის გრამატიკულ მნიშვნელობათა სტრუქტურას და ამ მნიშვნელობათა გამოხატვის საშუალებებს, რომლებიც, თავის მხრივ, ქმნიან აგრეთვე სტრუქტურას. ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ი ს გ რ ა მ ა ტ ი კ ა. — შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი გ რ ა მ ა ტ ი კ ა. ი ს ტ ო რ ი უ ლ ი გ რ ა მ ა ტ ი კ ა; გ რ ა მ ა ტ ი კ ი ს დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ იგი გვაძლევს სიტყვათა ცვალებადობის წესებს, მხედველობაში აქვს რა არა კონკრეტული სიტყვები, არამედ საერთოდ სიტყვები, რომლებიც მოკლებული არიან ყოველივე კონკრეტულობას; გრამატიკა გვაძლევს წესებს წინადადებათა შესადგენად, მხედველობაში აქვს რა არა ესა თუ ის კონკრეტული წინადადება, ვთქვათ, კონკრეტული ქვემდებარე, კონკრეტული შემასმენელი და ა. შ., არამედ საერთოდ ყოველგვარი წინადადება, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ამა თუ იმ წინადადების კონკრეტული ფორმა. მაშასადამე, აბსტრაქციას ახდენს რა კერძოსა და კონკრეტულისაგან როგორც სიტყვებში, ისე წინადადებებში გრამატიკა იღებს იმ ზოგადს, რაც საფუძვლად უდევს სიტყვათა ცვალებადობას და წინადადებაში სიტყვათა შეკავშირებას და მისგან ქმნის გრამატიკულ წესებს, გრამატიკულ კანონებს. გრამატიკა ადამიანის აზროვნების ხანგრძლივი, აბსტრაქციის მომხდენი მუშაობის შედეგია, აზროვნების უდიდეს წარმატებათა მაჩვენებელია. ასოციაციური გრამატიკა ისეთი გრამატიკა, რომელიც იხილავს სიტყვას, შესიტყვებასა და წინადადების შედგენილობას პარადიგმატურ ასპექტში, ე. ი. როგორც ენის სტრუქტურულად ორგანიზებულ

ელემენტს. შდრ. სინტაგმატიკული გრამატიკა. აღწერითია გრამატიკა, რომელიც შეისწავლის ამა თუ იმ ენის გრამატიკულ წყობას მისი განვითარების რომელიმე გარკვეულ მომენტში იმისგან დამოუკიდებლივ, თუ რა ადგილი უჭირავს მას სათანადო ენის განვითარების ისტორიაში, ან რა მიმართებაში იმყოფება იგი მონათესავე ენათა გრამატიკულ წყობასთან. ისტორიული გრამატიკა სწავლობს ამა თუ იმ ენის გრამატიკული წყობის განვითარებას (მაგ., ქართული ენის ისტორიული გრამატიკა, რუსული ენის ისტორიული გრამატიკა...). შედარებითი გრამატიკა წარმოადგენს მონათესავე ენათა ისტორიული გრამატიკის ნაწილს და იკვლევს ისტორიულად ერთგვარი მნიშვნელობის მქონე მოვლენებს მონათესავე ენათა გრამატიკულ წყობაში (მაგ., ქართველური ენების შედარებითი გრამატიკა. სლავური ენების და სხვ.). ენათმეცნიერების ისტორიაში ფრიდრიხ შლეგელმა შემოიღო ტერმინი „შედარებითი გრამატიკა“ (შლეგელი იყო ავტორი წიგნისა „ინდიელთა ენისა და სიბრძნის შესახებ“, 1808 წ.). ისტორიულ-შედარებითია გრამატიკა, რომელიც იყენებს შედარებით-ისტორიულ მეთოდს, წარმოადგენს ისტორიული გრამატიკის ნაწილს და იძლევა მონათესავე ენათა ისტორიას შედარების გზით (შედარება საშუალებაა, ისტორია—მიზანი). გარეგანი გრამატიკა იკვლევს წინადადებაში მეტყველების ნაწილების პოზიციებს (ფუნქციებს); შდრ. შინაგანი გრამატიკა. დესკრიფციული გრამატიკა იგივეა, რაც აღწერითი გრამატიკა. ზოგადი ანუ რაციონალური გრამატიკა (ფილოსოფიური გრამატიკა) დაიწყო საფრანგეთში, პორ-როიალის მონასტერში ფილოსოფოს დეკარტეს მიმდევართა (ე. წ. კარტეზიანელების) მიერ. პირველი ასეთი გრამატიკა გამოიცა 1660 წ. (ავტორები არნო და ლანსლო). ლოგიკა ერთია, მასზე დამყარებული გრამატიკაც ერთი იქნება. ეს გრამატიკა არ იქნება კერძო ენის გრამატიკა. იგი ზოგადი გრამატიკა იქნება; ასე მსჯელობდნენ რაციონალური გრამატიკის მომხრეები. რაციონალური გრამატიკა ანტიმეცნიერულია. საზოგადოა გრამატიკა, რომელიც სწავლობს სიტყვის, შესიტყვებისა და წინადადებების შედგენილობის ძირითად თვისებებს, როგორც შემჩნეულს ადამიანთა ენაში საერთოდ, ე. ი. ზოგადად. სინტაგმატიკური გრამატიკა გრამატიკა, რომელიც სწავლობს შესიტყვებისა და წინადადების აგებულებას, როგორც მეტყველების ელემენტებს; შდრ. ასოციაციური გრამატიკა. სინქრონიული გრამატიკა იგივეა, რაც აღწერითი გრამატიკა. ფილოლოგიური გრამატიკა შექმნეს ინდოელებმა (IV ს. ჩვ. წელთაღ-მდე)

და ბერძნებმა (II—1 ს. ჩვ. წელთაღ-მდე). პირველი პანინის გრამატიკა იყო, მეორე — დიონისე თრაკიელის „გრამატიკული ხელოვნება". ორივე ეს გრამატიკა შეისწავლიდა სამწერლო ენას. ბერძნულ ფილოლოგიურ გრამატიკაზე ზეგავლენა იქონია ბერძნულმა ფილოსოფიამ; ამ მხრივ ინდური გრამატიკა უფრო მაღლა დგას, რადგან მასზე არ მოუხდენია გავლენა სხვა მეცნიერებას. ფორმალური გრამატიკა ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს იმ გრამატიკულ მიმართებებს, რომლებსაც გააჩნიათ ფორმალური ნიშნები; ამ გრამატიკის მომხრეები წინადადებას და მის ნაწილებს ახასიათებენ ენობრივი ნიშნების მიხედვით. ასეთ ნიშნებად გამოყენებულია ინტონაცია, პაუზა, რიტმი, მელოდია (პეტერსონი, პეშკოვსკი, დელბრიუკი, ბუდე, დერჟავინი). შინაგანი გრამატიკა იხილავს სიტყვის მორფოლოგიურსა და რიტმულ-მელოდიკურ წყობას. წარმომშობი ანუ გენერატორული გრამატიკა გრამატიკის ახალი ტიპია, რომელიც მიზნად ისახავს, თუ როგორ ხდება გრამატიკულად სწორი წინადადების წარმოქმნა მეტყველი ინდივიდის მიერ. წინარემეცნიერული აღწერითი გრამატიკები იხ. ფილოლოგიური გრამატიკა, რაციონალური გრამატიკა. წინარემეცნიერული გრამატიკები იმ ეპოქათა აღწერითი გრამატიკები, როდესაც ჯერ კიდევ არ მოიპოვებოდა ისტორიული გრამატიკები; ასეთებია — ფილოლოგიური გრამატიკა და რაციონალური გრამატიკა. 2. გრამატიკული წყობა. მოცემული ენისათვის დამახასიათებელი სიტყვისა და წინადადების აღნაგობა. 3. სიტყვათა ცვლილებებისა და სიტყვათა შეთანხმების წესების ერთობლიობა, ჩამოყალიბებული მოცემული ენისათვის; აკადემიური გრამატიკა ნორმატიული გრამატიკა, რომელიც მოიწონა ქვეყნის ძირითადმა მეცნიერულმა ორგანიზაციამ: ანტიკური გრამატიკა ანტიკური ფილოლოგების მიერ ძველი ენების საფუძველზე შექმნილი გრამატიკა; ასეთი გრამატიკის მომზადებაში მონაწილეობდნენ ბერძენი ფილოსოფოსებიც, რომლებიც აზროვნების კატეგორიების შესწავლისას მეტყველების კატეგორიასაც სწავლობდნენ; მეცნიერული გრამატიკა გრამატიკა, რომელიც დგება თეორიული აზროვნების უკანასკნელ მიღწევათა საფუძველზე მეცნიერების განვითარების დონის შესაბამისად; მეცნიერული გრამატიკა ჩამოყალიბდა შედარებითი და ისტორიული გრამატიკის სახით; ნორმატიული გრამატიკა გრამატიკა, რომელიც ადგენს ნორმებს, ე. ი. არჩევს სიტყვათა სანიმუშო სწორ ფორმებს და რეკომენდაციას იძლევა; ნორმატიულ-აღწერითი გრამატიკა გრამატიკა, რომელშიც ერთადაა მოცემული ნორმებიც და ამ

ნორმების გამოყენებაც ლიტერატურის სანიმუშო ტექსტებში; სასკოლო გრამატიკა ტრადიციული გრამატიკის პირობითი სახელწოდება, რომელსაც უსაფუძვლოდ უპირისპირებენ მეცნიერულ გრამატიკას (წინათ გრამატიკას სასკოლო-ტექნიკურ გრამატიკასაც ეძახდნენ).

გრამატიზაცია განზოგადება, აბსტრაჰირება, კონკრეტული ლექსიკური შინაარსისაგან განყენება.

გრამატიკოსი გრამატიკის სპეციალისტი, გრამატიკის მკვლევარი.

გრამატიკული გრამატიკის ხასიათისა, გრამატიკის ბუნებისა, გრამატიკასთან დაკავშირებული.

გრამატიკული კატეგორია გრამემათა კლასი, რომლის ერთ-ერთი წევრი მაინც (ე. ი. ერთი გრამემა სათანადო კლასიდან) აუცილებლად იქნება წარმოდგენილი განსახილველი ენის მოცემულ წინადადებაში; მაგ., რიცხვი გრამ. კატეგორიაა, ხოლო მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი გრამემებია.

გრამატიკული მნიშვნელობა ისეთი მნიშვნელობა, რომელიც ამა თუ იმ სახით აუცილებლად არის წარმოდგენილი მოცემული ენის წინადადებაში: გრამატიკულ მნიშვნელობას აქვს ობლიგატორული (სავალდებულო) ხასიათი, რომელიც ყოველთვის მეტნაკლებად აბსტრაქტული ხასიათისაა.

გრამატიკული რიცხვი სახელისა და ზმნის ზიარი კატეგორია, რომელიც გვაძლევს გაგებას ერთისას ან ერთზე მეტისას; ბავშვი—ბავშვებ-ი — ბავშვ-ნ-ი, ბავშვთ-თა; გააკეთეს, მოხნეს...

გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორია სიტყვისა იგივეა, რაც მეტყველების ნაწილები.

გრამატიკულ-სემანტიკური კლასი სიტყვათა იგივეა, რაც მეტყველების ნაწილები.

გრამატიკული სქესი სახელების ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორია, რომელიც პრინციპში დაფუძნებულია რეალურად სქესის გარჩევაზე (ეს კატეგორია ქართულში არა გვაქვს. ჩვენში ტერმინი „სქესი“ დამკვიდრდა XIX ს. 40-იან წლებში. იგი წარმოადგენს რუსული „род“-ის არასწორ თარგმანს. სქესის რუსული შესატყვისია „пол“, ხოლო „род“ მოდის ბერძნული და ლათინური ტერმინებიდან და უდრის „გვარს“; გასულ საუკუნეებში სხვა ენათა მიბაძვით ზოგიერთი ჩვენი მწერალი ხმარობდა ასეთ ფორმებს: ღმერთა, მეფა, ბატონა, ხელმწიფა, რაც უმართებულოა).

გრამატოლოგია (გერმ. grammatologia) მეცნიერება დამწერლობის თეორიისა და ისტორიის შესახებ. (ტერმინი პირველად 1952 წ. იხმარა ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ ი. ე. გელბმა).

გრამემა გრამატიკულ კატეგორიებში შემავალი კონკრეტული გრამატიკული მნიშვნელობანი; მაგ., მხოლობითი რიცხვი გრამემაა. სხვა გრამემებია აგრეთვე

სახელობითი ბრუნვა, მოთხრობითი ბრუნვა, მამრ. სქესი, მდედრ. სქესი, საშუალო სქესი და ა. შ.

გრაფემა ძირითადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც შედის მოცემული ენის წერითს ვარიანტში.

გრაფემიკა ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს ფონემის გამოხატვის კანონზომიერებასა და წესებს ენის წერითს მეტყველებაში.

გრაფიკა (ბერძნ. graphikè; ხაზვა-ხატვა) ასოთა და ციფრთა მოხაზულობა. მოძღვრება ბგერათა და ასოთა ურთიერთობის შესახებ.

გრაფიკული გრაფიკის ხასიათისა; გრაფიკის წესით (გამოყვანილი ან გაკეთებული).

გრაფომანი პირი, რომელიც გატაცებულია ფუჭ, უსარგებლო თემებზე წერით.

გრაფომანია (graphomania) ავადმყოფური მიდრეკილება ფუჭ, უსარგებლო თემებზე წერისადმი. შემოქმედების უნარსა და სამწერლო ნიჭის არამქონე ადამიანის მიერ წერის დაუოკებელი ჟინი.

გრიმის კანონი, რომლის თანახმადაც ინდურ-ბერძნულ-ლათინურ ყრუ ხმოვნებს გერმანიკულში შეესატყვისებოდა ყრუ სპირანტი, ე. ი. p-t-k გვაძლევდა f-v-h-ს; ამას ეწოდება პირველი თანხმოვანთგადაწევის კანონი. ეს კანონზომიერება შეამჩნია გერმანელმა ლინგვისტმა ი. გრიმმა და ენათმეცნიერებაში მას გრიმის კანონს უწოდებენ.

გუდამაყრული კილოკავი (ქართული ენისა) გუდამაყრის მკვიდრთა მეტყველება: (თელავის, საგარეჯოს. კასპის, წითელწყაროს, თეთრი წყაროს, ასპინძისა და ახალციხის რაიონებშიც სახლობს გუდამაყრელთა მცირე ნაწილი).

გუთური შრიფტი ლათინური შრიფტის ნაირსახეობა, რომლისთვისაც წვეტიანი, კუთხოვანი ასოებია დამახასიათებელი. ფართოდ გავრცელდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც დღესაც იხმარება საკულტო წიგნების დასაბეჭდავად; განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს გერმანიაში.

გურული[1] საქართველოს ერთერთი კუთხის — გურიის მკვიდრი. გურიაში წარმოქმნილი, გურიისათვის დამახასიათებელი.

გურული[2] კილო (ქართული ენისა) გურიის მოსახლეობის მეტყველება: მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რრ.

დ

დ. 1. მეოთხე ასო ქართულ ანბანში, მისი სახელია **დონი**; 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ოთხს (4).

დაბადება წიგნი ძველი აღთქმისანი, ბიბლიის, საღმრთო წიგნების, ე. წ. „საღმრთო წერილის“ პირველი ნაწილის ქართული სახელწოდება, შეიცავს ძველი აღთქმის, ქრისტეს დაბადებამდე დაწე-

რიც 22 წიგნს (ტერძიხი „დაბადება“ აღებულია ამ კრებულის პირველი წიგნის სახელწოდებიდან, შინაარსიდან. რომელშიც მოთხრობილია ქვეყნის შექმნის ანუ დაბადების ამბავი).

დაბალი აწეულობის ხმოვანი ქართულში დაბალი აწეულობის ხმოვანია ა, რომლის წარმოთქმისას ენა ძევს ყველა ხმოვანზე დაბლა. დაბალი აწეულობის ხმოვანს ეძახიან ფართო ანუ ღია ხმოვანს.

დადებითი ხარისხი ვითარებითი ზედსართავი სახელის ფორმა, გამოყენებული შედარებითი (უფროობითი) ხარისხის ფუძედ და მასთან შეპირისპირებულად [დადებითი ხარისხის ფორმებია: დიდი, მაღალი, წითელი, გრძელი..., ხოლო აქედან ნაწარმოები შედარებითი (უფროობითი) ხარისხის ფორმებია: უდიდესი, უმაღლესი, უწითლესი, უგრძესი].

და-თი შეერთებული კომპოზიტები ისეთი კომპოზიტები, რომლებიც შედგენილია სხვადასხვა ფუძისაგან და აწარმოებს გარკვეული სახის რიცხვით სახელებს: ოცდაერთი, ოცდაათი, სამოცდათექვსმეტი და სხვ.

დათმობითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც ისეთ ამბავს გადმოგვცემს, რის მიხედვითაც არ არის მოსალოდნელი ის, რაზედაც მთავარ წინადადებაშია ლაპარაკი, მაგრამ აღებულ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია; მაგ.: „მზეს თუმცა უხვად მოეფინა დედამიწაზე თავისი სხივები, მაგრამ ჯერ კიდევ გრილოდა“ (ლ. მეგრ.).

დათმობის გარემოება აღნიშნავს ერთგვარ პირობას, რომლის მიხედვითაც არ არის მოსალოდნელი ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულება, მაგრამ ეს უკანასკნელი გამოხატავს ამ პირობას და მაინც სრულდება: მაგ.: „მიუხედავად აპრილის მზიანი დღისა, გაიოზს ნაბადი ეხურა“ (ლ. ქიაჩ.).

დაკარგვა ბგერისა ისეთი ფონეტიკური მოვლენა, როცა მოსალოდნელი ბგერა სრულებით აღარ მოიპოვება არც თავის ადგილას, არც სხვა ადგილას გადასმული და არც სხვა ბგერით შეხაცვლებული: მამიდა (მამისდა), დეიდა (დედისდა)...

დამაკვირდი ბრძნული გამოთქმები, აფორიზმების საგანგებო კრებული ქართულში (სახელწოდება „დამაკვირდი“ ი. ჭავჭავაძემ შეიოილო და დააშკვიდრა ქართულ ლიტერატურაში).

დამართვა იხ. რეკურსია.

დამარცვლა სიტყვის შარცვლებად დაშლა (მაგ., კა-ცი, კე-დე-ლი).

დამარცვლავს შარცვლებად დაშლის (სიტყვას).

დამარცვლული შარცვლებად დაშლილი (სიტყვა).

დამატება წინადადების წევრი, რომელიც აღნიშნავს სამოქმედო საგანს, ე. ი. ისეთ საგანს, რომელზედაც მოქმედებენ ან რომლისთვისაც მოქმედებენ, ან კიდევ რომლითაც მოქმედებენ და სხვ.; მაგ. „ყვავილნი შუდამყოს სიცო-

ცხლეზე საუბრობდნენ“ (ვაჟა).

დამატება-ობიექტები და უბრალო დამატებანი დამატება-ობიექტები ზმნის ობიექტური პირის ფარდი სახელებია. უბრალო დამატება არ არის ზმნის აგებულებით საგულისხმევი და ამის გამო ზმნის ობიექტურ პირთან არც არის დაკავშირებული (ტერმინი ეკუთვნის ა. შანიძეს). მაგ.: „ტოროლამ ნისკარტით ამოგლიჯა რამდენიმე ბალახი“ (ი. გოგ.).

დამატებიანი დამატების შემცველი. დამატებიანი წინადადება.

დამატებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც შეიცავს ერთ-ერთი დამატების გაგებას: პირდაპირი დამატებისას, ირიბისას ან უბრალო დამატებისას; მაგ.: „ბარამმა უეცრად დაინახა, რომ ნეშოებს შორის იას ამოეყო თავი“ (შ. დად.).

დამატებითი დამოკიდებული წინადადება დამოკიდებული წინადადება, რომელიც მთავარი (ან დამოკიდებული) წინადადების მიმართ გვევლინება, როგორც დამატება.

დამოკიდებული წინადადება წინადადება, რომელიც სინტაქსურად დაქვემდებარებულია მთავარ ან სხვა დამოკიდებულ წინადადებას და ხსნის მის ერთ-ერთ წევრს.

დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი სიტყვები სიტყვები, რომელთაც ცალკე აღებულთ არ გააჩნიათ ლექსიკური მნიშვნელობა.

დამსგავსება იგივეა, რაც ასიმილაცია. ბგერათა დამსგავსება.

დამტკიცებითი იგივეა, რაც მტკიცებითი.

დამტკიცებითი ბრძანებითი ძვ. იგივეა, რაც წართქმითი ბრძანებითი.

დამტკიცებითი სიტყუა ძვ. წართქმითი წინადადება.

დამცირებითი სახელები ისეთი სახელები, რომლებიც გამოიყენებიან დამცირების მიზნით: დავითა, სიმონა, პეტრია, პაულია, გიგუა, ვასუა, გოგია და სხვ.

დამწერლობა ამა თუ იმ ენის გრაფიკული ნიშნების, ასოების სისტემა, — წერის ხელოვნება.

დამწერლობათმცოდნეობა საისტორიო მეცნიერების დამხმარე დარგი, რომლის კვლევის საგანს შეადგენს სხვადასხვა ხალხისა და ეპოქის დამწერლობა და წერილობითი ძეგლების ნივთიერი მხარე (ასოთა მოხაზულობა, საწერი მასალა, ძეგლების თარიღები და სხვ.), — პალეოგრაფია.

დამწერლობიანი დამწერლობის მქონე.

დამხმარე სიტყვები სიტყვები, რომელთაც დამოუკიდებლობა აკლიათ, წინადადების წევრობა არ შეუძლიათ, მაგრამ მეტად საჭირონი არიან წინადადებაში: ისინი მნიშვნელობას უცვლიან წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და ამით გარკვეულ სამსახურს ასრულებენ.

დანართი განკერძოებული სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რო-

მელიც დაკავშირებულია წინადადების წევრთან პაუზით ან კავშირით და შეთანხმებულია მასთან ბრუნვაში. იგი სახელია, მოსდევს სახელითვე გადმოცემულ წინადადების წევრს და განსაზღვრავს მას. დანართი ყოველთვის გამოყოფილია მძიმით. მაგ.: „ჭიშკრიდან დავინახე მოხუცი ქალი, გიორგის დედა“ (კ. ლორთქ.).

დანიშნულების დამატება „თვის“ თანდებულიანი სახელი, რომელიც დამატებად გვხვდება ორპირიან და ერთპირიან ზმნებთან: შვილს შეუკერა პერანგი — შვილისთვის შეკერა პერანგი; „ყველასათვის კარგი მსურს, ბოროტების მტერი ვარ“ (ა. წერ.).

დანიშნულების სახელები სახელები, რომლებიც განსაზღვრული მაწარმოებლების (პრეფიქს-სუფიქსის) დართვით (სა—ე, სა—ო, სა—ურ) გადმოგვცემენ დანიშნულებას, განკუთვნებას: სათვალე, საჯარო, სამკერდული.

დარგუული ენა რამდენიმე დიალექტის (ახუშური, წუდახარული, კუბაჩური და ხაიდაკური) შემცველი მწერლობიანი ენა; ლიტერატურული ენა აგებულია ახუშური დიალექტის საფუძველზე — რუსული ანბანით. მოლაპარაკეთა რიცხვი 170 ათასი.

დასავლურ-ქართველური არეალი ჯერ კიდევ ქართველური ენობრივი ერთიანობის ეპოქაში „ზანური“ და „სვანური“ დიალექტური წრეების მჭიდრო კონტაქტები; „ზანურ-სვანური“ დიალექტური წრე გვიანდელი პერიოდის საერთო — ქართველურში (საპირისპ. აღმოსავლურ-ქართველური არეალი).

დატივი [ლათ. (casus) dativus] მიცემითი ბრუნვა.

დატიური (მიცემითიანი) კონსტრუქცია ისეთი კონსტრუქცია, რომელშიც რეალური სუბიექტი მიცემითშია, ნივთის ობიექტი სახელობითში: მონადირეს მოუკლავს ირემი; დავითს უქია სიმონი.

დაფუძნებული ხიტყვები იგივეა, რაც ნასესხები სიტყვები (ტერმინი ეკუთვნის რ. ბუდაგოვს).

დაქვემდებარებითია სიტყვათა ისეთი შეკავშირება, რომლებიც ერთმანეთის მიმართ უთანასწოროა: წყვილის წევრთაგან ერთი მთავარი ანუ წამყვანი სიტყვაა, მეორე კი — მასზე დაქვემდებარებული; მაგ.: „დარცხვენილი ძაღლი გაბრუნდა დერეფნისკენ“ (რ. ჯაფ.).

დაქტილოლოგია (ბერძნ. daktylos თითი და logos სიტყვა) ყრუმუნჯთა თითებით ლაპარაკის ხერხი: ხელის ანბანი.

დაღესტნის იბერიულ-კავკასიური ენების ჯგუფი სამ ქვეჯგუფად იყოფა: 1. ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფი, 2. დარგუული და ლაკური ქვეჯგუფი და 3. ლეზგიური ქვეჯგუფი.

დაყოვნება ანუ მწვერვალი ბგერის წარმოთქმის მეორე მომენტი, როცა სამეტყველო ორგანო-

ები შეასრულებენ წარმოსათქმელი ბგერისათვის საჭირო მოძრაობას, ბგერა ისმის და აღვიქვამთ.

დაწუებითი ბრუნვა ძვ. გამოსვლითი, დაშორებითი ბრუნვა (კითხვაზე საიდან?), — აბლატივი. ძველ ქართულში გადმოიცემოდა მოქმედებითი ბრუნვით ემფატიკური ა-ს გარეშე, ახალ ქართულში გადმონაშთიღა გვაქვს; მაგ.: ზეცით მონაბერი, „მაღლით წვიმა მოდიოდა“ (ა. წერ.) (ტერმინი ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს).

დებიტივი ბალტურ ენებში კილოს კატეგორიული ფორმაა, რომელიც გამოხატავს ვალდებულებას.

„დედაენის“ გარნიტური ქართული შრიფტის ერთ-ერთი ძირითადი სახე, რომელშიც ასოთა მთავარი და მაერთი ხაზები სისქით მკვეთრად განსხვავდებიან ერთძახეთისაგან.

დეეპრიჩასტიე ზმნის უცვლელი ფორმაა, რომელიც ხსნის ზმნაშემასმენელს, აღნიშნავს რა დამატებითს მოქმედებას. ქართულ ენაში ეს გრამატიკული კატეგორია არა გვაქვს. ქართველი გრამატიკოსები ზმნის ამ ფორმისათვის სხვადასხვა ტერმინს აყენებენ: მექმ-მიმღეობა (შ. ფირალოვი), ნაკლ-მიმღეობითი ზმნა (პ. იოსელიანი), ზმნის შედეგი, ზნეობრივი მიმღეობა (იუსტ. აბულაძე), ნაზმნარი ზმნიზედა (გ. ახვლედიანი), აბსოლუტივი, გერუნდივი, დეეპრიჩასტიე.

ქართულში რუსული დეეპრიჩასტიე გადმოიცემა ზმნის პირიანი ფორმითა და რა ნაწილაკით: „მიდიოდა რა ჩვენგან ამხანაგი ლენინი, მან გვიანდერძა, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ პარტიის ერთიანობას“ (სტალინი).

დეეპრიჩასტიე საკუთრივ რუსული ტერმინია. პირველად იგი ხმარებაში შემოიტანა მელენტი სმოტრიცკიმ თავის „გრამატიკაში“ (1619).

დეეტიმოლოგიზაცია (გერმ. Abschleifung გაუბრალოება) სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობის მივიწყება; მაგ., სომხური სიტყვა „mard“ (ადამიანი) თავდაპირველად იხმარებოდა მოკვდავის მნიშვნელობით, რადგან ადრე ადამიანის ძირითად ნიშნად ითვლებოდა ის, რომ იგი მოკვდავია. მაგრამ შემდეგში, კაცობრიობის განვითარების შედეგად დადგინდა ადამიანისათვის უფრო დამახასიათებელი ძირითადი ნიშანი, რომელიც შეიცდა რა ადამიანის მნიშვნელობაში, დააბნელა მისი ეტიმონი. მაგ., ავიღოთ სიტყვა Окно (ფანჯარა). ამ სიტყვას უთუოდ საფუძვლად ედო око-ს (თვალის) წარმოდგენა. დეეტიმოლოგიზაციისათვის შეეძლო ხელი შეეწყო, უწინარეს ყოვლისა, იმას, რომ თვით სიტყვა око გამოვიდა ხალხის ხმარებიდან და შემოინახა როგორც მწიგნობრული. ამასთან გარკვეული როლი უნდა მიკუთვნებოდა გაქვავებულ (არაპროდუქტიულად ქცეულ) —

и-სუფიქსს (შდ. იგივე и სიტყვებში: сукно (მაუდი), рядно (ხამი, ჯოთი და მისთ): ანდა ავიღოთ სიტყვა Мешок (ტომარა), ეს სიტყვა ნაწარმოებია мех-ისაგან (ბეწვი). თვით საგნის შეცვლასთან ერთად (ახლა სწორედ ტომრებს ყველაზე იშვიათად აკეთებენ ბეწვისაგან) ადვილად მოიშალა წინანდელი ეტიმოლოგიური კავშირი ამ ორ სიტყვას შორის.

დეეტიმოლოგიზაციის ნიმუშები ქართულიდან: ე ხ ლ ა ← ახლა ← ახლად ← ახალი: დ ა ღ ო ნ ე ბ უ ლ ი — ძვ. ქართულში ნიშნავდა მოღუნული, დახრილი; მ ა ი ნ ც ← მაშინც ← მას შინა; მ ო ღ ვ ა წ ე—ძვ. ქართულში გამოხატავდა (ღუწა, ცდა, ზრუნვა, წუხილი, მოვლა); ს ა ს ა ხ ლ ე ← *სასახლი ← სრასახლი; ს უ ლ ← სლულ ← სრულ ← სლვაა (გ. ახვლედიანი).

სრულმნიშვნელოვან სიტყვათაგან განსაკუთრებულ მიდრეკილებას დეეტიმოლოგიზაციისადმი იჩენენ ზმნისართები: подавно-ს (მით უფრო) უკვე არაფრით არ ვუკავშირებთ давно-ს (დიდი ხანია), завтра-ს (ხვალ), утром-ს (დილას, დილაზე) (შდრ. არქაული заутра)...

დევანაგარი ინდური მარცვლოვანი დამწერლობის სახესხვაობა.

დეკლამაცია (ლათ. declamatio) ლიტერატურული ნაწარმოების გამომეტყველებითი კითხვა ტექსტის აზრობრივი, ექსპრესიული და ემოციური შინაარსის უფრო სრულად და ადეკვატურად გადმოცემის მიზნით: მხატვრული კითხვა.

დეკლინაცია (ლათ. declinatio) გადახრა, იგივეა, რაც ბრუნება.

დემონიმი საზოგადო სახელი, გამოყენებული ფსევდონიმად: მაგ., მკითხველი, მიმომხილველი.

დემოტური დამწერლობა (ბერძ. demotikos ხალხური) ეგვიპტური დამწერლობა (VIII, V სს. ჩვ. ერამდე), რომელიც განვითარდა იეროგლიფებისაგან, გარდამავალი საფეხური კოპტური დამწერლობისაკენ.

დენტალური (ლათ. dentalis) კბილისა, კბილისმიერი (თანხმოვანი).

დეპონენსები ანუ „გადადებული ზმნები“ (ბერძ. verba denonentia) ზმნები, რომელთაც ფორმა მედიუმისა ანუ პასივისა აქვთ, მნიშვნელობა კი — აქტივისა; ასეთი ზმნები ქართულშიცაა: იძლევა. იფიცება, იმუქრება და სხვ. გვხვდება რუსულშიც, ძველ ბერძნულშიც და სხვა ენებშიც.

დერივაცია (ლათ. derivatio) სიტყვაწარმოება, წარმოქმნა.

დესიგნატი იგივეა, რაც აღსანიშნი.

დესკრიფციული (ფრან. descriptif აღწერითი) ეს ტერმინი ლინგვისტიკაში ნასესხებია ინგლისური ენიდან მიმდინარე საუკუნის შუა წლებში. რუსულად პირველად ფიქსირებულია

ინგლისური ენიდან თარგმნილ გ. გლისონის წიგნში „დესკრიფციული ლინგვისტიკის შესავალი“ (1959). თვით ინგ. descriptive „აღწერითი“ მიღებულია ლათინური describere „აღწერიდან“, როგორც ლინგვისტიკური ტერმინი, გამოიყენეს მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, როცა აშშ-ში წარმოიშვა დესკრიფციული ლინგვისტიკა.

დეტერმინანტი (ლათ. determinans განმსაზღვრელი) აფიქსი, რომლის ფუნქციას შეადგენს განსაზღვრა და რომელიც ძირზე დართვით ახალ ფუძეს წარმოქმნის, — განმსაზღვრელი საწარმოებელი აფიქსი.

დეტერმინანტივი ინდოევროპულ ენებში ჰქვია გაურკვეველი მნიშვნელობის ფუძის მაწარმოებელ ელემენტს, რომელიც ადრე ერთოდა ძირს და გამოდიოდა სუფიქსის ან ძირის გამვრცობის როლში.

დეტერმინატივი იეროგლიფის ელემენტი, რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა მის მიერ გამოხატული ცნების კუთვნილებას განსაზღვრული სემანტიკური ველისადმი.

დეტერმინატიული იგივეა, რაც განმსაზღვრელი.

დეტერმინაცია განსაზღვრა.

დეფექტური ზმნა ზმნა, რომლის წარმოება საერთო წესს არ მიჰყვება; აკლია რომელიმე კატეგორია, ან რიცხვი, ან დრო და ან სხვა, ან კიდევ მთელი სერია; ნაკლს ივსებს სხვა ფუძის ზმნით; — ნაკლული, უწესო, მონაცვლე ზმნა (მაგ., რიცხვში მონაცვლე ზმნებია: ხარ—სხედან, გდია—ყრიან)...

დეფექტური ზმნები ზმნები, რომელთაც ქართული ენის ნორმათა მიხედვით აკლიათ ძირითადი გრამატიკული კატეგორიების წარმოების საშუალება.

დეფიზი იხ. დეფისი.

დეფისი (გერ. Devis). პატარა ხაზი, რომელიც იხმარება სიტყვათა შესაერთებლად (მაგ., დედ-მამა, ქართლ-კახეთი), გრამატიკული ელემენტის გამოსაყოფად (მაგ. წერ-ს, და-წერ-ილ-ი) და აგრეთვე სიტყვის გადასატანად სტრიქონიდან სტრიქონზე (მაგ., ქა-ლა-ქი, წიგ-ნი).

დეცესიური (ლათ. decessio დაშორება) კომპლექსი—თანხმოვანთა დეცესიური კომპლექსი (თანმიმდევრობა), თანხმოვანთა კომპლექსი (თანმიმდევრობა) მაშინ გვაქვს, როცა ორი თანხმოვნიდან პირველი უფრო წინა არეში იწარმოება, ვიდრე მეორე. დეცესიური კომპლექსებია: ბღ, დღ, ძღ, ჯღ, ფხ, თხ, ცხ, ჩხ, პყ, ტყ, წყ, ჭყ. სახმო სიმების მოქმედების მიხედვით დეცესიური კომპლექსებისათვის ჩვეულებრივია რეგრესული ასიმილაცია; იხ. აგრეთვე ჰარმონიული კომპლექსები ქართულში (ტერმინი ეკუთვის გ. ახვლედიანს).

დვანდვა ანუ შეერთებული კო-

მპოზიტები (comnosita copulativa) ისეთი კომპოზიტებია, რომლებშიც კომპოზიტის მნიშვნელობა შემადგენელ ფუძეთა მნიშვნელობის ჯამს წარმოადგენს; მაგ., ცოლ-შვილი, ქართლ-კახეთი, საჭმელ-სასმელი...

დვიგუ კომპოზიტები ისეთი კომპოზიტებია, რომლებშიც წინა წევრია რიცხვითი სახელი (სამფეხი, სამკაპა, სამკუთხედი...).

დიაკრიტული ნიშანი (ბერძ. diakritikos) განმასხვავებელი ასოს დამატებითი ნიშანი, რომელიც მიუთითებს, რომ უნდა წარმოთქვას სხვა ბგერა (და არა ის, რომელიც ამავე ასოთი უნიშნოდ გადმოიცემა); მაგ., ძვ. ქართ. უ, დიაკრიტიკულად ჩ და ჯ გამოიხატება ასე: $\overset{\vee}{\text{C}}$. $\overset{\vee}{\text{З}}$.

დიალექტი ანუ კილო (ბერძ. dialektos) კუთხური მეტყველების თავისებურებათა ერთობლიობა; საერთო-სახალხო ენის განშტოება, რომელიც თავისი თავისებურებების გამო წარმოადგენს მოსახლეობის ამა თუ იმ ნაწილისათვის ურთიერთობის საშუალებას განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

დიალექტიზმი ამა თუ იმ დიალექტის (კილოს) დამახასიათებელი ფონეტიკური, გრამატიკული თუ ლექსიკური მოვლენა, რომელიც ხმარებულია სალიტერატურო ენაში ადგილობრივი და სოციალური კოლორიტის დასაცავად.

დიალექტი კლასობრივი ვიწრო სოციალური ზედაფენის მეტყველება, — ჟარგონი. მას არ გააჩნია რაიმე ენობრივი დამოუკიდებლობა და განწირულია დასაღუპავად.

დიალექტოგრაფია[1] (ბერძ. dialekto კილო და grapho ვწერ) აღწერა რომელიმე ენის დიალექტებისა (კილოებისა თუ კილოვაკებისა).

დიალექტოგრაფია[2] იგივეა, რაც ლინგვისტიკური გეოგრაფია (იხ. ლინგვისტიკური).

დიალექტოლოგი დიალექტოლოგიის სპეციალისტი.

დიალექტოლოგია (ბერძ. dialektos კილო და logos მოძღვრება) ენათმეცნიერების დარგი, რომელიც იკვლევს ამა თუ იმ ენის დიალექტებს (კილოებს, კილოკავებს, თქმებს, ქცევებს, იდიოლექტებს); მაგ., ქართული დიალექტოლოგია.

დიალექტოლოგია სტრუქტურული დიალექტოლოგიას, რომელიც მიმართების საკითხს აყენებს წინა პლანზე, ტრადიციული დიალექტოლოგიისაგან განსხვავებით ეწოდება სტრუქტურული.

დიალექტოლოგიური დიალექტოლოგიასთან დაკავშირებული, დიალექტოლოგიისათვის განკუთვნილი, დიალექტოლოგიისა.

დიალექტური დიალექტის დამახასიათებელი, დიალექტთან დაკავშირებული, დიალექტისათვის განკუთვნილი, — კილოური, კილოკავური. დიალექტური ლექსიკონი.

დიალექტური თეორია თეორია,

რომლის მიხედვითაც ხანმეტ ტექსტებში ხანის გენეზისი ასე წარმოგვიდგება: პრეფიქსების ძირითადი სახეა ჱ. დანარჩენი სახეები (ჱ, ჲ, ხ, ღ, ზ, ვ, უ) ამ ძირითადი სახისაგან არის განვითარებული ბგერათა შენაცვლების ნიადაგზე. ხანმეტ-ჰაემეტი ტექსტები, ა. შანიძის აზრით, სხვადასხვა დიალექტის კუთვნილებაა, სხვაობა მათ შორის იმდენად ქრონოლოგიური კი არ არის, რამდენადაც დიალექტური (ტერმინი ეკუთვნის არნ. ჩიქობავას).

დიალოგი (ბერძ. dialogos) 1. საუბარი აზრთა — გაცვლა-გამოცვლა ორ ან ორზე მეტ პირთა შორის; 2. ლიტერატურული ნაწარმოები ან მისი ნაწილი, რომელიც დაწერილია პირთა შორის საუბრის ან კითხვა-მიგების ფორმით.

დიაქრონია (ბერძ. dia გავლით chronos დრო) ენის ისტორიული განვითარების პროცესი, ენის ცვალებადობა, როგორც ლინგვისტიკის საგანი (საპირისპ. სინქრონია).

დიაქრონიული (ინგ. diachronic) იგივეა, რაც ისტორიული გრამატიკა. იხ. გრამატიკა, დიაქრონიული ლინგვისტიკა იგივეა, რაც ისტორიული ლინგვისტიკა, ევოლუციური ენათმეცნიერება.

დიერეზისი (ბერძ. dieresis გაყოფა) დიფთონგის დაშლა შემადგენელ სრულ ხმოვნებად; ჲაკობ ← იაკობ.

დივერგენცია (ლათ. divergere სხვადასხვაობა) სხვადასხვაობა, გადახრა, განშტოება; მეტყველებაში ბგერის წარმოთქმის ცვლილება სიტყვის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით.

დივერგენციის (დიფერენციაციის) პროცესი (ინგლ. divergence) ენობრივი ევოლუციის ერთ-ერთი თვისება, რომლის ძალითაც ენის დიალექტები მიისწრაფიან განკერძოვდნენ ერთმანეთისაგან და გახდნენ დამოუკიდებელ ენებად; დივერგენცია საპირისპიროა კონვერგენციისა (ინტეგრაციის). დივერგენცია-კონვერგენციას საპირისპირო მიმართულება აქვთ და ერთდროულად მოქმედებენ.

დივერგენტი (ინგ. divergent) იგივეა, რაც ალოფონი.

დინამიკა (ბერძ. dynamikos) რაიმე მოვლენის განვითარების, ცვალებადობის მიმდინარეობა. მასზე მოქმედ ფაქტორთა გავლენით. მოძრაობის, მოქმედების სიჩარბე.

დისიმილატორი დისიმილაციის გამომწვევი, — განმამსგავსებელი (ბგერა).

დისიმილაცია (ლათ. dissimilatio განმსგავსება) ბგერათა პროცესი, როდესაც სიტყვაში ორი ერთგვარი ან ერთმანეთის მსგავსი ბგერიდან ერთ-ერთის ცვლა, გადასხვაფერება ხდება, — განმსგავსება (საპირისპ. ასიმილაცია). პროგრესული დისიმილაცია, როდესაც წინა ბგერა ცვლის მომდევნოს (იმერული ← იმერული); რეგრესული დისიმილაცია, როდესაც მომდევნო ბგერა

განამსგავსებს წინა ბგერას (მაგ., რბილი მიღებულია ლბილისაგან).

დისიმილაციური დისიმილაციის ხასიათისა, — განმსგავსებითი. ხშულ თანხმოვანთა დისიმილაციური გამჟღერება.

დისიმილაციური გამჟღერება ქართულში დასტურდება შემდეგ ფორმებში: მთიულური ბატარა, ბატარძალი, ბატრონი (შდრ. პატრონი); სალიტ. ქართ. ბატონი, ჰაბუკი (შდრ. ძვ. ქართ. ჰაპუკი); ბილწი ← პილწი და სხვ.

დისიმილირებული რამაც დისიმილაცია განიცადა, — განმსგავსებული (ბგერა).

დისონანსი (ფრანგ. dissonance) შეუწყობელი ჟღერადობა, სალექსო რითმაში ისეთი შემთხვევა, როცა ყველა ბგერა არ ემთხვევა ერთმანეთს: თუ რითმაში მარტო თანხმოვნები ემთხვევა ერთმანეთს, ამას კ ო ნ ს ო ნ ა ნ ს ს ეძახიან, თუ მარტო ხმოვნები — ა ს ო ნ ა ნ ს ს.

დისტრიბუცია (ინგლ. distribution განაწილება) ენობრივი ერთეულების განაწილება, განლაგება (ფონემების, მორფემებისა და სიტყვების) მოცემული ენის კანონების შესაბამისად.

დისტრიბუციული მეთოდი სტრუქტურული ენათმეცნიერების მეთოდი, რომელიც იკვლევს მეტყველების აქტს პირდაპირი ანალიზის მეშვეობით, რის შედეგადაც ვღებულობთ გარკვეულ წარმოდგენას იმ ენის შესახებ, რომელზედაც შექმნილია ესა თუ ის მეტყველების აქტი ანუ ტექსტები (ტერმინი „დისტრიბუცია“ ენათმეცნიერებაში შემოიტანეს მათემატიკიდან. იგი ნაწარმოებია ლათინური სიტყვიდან distribuere განაწილება).

დისტრიბუციული (ლათ. distributus განაწილებული) ენობრივი მოვლენა, დაფუძნებული განაწილების გამოკვლევებზე.

დიტოლოგია მარცვლის ან სიტყვის შემთხვევითი გაორმაგება (ადგილი აქვს, მაგ., ესპანურ ენაში).

დიფთონგი ანუ ორხმოვანი (ბერძნ. diphthongos) ორი განსხვავებული ხმოვნის შეერთებისას ერთ-ერთი ხმოვნის დასუსტებით წარმოქმნილი ერთი მარცვალი, — ორხმოვანი (მაგ., ძმაი); აღმავალი დიფთონგი დასუსტებული და სრული ხმოვნების შეერთებით წარმოქმნილი მარცვალი; ია, იო, იუ. დამავალი დიფთონგი სრული და დასუსტებული ხმოვნების შეერთებით წარმოქმნილი მარცვალი: აი, ოი, უი.

დიფთონგიზაცია დიფთონგად ქცევა მარტივი ხმოვნებისა

დიქტომია იგივეა, რაც ორობითობა.

დიქცია (ლათ. dictio წარმოთქმა) უმნიშვნელოვანესი მხარე მეტყველების კულტურისა — მკაფიო, გარკვევით, ნათელი, სხარტი წარმოთქმა სიტყვისა, სიტყვის მარცვლებისა თუ წინადადებისა, წარმოთქმის მანერა (ლაპარაკის, დეკლამაციის დროს).

დონეები ენაში (ინგლ. level) 1. ენის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთი ფაზა, რომელიც ერთეულის თვისებებით განისაზღვრება და გამოიყოფა მეტყველების დენადობის სეგმენტაციის დროს; ცნობილია: ლექსიკური დონეები, მორფოლოგიური დონეები, ფონოლოგიური დონეები. 2. ენის — ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლინგვოსტილისტიკის — შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტი.

დრო ისეთი ფორმა ზმნისა, რომელიც გვიჩვენებს მოქმედების მომენტის შეფარდებას უბნობის (ანუ ლაპარაკის) მომენტთან. ამ შეფარდების მიხედვით ირკვევა, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება ხდება ან უბნობის მომენტში ან სხვა დროს; დრო ახლანდელი ის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოქმედება ხდება სწორედ იმ მომენტში, როცა მოუბარ ადამიანს საუბარი აქვს ჩამოგდებული ამ მოქმედების შესახებ: ვაშენებ, ვხატავ, ვხნავ, ვთესავ; დრო მომავალი ისეთი ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოქმედება უნდა მოხდეს თქმის შემდეგ: ავაშენებ, დავხატავ, მოვრწყავ, მოვხნავ; დრო წარსული ის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოქმედება ხდებოდა ან მოხდა თქმამდე: ვაშენებდი, ვხატავდი, მოვრწყავდი, მოვხნავდი... დრო სრული ძვ. იგივეა, რაც სრული ასპექტი: დრო უსრული ძვ. იგივეა, რაც უსრული ასპექტი; დროებითი ზმნიზედა ძვ. დროის ზმნისართი; დროის გარემოება გამოხატავს მოქმედების დროს: მაგ., „დღეს მერცხალი შემოფრინდა“ (ა. წერ.); დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება აღნიშნავს, თუ როდის ხდება მთავარი წინადადების შემასმენლით გამოხატული მოქმედება; მაგ. „როცა ირემი წაიქცა, მონადირემ ირმის გასწვრივ შენიშნა მიმავალი ვეფხვი“ (ვაჟა) (ტერმინი „დრო“ ანტონისეულია).

დრონაკლი ზმნები ზმნები, რომელთაც აკლიათ დროის გრამატიკული კატეგორია, და თუ მოეპოვებათ დამატებით რომელიმე დრო, ფუძე სათანადო ცვლილებას განიცდის (მაგალითები ძვ. ქართულიდან: ყივის, ქივის, იტყუის, თქვა, არს, იცის, ჰლამის, რბის და სხვ.); დრონაკლული ზმნები ძვ. იგივეა, რაც დრონაკლი ზმნები.

ე

ე 1. მეხუთე ასო ქართულ ანბანში; მისი სახელია **ენ**-ი; 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ხუთს (5).

ებიანი ზმნები იხ. თემის ნიშნები.

ებიანი მრავლობითი პირველი მრავლობითი, სახელის მრავლო-

ბითი რიცხვი, რომელიც -ებ სუფიქსის დართვით არის ნაწარმოები.

ეგვიპტოლოგი ეგვიპტოლოგიის სპეციალისტი.

ეგვიპტოლოგია აღმოსავლეთმცოდნეობის დარგი, რომელიც სწავლობს ძველი ეგვიპტის ენას, ისტორიასა და კულტურას.

ეგზეკუტორი (ლათ. exsecutor შემსრულებელი) შემსრულებელი.

ევფემიზმი (ბერძ. eu კარგად, phemi ვლაპარაკობ) გარკვეულ გარემოებაში მიუღებელი უხერხული სიტყვის ან გამოთქმის შეგნებული შეცვლა საყოველთაოდ მიღებული სიტყვით ან გამოთქმით, უხეში სიტყვისა თუ გამოთქმის რბილად გამოსახვა, მორიდებული გამოხატვა, ლიტერატურული კეთილშობილება, — კეთილსიტყვაობა. ევფემიზმებია, მაგ., ფეხმძიმე (ორსულის მაგივრად), თხზავს (ტყუის ნაცვლად) და სხვ.

ევფემისტური ევფემიზმის დამახასიათებელი, შესაფერი. ევფემიზმთან დაკავშირებული, ევფემიზმისა.

ევფონია (ბერძნ. eu კეთილი, phonia ხმა) მოძღვრება ლექსითი მეტყველების ბგერითი შედგენილობის თაობაზე. იგი პოეტური სტილისტიკის შემადგენელი ნაწილია, რომელიც შეისწავლის მეტყველების ბგერითი მხარის მუსიკალურ ხასიათს. მისი შესწავლის სფერო უპირატესად შემოზღუდულია ლექსითი მეტყველების ბგერების შედგენილობით.

ევფუიზმი (ბერძნ. euphyes ტანადი, მშვენიერი) მაღალფარდოვანი სტილით დაწერილი ლექსი, ტროპული მეტყველების ფორმებით ჭარბად დატვირთული ნაწარმოები.

ემფატიკური (ბერძნ. emphatikos) გამომეტყველებითი; გამოყენებულია ქართული ენის გრამატიკაში ბრუნვის დაბოლოების, სავრცობი -ა ელემენტის სახელად (მაგ.: კაცისა, კაცსა...) (ტერმინი ემფატიკური ნ. ნარს ეკუთვნის).

ემფატიკური თანხმოვნები თანხმოვნები, რომლებიც სამეტყველო ორგანოების დიდი დაძაბვით — ემფაზით წარმოითქმის [ემფატიკური თანხმოვნები (მაგ., t, s, d და სხვ.) სემიტურ ენებს სპეციფიკური ბგერებია].

ენა I 1. „ენა ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა“ (ვ. ი. ლენინი). 2. „ენა არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთგაგებას“ (ი. ბ. სტალინი). 3. ნიშანთა სისტემა, რომელსაც აზროვნების იარაღად და ურთიერთობის საშუალებად ხმარობს გარკვეული ენობრივი კოლექტივი. აგლუტინაციური ენები (გერმ. agglutinierende Sprachen) ენები, რომელთაც აგლუტინაცია ახასიათებთ (მაგ., ქართული

და ქართველური ენები, თურქული ენა). **ამორფული ენები** (ბერძნ. amorphos — უფორმო) ენები, რომელთაც დამოკიდებულების აფიქსები არ გააჩნიათ, უაფიქსო ენები; სიტყვათა შორის დამოკიდებულება მყარდება ან მართვის საშუალებით ანდა დამხმარე სიტყვების მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში სიტყვათა ურთიერთობას განსაზღვრავს სიტყვათა ადგილმდებარეობა, სიტყვები მორფოლოგიურად უცვლელი არიან, მაგრამ წინადადება არ არის მოკლებული გრამატიკულ აგებულებას (მაგ., ჩინური ენა). **ანალიტიკური ენები** (გერმ. analytische Sprahen) ენები, რომლებშიც გრამატიკული მიმართებები გამოიხატება დამხმარე სიტყვებით, სიტყვათა რიგით, ინტონაციითა და ა. შ.; სხვადასხვა ადგილას მოთავსებულ სხვადასხვა ინტონაციით წარმოთქმულ ერთი და იმავე ბგერითი შედგენილობის სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს (მაგ., ჩინური, ბირმანული და ტიბეტური ენები). **ახალი დამწერლობის ენები** ენები, რომლებსაც დაიწერლობა შეექმნათ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. საბჭოთა კავშირის ორმოცდაათმა ეროვნებამ სწორედ რევოლუციის შემდეგ მიიღო დამწერლობა მშობლიურ ენაზე (მაგ., ახალი დამწერლობისაა: ბაშკირული, ყაზახური, ყირგიზული, ადიღეური, აფხაზური, დაღესტნის ენები, ოსური, კალმიკური და სხვ. ენები). **ბგერითი ენა** (გერ. Gehörsprache) ენა, რომელიც სმენით აღიქმება. **ბუნებრივი ენა** (ინგ. natural language) ადამიანური ენა, როგორც ბუნებრივი იარაღი გაგებინებისა და აზროვნებისათვის, საზოგადოების ურთიერთობისათვის. **დედაენა** (გერმ. Muttersprache) ენა. რომელსაც ბავშვობიდანვე ითვისებს ადამიანი მშობელთაგან და მახლობელთაგან და ყველაზე უფრო ბუნებრივია მისთვის ლაპარაკსა და აზროვნებაში; ენა, რომელზედაც პირველად ამეტყველდა ბავშვი და რომელიც ურთიერთობის საშუალებაა იმ საზოგადოებისა, რომლის წევრიც თვითონ არის; იგივეა, რაც მშობლიური ენა; **ინდოევროპული ენები** (ინგლ. Indo-European languages) ენები, რომლებიც შედიან ინდო-ევროპულ ენათა ოჯახში (სხვაგვარად ინდო-ევროპული ძირის ენებსაც ეძახიან). ასეთებია: ინდური, ირანული, სლავური, ბალტური, გერმანული, იტალიური, კელტური ენები და სხვ. **მონათესავე ენები** (გერმ. verwandte Sprachen) საერთო წარმოშობის მქონე ენები; მონათესავე ენები ერთი ენიდან მომდინარეობენ, ერთი ენის დიფერენციაციას წარმოადგენენ; ნათესაობა აქ სათანადო ტომთა ანთროპოლოგიურ ერთიანობას კი არ გულისხმობს, არამედ ენათა ძირებისა და აგებულების ისეთ მსგავსებაზე მიუთითებს, რომელიც საერთო წარმომავლო-

ბას მოწმობს; ქართული, მეგრულ-ჭანური (ლაზური) და სვანური მონათესავე ენებია. მონათესავე ენათა ოჯახი საერთო წარმოშობის მქონე ენათა ერთობლიობა. ენობრივი ნიშანი (გერმ. Sprach zeichen) როგორც ენის ელემენტი, ბგერითი მასალისაგან შედგება და წარმოადგენს მხოლოდ აღმნიშვნელს, აღსანიშნი კი არის არა ჩვენი სუბიექტური წარმოდგენები, არამედ თვით ეს საგნები და მოვლენები; ტერმინი „ნიშანი" მიუთითებს ენობრივი ერთეულის მიმართებაზე აღსანიშნ საგანთან. ეროვნული ენა (ინგლ. national language) მთელი ერის საერთო ენა; მაგ., ქართული ეროვნული ენა დიდი და ხანგრძლივი შემოქმედების პროდუქტია. იგი ისევე ძველია, როგორც ქართველი ხალხი და მისი სახელოვანი ისტორია. ეს ენა ჩვენი ბრძოლისა და განვითარების შეუცვლელი იარაღია. ენათა გენეტიკური კავშირი ენები, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან საერთო წარმოშობის მიხედვით, ანუ სხვაგვარად, მატერიალური ნათესაობის მიხედვით. კულტურული ენა (გერმ. Kultursprache) ენა ხალხისა, რომელმაც მიაღწია ცივილიზაციის მაღალ დონეს და მიიღო სახელმწიფო ენის მნიშვნელობა; მაგ., ქართული ენა საბჭოთა სოციალისტური საქართველოს სახელმწიფო ენაა; მასზე ზრუნავს სახელმწიფო. ამ ენაზე გამოდის წიგნები, იბეჭდება ჟურნალ-გაზეთები; ამ ენაზე მიმდინარეობს სკოლებსი და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება. ლიტერატურის ენა სანიმუშო, ნორმატიული ენა, რომლის ნორმები ისე მიიღება, როგორც სწორი და ყველასთვის სავალდებულო. ლიტერატურის ენა საერთო ეროვნული ლიტერატურული ენის ორგანულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს; ლიტერატურის ენა მეტია, ვიდრე ლიტერატურული ენა. ლიტერატურული ენა ერთიანი, საერთო ეროვნული ენა. იგი შემკრები და გამაერთიანებელია ყველა ქართველის, ყველა კუთხის მოსახლეობისა. ლიტერატურული ენა ვერ იტანს არქაიზმებს, დიალექტიზმებს, რომელთა არსებობა ლიტერატურულ ენაში ამ ლიტერატურული ენის არამონოლითურობისა და მოუქნელობის მაჩვენებელია; მკვდარი ენა (ინგლ. dead language) ენა, რომელზეც არავინ ლაპარაკობს, არ იყენებენ ურთიერთობის საშუალებად და მხოლოდ წერილობითს ძეგლებში არიან ფიქსირებული; მაგ., ლათინური ენა (ლათინური ენა ახლაც „ცოცხლობს" ხელოვნურად — მედიცინაში, აფთიაქებში, მაგრამ ამის გამო იგი ცოცხალ ენად არ ჩაითვლება). ნარევი ენები ენათა შეჯვარედინების, ანუ შერევის პროცესის შედეგად წარმოშობილი ენა. ნარევ ენებად ითვლება ინგლისური, ფრანგული, სომხური, სვანური და სხვ. სამწერლობო ენა

(ინგლ. written language) ენა, რომელსაც დამწერლობა გააჩნია, სამწერლობო ტრადიცია აქვს. უმწერლობო ენები (ინგლ. oral language) ენები, რომლებსაც დამწერლობა არ გააჩნიათ და მხოლოდ ზეპირი მეტყველების ტრადიცია აქვთ. მაგ., სვანური და მეგრულ-ჭანური (ზანური) უმწერლობო ენებია. ენის უნიფიკაცია (ინგლ. unification of language ლათ. unus ერთი და facio ვაკეთებ) საერთო ნორმაზე დაყვანა, ერთიანი, სანიმუშო ლიტერატურული ენის დადგენა, ენისა, რომელიც ყოველთვის მისაღები იქნება. უფორმო ენები იგივეა, რაც ამორფული ენები. ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია საერთო წარმოშობის მიხედვით ენათა ოჯახებად დაჯგუფება; ენათა ოჯახი (გერმ. Sprachfamilie) საერთო წარმოშობის მქონე ენები ენათა ოჯახს ქმნიან; მათი მსგავსება საერთო წარმოშობით აიხსნება (ენათა ოჯახი აერთიანებს ნათესაურ ურთიერთობაში მყოფ ენებს, ნათესაური ურთიერთობა კი გულისხმობს წარმოშობის მიხედვით ურთიერთობას და გამოიხატება მონათესავე ენათა მსგავსებაში); პოლისინთეზური ენები (ინგლ. polysynthetic languages) ცენტრალური და ჩრდილო ამერიკის ენებია. პოლისინთეზური ენებისათვის ნიშანდობლივად ითვლება ზმნაში შემოტანა ობიექტისა და სხვა ახსნითი სიტყვებისა; ასე რომ სიტყვა რთულ შენაზავს წარმოადგენს და მთელ შესიტყვებას უდრის; ამ ენის ნიმუშებს ვპოულობთ აგრეთვე აფხაზურში, უბიხურში; საერთაშორისო (ინტერნაციონალური) ენები იხ. ხელოვნური ენები; სინთეზური ენები (გერმ. synthetische Sprachen) ენები, რომლებშიც სიტყვათაშორის გრამატიკული ურთიერთმიმართება გამოიხატება ფორმიანი სიტყვებით (დამხმარე სიტყვებისა და სიტყვათა რიგის გამოყენების გარეშე). სინთეზური ენებია: რუსული, ლათინური და სხვ. ფლექსიური ენები (ვერმ. flektierende Sprachen ენები, რომელთაც ახასიათებთ ფლექსიური სიტყვაცვლილებები (ლათ. flexio — გაღუნვა). ამ ენებისათვის ნიშანდობლივია არა მხოლოდ აფიქსის მჭიდრო კავშირი ფუძესთან, არამედ ე. წ. შინაგანი ფლექსია, ანუ ფუძის ფლექსია, რომლის დროსაც ფუძისეული ხმოვნის ცვალებადობით გადმოიცემა სიტყვის გრამატიკული ფორმა; გერმ. Bruder—Brüder; ფლექსიური ენებია: რუსული, ვერმანული, ლათინური, ინდური, არაბული, ებრაული. ცოცხალი ენა (lebendige Spache) ენა, რომელიც მოცემულ მომენტში წარმოადგენს ამა თუ იმ ხალხის ურთიერთობის იარაღს. ძველი დამწერლობის ენები (ინგლ. language with an old established system of writing) ენები, რომელთაც დამწერლობა დიდი ხნის შეძენილი აქვთ; საბჭოთა კავშირის ხალხთა

130 ენიდან 20 ძველი დამწერლობის მქონეა, 50 — ახლისა და 60 უმწერლობო. 60 ენას რუსული გრაფიკა აქვს; ლათინურ გრაფიკას იყენებენ ესტონელები, ლიტველები, ლატვიელები, ხოლო ქართველებს, სომხებს და ებრაელებს აქვთ საკუთარი ტრადიციული ეროვნული ანბანი. წმინდა ენა (გერმ. reine Sprache) შეურეველი, შეურყვნელი ენა, ენა, რომელსაც უცხო ენის ზეგავლენა არ განუცდია და მის ლექსიკასა და გრამატიკულ წყობაში იშვიათია ნასესხები ფორმები. წმინდა ენა, ენა მხოლოდ „თავისი“ მარაგით, სხვა ენის მასალისაგან თავისუფალი, არ არსებობს. ხელოვნური ენები (ინგლ. artificial language) არაბუნებრივი, არანამდვილი დამხმარე ენა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ბუნებრივი ენისაგან. ასეთებია: ვოლაპუკი (1779), ნოვიალი (ახალი ინტერნაციონალური დამხმარე ენა) (1928), ესპერანტო (1887), იდო, ოქციდენტალი და სხვ. ჰიბრიდი ენები (ლათ. hibrida ნაჯვარი) რამდენიმე ენის ლექსიკის შერევით მიღებული ენები (გრამატიკული წყობა მათ მინიმუმამდე აქვთ დაყვანილი). ასეთი ენის ნიმუშია საბირი, რომელსაც ჟ. ვანდრიესი ფრანგულის, ესპანურის, ბერძნულის, იტალიურისა და არაბულის ნარევად თვლის.

II. როგორიმე (ავი ან კარგი, მწარე ან ტკბილი...) ლაპარაკი, ასეთი ლაპარაკის უნარი; ან კიდევ: რაც გამოსახავს, გადმოსცემს რასმე (ფრინველთა ბგერას, ან კიდევ საგნებს და მოვლენებს); მაგ., ტკბილი ენის პატრონი. მწარე ენის პატრონი; მოთაფლული ენა, მოჭარგული ენა, შხამიანი, ენა; ცხოველთა, ბულბულის, ყვავთა ენა, სტატისტიკის, ციფრების, ფაქტების, მუსიკის ენა; რადიოს, გაზეთის, აგიტატორის, პროპაგანდისტის ენა,... 1. ნებისმიერი სემიოლოგიური სისტემა, რომელიც წარმოქმნის ბუნებრივი ენის რომელიმე ფუნქციას ან ასრულებს მისი შემცვლელის როლს; შდრ. შუამავალი ენა. ენა ეტალონი ტიპოლოგიური შეპირისპირებისათვის; დამხმარე ენა ყოველგვარი ხელოვნური ენა. რომელიც გამოიყენება ამა თუ იმ სხვა სპეციფიკური (კერძო) ურთიერთობისათვის, ბუნებრივი ადამიანური ენისაგან განსხვავებით, რომელიც წარმოადგენს ურთიერთობის ძირითად საშუალებას და ემსახურება ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროსა და სახეს; ბავშვური ენა ბავშვისათვის დამახასიათებელი, ბავშვის შესაფერი მეტყველება, სპეციალური „ბავშვური სიტყვების“ ხმარება, ისეთებისა, როგორიცაა: ლატომ, კაკა, ბუთი, ამ-ამ და მრავალი სხვა, რომლებიც მიღებულია ენის სიტყვების დეფორმაციით; ჟესტების ენა სხეულის ნაწილებით, განსაკუთრებით ხელის გამომხატველობი-

თი მოძრაობა; ჩვეულებრივ თან ახლავს ბგერითი ენა. 2. იგივეა, რაც ყარგონი. ქურდების ენა. სოციალური დიალექტი. 3. იგივეა, რაც სტილი. ავტორის ენა. კანცელარიის ენა. გაზეთის ენა. საქმისწარმოების ენა. წიგნის ენა. მეცნიერების ენა. ოფიციალური ენა. ყოველდღიური ენა. პრესის ენა. ნაწარმოების ენა. პერსონაჟის ენა. პროფესიული ენა. სალაპარაკო ენა; ეზოპის ენა იგავით ლაპარაკი, იგავ-არაკებით აზრის გამოთქმა, გადაკრული თქმა. ენათმეცნიერება მეცნიერება ენის შესახებ. ლინგვისტიკა. ენა — ობიექტი ენა, რომელიც წარმოადგენს აღწერის, შესწავლის ობიექტს. ენა ორიგინალის, ენა საიდანაც თარგმნიან.

ენა და აზროვნება (ინგლ. language and thinking) ენათმეცნიერებისა და ფსიქოლოგიის შესწავლის საგანია. ამ პრობლემას აქვს ორი ასპექტი: ისტორიულ-გენეზისური და არაისტორიული, სისტემატური ანალიზისა. ენა აზროვნების იარაღია; მეტყველება აზრის დანაწევრების, ჩამოყალიბებისა და გაფორმების საშუალებაა. დანაწევრებული აზროვნება მეტყველების გარეშე შეუძლებელია. „ენა ისევე ძველია, როგორც ცნობიერება" (კ. მარქსი, ფრ. ენგელსი).

ენათა დაახლოება ანალოგიური ნიშნების აღმოცენება ორ ან მეტ ენაში მათი გენეტიკური ერთიანობის გარეშე; მაგ., ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ენათა განვითარება, ურთიერთობა, ურთიერთზემოქმედება და გამდიდრება.

ენათა კავშირი (ენათა ასოციაცია) (გერმ. Sprachbund) ენათა გაერთიანება (დაჯგუფება), რომელთა სინტაქსური, მორფოლოგიური და ფონოლოგიური სტრუქტურული მსგავსება გამოდის, როგორც კეთილშენაძენი, როგორც (თანდათან) სხვადასხვა სახის განვითარებადი გეოგრაფიული და ისტორიული ფაქტორების ზეგავლენის შედეგი; ცნება „ენათა კავშირისა" პირველად კავკასიური ენების შესწავლისას ჩამოყალიბდა.

ენათა კავშირების ცნება გეოგრაფიული, არეალური ცნება, რომელიც გულისხმობს არა ენათა ნათესაობას, არამედ ერთ გეოგრაფიულ არეალში მოხვედრილი ენების ტიპოლოგიურ მსგავსებას.

„ენათა კონა" ენათა ჯგუფი, რომელსაც საერთო წარმოშობა არ აკავშირებს, მაგრამ საერთო ნიშან-თვისებები აქვს ლექსიკაში, ბგერათა სისტემაში და მორფოლოგიურ სტრუქტურაში (ტერმინი ეკუთვნის ნ. ტრუბეცკოის, რომელმაც სცადა იგი მოემარჯვებინა კავკასიურ ენათა ურთიერთობის დასახასიათებლად).

ენათა კონტაქტი ის სიტუაცია, როდესაც ვინმე ხმარობს აქტიურად თუ პასიურად ორ ან მეტ ენას (ტერმინი ეკუთვნის პოლონელ მკვლევარს ლ. ცავადოვ-

სკის) იხ. ენის აქტიური ხმარება.

ენათა სისტემა ნ. მარის ტერმინია, შემოიღო ენათა ოჯახის ნაცვლად, რომელიც ენათა იმავე დაჯგუფებას აღნიშნავდა, რასაც ოჯახი, ოღონდ მონათესავე ენათა ოჯახის ტრადიციული გაგებისაგან განსხვავებით, სისტემა ემყარებოდა არა დიფერენციაციის, არამედ შეჯვარედინების პროცესს:

ენათა შეჯვარედინება ენათა ისეთი ურთიერთობა, როცა ერთი ენა ზემოქმედებას ახდენს მეორეზე და წარმოიშობა მესამე, რომელიც ორივეს თვისებებს ატარებს (ტერმინი ბიოლოგიიდან აიღო და ენათმეცნიერებაში დაამკვიდრა აკადემიკოსმა ნ. მარმა); შეჯვარედინების თეორია ჩვენთვის მიუღებელია, იგი სერიოზულს ვერაფერს მისცემს საბჭოთა ენათმეცნიერებას.

ენათმეცნიერი ენათმეცნიერების სპეციალისტი, ლინგვისტი.

ენათმეცნიერება იგივეა, რაც ლინგვისტიკა: ენათმეცნიერება ინტეგრალური მეცნიერებაა ენის შესახებ.

ენათმეცნიერული ენათმეცნიერების შესახები, ენათმეცნიერებისათვის განკუთვნილი, ენათმეცნიერებასთან დაკავშირებული, ენათმეცნიერებაზე დამყარებული. ენათმეცნიერების ხასიათისა.

ენათმეცნიერული სტილისტიკა განიხილავს არაპოეტურ მეტყველებას, ყოველდღიურ სასაუბრო თუ მეცნიერულ ნაწარმოებთა ენას, რამდენადაც ეს ენა სათანადო შინაარსის გაბოხატვის საშუალებაა.

ენათმეცნიერება იხ. ენათმეცნიერება.

ენათშემოქმედება ენის. მეტყველების წარმოქმნა ადამიანთა. საზოგადოებაში, — გლოტოგონია.

ენაკავი ძვ. იგივეა, რაც დიალექტი.

ენაკბილისმიერი ენაკბილისმიერი თანხმოვანი წარმოიქმნება წინა ენის აქტიური მონაწილეობით კბილების მიმართ. ქართულში ლ ენაკბილისმიერი ბგერაა.

ენანტიოსემია სიტყვათა საპირისპირო მნიშვნელობის განვითარება; მაგ., ქართ. გაპატიოსნება გალანძღვის, დატუქსვის მნიშვნელობით.

ენების შეპირისპირებით — ტიპოლოგიური ანალიზი ტიპოლოგიის საერთო თეორიის საფუძველზე წარმოებული შეპირისპირება, რომელიც განეკუთვნება გამოყენებითი ენათმეცნიერების სფეროს (ტერმინი ნახმარი აქვს გ. ა. მახარობლიძეს თავის სადოქტორო დისერტაციაში).

ენთეზისი (ბერძნ. entedis ჩასმა) ანუ ეპენთეზისი სიტყვის შიგნით უფუნქციო თანხმოვნის განვითარება: გვიმბრა ← გვიმრა, კამბეჩი ← კამეჩი; დიალექტ. ანგრე ← აგრე.

„ენიმკის მოამბე“ აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულ-

ტურის ინსტიტუტის მოამბე, 1937 წ. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამოცემა. 1941 წლიდან (X ტომიდან) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა. რედაქტორები: ს. ჯანაშია (I—X ტომის ჩათვლით). გ. ჩიტაია (ტ. XI), არნ. ჩიქობავა (ტ. XII), ნ. ბერძენიშვილი (ტ. XIII), ს. ყაუხჩიშვილი (ტ. XIV).

ენის აქტიური ხმარება პოლონელი მკვლევარი ლ. ცავადოვსკი ამ ტერმინით აღნიშნავს ადამიანთა შორის საუბარსა და მეტყველებას.

ენის განვითარება ცვლილებათა ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც ენა გადადის ერთი მდგომარეობიდან მეორეში.

ენის გასატეხი ბგერობრივად ძნელად გამოსათქმელი სიტყვები, ფრაზები, რომელთაც ხმარობენ სავარჯიშოდ, ენის გასამართავად: მაგალითად: 1. თეთრი თრითინა თეთრ თოვლზე თრთოდა.

2. ერთსა კაცსა ბლისკინელსა
ბლის კალათით ბლის ხიდესა
ბალი გააქვს და გამოაქვს.

ენის ექსპრესიული ფუნქცია ენის ის ფუნქცია, რომ იგი აზროვნების იარაღია.

ენისზურგისმიერი იგივეა, რაც წინაენისმიერი, დორსალური.

ენის ლექსიკური შემადგენლობა რაც ენაში გვაქვს, ყველა სიტყვა, — სიტყვათა ერთობლიობა.

ენისმეტყველი ძვ. იხ. ენათმეცნიერი.

ენისმიერი ენისმიერი თანხმოვნები წარმოითქმის (წინა, უკანა) ენის აქტიური მონაწილეობით ორგანოთა (კბილების, სასის...) მიმართ (იხ. წინაენისმიერი, უკანაენისმიერი).

ენის მსაზღვრელი ზოგადი მსაზღვრელი, რომელიც მიუთითებს, თუ რა ენაზეა დაწერილი ნაწარმოები.

ენის პასიური ხმარება პოლონელი მკვლევარი ლ. ცავადოვსკი ამ ტერმინით აღნიშნავს ტექსტების გაგებას.

ენის საკომუნიკაციო ფუნქცია ენის ის ფუნქცია, რომ იგი ურთიერთობის საშუალებაა.

ენის სისტემა იქმნება გრამატიკული წყობითა და ლექსიკური შემადგენლობით. ენა სისტემას წარმოადგენს. იგი კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს ენის ბგერითს მხარეში, სიტყვათა ცვალებადობის ფორმულებში, სიტყვათა შეკავშირების ფორმულებში; გვხვდება ასეთი გაძოთქმებიც: ლექსიკური სისტემა, სიტყვაწარმოების სისტემა, ბრუნებისა და უღლების სისტემა და ა. შ.

ენის ფილოსოფია (გერმ. Sprachphilosophie) ფილოსოფიის დარგია მიზან-თვალსაზრისითაც და მეთოდითაც, რომელიც სწავლობს ენისა და მეტყველების ზოგადფილოსოფიურ საფუძვლებს. ენის ფილოსოფია წინ უსწრებს ენათ-

მეცნიერების ჩამოყალიბებას; ენათმეცნიერების ოთხი ძირითადი პრობლემიდან მას აინტერესებს მხოლოდ ერთი, — ენის არსი, ისიც ფილოსოფიურ პრობლემათა ასპექტში (ლოკი, ლაიბნიცი, კასირერი).

ენის შესახებ მეცნიერება იხ. ენათმეცნიერება, ლინგვისტიკა (ტერმინი ეკუთვნის მაქს მიულერს).

ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი ენაში საუკუნეთა მანძილზე შემონახული ყველა ძირითადი სიტყვა, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი ლექსიკური შემადგენლობისათვის, მისი წარმოქმნა-განვითარება-გამდიდრებისათვის.

ენის წარმოშობა იხ. გლოტოგონია.

ენისწვერისმიერი [ენისწვერისმიერი თანხმოვანი] თანხმოვანი წარმოითქმის ენის წვერის აქტიური მონაწილეობით ნუნების მიმართ. ნაპრალის შემთხვევაში მიიღება ჟ-შ.

ენკლიტიკა (ბერძნ. enklitike) ერთი ან ორმარცვლიანი სიტყვა, რომელიც კარგავს თავის მახვილს ან გადააქვს იგი წინმავალ სიტყვაზე და მასთან ერთად ატარებს ერთ მახვილს. ასეთებია: კავშირები, თანდებულები, ნაწილაკები, ზოგჯერ ნაცვალსახელები და სხვ. მაგ., რა-კი, ვინ-ღა, კაცია (=კაცი არის).

ენკლიტიკური ენკლიტიკასთან დაკავშირებული, ენკლიტიკის ხასიათისა, ენკლიტიკისათვის განკუთვნილი.

ენობრივი ენისა, ენის დამახასიათებელი; ენასთან დაკავშირებული; ენის მხრივ.

ენობრივი ლაიტმოტივი განმეორება დიდი ძოცულობის ნაწარმოების ფარგლებში (მოთხრობა, რომანი, პოემა) და მისი სტილური მნიშვნელობა; ერთისა და იმავე სიტყვებისა და გამოთქმების უცვლელი ან ოდნავ შეცვლილი პერიოდული განმეორება, სადაც სიტყვა-გამოთქმები ყოველი განმეორებისას ახალ ინტონაციურ, სემანტიკურ, ემოციურ დატვირთვას ღებულობს (ლაიტმოტივი მუსიკათმცოდნეობაში ბგერების, მელოდიების პერიოდული განმეორება).

ენობრივი მშენებლობა იგივეა, რაც ენობრივი პოლიტიკა.

ენობრივი ნიშანი მოცემული ენობრივი მნიშვნელობის მაჩვენებელი, გამომხატველი. ენა ნიშანთა სისტემაა, ენობრივი ნიშანი ნებისმიერია. ენობრივი ნიშანი აკავშირებს ცნებასა და აკუსტიკურ სახეს. ეს უკანასკნელი არაა მატერიალური ბგერა, არამედ ბგერის ფსიქიკური ანაბეჭდია.

ენობრივი პოლიტიკა საზოგადოების შეგნებული ზემოქმედების თეორია და პრაქტიკა ენობრივ განვითარებაზე; სკკპ დამოკიდებულება სხვადასხვა ეროვ-

ნების ენებისადმი, საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებისადმი (ტერმინი ენათმეცნიერებაში დამკვიდრდა პარტიულ-პოლიტიკური ლიტერატურიდან ეროვნული საკითხის შესახებ, სადაც იგი აღნიშნავდა სახელმწიფოს პოლიტიკის, ენობრივ ასპექტს ან პარტიის პროგრამას მრავალფეროვანი სახელმწიფოს ენობრივი განვითარების საკითხზე).

ენობრივი უნივერსალიები თუ ენას აქვს მოძრავი დინამიკური მახვილი, მაშინ ამ ენაში არ გვექნება გრძელი და მოკლე ხმოვნების ფონოლოგიური დაპირისპირება, ხოლო თუ რომელიმე ეხაში გრძელი და მოკლე ხმოვნების დაპირისპირება ფონოლოგიურია, მაშინ მახვილი არ იქნება დინამიკური და მოძრავი. ეს კანონი რ. იაკობსონმა დაადგინა, წარმოადგენს უნივერსალურ კანონს, ე. წ. ენობრივ უნივერსალიას.

ენციკლოპედია (ბერძნ. en-ში, kyklos წრე, paideia განათლება) მეცნიერული გამოცემა, რომელშიც ანბანის რიგზე ან თემატიკურად წარმოდგენილია არსებითი ხასიათის ცნობები ცოდნის ყველა დარგიდან; მაგ., დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, საბავშვო ენციკლოპედია და სხვ

ენციკლოპედიური ენციკლოპედიის ხასიათისა. მრავალმხრივი, ცოდნის მრავალი დარგის შემცველი.

ეპენთეზისი (ბერძნ. epenthesis შიგ ჩასმა) 1. სიტყვის შიგნით თანხმოვნის განვითარება; მაგ., წმინდა (ძვ. წმიდა), გვიმბრა (ლიტ. გვიმრა). 2. ნარნარა თანხმოვნის (რ, ლ, ნ) გადასმა სიტყვის შიგნით; იხ. ენთეზისი.

ეპენთეზისური ეპენთეზისთან დაკავშირებული , ეპენთეზისის ხასიათისა. ეპენთეზისური მოვლენა.

ეპიგრაფიკა (ბერძნ. epigraphé წარწერა) ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც სწავლობს ძველ წარწერებს, — წარწერათმცოდნეობა.

ეპიგრაფიკული ეპიგრაფიკასთან დაკავშირებული.

ეპითეზისი[1] იხმარება ისეთი ბგერათგადასმის აღსანიშნავად, რომელიც დაკავშირებულია რ-ლ-ნ-სთან: ხანიდრავა ← ხაინდრავა, შაინძე ← შანიძე; მაირამ ← მარიამ.

ეპითეზისი[2] (ბერძნ. epithesis თავდასხმა) სიტყვის ბოლოს გრამატიკულად უფუნქციო ბგერის დართვა (მაგ., დასჭერ-ი, ჰქენ-ი, მითხარ-ი).

ერგატივი (ლათ. ergativus ბერძნ. ergon-იდან — მოქმედება) მოთხრობითი ბრუნვა, აქტიური ბრუნვა, — ქვემდებარის სპეციფიკური ბრუნვა გარდამავალ ზმნასთან ქართულ-ქართველურსა, მთის იბერიულ-კავკასიურსა და რიგ სხვა ენებში.

ერგატიული (მოთხრობითიანი)

კონსტრუქცია კონსტრუქცია, რომელშიც რეალური სუბიექტი მოთხრობითშია, ნივთის ობიექტი სახელობითში: მონადირემ მოკლა ირემი; დავითმა აქო სიმონი (ტერმინი ერგატივი იმავე ძირისაა, რაც ბერძნ. ergon („საქმე", „მოქმედება") და შემოღებულია ბოლო ხანებში: გავრცელდა ა. დირის შრომების მეოხებით; ერგატივის ნაცვლად სხვადასხვა დროს ხმარობდნენ ინსტრუქტივს (ა. შიფნერი), აქტიურს (ა. შიფნერი, ჰ. შუხართი, ლ. ჟირკოვი).

ერთგვარგარემოებიანია შერწყმული წინადადება, რომელშიც რამდენიმე ერთგვაროვანი გარემოებაა; მაგ., „ყურიდან, შუბლიდან, ცხვირიდან და ხელებიდან სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდა" (ი. ჭავჭ.).

ერთგვარია პირდაპირი დამატებები, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთ შემასმენელთან; მაგ., „ყვავილები ამკობენ წიფელს, რცხილას, მუხას და ფოთლებმთრთოლარე ვერხვსა" (ვაჟა).

ერთგვარქვემდებარიანია შერწყმული წინადადება, რომელშიც რამდენიმე ერთგვარი ქვემდებარეა; მაგ., „ტყე, მინდორი და ველი ბიბინებდა". (ი. ჭავჭ.).

ერთგვარქვემდებარიანი შერწყმული წინადადების სახეობა, სადაც რამდენიმე ერთგვარი ქვემდებარეა ერთ შემასმენელთან სინტაქსურად დაკავშირებული; მაგ., „ჩვენი ხუმრობა, მღერა, სიცილიხეზედა მძინარ ფრინველს აფრთხობდა" (ი. ჭავჭ.).

ერთგვარშემასმენლიანია შერწყმული წინადადება, რომელშიც რამდენიმე ერთგვარი შემასმენელია: მაგ., „პრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა" (ა. წერ.).

ერთგვარწევრებიანი ანუ შერწყმული წინადადება ისეთი წინადადებაა, რომელშიაც რამდენიმე ერთგვარი წევრი მოიპოვება; მაგ., „ხის ტოტებზე ჩიტუნები ფრთხიალობენ, სრიალობენ, იშენებენ მაღლა ბუდეს, დაჰხარიან და გალობენ" (ა. წერ.).

ერთენოვანი ერთ ენაზე არსებული. ერთენოვანი წარწერა.

ერთთემიანი ზმნა ზმნა, რომელსაც პირველისა და მეორე სერიის ფორმები ერთსა და იმავე ბაზისზე აქვს დაყრდნობილი: ვთეს, ვკეც, ვლეწ, ვჭედ, ვხეხ...

ერთმარცვლიანი ერთი მარცვლის შემცველი, — ერთმარცვლოვანი (სიტყვა), მაგ., ცა, მზე, ხე, ცეცხლს, წერს, დგას.

ერთპირიანია ზმნა, რომელიც მხოლოდ ერთ პირს (სუბიექტს) აღნიშნავს (შდრ. ორპირიანი. სამპირიანი). ერთპირიანი ზმნებია: არი-ს, ცხოვრობ-ს, იწვ-ა, ხი-ს, ხტი-ს, დადი-ს, შენდებ-ა.

ერთშემადგენლიანია მარტივი წინადადება, რომელშიაც ერთი მთავარი წევრია: „საშინლად ბნელოდა".

ერთცნებიანი კომპოზიტები კომპოზიტები, რომლებიც შინაარ-

სობრივად ერთი ცნების გაგებას იძლევიან: ქინძისთავი, რუისპირი...

ერთწევროვანი პერიოდი იხ. პერიოდი.

ერი „არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის გზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა“ (ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი).

ეროვნული ენა ენა, რომელსაც ერი იყენებს ურთიერთობისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის იარაღად.

ესთეტიზმი (უკიდურესი ინდივიდუალიზმი) (ინგლ. school of esthetic idealism — ესთეტიკური იდეალიზმის სკოლა) მიმართულება XX ს. ენათმეცნიერებაში. ამ მიმართულების მამამთავარია კ ა რ ლ ფ ო ს ლ ე რ ი, ე. წ. ნეოფილოლოგიური სკოლის ფუძემდებელი. ფოსლერმა ენის თეორია ააგო მხოლოდ ექსპრესიულ ფუნქციაზე და უკუაგდო საკომუნიკაციო ფუნქცია; ამან განსაზღვრა ფოსლერის ანტიისტორიზმი. მან მეტყველების არსი დაიყვანა მოლაპარაკე სუბიექტის ინდივიდუალურ შემოქმედებამდე და განაცხადა: „პაულის დებულების ნაცვლად: ყოველი ენათმეცნიერება ისტორიულია, ჩვენ უნდა წამოვაყენოთ ჩვენი დებულება: ყოველი ენათმეცნიერება ესთეტიკურია“. ენის გაპრცხადებაზე ინდივიდის შემოქმედებად სტილის საკითხი გახადა აქტუალური. სტილის მეშვეობით ენათმეცნიერება დაუკავშირდა ესთეტიკას. ფოსლერმა ენათმეცნიერების ძირითად დარგად სტილისტიკა ჩათვალა. ფოსლერის თეორიის ძირითადი წყარო იყო ბენედეტო კროჩეს იდეალისტური ფილოსოფია.

ესპანური ესპანელთა დამახასიათებელი, ესპანელთა კუთვნილი, ესპანეთიდან მომდინარე (მაგ., ესპანური ენა).

ესპერანტისტი ესპერანტოს მცოდნე, ესპერანტოს გავრცელების მომხრე.

ესპერანტო (ესპერ. esperanto მოიმედე) ერთ-ერთი ხელოვნური საერთაშორისო ენა, რომლის გრამატიკული წყობა მარტივია და სიტყვათა ძირები აღებულია მთავარი ევროპული ენებიდან; მანაც, როგორც სხვა ხელოვნურმა ენებმა, ბუნებრივია, რომ გავრცელება ვერ პოვა (შექმნილია ვარშაველი ექიმის ზ ა მ ე ნ ჰ ო ფ ი ს მიერ 1879 წ.).

ეტიმოლოგია (ბერძნ. etymos ჭეშმარიტი, ნამდვილი და logos მოძღვრება). 1. ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს სიტყვის წარმომავლობას, მის შედგენილობასა და თავდაპირველ მნიშვნელობას (ლარუსის ფრანგულ ლექსიკონში [პარიზი, 1913 წ.) ეტიმოლოგია განსაზღვრულია, როგორც მეცნიერება, რომე-

ლიც სიტყვის წარმოშობას იკვლევს)] (ეტიმოლოგია ისტორიული ლექსიკოლოგიის შემადგენელი ნაწილია და მხოლოდ ამ ასპექტით შეიძლება მასზე მსჯელობა საბჭოთა ენათმეცნიერებაში, რომლის საფუძველს ისტორიზმი წარმოადგენს); 2. ძვ. სასკოლო გრამატიკის ნაწილი, რომლის საგანს შეადგენდა ფონეტიკა და მორფოლოგია (მეტყველების ნაწილები, უღვლილება, სიტყვაწარმოება).

ეტიმოლოგია ხალხური ეტიმოლოგია მხოლოდ ბგერათა შემთხვევითი მსგავსების საფუძველზე, ფონეტიკური კანონებისა, მნიშვნელობათა ცვლილებისა და გრამატიკული შედგენილობის საშუალებათა გაუთვალისწინებლად; ნებისმიერი გააზრება და ამის მიხედვით სიტყვის ნებისმიერი დაშლა — ეს არის ე. წ. ხალხური ეტიმოლოგიის დამახასიათებელი (მაგ., რაჭა — რა ჭა, ჭიათურა — ჭიაა თუ რა? ვარძია — აქა ვარ, ძია, თელავი (სომხ. თე ლავა „თუ კარგია") და სხვ.

ეტიმოლოგიზაცია სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენა (უპირატესად ითქმის ხალხური ეტიმოლოგიის შესახებ).

ეტიმოლოგია იგივეა, რაც ეტიმოლოგია.

ეტიმოლოგისტი სპეც. სიტყვის ეტიმოლოგიის დამდგენი, — ეტიმოლოგიის სპეციალისტი.

ეტიმოლოგიური ეტიმოლოგიის ხასიათისა, ეტიმოლოგიასთან დაკავშირებული, ეტიმოლოგიისათვის განკუთვნილი. ეტიმოლოგიური ლექსიკონი. ეტიმოლოგიური ძიება.

ეტიმონი (ბერძ. etymon) ამოსავალი სიტყვა, რომლისგანაც წარმოიშვა მოცემული ენის ესა თუ ის სიტყვა, გააზრებული, როგორც სწორი, ჭეშმარიტი, ნამდვილი.

ეტიოლოგია (ბერძ. aitia მიზეზი და logos მოძღვრება) მედიც. მოძღვრება დაავადების წარმომშობი მიზეზებისა და პირობების შესახებ; ლინგვისტიკაში იყენებენ ეტიმოლოგიის სინონიმად.

ეტრატი საგანგებოდ დამუშავებული ტყავი, რომელიც ძველად საწერ მასალად იხმარებოდა. — „ტყავის ქაღალდი" (საბა).

ექსკლუზივი (ლათ. excludo გამოვრიცხავ, ამოვშლი) ზოგ ენაში (ქართველური ენებიდან— სვანურში): ზმნის ან ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ფორმა, რომელიც გამორიცხავს მეორე პირს. ჩვენ—მე და ის (მე და ისინი). შდრ. ინკლუზივი.

ექსკლუზიური ექსკლუზივთან დაკავშირებული, ექსკლუზივისა. ექსკლუზიური ფორმა.

ექსკურსია ანუ შემართვა ბგერის წარმოთქმის პირველი მომენტი, როცა სამეტყველო ორგანოები გამოდიან ინდიფერენტული მდგომარეობიდან და მოემზადებიან წარმოსათქმელი ბგერის საწარმოებლად.

ექსპირაცია იგივეა, რაც ამოსუნთქვა;.

ექსპრესიული მეტყველება სინამდვილის გრძნობად ფორმაში, ღრმა ემოციური ძალით გამოხატვა სიტყვის საშუალებით. მაღალმხატვრული მეტყველება საერთოდ.

3

ა 1. მეექვსე ასო ქართულ ანბანში: მისი სახელია **ვინ-ი**; 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ექვსს (6).

ვალენტობა[1] სიტყვის (მეტყველების ნაწილის) უნარი, დაიკავშიროს სხვა სიტყვა (ტერმინი დამკვიდრდა ლ. ტ ე ნ ი ე რ ი ს ნაშრომის საფუძველზე).

ვალენტობა[2] თანამედროვე ენათმეცნიერებაში იხმარება სიტყვათა დაკავშირების უნარის მნიშვნელობით (ტერმინი პირველად გამოიყენა ს. კაცნელსონმა, 1948).

ვამპუმი მძივები, გაკეთებული ნიჟარისაგან ჩრდილო ამერიკის ინდიელებში, იყენებენ, როგორც გირაოს, საწინდარს; ჭამარზე ამით ამოქარგულებს ზოგჯერ აქვთ ნაწერის მნიშვნელობა.

ვარიანტი [ლათ. varians (variantis) ცვალებადი] თხზულების ტექსტი, რომელიც ფორმით, მოცულობით, შინაარსობრივად თუ ენობრივად მნიშვნელოვნად განსხვავდება ამავე თხზულების ძირითადი ან სხვა ნაცნობი ტექსტისაგან.

ვედრებითი სქესი ძვ. თხოვნითი კილო, თხოვნითი ბრძანებითი.

ველარიზაცია (ლათ. velum palati ფარდა სასისა) ბგერის შეცვლა, რომელსაც იწვევს ენის ზურგის უკანა ნაწილის აწევა რბილი სასისაკენ; ქართულში ველარული ბგერებია: ხმოვნები ო—უ და თანხმოვნები გ—ქ—კ—ღ—ხ—ყ.

ველარული (ლათ. velaris) — თანხმოვანი, რომელიც წარმოითქმის ენის ზურგის უკანა ნაწილის აწევით რბილი სასისაკენ (უკანა ენისმიერი ველარული თანხმოვნებია: გ, ქ, კ).

ველარული ხმოვნები უკანა რიგის ხმოვნები (მაგ., ქართულში ო და უ), სხვაგვარად რბილი სასისმიერი ხმოვნები.

ვენური შრიფტი ქართული შრიფტის ყველაზე გავრცელებული სახე, რომელშიც ლიტერის თვალის ძირითადი და მაერთი ხაზები სისქით უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. (ჩა-

მოასხეს ვენაში 1864 წ. მ. ზ. ყიფიანის ნახაზების მიხედვით).

ვერნერის კანონი ჩამოყალიბებული ნეოგრამატიკული მიმდინარეობის ერთ-ერთი დამაარსებლის, სლავისტიკის პროფესორის კოპენჰაგენში, დანიელი ლინგვისტის კარლ ვერნერის (1846—1896) მიერ. ვერნერის კანონის თანახმად, საერთოგერმანული ფუძე — ენის ყრუ ნაპრალოვანი თანხმოვნები იქცევიან მჟღერ ნაპრალოვან ბგერებად, როცა ისინი ხვდებიან მჟღერ გარემოცვაში. ვერნერის კანონმა, რომელიც ჩამოაყალიბა ავტორმა 1877 წ. ნაშრომში „გამონაკლისები თანხმოვნების პირველი გადანაცვლებიდან", პირველად ახსნა გერმანულ ენაში ყრუ და მჟღერი თანხმოვნების მონაცვლეობა, როგორც ძველი ტიპის თავისუფალი ბახვილის არსებობის ასახვა ამ ენაში.

ვერნიკეს ცენტრი მეტყველების აკუსტიკური (ანუ სენსორული) ცენტრი (ფიზიოლოგმა ვერნიკემ ასეთი ცენტრის არსებობა დაადგინა 1874 წ.), რომელიც მოთავსებულია ტვინის მარცხენა ნახევარსფეროში, საფეთქლის პირველი და მეორე ხვეულის მიდამოში, სადაც გამოყოფილია არე, რომელიც იღებს მხოლოდ სიტყვის აკუსტიკურ შთაბეჭდილებებს; ვერნიკეს ცენტრის დაზიანება იწვევს სიტყვათა დავიწყებას (სენსორულ აფაზიას).

ვერსია იხ. ქცევა.

ვიბრანტი ანუ მთრთოლი ისეთი თახმოვანია, რომლის წარმოებისას ხდება დაჭიმული ენის წვერის ზედიზედ სწრაფი ხშვები (თრთოლა, ვიბრაცია) ნუნების მიმართ, მაგ., რ.

ვითარებითი ბრუნვა სახელის ერთ-ერთი ფორმა ქართული ენის ბრუნვათა სისტემაში; მისი ნიშანია: -ად (ბოლოთახმოვნიან სახელებში) ან -დ ბოლოხმოვნიან სახელებში); ქართულის გარდა, ეს ბრუნვა აქვს ბასკურ ენასაც. ვითარებითი ბრუნვა პირველად გამოყო მ. ბროსემ (1833 წ.) და მისთვის ორი ტერმინი იხმარა — მოდალობითი (ბაგად) და დამთავრებითი (ბაგამდე). ვითარებითისათვის სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა ტერმინს იყენებდა: დ. ჩუბინაშვილი, პ. კვიცარიძე — გარდაქმნითს, არ. ქუთათელაძე — განვითარებითს, თ. ჟორდანია — ზმნიზედითს, მ. ჯანაშვილი — ზმნისზედათს, ს. ხუნდაძე, ი. ნიკოლაიშვილი, მ. კელენჯერიძე — ვნებათს, აკად. ნ. მარი — მიმართულებითს, პროფ. ა. შანიძე (1930 წ.) — ვნებითს, ილ. სიხრულიძე — მიმართულებითს.

ვითარების გარემოება აღნიშნავს, თუ როგორ ხდება მოქმედება; მაგ., „გამოვედით ორნი ობოლნი ამა ტრიალ დედამიწაზედ უპუროდ, უფულოდ, უბინაოდ, უნუგეშოდ, 'უთვისტომოდ" (ი. ჭავჭ.).

ვითარების გარემოებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც გამოხატავს მსგავსება-შედარებას, ან კიდევ გვიჩვენებს როგორობას, ზომა-ოდენობასა და ჯერობას იმისას, რაზედაც მთავარ წინადადებაშია ლაპარაკი; მაგ., „ის ბიჭი ისე გამოშტერებული იდგა, რომ სიტყვის განმეორებას ვერ ახერხებდა“ (ა. წერ.); „ისე ხარხარებდა, ისე, ისე, რომ“... (თ. რაზ.).

ვითარების დამატება ვითარებით ბრუნვაში დაყენებული არსებითი სახელი წინადადებაში ვითარების დამატებაა: დ ი რ ე ქ ტ ო რ ა დ დანიშნეს, მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ა დ წავიდა, შ ვ ი ლ ა დ მიაჩნია.

ვნებითი ბრუნვა იხ. ვითარებითი ბრუნვა.

ვნებითი ნათესავი ძვ. ვნებითი გვარი ზმნისა.

ვოკალიზმი (ლათ. vocalis-დან ხმოვანი) ხმოვან ბგერათა სისტემა ენაში, ხმოვანთა ერთობლიობა, მათი თვისებები და ურთიერთობა. მაგ., სვანური ენის ვოკალიზმი რთულია ქართულისაზე (ტერმინი „ვოკალიზმი“ ნასესხებია ფრანგული ენიდან მე-19 ს-ში და პირველად გვხვდება ნ. გ. ჩერნიშევსკის ნაწერებში (1853).

ვოლაპუკი ხელოვნური საერთაშორისო ენა, შედგენილი 1880 წელს გერმანელი მღვდლის მარტინ შლეიერის მიერ.

ვულგარიზმი უხეში, მდაბიური სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც მიუღებელია ლიტერატურული ენის ნორმების თვალსაზრისით; გამოხატვის სტილისტიკური ხერხი, პოეტური ლექსიკის ერთ-ერთი სახე.

ვულგარული (ლათ. vulgaris უბრალო, ჩვეულებრივი) სისათუთეს, სიფაქიზეს, დახვეწილობას მოკლებული, — უხეში, უგვანო, უხამსი, არალიტერატურული გამოთქმა, რომელსაც ზოგჯერ მწერალი ხმარობს პერსონაჟის მეტყველების კოლორიტის დასაცავად; მაგ., „აი, მეხი კი დაგაყარე მაგ ქეციან თავზე, შე ოყრაყო, რისთვის გასხია ხელფეხი მაგ მუტრუკ ტანზედ“ (ი. ჭავჭ.).

ზ

ზ 1. მეშვიდე ასო ქართულ ანბანში; მისი სახელია **ზენ**-ი; 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა შვიდს (7).

ზანდუკი ძვ. სარჩევი (წიგნისა).

ზანური თეორიულად პოსტულირებული ენა, რომლის დიფერენციაციის გზითაც მივიღეთ ისტორიულად ცნობილი „მეგრული“ და „ჭანური“.

მეგრული და ჭანური ორივე კილოა ერთი ენისა, რომელიც ქართველურ ენათა ჯგუფის მესამე წევრს წარმოადგენს. ჭანურიც

და მეგრულიც კილოებია, ოღონდ ქართული ენისა კი არა, არამედ ცალკე ენისა, რომელიც ქართულთან გაცილებით უფრო ახლოს დგას, ვინემ სვანური. ამ ენას პირობითად **ზანურს** უწოდებენ (ჭანები თავის თავს ლაზებს უწოდებენ).

„ზანარა“ მეგრელებს ამჟამადაც ეწოდება სვანურად. სვანების გარდა, უაბარდოელებსაც შეუნახავთ „ზანე“ „სამეგრელოს“ აღსანიშნავად; იმერეთის „საზანო“ და სამეგრელოს „ზანა“ (სოფელიცა და მდინარეც), აგრეთვე „ზან“ ტერმინის რეალურობას ამტკიცებენ ჩვენთვის საინტერესო სინამდვილისათვის (არნ. ჩიქობავა).

(ტერმინი „ზანური“ მეგრულ-ჭანურის აღსანიშნავად შემოიღო არნ. ჩიქობავამ).

ზანიზმები 1. ზანური სიტყვები და გამოთქმები: 2. მხოლოდ და მხოლოდ ზანური გახმოვანების ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც ქართულში მოეპოვებათ კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისები. მაგალითები: ოჯალეში, მარყუჯი, ჯარგვალი, ბოგა, ჭუჭული, მოჯგირე, ოჩოკოჩი, ოჯგუში, ჩიჩქვი, ოქილაური, ჩხოროწყუ და სხვ.

„**ზაუმური ენა**“ ფუტურისტების მიერ შემოღებული ახალი ენა, „ზაუმური“, „ჰკუის მიღმური“ ენა (ტერმინი „ზაუმური ენა“ შემოიღო ფუტურისტმა პოეტმა ა. კრუჩენიხმა).

ზედსართავი სახელი ისეთი სიტყვა, რომელიც საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს (ტერმინი წარმომდგარია ზედსართავის სინტაქსური ფუნქციისაგან, წინადადებაში ზედ ერთვის არსებით სახელს) (ანტონ კათალიკოსი ხმარობდა „ზედშესრულ სახელს“).

ზედსართავი სახელი საგნის ნიშან-თვისებას უშუალოდ გამოხატავს სხვა რამესთან მიმართებით. ამისდამიხედვით იგი ორგვარია: ვითარებითი და მიმართებითი. ვითარებითია ზედსართავი, რომელიც საგნის ნიშან-თვისებას ასახელებს უშუალოდ, პირდაპირ, სხვა რამესთან მიუმართავად (მაგ., დიდი სახლი, პატარა სახლი). მიმართებითია ზედსართავი, თუ ის ნაწარმოებია სხვა სახელისა თუ ზმნიზედისაგან და საგნის ნიშანს გამოხატავს ძირეული სიტყვით აღნიშნულ საგანთან თუ გარემოებასთან მიმართებით (მაგ., ქუდიანი, უქუდო, საქუდე, მხეცური).

ზედ-შესრული სახელი ძვ. ზედსართავი სახელი.

ზედშესრული ძვ. ზედსართავი.

ზერთული წინადადება ისეთი რთული წინადადება, რომელშიც თანწყობასაც აქვს ადგილი და ქვეწყობასაც, ე. ი. შერეული სახისაა: „იაგო, კობა და ფარჩო ცხენებზედ შესხდნენ, ელბერდი და ეფხია კი ქვეითად გაჰყვნენ, რადგანაც, იმათი აზრით, ქვეითად

მგზავრობა უფრო მარჯვე იყო და მალეც“ (ა. ყაზ.); იხ. შერეული წინადადება.

ზმა ქართული ტერმინია. ზმა წარმოადგენს წინადადებაში სიტყვას, რომელიც შედგენილია ერთი სიტყვის ბოლო მარცვლებისა და მეორე მომდევნო სიტყვის პირველი მარცვლებისაგან. მიღებული იყო ძველ საქართველოში სახუმაროდ, დროს სატარებლად, როგორც სახე მოსწრებული და მახვილი გამოთქმისა, ხშირად ზმებს საზოგადოებაში იდეური ბრძოლის იარაღად იყენებენ.

ზმნა მოქმედების ან მდგომარეობის აღმნიშვნელი ფორმაცვალებადი სიტყვა, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე მორფოლოგიური კატეგორია მოეპოვება: პირველ ყოვლისა, პირი, რიცხვი, დრო და კილო („ზმნა“ შემოსულია არაბული გრამატიკული ტერმინოლოგიის გავლენით. ის წარმოადგენს თარგმანს არაბული ფიდლისას, რომელიც ჩვეულებრივ „ქმნას“, „კეთებას“ ნიშნავს— ა. შანიძე).

ზმნიზედა დამოუკიდებელი მნიშვნელობის ფორმაუცვლელი სიტყვა, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას განსაზღვრავს დროსა და სივრცეში. ან გვიჩვენებს, თუ რა ვითარებაში ხდება მოქმედება, ან რამდენჯერ და რა ზომით ხდება იგი, ან კიდევ რა არის მოქმედების მიზეზი თუ მიზანი; ზმნიზედა ადგილისა აღნიშნავს ადგილმდებარეობას ვვიჩვენებს მიმართულებას: ზევით, თავში, გაღმა; ზმნიზედა დროისა გვიჩვენებს დროის გარკვეულ მონაკვეთს: ახლა, წელან, წელს: ზმნიზედა ვითარებისა გამოხატავს, თუ რა ვითარებაში ხდება მოქმედება: მაგრა, ჩქარა, ვულაღმა... ზმნიზედა მიზეზისა აღნიშნავს მიზეზს, რომლითაც გამოწვეულია მოქმედება: ამიტომ, მაგიტომ, იმიტომ: ზმნიზედა მიზნისა აღნიშნავს მიზანს. რომელსაც ემსახურება მოქმედება: ამისთვის, ბაგისთვის, ამად... ზმნიზედა კითხვითი ისეთი ზმნიზედაა, რომელიც კითხვას გამოხატავს: სად? როდის? საიდან? საითკენ? რატომ? ზმნიზედა მიმართებითი კითხვითს ზმნიზედაზეც ნაწილაკის დართვით მიღებული: სადაც, საიდანაც, საითკენაც, როდესაც (ტერმინი „ზმნიზედა“ ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს).

ზმნისართი ტრადიციული გაგებით, უცვლელი სიტყვა, რომელიც აღნიშნავს, თუ სად, როდის, როგორ, რატომ ან რისთვის ხდება მოქმედება: აქ, იქ, ხვალ, გუშინ, ზევ, ჩქარა, მაღლა... ზმნისართებია; იხ. ზმნიზედა.

ზმნის ნათესავი ძვ. ზმნის გვარი (ტერმინი გვხვდება პ. იოსელიანის გრამატიკაში).

ზმნისწინი (ანუ პრევერბი) ზმნის წინა ნაწილი, რომელიც მოქმედების მიმართულებას აღნიშნავს: გავიდა, შევიდა, მივიდა, მოვიდა, წამოვიდა, გამოვიდა, დაწერა, შეკერა, ჩაიცვა... გა-, შე-,

მი-, მო-, წა-მო, გა-მო, და-, შე-, ჩა- ზმნისწინებია.

ზოგადი ენათმეცნიერება (გერმ. Gemeinsprachwissenschaft) ენათმეცნიერების თეორიული ნაწილი, რომლის საგანია ენათმეცნიერების ობიექტის, სპეციალური მეთოდების, სტრუქტურისა და ენათმეცნიერების სხვა მეცნიერებებთან ურთიერთობის კვლევა ისტორიული ენათმეცნიერების მონაცემთა საფუძველზე.

თ

თ 1. მერვე ასო თანამედროვე ქართულ ანბანში; მისი სახელია **თან-**ი; 2. ძველ ქართულ ანბანში— ასომთავრულშიც, ნუსხურშიც, აგრეთვე მხედრულშიც, XIX საუკუნის მესამოცე წლამდე მეცხრე ადგილი ეკავა და აღნიშნავდა ცხრას (9).

თავკიდური იხ. ანლაუტი.

თავსართი იხ. პრეფიქსი.

თანაარტიკულაცია იხ. კოარტიკულაცია.

თანადაქვემდებარება ჰქვია მთავარ წინადადებას, რომ რამდენიმე დამოკიდებული წინადადება დაექვემდებაროს, თვით დამოკიდებულ წინადადებას კი — თანადამოკიდებულნი, რომლებიც ერთგვარი ან არაერთგვარი არიან: მაგ., „ეგრე რომ არ იყოს, ეგ ზნე რომ არ ვიცოდე კაცისა, დღესვე მთელი ქვეყნის თვალწინ გავფენდი, რაც კაცობრიობას ცოდვა ჩაუდენია, რაც შეცდომა მოჰსვლია, რაც საცოდობა დატრიალებულა დედამიწის ზურგზე“... (ვაჟა).

თანამდევრობა ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორია დროული მიმართება ორი მოქმედებისა წარსულსა ან მომავალში; ერთდროულობა ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ერთი მოქმედება სხვა დასახელებულ (ან ნაგულისხმევ) მოქმედებასთან ერთად ხდება: „შინ რომ დავბრუნდი, თოვდა“; უწინარესობა და შემდგომობა ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ორი მოქმედებისაგან ერთი წინ ხდებოდა, მეორე — მას მოსდევდა: „მონადირე გადაწვა კლდეზე და ისე დაინახა ჯიხვი, რომელსაც ვარჯიში მოსწყენოდა, გასულიყო კლდის ნაპირად, ამოედო სამი ფეხი ქვეშ, მეოთხე კი პირდაპირ გაეშვირა და ისე დაწოლილიყო“ (ტერმინი და განმარტება — მაგალითები ა. შანიძისა).

თანაობის დამატება მოქმედებითი ბრუნვა „ურთ“ თანდებულით თანაობას აღნიშნავს: ბარგითურთ დაბრუნდა, მეუღლითურთ გაემგზავრა.

თანდებული დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი სიტყვა ან ბგერათა ჯგუფი, რომელიც დაერთვის სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას და ამყარებს

გარკვეულ მიმართებას სახელსა და სახელს შორის ან სახელსა და ზმნას შორის. **თანდებულიანი მიცემითი** ისეთი მიცემითი, რომელსაც ახლავს -თან და -ვით თანდებულები: მიწასთან, ხესთან, მზესთან, ძმასავით, დედასავით, მამასავით... **თანდებულიანი ნათესაობითი** ისეთი ნათესაობითი, რომელსაც ახლავს თანდებულები: თვის, გან, კენ, ებრ, თანავე, დამი: ქალაქისთვის, ბავშვისთვის, მიწისგან, მოწაფისგან, ტყისკენ, სოფლისკენ, ბატისებრ, ციხისებრ, მოსვლისთანავე, გაჩერებისთანავე, შენდამი, ჩემდამი... **თანდებულიანი მოქმედებითი** ისეთი მოქმედებითი, რომელსაც დაერთვის თანდებული ურთ: ამხანაგითურთ, ბავშვითურთ, დედითურთ... ზოგჯერ -გან (-იდან, -დან) თანდებული: ქალაქიდან, სოფლიდან... **თანდებულიანი სახელობითი** ისეთი სახელობითია, რომელსაც ახლავს თანდებული -ვით, ისიც მხოლოდ თანხმოვნიან ფუძეებთან: ჩიტივით, ბავშვივით, ცხენივით, კვიცივით, დათვივით, კაცივით (ტერმინი „თანდებული“ ჯაკუთენის ანტონ კათალიკოსს).

თანტოლობითი ძვ. იგივეა, რაც თანწყობა.

თანწყობა გულისხმობს ერთიჰეორის მიმართ გრამატიკულად თანასწორ წინადადებათა შეერთება-დაკავშირებას, ხოლო თანწყობის საშუალებით მიღებულ წინადადებას რთული თანწყობილი წინადადება ჰქვია; მაგ., „მგლები ღმუოდნენ მდუმარ ველებზე და წეროები ტიროდნენ ცაში“ (კ. ნად.); იხ. პარატაქსი.

თანხმოვანთა აქცესიური ანუ აქეთური კომპლექსი (ლათ. accssio აქეთ მოსვლა) ისეთი თანხმოვნებია, რომლებსაც ბგერის წარმოთქმის სამიეე მომენტი (შემართვა, დაყოვნება, დამართვა) თავთავისი აქვთ (მაგ., გდ, გზ და სხვ.). სახმო სიმების მოქმედების მიხედვით აქცესიური კომპლექსებისათვის ჩეეულებრივია პროგრესული ასიმილაცია.

თანხმოვანთა ჰარმონიული ჯგუფები ქართული ენის სპეციფიკური კომპლექსები, რომელთა კომპონენტები შეჯგუფებულია ერთმანეთთან არა მხოლოდ ფიზიოლოგიურად, არამედ აკუსტიკურადაც: ბდ, თხ, ჭყ; იხ. ჰარმონიული კომპლექსები ქართულში; დეცესიური კომპლექსი.

თანხმოვანი ისეთი ბგერა, რომელიც წარმოიშობა ჰაერის გამოტარებით სრულიად დახშულ არეში ან შევიწროებულ გამოსავალში. თანხმოვნებია: გ, ე, დ, ვ, ნ, რ, ლ...); „თანხმოვანი“ წარმოადგენს კალკს ლათინ. consonans-ს, რუს. согласный-ისა.

თარგმანება ძვ. ტექსტის განმარტება, კომენტირება.

თარგმნა ტექსტის გადაღება ერთი ენიდან მეორეზე.

თემა ზმნის ის ბაზისი, რომელზედაც დაყრდნობილია პირველი სერიის მწკრივთა ფორმები ან მეორე სერიისა.

თემის ნიშნები სუფიქსთა ჯგუფი, რომელიც გამოყენებულია ზმნის დრო-კილოთა პირველ სერიაში და არ არის იმავე ზმნების დრო-კილოთა მეორე სერიაში; თემის ნიშნებია: ი, ავ, ამ, ებ, ობ, იშვიათად — ემ და ოფ (ვთლ-ი, ვმალ-ავ, ვაბ-ამ, ვანთ-ებ, ვაპ-ობ, მივსც-ემ, ვყ-ოფ).

თვალსაჩინონი ძვ. იგივეა, რაც კონკრეტული (კონკრეტულები).

თიანური კილოკავი (ქართული ენისა) თიანეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მეტყველება. ამ კილოკავზე ლაპარაკობენ თიანეთის რაიონში, რომელიც ორ ნაწილად იყოფა — ერწოდ და თიანეთად. ერწო თავის მხრივ იყოფა ზემო და ქვემო ერწოდ.

თურქული თურქების დამახასიათებელი, თურქებისაგან მომდინარე (სინონ. ძვ. ოსმალური) (მაგ., თურქული ენა, თურქულად დაწერილი წიგნი).

თუშური კილო (ქართული ენისა) თუშეთის (მთათუშეთის) მკვიდრთა მეტყველება: ახმეტის რ. (რევოლუციამდე თიანეთის მაზრა).

თხზვა (კომპოზიცია) ახალი სახელის წარმოშობა ფუძის გაორკეცებით (თავთავი) ან ორი, ან მეტი სიტყვის შეერთებით: ერისთავი, ასისთავი, ხელისუფალი, ახალკაცი...

თხზული სახელები იგივეა, რაც კომპოზიტები.

თხრობითია წინადადება, რომელიც გადმოგვცემს რაიმე ცნობას ამა თუ იმ ფაქტის ან მოვლენის შესახებ; ადასტურებს რასმე, ან უარყოფს; მაგ., „პეპლები აფრთხიალდნენ ყვავილებზე“ (თ. რაზ:).

ი

ი მეცხრე ასო ქართულ ანბანში (მეათე — ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია ინ-ი.

იაფეტიდოლოგია აკად. ნ. ი. მარის მოძღვრება იაფეტური ენების შესახებ, სხვადასხვადროინდელ შრომებში სხვადასხვანაირად განმარტებული; მთელ რიგ საინტერესო დებულებებთან ერთად შეიცავდა მრავალ სადავო აზრს.

იაფეტიდოლოგიური იაფეტიდოლოგიასთან დაკავშირებული.

იაფეტური ენები ასე უწოდებდა აკად. ნ. ი. მარი ჯერ ქართველურ ენებს (ქართულს, მეგრულ-ჭანურსა და სვანურს), რომლებიც მას ადრე სემიტურ (არაბული, ებრაული...) ენების მონათესავედ მიაჩნდა (ბიბლიური ნოეს მესამე შვილის იაფეტის (სემის ძმის) სახელის მიხედვით. შემდეგ „იაფეტური ენების“ წრეში ნ. მარმა მოაქცია მთის იბერიულ-

კავკასიური ენებიც, ხოლო 1923 წლიდან ტერმინით „იაფეტური ენები“ ნ. მარი აღნიშნავდა არა მონათესავე ენებს, არამედ განვითარების ერთ სტადიაზე მყოფ ენებს (ტერმინს „იაფეტურს“ სათავე საენათმეც.-ფილოლ. ლიტერატურაში პოსტელმა დაუდო XVI საუკ.).

იბერიული ენები იგივეა, რაც ქართველური ენები (ტერმინი ეკუთვნის ფრ. ბოპს).

იბერიულ-კავკასიური ენები[1] კავკასიის ის ენები, რომელნიც იბერიულს (ქართველურ) ენებს უკავშირდებიან წარმოშობით და იბერიულ ენებთან ქმნიან ერთ ოჯახს, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს (ტერმინი ეკუთვნის არნ. ჩიქობავას; ნ. მარი ამ ენების აღსანიშნავად ხმარობდა ტერმინს „იაფეტური ენები“)

იბერიულ-კავკასიური ენები[2] წარმოშობით ერთმანეთის მონათესავე ენები, რომლებიც ამჟამად გავრცელებულია მხოლოდ კავკასიაში და შედგება ოთხი (ქართველური, აფხაზურ-ადიღეური, ჭისტურ-ბაცბური და დაღესტნური) ჯგუფისაგან.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება[1] მეცნიერება იბერიულ-კავკასიურ ენათა აგებულებისა და წარმოშობის შესახებ.

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“[2] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის პერიოდული გამოცემა. პირველი ტომი გამოქვეყნდა 1946 წ. (რედაქტორი ვ. თოფურია), მიეძღვნა ქართველურ ენებს; მეორე ტომი (1948 წ.) თითქმის მთლიანად მთის კავკასიურ ენებს უკავია (რედაქტორი არნ. ჩიქობავა); მესამე ტომი დაიბეჭდა 1952 წ. (რედაქტორი არნ. ჩიქობავა). სატიტულო ფურცელზე ტომს აწერია ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ტომი მთლიანად მიეძღვნა ზოგადი ენათმეცნიერების აქტუალურ საკითხებს; IV ტომი — 1953 წ. (რედაქტორი ივ. გიგინეიშვილი), V ტომი — 1953 წ. (რედაქტორი ქ. ლომთათიძე)... XIX ტომი — 1974 წ. (რედაქტორი არნ. ჩიქობავა). ეს ტომი მიეძღვნა თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების აქტუალურ პრობლემებსა და ქართველური და მთის იბერიულ-კავკასიური ენების ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის, აგრეთვე ამ ენების ისტორიულ-შედარებითი შესწავლის საკითხებს.

იდეოგრამა (ბერძნ. idea აზრი და gramma ჩანაწერი) ნაწერი, ცნების (და არა ბგერის) გამომხატველი პირობითი (წერილობითი) ნიშანი.

იდეოგრაფია (ბერძნ. idea და grapho ვწერ) იდეოგრამებით დამწერლობა.

იდეოგრაფიული იდეოგრაფიის ხასიათისა.

იდიოლექტი ენის ინდივიდუალური სახეცვლილება; ინდივიდუალური თქმა, ინდივიდუალური ენა; ინდივიდუალური თავისებურებების (პროფესიული, სოციალური, ტერიტორიული, ფსიქოფიზიკური და სხვ.) ერთობლიობა; ერთი ინდივიდის მეტყველება გარკვეული მანერით.

იდიომი (ბერძ. idioma) შესიტყვების ფორმისა და ექსპრესიული ფუნქციის მქონე სემანტიკურად დაუშლელი ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს; მაგ., თვალი დაუდგება; ყურს დაუჯდებს; ბოლო მოეღება; ტანს აიყრის...

იდიომატური იდიომის ხასიათისა, იდიომის ბუნებისა; იდიომთან დაკავშირებული.

იდიომატური გამოთქმა იგივეა, რაც იდიომი.

იდიომატიკა ამა თუ იმ ენის იდიომატურ გამოთქმათა ერთობლიობა; მაგ., „ლექსიკონში წარმოდგენილი არ არის არც იდიომატიკა, არც ფრაზეოლოგია“ („ლიტ. და ხელოვნ.“), მოძღვრება იდიომების შესახებ.

იდიომატიზმი იგივეა, რაც იდიომი.

იდიში (გერმ. jüdisch ებრაული) აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ებრაელთა ენა, რომელიც ჩამოყალიბდა ძირითადად ზემოგერმანულის სხვადასხვა დიალექტთა საფუძველზე — სლავურთან და სხვა ენებთან შერევით; გავრცელებულია აღმოსავლეთ გერმანიაში, პოლონეთში, რუმინეთში, გალიციაში, უკრაინაში, საფრანგეთში, ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, არგენტინაში, ბრაზილიაში, კანადაში და სხვ. ჰიტლერელთა მიერ ებრაელთა მასობრივ განადგურებამდე ამ ენაზე ლაპარაკობდა 11—12 მილ. ადამიანი. ამჟამად მასზე ლაპარაკობს 4 მილ. ადამიანი.

იდო (ესპერ. ido შთამომავალი) ერთ-ერთი საერთაშორისო დამხმარე ხელოვნური ენა, ესპერანტოს ვარიანტი, რომელიც შექმნა ფრანგმა ლ უ ი დ ე ბ ო ფ რ ა ნმ ა 1907 წელს.

იეროგლიფი (ბერძნ. hieroglyphoi) სიტყვა-სიტყვით წმინდა ნაჭდევი იდეოგრაფიული დამწერლობის საგანგებო ნიშნები, რომლებიც გამოსახავენ საგანს, აქედან ცნებას. ასეთი ნიშნები ძალიან რთულია და მათი ამოშიფვრა უძნელდება მეცნიერებას. იეროგლიფი დღეს იხმარება როგორც გაუგებრობისა და სირთულის მანიშნებელი ცნება.

ივერიული ენები იგივეა, რაც კავკასიური ენები (ტერმინი ეკუთვნის პ. უ ს ლ ა რ ს).

ივრიტი (ებრ. ivrit ებრაული ენა) დღევანდელი ისრაელის სახელმწიფო ენა, რომელიც წარმოადგენს ძველ (ბიბლიის) ებრაულს, საგანგებოდ აღდგენილს: ბიბლიის უძველესი ნაწილების ებრაელ-

თა საკულტო ენაა, რომელიც გადაშენდა III-ს-ში ძვ. წ. აღ.

იზოგლოსები (ბერძნ. isos თანაბარი და glossa ენა, მეტყველება) ერთნაირ ენობრივ თავისებურებათა გავრცელების აღმნიშვნელი ხაზები რუკაზე.

იზომორფიზმის თეორია [(ინგლ. theory of isomorphism ბერძნ. isos თანაბარი და morphè ფორმა)] თეორია, რომელიც პოსტულატად მიიჩნევს თვისობრივ განსხვავებას ენის სხვადასხვა დონეს („იარუსებს") შორის და ამიტომაც მოითხოვს მათს გამორკვევასა და აღწერაში ერთსა და იმავე მეთოდებსა და პრინციპებს.

იკუმშება რედუქცია მოსდის, ხმოვანი ამოვარდება სიტყვის ფუძეში. ქართულში იკუმშება როგორც სახელი (მაგ.: მეზობლის შდრ. მეზობელს), ისე ზმნა (მაგ.; გაშლის შდრ. გაშალა, დაჰკრა შდრ. დაჰკარი).

იმერიზმი იმერული კილოს დამახასიათებელი ენობრივი მოვლენა სალიტერატურო ქართულში.

იმერული კილო (ქართული ენისა) იმერეთის მოსახლეობის მეტყველება: ქუთაისის, ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოულის), საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის (ყოფ. ბაღდათის), თერჯოლის, ვანის, ტყიბულის, წულუკიძის (ყოფ. ხონის), წყალტუბოსა და სამტრედიის რარ.

იმერხეული კილო (ქართული ენისა) სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი მხარის, კლარჯეთის, აღმოსავლეთ სოფლებში მცხოვრებთა მეტყველება (ტაო-კლარჯეთის ეს ნახარე დღეს თურქეთში შედის).

იმპერატივი ლათ. imperativus ბრძანებითი კილო.

იმპერფექტი (ლათ. imperfectum) ზმნის ერთ-ერთი დრო — ნამყო უსრული, ნამყო უწყვეტელი (მაგ., გერმანულში).

ინგილოური ინგილოების დამახასიათებელი, ქართული ენის ინგილოური კილო.

ინგილოური კილო (ქართული ენისა) საინგილოს მკვიდრთა მეტყველება: კახის, ზაქათლისა და ბელაქნის რ. (აზერბაიჯანის სსრ).

ინგლისური ინგლისელების კუთვნილი, ინგლისელების დამახასიათებელი; ინგლისიდან მომდინარე, იგივეა, რაც ინგლისური ენა.

ინდეფინიტური (ოდენფუძიანი) კონსტრუქცია ისეთი კონსტრუქცია, რომელშიც არც რეალური სუბიექტია გაფორმებული და არც რეალური ობიექტი (ესაა გაცილებით უფრო ძველი, ვიდრე ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციები): ა ბ რ ა ა მ შვა ი ს ა კ.

ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიზმი მიმდინარეობა ზოგად ენათმეცნიერებაში (XIX საუკუნის 80-იან წლებში). მისი მამამთავარი იყო ნეოგრამატიკის მთავარი თეორეტიკოსი ჰერმან პაული (1846—1921). ჰ. პაუ-

ლის ძირითადი ნაშრომია ზოგად ენათმეცნიერებაში „პრინციპები ენის ისტორიისა“ (1880, რუს. გამოც. 1960), რომელიც ორმოცი წლის მანძილზე სახელმძღვანელო იყო ენათმეცნიერებაში. ენათმეცნიერება ჰ. პაულისათვის ენის ისტორიაა. არაისტორიული არამეცნიერულია, თუ არაისტორიული მაინც მეცნიერულია, ეს ნიშნავს, რომ ესაა უსრული ისტორიული. ჰ. პაულის შრომის სათაური ნათლად გახაზავს ავტორის მრწამსს: „პრინციპები ენის ისტორიისა“ იგივეა, რაც ენათმეცნიერების პრინციპები. „ენის ისტორია“ უდრის „ენათმეცნიერებას“. ჰ. პაულის ფუძემდებელი პრინციპია ფსიქოლოგიზმი და ინდივიდუალიზმი. ფსიქოლოგიზმია იმდენად, რამდენადაც ენის რაობად გამოცხადებულია სამეტყველო აქტების ფსიქიკური სუბსტრატი, სამეტყველო წარმოდგენათა ორგანიზმი: ფსიქოლოგიზმმა განსაზღვრა ინდივიდუალიზმი. ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიზმი ჰ. პაულის დამახასიათებელია.

ინდიკატივი [ლათ. indicativus (modus) თხრობითი კილო] ზმნისა.

ინდიკატორი (ლათ. indico ვუჩვენებ) სისტემის სტრუქტურული ანალიზისათვის გამოყენებული საკლასიფიკაციო ანუ მადიფერენცირებელი ნიშანი.

ინდიკატორული ტოპონიმები სიტყვათშეერთებითი საზღვრითი ტოპონიმები, რომლის საზღვრულ კომპონენტებად, ინდიკატორებად გამოიყოფა გეოგრაფიული ტერმინები; მაგ., მაჭახლისპირი, მთანაცარა, ბუმბულასაერი (ქართულ ტოპონიმიკურ ლიტერატურაში ტერმინი ინდიკატორი შემოიტანა ფ. მაკალათიამ).

ინდოგერმანული იგივეა, რაც ინდოევროპული.

ინდოევროპეისტი ინდოევროპული ენების მკვლევარი.

ინდოევროპული ენები მონათესავე ენების ერთ-ერთი ოჯახი, რომელშიც შედის ინდური, ირანული, ბერძნული, სლავური, რომანული, გერმანული და სხვა ენები (ტერმინი მიუთითებს, სადაა გავრცელებული სათანადო ენები; გერმანელი ენათმეცნიერები ინდოევროპულის ნაცვლად ხმარობენ ინდო-გერმანულ ენებს; ბოდუენ დე კურტენე, ბოგოროდიცკი და სხვ. იყენებდნენ ტერმინს „არიო-ევროპულს“, ზოგი იაფეტურსაც კი მიმართავდა, ნ. მარი, ვ. აბაევი უპირატესობას ანიჭებდნენ პრომეთეიდურს, ფრ. ენგელსი — არიულს...).

ინდოლოგი ინდოლოგიის სპეციალისტი.

ინდოლოგია აღმოსავლეთმცოდნეობის დარგი — ინდოეთის ისტორიის, ეკონომიკის, ინდური ენების, ხელოვნების და სხვ. შემსწავლელ მეცნიერებათა ერთობლიობა.

ინვერსია[1] (ლათ. inversio გა-

დასმა) ზმნის პირის ნიშანთა შექცევით ხმარება; სუბიექტი აღინიშნება ობიექტის ნიშნით და პირიქით, ობიექტი — სუბიექტის ნიშნით. ინვერსია ახასიათებს ქართულ გარდამავალ ზმნას მესამე სერიაში; მაგ., დამიხატავს მე იგი, გამიკეთებია მე იგი, ამიშენებია მე იგი.

ინვერსია[2] (ლათ. inversio გადასმა, გადაადგილება) პოეტური ფიგურის ერთ-ერთი სახე, გამოსახვის სტილისტიკური ხერხი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სიტყვათა ჩვეულებრივი რიგის დარღვევა მეტყველებაში, უჩვეულო შესიტყვება.

ინვერსიული რიგი (მსაზღვრელ-საზღვრულისა) შებრუნებული რიგი — საზღვრულ-მსაზღვრელი: მთა მაღალი, ცოცხი ახალი, ღმერთი ძლიერი...

ინიციალები (ლათ. initialis დასაწყისისა) სახელისა და გვარის, სახელისა და მამის სახელის პირველი ასოები.

ინკლუზივი (ლათ. includo-დან ჩავრთავ, შევიცავ) პირველი პირი მრავლობითი რიცხვისა, რომელიც შეიცავს პირველი (მოლაპარაკე) პირის გარდა მეორე პირსაც, ე. ი. იმ პირსაც, რომელსაც ელაპარაკებიან: ჩვენ—მე და შენ (მე და თქვენ). ასეთი გარჩევა გვაქვს სვანურშიც (შდრ. ექსკლუზივი).

ინკორპორაცია ახალი სიტყვის წარმოთქმის ერთ-ერთი პროდუქტიული საშუალება ერთმანეთისადმი მირთული ფუძეების მეშვეობით.

ინკორპორირებული ენები ენები, რომლებშიც განვითარებულია ინკორპორაცია: უფორმო ენები, პოლისინთეზური ენები.

ინკუნაბულები (ლათ. incunabula აკვანი, დასაწყისი) პირველი ნაბეჭდი წიგნები (1501 წლამდე), გარეგნულად ხელნაწერების მსგავსი (შემონახულია 40 000-მდე ასეთი წიგნი).

ინლაუტი (გერმ. inlaut) ბგერის მდგომარეობა სიტყვის შუაში.

ინოვაცია მოცემული ენის ცვალებადობის კანონზომიერება, რომლითაც იგი განსხვავდება მისი პირვანდელი მდგომარეობისაგან ანუ ფუძე-ენისაგან.

ინსპირაცია იგივეა, რაც შესუნთქვა.

ინტეგრაცია (ლათ. integratio აღდგენა) ენათა (დიალექტთა) დაახლოება ურთიერთგავლენის შედეგად (საპირისპ. დიფერენციაცია).

ინტენსიობის „და“ ზმნისწინის ხმარებასთან დაკავშირებული ინტენსიობა, რაც პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს გულისხმობს: „სტუმრები დასხა ქალმა, დაახადა ფეხთ“ (ა. ყაზ.).

ინტერლინგვა (ლათ. inter შორის და lingua ენა) ერთ-ერთი საერთაშორისო ხელოვნური ენა, რომელიც აგებულია ლათინური

ენის საფუძველზე: შექმნა იტალიელმა მათემატიკოსმა ჯ. პეანომ 1903 წ.

ინტერპრეტაცია (ლათ. interpretatio) რისამე აზრის ახსნა, განმარტება.

ინტერფიქსები დამხმარე ხასიათის მორფემები, რომლებიც, მოკლებულნი საკუთარ მნიშვნელობას, გამოიყენებიან რთულ სიტყვებში ძირთა დასაკავშირებლად. ასეთებია ე. წ. შემაერთებელი ხმოვნები და თანხმოვნები, მაგ., რუსული -o- და -e- სიტყვებში кров-о-пийца სისხლის მსმელი, каш-е-вар მზარეული. გერმანული -s- სიტყვაში Dampf-s-schiff ორთქლმავალი გემი. ქართულში ანალოგიურ შემთხვევებში ინტერფიქსები არ გამოიყენება.

ინტონაცია (ლათ. intono-დან ხმამაღლა წარმოვთქვამ) მეტყველების რიტმულ-მელოდიური წყობა, რომელიც დამოკიდებულია ტონის აწევ-დაწევაზე; ხმის სახეცვალება სიმაღლის მიხედვით.

ინტონაციის ცვლა ანუ ხმის სახეცვალება სიმაღლის მიხედვით ერთ-ერთი საშუალებაა დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსის მაგივრობის გასაწევად; მაგ.: ქართულში, თუ წინადადებაში კითხვითი სიტყვა არ მოიპოვება (ვინ? რა? რომელი? სადაური? როდინდელი?..), თხრობითსა და კითხვითს წინადადებას მხოლოდ ინტონაცია განასხვავებს; შდრ. სოფელში წავიდა. — სოფელში წავიდა?

ინტრანზიტივი (ლათ. intransitivus) გარდაუვალი ზმნა.

ინფინიტივი ზმნის საყრდენი, ამოსავალი კატეგორია, რომელსაც ვააჩნია დამოუკიდებელი სინტაქსური ფუნქცია — მას აქვს სახელის ბრუნვაში მართვის უნარი — პირდაპირ დამატებას მართავს იმავე ბრუნვაში, რომელშიც მას მოითხოვს ზმნის ფორმა. ინფინიტივის მიერ მართული დამატება ინდოევროპულ ენებში ყოველთვის ბრალდებით ბრუნვაშია (ახალ ქართულს ინფინიტივი არ გააჩნია. მის მაგივრობას მასდარი უწევა, მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში კი — ხუნძურში, ლაკურში, დარგუულში გვაქვს როგორც ინფინიტივი, ისე მასდარი).

ინფინიტივური კონსტრუქცია წინადადების იმგვარი კონსტრუქცია, როდესაც ზმნას მოსალოდნელი პირის (სუბიექტის ან ობიექტის) ნაცვლად ისევ ზმნის პირიანი ფორმა უკავშირდება; მაგ.: ცდილობს გააკეთოს — ცდილობს გაკეთებას; საჭიროა მოვინდომოთ — საჭიროა მონდომება და ა. შ.

ინფიქსი (ლათ. infixus ჩარჭობილი) სიტყვის ძირში ჩართული აფიქსი; ქართულისათვის ინფიქსაციის მოვლენა უცნობია. ივი განსაკუთრებით დამახასიათებელია ინდონეზიური ენებისათვის (მალაიური, ბატაკური, იავური, ტარაჯული, ტაგალური და სხვ. ენები).

ინფორმაციის თეორია ცნობის გადაცემა კავშირგაბმულობის ხაზით — ტელეფონის, რადიოსა და ტელეგრაფის საშუალებით (ინფორმაციის თეორია აღმოცენდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. იგი თავის მხრივ კიბერნეტიკის ნაწილს წარმოადგენს).

იოტა (ბერძნ. iota) ბერძნული ანბანის ყველაზე პატარა ასოს (i-ს) სახელი; უდრის ქართულ ი-ს.

იოტაცია ჲ ბგერის გაჩენა ხმოვნის წინ; მაგ., ქართულის ზოგ კილოში ჲ ერთი (ერთი), ჲესი (ეს), ჲენა (ენა).

იოტაციაქმნილი იგივეა, რაც იოტირებული.

იოტი (ბერძ. iota ასო i-ს სახელწოდება) ძველი ქართულის ჲ ასოს სახელწოდება.

იოტირება იხ. იოტაცია.

იოტირებული, რამაც იოტაცია განიცადა.

იპოტეტიკა ძვ. პირობითი კილო.

ირანიზმები ირანული ენიდან ნასესხები სიტყვები.

ირანისტი ირანული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი.

ირიბია დამატება, რომელიც წინადადებაში ირიბ-ობიექტური პირის ფარდ სახელად არის წარმოდგენილი; მაგ.: მოხუცი ხეს მიეყრდნო.

ირიბი ნათქვამი თუ ვისმე ნათქვამი (ან განაზრახი) აეტორის მიერ არაა უცვლელად გამეორებული, არამედ სხვისი ნათქვამის აზრია გადმოცემული თავისი თვალსაზრისით. მაგ.: როცა ოთახში შევიდნენ, არჩილმა ჰკითხა დას, თუ როგორ მოეწონა მას ეს ამბავი.

ირიბისებრი დამატება პირიან გარდამავალ ზმნასთან შეწყობილი ირიბი დამატება უპირო ფორმასთან (საწყისთან თუ მიმღეობასთან) ნათესაობითში დაისმის და „თვის“ თანდებულს დაირთავს: ღედას კაბა უყიდა — დედისათვის ნაყიდი კაბა.

ირონიმი ირონიული მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა, გამოყენებული ფსევდონიმად; მაგ.: მოლაყბე, ინტრიგანი და სხვ.

ისოგლოსა (ბერძნ. isos თანაგვარი, glossa მეტყველება, ენა) დიალექტოლოგიურ რუკაზე ამა თუ იმ თავისებურებების აღნიშვნა განსაკუთრებული ხაზით (შდრ. ისოთერმა, ხაზი, რომელიც აერთიანებს ერთნაირი ტემპერატურის მქონე გეოგრაფიულ პუნქტებს; ისობარი — ხაზი, რომელიც აერთიანებს ერთნაირი ატმოსფერული წნევის გეოგრაფიულ პუნქტებს).

ისტორიული ბგერათმონაცვლეობა ბგერათმონაცვლეობა, რომელსაც დაკისრებული აქვს გარკვეული სემანტიკური თუ გრამატიკული ფუნქცია: კრება სხვას ნიშნავს და კრეფა სხვას, ისე, როგორც სული და სუნი.

ისტორიული ანუ ფონოლოგიური ბგერათმონაცვლეობა ჰქვია ისტორიულად განპირო-

ბებულ (კრებ—კრეფ—ტიპისა) ან ისტორიულად სპონანტურ (ჭრიალი — შრიალი — ტიპისა) მონაცვლეობას, რომელთანაც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს გრამატიკული ან სემანტიკური დიფერენციაციის ფუნქცია.

ისტორიზმები ისეთი სიტყვებია, რომლებიც აღნიშნავენ ცხოვრებიდან გასულ საგნებსა და მოვლენებს. ასეთი საგნები და მოვლენები ხდებიან ისტორიის კუთვნილება: მაგ.: ოსტიგანი, ვაზირი, მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი, ყმა, მონა, ბატონყმობა და მისთანა სიტყვები დღეს ისტორიზმებია.

ისტორიზმი მეთოდოლოგიური პრინციპი, რომლის მიხედვითაც მოვლენათა შესწავლა წარმოებს მათი ჩასახვა-განვითარების გათვალისწინებით, მათ წარმომშობ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებთან კავშირში.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ენათმეცნიერების კვლევის მეთოდი, რომელიც დამკვიდრდა XIX ს. 40-იან წლებში. იგი გამოიყენება ენათა შესწავლისას, რომლის დროსაც ისტორია და შედარება ერთმანეთს ზურგს უმაგრებენ და იძლევიან შედეგს, რომელსაც ცალკე ვერც ერთი მოგვცემდა და ვერც მეორე; ისტორია მიზანია, შედარება—დამხმარე საშუალება ისტორიისათვის.

იტალიური იტალიისა და იტალიელების დამახასიათებელი. იგივეა, რაც იტალიური ენა.

ჯ

ჯ 1. მეათე ასო ქართულ ანბანში; მისი სახელი **ჯან**-ი. 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ოცს (20).

ჯაბადონი ძვ. დაწერილი ფურცლის ცალი პირი — გვერდი.

კავკასიის მცოდნე კავკასიის ხალხთა ენების, ისტორიის, ზნე-ჩვეულებათა და ნივთიერი კულტურის სპეციალისტი.

კავკასიისმცოდნეობა ერთობლიობა სამეცნიერო დარგებისა, რომლებიც კავკასიის ხალხთა ენებს, ზნე-ჩვეულებათა, ისტორიულ წარსულსა და ნივთიერ კულტურას შეისწავლიან.

კავკასიური ენები ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია მონათესავე ენებად, რომლებიც თითქოს ერთმანეთთან გენეზისით, წარმოშობით ერთიანდებიან და გენეალოგიური კლასიფიკაციის ერთეულად გვევლინება. (ნ. ტრუბეცკოის აზრით, „კავკასიური ენები“ გენეალოგიური კლასიფიკაციის ცნება არ არის, იგი „გეოგრაფიული“ ნიშნის მიხედვით შექმნილი ცნებაა, ამიტომ უმჯობესია „კავკასიური ენები“ ვიხმაროთ, როგორც გეოგრაფიული ცნებაო).

კავკასიური ლატერალური თან-

ხმოვნები თავისებური რთული თანხმოვნები, რომელთა შემადგენლობაში კარგად შეიმჩნევა ლატერალი თანხმოვნის (ლ-ს) ელფერი; მსმენელი შეიგრძნობს დამატებითს ბგერას, წარმოქმნილს ჰაერნაკადის მომდინარეობით ენის გვერდსა და ლოყას შორის; ისინი გვხვდებიან ხუნძურ-ანდურ-დიდოური ჯგუფის ენებში, აგრეთვე ადიღეურსა, უბიხურსა და ბაცბურ ენებში.

კავშირი დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი სიტყვა, რომელიც მნიშვნელობას სხვა სიტყვებთან ხმარებით იძენს: ის აკავშირებს წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას: ზამთარი და ზაფხული; მზე ამოვიდა და იქაურობა განათდა (ტერმინი ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს).

კავშირიანია შეერთება (შერწყმულ წინადადებაში) თუ ერთგვარ წევრთა გადასაბმელად გამოყენებულია საგანგებო სიტყვა — მაერთებელი კავშირი; მაგ.: „ხევი ღრმავდებოდა და ვიწროვდებოდა“ (ი. ჭავჭ.).

კაკოლოგია არასწორი გამოთქმა, რომელიც არღვევს ჩვეულებრივ გრამატიკულ წესებს, ფრაზის აგების ბუნებრიობას.

კაკოფონია (ბერძნ. kakophónia ∠ kakos ცუდი და phónè ბგერა) მოსასმენად არასასიამოვნო შეხამება ბგერებისა; არაკეთილხმოვანება.

კალამი (ბერძნ. kalamos ლერწამი) იარაღი მელნით (ან ტუშით) წერისათვის (წინათ ლურსმნისაგან აკეთებდნენ, ახლა — ფოლადისაგან).

კალამბური (ფრანგ. kalembour ოჯახობა) ოხუნჯობა, სიტყვებით თამაშზე დამყარებული (საამისოდ ხმარობენ ბგერის მიხედვით ერთნაირს, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვებს).

კალიგრაფი ადამიანი, რომელმაც ლამაზად და გარკვევით წერა იცის. კარგი ხელის მქონე.

კალიგრაფია (ბერძნ. kalligraphia ლამაზი წერა) ლამაზად და გარკვევით წერის ხელოვნება; ლამაზად და გარკვევით წერა.

კალიგრაფიული კალიგრაფიისათვის დამახასიათებელი, კალიგრაფიის შესაბამისი.

კალკი (ფრანგ. calque გამჭვირვალე ქსოვილზე ან ქაღალდზე ასლის გადაღება) სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც აგებულია სხვა ენის სიტყვის ან გამოთქმის მიხედვით; უცხოური სიტყვის მორფოლოგიური მოდელის მიხედვით ენის მიერ საკუთარი ფორმალური მასალიდან ახალი სიტყვების ჩამოყალიბება; მაგ., „რაშია საქმე?“ კალკია რუს. გამოთქმისა: „в чем дело?“

კამარა წიგნისა ძვ. მდიდრულად გაფორმებულ წიგნში პირველი მოხატული გვერდი.

კამერტონი (გერმ. Kammerton) ორთითა ჩანგლის მსგავსი ფოლადის ხელსაწყო, რომელიც რამეზე

დაკვრისას გამოსცემს გარკვეული სიმაღლის ტონს.

კანკლედობა ძვ. ბრუნება.

კანცელარიზმი სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც დამახასიათებელია საქმის ქაღალდებისათვის, დოკუმენტებისათვის.

კარმადჰარათა კომპოზიტები (სანსკ. karmadharaya) ისეთი კომპოზიტებია, რომლებშიც წინა წევრი ზედსართავია და განსაზღვრავს ბოლო წევრს (მაგ., მარტოხელა, წვრილშვილი და სხე.).

კაუზატივი (ლათ. causa მიზეზი) იგივეა, რაც კაუზატიური ზმნა.

კაუზატიური ზმნა ზმნა, რომლითაც გამოხატულია არა უშუალოდ ზმნის სუბიექტის მოქმედება, არამედ მოქმედება სხვა პირის მეშვეობით; შუალობითი ზმნა (კაუზატიური ზმნებია: აკეთებინებს, აწერინებს და მისთ.).

კახური კილო (ქართული ენისა) კახეთის ძირითადი მოსახლეობის მეტყველება: გარდაბნის, საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხისა და წითელწყაროს რ., ნაწილობრივ თიანეთის რ. და სხვ.

კბილბავისმიერი ბგერა, რომელიც წარმოიქმნება ენის წვერის კბილებთან შეხებით: დ, ტ, თ — კბილისმიერი ბგერებია.

კეთილხმოვანების პრინციპი პრინციპი, რომლის მომარჯვებითაც ადგენდნენ ქართული ენის გრამატიკულ ფორმებსა და კატეგორიებს (კეთილხმოვანების პრინციპს თავგამოდებით იცავდა ცნობილი პედაგოგი და გრამატიკოსი ს ი ლ ო ვ ან ხ უ ნ დ ა ძ ე).

კვაზიგრამატიკული კატეგორიები კატეგორიები, რომლებიც არ წარმოადგენენ გრამატიკულ მორფემებს; ასეთებია: არტიკლი, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი.

კვლავ-მოღებითი ძვ. მიმართებითი ნაცვალსახელი.

კვეცილი კომპოზიტები შემოკლებული სიტყვისა და სიტყვათა დასაწყისი ბგერების ან მარცვლების შეერთებით მიღებული ახალი ლექსიკური ერთეულები; მაგ.: აბჰესი — აბაშის ჰიდროელექტროსადგური; საქდესი — საქართველოს დეპეშათა სააგენტო; ცეკა — ცენტრალური კომიტეტი და სხვ.

კიბერნეტიკა [ბერძ. kybernètikè (technè)] მართვის ხელოვნება, მეცნიერება, რომელიც სწავლობს მანქანებისა და ცოცხალი ორგანიზმების მიერ „ინფორმაციის“ მიღებას, შენახვასა და გადაცემას, ავრეთვე ამ ინფორმაციის გამოყენებას მართვისათვის.

კითხვა-ძახილის ნიშანი სასვენი ნიშანი (?!), რომელიც კითხვასაც გამოხატავს და დიდ გრძნობასაც შეიცავს: „ვინ არის სეხნია უძილაური?!“ (რ. ჯაფ.).

კითხვითი წინადადება წინადადება, რომელიც კითხვას შეიცავს; მაგ.: „განა მაგას ვინა ფიქრობს?“ (ი. ჭავჭ.).

კითხვით-ძახილის წინადადება ისეთი წინადადებაა, რომელიც კი-

თხვისაც გამოხატავს და ამა თუ იმ გრძნობასაც: მაგ.: „განა ყველა, რაც ხმელია, კაცისგან საწუნარია!?“ (ვაჟა).

კითხვითი სიტყვა ძვ. კითხვითი წინადადება.

კითხვის ნიშანი წინადადების ბოლოს დაისმის, გამოყოფს მას მომდევნოსაგან და თანაც მოგვითითებს, რომ წინადადება ან სიტყვა-წინადადება, რომელსაც ის ბოლოში უზის, კითხვითია; მაგ.: „რას გალობდა შაშვი? ნუთუ არ არის სიტყვები იმის გალობაში?“ (ვაჟა).

კილო ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, როგორ უნდა იქნეს გაგებული ზმნით გამოხატული მოქმედება სინამდვილის თვალსაზრისით: უეჭველ ფაქტორად, სასურველ-შესაძლებლად თუ შესასრულებლად: კილო აკრძალვითი ანუ უკუთქმითი ბრძანებითის ის ფორმა, რომელიც კრძალავს ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულებას: ნუ დაანახებ! არ გააკეთო!; კილო ბრძანებითი ის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს მთქმელის სურვილი უნდა იქნეს შესრულებული: გააკეთე! შეჭამე! გასწი!; კილო თხრობითი გვიჩვენებს, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება გაგებული უნდა იქნეს უეჭველ ფაქტად: აკეთებდა, გააკეთა; კილო თხოვნითი ისეთი ფორმა, რომელიც ბრძანებითია, მაგრამ თხოვნის ელფერი გადაჰკრავს (გვხვდება მთის კილოებში): დაიწეროდი, დაიკეროდი; კილო კავშირებითი ის ფორმა, რომელიც გადმოგვცემს ისეთ მოქმედებას, რაც შესაძლებელია მომხდარიყო წარსულში, ხდებოდეს ახლა ან მოხდეს მომავალში; (რომ) წერდეს, (რომ) შეჭამოს; კილო პირობითი ფორმა ზმნისა, რომელიც რომელსამე მოქმედებას წარმოგვიდგენს როგორც აუცილებელ პირობას მეორე მოქმედების შესასრულებლად (გვხვდება დამოკიდებულ წინადადებაში); კილო შედეგობითი ფორმა ზმნისა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ზმნით აღნიშნული მოქმედება მოხდებოდა, თუ სათანადო პირობა იქნებოდა შესრულებული; მაგ.: რომ არ მივშველებოდი, სულ ლუკმა-ლუკმა დაგლეჯდა.

კილოკავი ამა თუ იმ ენის რომელიმე კილოზე უფრო მცირე ენობრივი ერთეული, კილოს (დიალექტის) ფარგლებში არსებული სხვაობა მეტყველებისა. ქვემოიმერული კილოკავი, ზემოიმერული კილოკავი, გარეკახური კილოკავი.

კიმოგრაფი სამეტყველო ბგერათა გრაფიკულად დაფიქსირებისათვის გამოსაყენებელი იარაღი, რომლის საშუალებითაც იკვლევენ ბგერის სხვადასხვა თვისებას: სიძლიერეს, ხანგრძლივობას, სატემბრო სიმაღლეს, აგრეთვე ბგერის დასაწყისსა და გათავებას სიტყვაში.

კინეტიკური ენა იხ. ჟესტ-მიმიკის ენა.

კიპუ (ქეჩუას ენაზე **kipu** კვან-

ძი) ძველი პერუელების კვანძური დამწერლობა, რომელიც წარმოადგენდა მატყლის ან ბამბის თოკს, რომელზეც მიმაგრებული იყო მრავალი სხვადასხვა ფერის ზონარი სხვადასხვა მიმართულებისა და სხვადასხვა ფორმის ნასკვებით. ნასკვების ფორმა და რაოდენობა აღნიშნავდა რიცხვს, ხოლო ზონრების ფერი — განსაზღვრულ საგნებს.

კირილიცა ორი პირველიდან ერთ-ერთი პირველი სლავური ანბანი, რომელიც საფუძვლად დაედო თანამედროვე რუსულ ალფაბეტს; გლაგოლიცისაგან განსხვავდება ასოთა მოხაზულობის უფრო მარტივი და გამოკვეთილი ფორმით; შდრ. გ ლ ა გ ო ლ ი ც ა.

კლასიკური ენათმეცნიერება ტრადიციული ენათმეცნიერება, რომელიც არსებობდა სტრუქტურული და მათემატიკური მეთოდების გამოყენებამდე ენის შესახებ მეცნიერებაში და რომელიც ახლაც განაგრძობს არსებობას.

კლასიკური ენები ძველი ბერძნული და ლათინური ენები, ავრეთვე სანსკრიტი; კლასიკური არაბული წარმოადგენს ლიტერატურის ენას დიალექტებთან შედარებით.

კნინობითი სახელი სახელი, რომელიც გვიჩვენებს, რომ საგანი, რომელსაც ის აღნიშნავს, ზომით ან სიდიდით ნაკლებია, ვიდრე ძირეული სახელით აღნიშნული: „წიგნის“ პირისპირ „წიგნაკი“; მაგ., კაცა (პატარა კაცი), ბიჭი → ბიჭ-უნა, გოგო → გოგ-უნა → გოგონა... (ტერმინი ეკუთვნის ა ნ ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ს).

კნინობითობა კნინობითად ყოფნა, კნინობითი ფორმის გამომხატველი.

კოარტიკულაცია (ლათ: coarticulatio თანაარტიკულაცია) წარმოთქმის პროცესში ადგილი აქვს მთლიანი სიტყვის არტიკულაციას (მეტყველების ორგანოების მოძრაობასა და პოზიციას) და თანაარტიკულაციას, რომელშიც ხორციელდება, მეტნაკლები სიზუსტით, საწარმოთქმო ინერვაცია.

კოდი სისტემა პირობითი აღნიშვნებისა, რომლებიც გამოიყენება ამა თუ იმ საიდუმლო (სამხედრო, სადაზვერვო, დიპლომატიური) ცნობის გადაცემისათვის ტელეფონით ან სხვა საშუალებით.

კოინე საერთო სახალხო ენა, რომელიც აღმოცენდა ძველ საბერძნეთში ატიკური დიალექტის საფუძველზე.

კოლხური მეგრულ-ჭანურს ჰქვია (ტერმინი ეკუთვნის გერმანელ მეცნიერს გეორგ როზენს).

კომბინატორული ფონეტიკური ბგერათცვლილებები ჰქვია ბგერათშეერთების ნიადაგზე წარმოქმნილ ბგერათცვლილებებს.

კომპარატივიზმი (ლათ. comparativus შედარებითი) იგივეა, რაც კომპარატივისტიკა.

კომპარატივისტიკა (კომპარატიული ლინგვისტიკა) (ინგლ.

comparativistics) ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც შედარებით — ისტორიული მეთოდით სწავლობს მონათესავე ენებს მათი ძველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით.

კომპარატიული ლინგვისტიკა იგივეა, რაც კომპარატივისტიკა.

კომპარატიული მეთოდი (ინგლ. comparative method) იგივეა, რაც შედარებითი — ისტორიული მეთოდი.

კომპოზიტი სიტყვა, რომლის შემადგენლობაში ერთზე მეტი ფუძე გვაქვს, რთული ფუძის მქონე სიტყვა, თხზულფუძიანი სიტყვა: დედამიწა, სახლ-კარი, ყოფაცხოვრება, თეთრწვერა.

კომპოზიცია ანუ ფუძეთშეერთება (ლათ. compositio შედგენა) ახალ სიტყვათა წარმოების ისეთი გზა, როცა შეერთებულია ორი ან ორზე მეტი ფუძე; კომპოზიციით ხდება რთული სიტყვების მიღება. რთული სიტყვა (კომპოზიტი) ახალი ლექსიკური ერთეულია: მაგ.: დედ-მამა, დედამიწა, ხელ-ფეხი, ხელმოკლე, თავ-პირი, თავშალი, რკინიგზა, ქართლ-კახეთი, თავქუდმოგლეჯილი, თაყვანისცემა და ა. შ.

კომპონენტები ჰქვია კომპოზიტის შემადგენელ წევრებს.

კომპონენტი (ლათ. componens) რისამე შემადგენელი ნაწილი.

კონვერგენციის (ინტეგრაციის) პროცესი (ინგლ. convergence) რაიმე ნიშან-თვისებათა დამთხვევა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მოვლენებში; ენათა (დიალექტთა) დაახლოება ურთიერთგავლენის შედეგად (საპირისპ. დივერგენცია).

კონვერსია (ლათ. conversio შეცვლა) სამპირიანი ზმნის ორპირიანად გადაქცევა. მაგ.: უშენებს ის მას — უშენდება ის მას.

კონიექტურა (ლათ. conjectura) 1. მიხვედრა, 2. მოაზრება; დამახინჯებული ტექსტის აღდგენა-გასწორება მიხვედრილობით, ალღოთი.

კონსონანტი (ლათ. consonans, consonantis) თანხმოვანი ბგერა: მაგ., ბ, პ, ფ, დ, ტ, თ, გ, კ, ქ, ძ, წ, ც... კონსონანტი ბგერებია.

კონსონანტიზმი ამა თუ იმ ენის თანხმოვან ბგერათა სისტემა (შდრ. ვოკალიზმი).

კონსტრუქცია [ლათ. constructio აგება, აგებულება, აღნაგობა, წყობა (წინადადებისა, ენისა)] გარკვეული კონსტრუქციის წინადადება. სინტაქსური კონსტრუქცია, ერგატიული კონსტრუქცია, ნომინატიური კონსტრუქცია.

კონსტრუქციის ბირთვი სტრუქტურულ სინტაქსში ტერმინი, რომლითაც აღინიშნება მთავარი უშუალო შემადგენლები.

კონტამინაცია (ლათ. contaminatio შერევა) ახალი გამოთქმის, სიტყვის ან ფორმის გაჩენა ორი ერთმანეთთან ახლო მდგომი გამოთქმის, სიტყვის ან ფორმის შერწყმით; თვით ფორმა, ამ გზით გაჩენილი. მაგ.: „გააწყალა საქმე“

(„გააწყალა გული“-ს და „გააჭირა საქმეს“-ს ერთმანეთში აღრევით).

კონტამინირებული დამწერლობა ისეთი დამწერლობა, სადაც ერთდროულადაა წარმოდგენილი როგორც ამოსავალი ფორმის, ისე მისგან მიღებულის ყველაზე არსებითი ელემენტები. ამგვარი დაწერილობანი ოდენწერილობითი ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი (ტერმინი ეკუთვნის ზ. სარჯველაძეს).

კონტაქტი ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე უშუალოდ ან სხვა პირის შუალობით (ტერმინი ეკუთვნის ა. შანიძეს), კონტაქტი უშუალო ფორმა ზმნისა, რომელიც აღნიშნავს, რომ სუბ. პირი მოქმედებს პირდ. ობიექტზე უშუალოდ, სხვა პირის ჩაურევლად: ვწერ, ვხატავ, ვაშენებ, ვიჭერ. კონტაქტი შუალობითი ზმნის ფორმა, რომელიც აღნიშნავს, რომ სუბ. პირი მოქმედებს პირდ. ობიექტზე სხვა პირის შუალობით: ვაწერინებ, ვახატვინებ, ვაშენებინებ... იძულებითი ივივეა, რაც კონტაქტი შუალობითი, კაუზატივი ივივეა, რაც კონტაქტი შუალობითი, ფაქტიტიტი ივივეა, რაც კონტაქტი შუალობითი.

კონტექსტი (ლათ. contextus შეჯიდრა, კავშირი, შეერთება) შინაარსობრივად დასრულებული ნაწყვეტი წერილობითი ტექსტისა, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს მასში შემავალი ცალკეული სიტყვის ან ფრაზის აზრს: ასეთი ნაწყვეტი მასში შემავალ ნაწილთან (წინადადებასთან, სიტყვასთან) მიმართებაში.

კონტრაქცია (ბერძნ. contractio შეკუმშვა) სიტყვის შიგნით ორი ზედიზედ მოსული ხმოვნის შერთვა ანუ შერწყმა ერთ ხმოვნად: დედოფალი → დედაუფალი.

კონტრაჰირებული ხმოვანი ისეთი ხმოვანი, რომელიც ორი ზედიზედ მოსული ხმოვნის შერწყმითაა მიღებული: მაგ., დედაუფალი → დედოფალი. იხ. კონტრაქცია.

კონფიქსები (ლათ. confixum თანააფიქსი) ორი აფიქსი, უპირატესად პრეფიქს-სუფიქსი, რომლებიც ერთობლივად მოქმედებენ; მაგ., სა—ო, სა—ე; სა-ბარგ-ო, საირმ-ე...

კოორდინატული კოორდინატებზე დამყარებული.

კოორდინაცია (ლათ. coordinatio შესაბამისობა, შეფარდებულობა) ისეთი სინტაქსური ურთიერთობა, როდესაც სიტყვა, მართული რაშიმე მეორე სიტყვის მიერ, თვით მართავს რაშიმე ამ სიტყვას; საურთიერთო მართვა; დიდი კოორდინატი (coordinata major) ის კოორდინატი, რომლის პირიც აღინიშნება ზმნაში და მრავლობითობაც; მცირე კოორდინატი (coordinata minor) ის კოორდინატი, რომლის პირი აღინიშნება ზმნაში, მრავლობითობა კი—არა; ძირითადი კოორდინატი (co-

ordinata princeps) ანუ კოორდინაციის ცენტრი შესიტყვებაში ზმნა-შემასმენელია, რადგან კოორდინაციის ძაფები მასში იყრის თავს; უმცირესი კოორდინატი (coordinata minima) ის კოორდინატია, რომელიც ითანხმებს ზმნის რიცხვს, მაგრამ არ მართავს პირს (ეს ტერმინები არნ. ჩიქობავას ეკუთვნის, მან შემოიტანა სპეციალურ ლიტერატურაში).

კოპენჰაგენის სტრუქტურალისტური სკოლა (ინგლ. Copenhagen structural school) თანამედროვე სტრუქტურალისტურ სკოლებს შორის ერთ-ერთ საპატიო ადგილს იჭერს. იგი შეიქმნა 1938 წელს. ამ სკოლის ფუძემდებლები არიან: ბრონდალი, იელმსლევი და ულდალი. კოპენჰაგენის სტრუქტურალისტური სკოლის წარმომადგენლები ენას განიხილავენ და შეისწავლიან სტატიკაში (სინქრონიულად); მათ ნეოგრამატიკოსების ატომიზმს დაუპირისპირეს მთლიანი სტრუქტურა, გეშტალტი. ამიტომ დასაწყისში ამ სკოლას „გეშტალტლინგვისტიკასაც“ უწოდებდნენ: კოპენჰაგენის სტრუქტურალისტები ენას განიხილავენ, როგორც წმინდა ფორმას. როგორც ჩვეულებრივ ერთობლიობას, რომელიც მოცემულ სოციალურ კოლექტივშია მიღებული. გამოდიან სოსიურის ძირითადი ღებულებიდან — რომ ენა არის ფორმა და არა სუბსტანცია. ცდილობენ აღადგინონ თავის უფლებებში ლოგიციზმის პრინციპი.

კოპულა (ლათ. copula კავშირი) შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი, რომელიც ქვემდებარეს შემასმენელთან აკავშირებს (ეს ტერმინი ლოგიკაშიც იხმარება სუბიექტისა და პრედიკატის დასაკავშირებლად).

კორელატები (მისათითებელი სიტყვები ანუ მისამართი სიტყვები) შეფარდებითი, თანაფარდი ცნებები, რომლებიც შედიან მთავარ წინადადებაში, როგორც კავშირის მისამართი სიტყვები, განეკუთვნებიან კავშირის კატეგორიას და წარმოადგენენ მთავარი და დამოკიდებული წინადადების დაკავშირების ერთ-ერთ საშუალებას.

კორელატი შეფარდებითი, თანაფარდი ცნება.

კორელაცია (ლათ. correlatio) ურთიერთდამოკიდებულება, შეფარდება.

კორელაციური კორელაციის ხასიათისა, ურთიერთდამოკიდებული, შეფარდებითი.

კორელაციური ოპოზიცია ანუ **მოკლე კორელაცია** ისეთი დაპირისპირება, რომლის წევრებს აქვთ მხოლოდ თითო განმასხვავებელი მნიშვნელობა: მაგ., ს—ზ წარმოადგენს კორელაციურ ოპოზიციას, რადგან თითოეულ მათგანს აქვს მხოლოდ თითო დანიშნულება: პირველს სიყრუე, მეორეს—მჟღე-

რობა; ასევე კორელაციურია: შ—ჟ, გ—დ, ნ—დ, დ—ტ და სხვ.

კრახისი (ბერძნ. krasis შერევა) სიტყვის ბოლოკიდური მარტივი ხმოვნის ან დიფთონგის შერწყმა მომდევნო სიტყვის თავკიდურ ხმოვანთან, რაც იწვევს ორი სიტყვის შერევას; კრასისი განსაკუთრებით დამახასიათებელია ძვ. ბერძნულისათვის.

კრეოლური ენა შერეული ენა, აღმოცენებული ერთ-ერთი ევროპული ენის გამოყენების შედეგად, როგორც ევროპელების ურთიერთობის საშუალება ძირითად მოსახლეობასთან, უმთავრესად ინდოეთის ოკეანის კუნძულების მოსახლეობასთან.

კრიპტოგრამა (ბერძნ. kryptos საიდუმლო, ფარული და gramma ჩანაწერი) პირობითი საიდუმლო ნიშნებით ნაწერი.

კრიპტოგრაფია (ბერძნ. kryptos საიდუმლო, ფარული და graphó ვწერ) პირობითი საიდუმლო ნიშნებით წერა.

კრიპტოგრაფიული კრიპტოგრაფიის ხასიათისა, კრიპტოგრამებისაგან შემდგარი.

კრიპტოლალია საიდუმლო ენა, გაუგებარი საზოგადოების იმ ფენებისათვის, რომლებიც არ შედიან მოცემულ სოციალურ ჯგუფში; ქურდების ჟარგონი.

კრიპტონიმი — ფსევდონიმის ნაირსახეობა, რომელიც წარმოადგენს ავტორის ინიციალებს ან გვარ-სახელის (ზოგჯერ ფსევდონიმის) სხვადასხვაგვარ შემოკლება-დაჭარაგმებას; მაგ., პ. უ. (=პეტრე უმიკაშვილი), სა-ლა (სანდალა=ზაქარია ჭიჭინაძე). შეიძლება იყოს ავტორის გვარ-სახელის საწყის ასოთა სახელწოდებით შედგენილი სიტყვა; მაგ.: დონ-ენი (დ. ე.=დავით ერისთავი).

კუმშვა ხმოვნის აბოვარდნა სიტყვის ფუძეში; სახელის ფუძის კუმშვას იწვევს ხმოვნით დაწყებული ბრუნვის ნიშანი.

კუმშვადი რაც იკუმშება, კუმშვის თვისების მქონე. კუმშვადი სახელი.

კუმშვადობა კუმშვის თვისება, უნარი.

კუმშვად-კვეცადფუძიანი კუმშვადი და კვეცადი ფუძის მქონე (სახელი).

კურსივი, კურსივული შრიფტი მოხაზულობით ხელნაწერის მსგავსი ნაბეჭდი შრიფტი, რომლის ძირითადი ხაზები გადახრილია მარჯვნივ. იხმარება ტექსტში ხაზგასმული და გამოყოფილი ადგილების (ციტატების, საკუთარი სახელების, სათაურების...) ასაწყობად.

ლ

ლ. 1. მეთერთმეტე ასო ქართულ ანბანში (მეთორმეტე — ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია ლას-ი; 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ოცდაათს (30).

ლაბიალიზაცია ტუჩების მომრგვალებულად წამოწევა. ბგერის (მაგ. ო-სა და უ-ს) წარმოთქმისას.

ლაბიალიზება ლაბიალიზებულად ქცევა (ბგერისა).

ლაბიალიზებული ლაბიალიზაციით წარმოთქმა. ლაბიალიზებული თანხმოვანი. ო, უ-ს ვეძახით მომრგვალებულ ანუ ლაბიალიზებულ ხმოვნებს.

ლაბიალიზირება იხ. ლაბიალიზება.

ლაბიალური (ლათ. labialis) ტუჩების მომრგვალებით და წინ წამოწევით წარმოთქმული (ბგერა), ბაგისმიერი ბ, ფ, პ — ლაბიალური თანხმოვნებია, ო, უ — ლაბიალური ხმოვნები.

ლაბიალურობა ლაბიალურის თვისება, ბაგისმიერობა.

ლაბიო-დენტალური იგივეა, რაც კბილბაგისმიერი.

ლაზური იგივეა, რაც ჭანური (ამ ტერმინს ხმარობენ: გ. როზენი, ჰ. შუხართი, რ. ერკერტი, ჰ. აჭარიანი, ა. მეიე, ჟ. დიუმეზილი, ნ. მარი).

ლათინიზაცია ლათინური ანბანით შეცვლა (რომელიმე ენის ანბანისა); თურქული ანბანის ლათინიზაცია.

ლათინიზმი ლათინური ენიდან ნასესხები ან ლათინურის მიხედვით შექმნილი (ან სხვა თავისებურება).

ლათინური ძველი რომის ისტორიასთან, კულტურასთან დაკავშირებული. იგივეა, რაც ლათინური ენა.

ლაკონიზმი (ბერძნ. lacónismos) ღრმააზროვანი მოკლე თქმა, გულში ჩამწვდომი შეკუმშული პოეტური ფრაზა, მოხდენილი მოკლესიტყვაობა საერთოდ, ლაკონიზმი სიტყვის დაზოგვით აზრის მოსწრებულად გამოხატვის საშუალებაა.

ლაკონიური ლაკონიზმის ხასიათისა, მოკლედ და მკაფიოდ, სხარტულად გამოთქმული, ჩამოყალიბებული.

ლაკონიურობა ლაკონიურის თვისება, სხარტულობა.

ლაკური ენის კილოკავებია: ვიცხიური, კუმუხური, ვიხლიური...

ლაპიდალური სტილი (ლათ. lapidarius ქვაზე ამომჭრელი) აზრის სხარტად, მოკლედ და მკაფიოდ გამოხატვა, დახვეწილი მეტყველება.

ლაპიდალობა ლაპიდალურის თვისება, მოკლედ და მკაფიოდ გამოთქმა, გამოხატვა.

ლარინგალთა თეორია ამ თეორიის ფუძემდებელია ფერდინანდ დე სოსიური. როგორც ფრანგმა ასტრონომმა ლეევერიემ 1845 წ. აღმოაჩინა მანამდე უცნობი ნეპტუნი, ისე სოსიურმა თავისი სონანტური კოეფიციენტით გზა გაიყვანა ლარინგალებისაკენ. 1927 წ. პოლონელმა ენათმეცნიერმა კურილოვიჩმა დაადგინა, რომ ხშირ შემთხვევაში ხეთური ფონემა *ḫ* ეფარდება სოსიურის სონანტურ კოეფიციენტს — A-ს; შემდეგში ისიც გამოირკვა, რომ სომხურ ენაში გვხვდება *ḫ* ლარინგალი სიტყვის დასაწყისში (სომ. how ბაბუა, შდრ. ხეთ huhhas ბაბუა). ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში ხეთური ენა წარმოადგენდა ლარინგალისტების კელევის მთავარ საგანს. უკანასკნელ წლებში გამოირკვა, რომ სხვა ენებიც იძლევიან გამჭრალი ლარინგალების შესახებ საკმაო მასალას.

ლარინგალური თანხმოვნები ისეთი თანხმოვნები, რომელთა წარმოთქმისას სახმო სიმების მიერ (ყელში, ხორხში) დამოუკიდებლადაა წარმოებული ნაპრალოვანი (მაგ., ქართ. *ჰ*) ან ხშული (მაგ., მეგრ. *დ*).

ლარინგალური ჰიპოთეზა ინდოევროპული ფუძე-ენების უძველესი ფუძეებისა და აფიქსების რეკონსტრუქციისას ბევრი თანამედროვე ენათმეცნიერი ფართოდ იყენებს ე. წ. „ლარინგალურ ჰიპოთეზას“, რომლის ჩასახვაც დაკავშირებულია ფ. დე სოსიურის სახელთან (იხ. ლარინგალური თეორია).

ლარინგოსკოპი (ბერძნ. larynx ხორხი, skopeo ვხედავ) ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც ხდება ბგერის წარმოთქმაზე დაკვირვება.

ლატერალი (ლათ. latus გვერდი, lateralis გვერდითი) თანხმოვანი, რომლის წარმოთქმისას წინაენა ებჯინება ზედა კბილებს, ეხება რა თავისი ქვედა კიდით ქვედა კბილებსაც, ხოლო ჰაერნაკადი გამოსდინარეობს ენის გვერდებსა და ღაყების კედლებს შუა.

ლაფსუსი (ლათ. lapsus დავარდნა) უნებლიე შეცდომა (ნაწერში, მეტყველებაში).

ლეგურ-ალბანური ენები იგივეა, რაც დაღესტნის იბერიულ-კავკასიური ენები (ტერმინი ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილს).

ლექსემა (ბერძ. lexis სიტყვა, გამოთქმა) სალექსიკონო ერთეული, რომელშიც გაერთიანებულია სიტყვის სხვადასხვა პარადიგმული ფორმა (მაგ., კაცი, კაცმა, კაცსა და ა. შ.).

ლექსთხზულება ძვ. სინტაქსი.

ლექსთწარმოება ძვ. მორფოლოგია.

ლექსი ძვ. სიტყვა.

ლექსიკა (ბერძნ. lexikos სიტყვის შესახებ) სიტყვების მარაგი, ლექსიკური შემადგენლობა (ამა თუ იმ ენისა, დიალექტისა). ქართული ენის ლექსიკა, ფშაური ლექსიკა.

ლექსიკოგრაფია (ბერძნ. lexikos სიტყვის შესახებ და graphó ვწერ) ლექსიკონების შედგენის თეორია. ლექსიკონების შედგენა. სალექსიკონო მუშაობის წარმოება.

ლექსიკოგრაფიული ლექსიკოგრაფიასთან დაკავშირებული.

ლექსიკოგრაფოსი ლექსიკოგრაფიის სპეციალისტი.

ლექსიკოლოგი ლექსიკოლოგიის სპეციალისტი, ლექსიკოლოგიის დარგში მომუშავე.

ლექსიკოლოგია (ბერძნ. lexikos სიტყვის შესახებ და logos მოძღვრება) ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ენის ლექსიკას; მეცნიერება სიტყვის შესახებ. ძირითადი ლექსიკური ფონდი, ამა თუ იმ ენის სიტყვების ფონდი, რომელშიც შედის ყველა ძირეული სიტყვა, როგორც მისი ბირთვი. ლექსიკური შემადგენლობა, ყველა სიტყვა, რომელიც ამა თუ იმ ენაში არის.

ლექსიკოლოგიური ლექსიკოლოგიასთან დაკავშირებული.

ლექსიკონი (ბერძნ. lexikon) წიგნი, რომელშიც აღნუსხული და ანბანთ რიგზეა დალაგებული, განმარტებული, ახსნილი თუ თარგმნილი ესა თუ ის სიტყვა. განმარტებითი ლექსიკონი ლექსიკონი, რომელშიაც განმარტებულია რომელიმე ენის სიტყვები იმავე ენაზე: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ენციკლოპედიური ლექსიკონი ლექსიკონი, რომელიც მოიცავს ცოდნის ყველა დარგის თეორიულ და პრაქტიკულ ცნობებს, დალაგებულს ლექსიკონის წესით: „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია". თარგმნითი ლექსიკონი ორენოვანი ან სამენოვანი ლექსიკონი, რომელშიც ერთი ენის სიტყვები ზუსტად თარგმნილია მეორე ან მესამე ენაზე: „ქართულ-რუსული ლექსიკონი", „ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი". ინვერსიული ლექსიკონი ქართული სიტყვების ინდექსია, სადაც სიტყვები დალაგებულია მათი ბოლოკიდური ასოების (ბგერების) ანბანზე, ფუძეები გაწყობილია ბოლოკიდური ასოების მიხედვით, სიტყვათა ერთგვარი დაბოლოებანი ერთადაა თავმოყრილი, რაც საშუალებას იძლევა შევარჩიოთ საილუსტრაციო მასალა ამა თუ იმ ენის გრამატიკის სწავლებისას. ისტორიული ლექსიკონი ლექსიკონი, რომელშიც ამა თუ იმ ენის სიტყვების ისტორია, მათი მნიშვნელობის განვითარებაა წარმოდგენილი. ონომასტიკური ლექსიკონი ლექსიკონი, რომელშიც აღნუსხულია ამა თუ იმ ენაში გავრცელებული პირთა საკუთარი სახელები და გარკვეულია მათი წარმოშობა და მნიშვნელობა. მწერლის ლექსიკონი გამოცემა, რომელშიც აღნუსხული და ანბანის რიგზეა გაწყობილი, საჭირო-

ების შემთხვევაში კი განმარტებული, ისეთი სიტყვები, რომლებიც გვხვდება ერთი მწერლის თხზულებებში. ორთოგრაფიული ლექსიკონი ლექსიკონი, რომელშიც შესულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო მეტყველების ძირითადი მარაგის სიტყვები, რომელთა ამა თუ იმ ფორმის დაწერისას ან სხვადასხვაობა იჩენს თავს დღევანდელ ენაში, ან კიდევ მოსალოდნელია დაშვებულ იქნეს რაიმე შეცდომა: „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“. სიმფონიური ლექსიკონი ამა თუ იმ ძეგლის ლექსიკონი, რომელშიც შეტანილია ყველა სიტყვა, რაც კი მასში გვხვდება: „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი“. სინონიმთა ლექსიკონი ლექსიკონი, რომელშიც წარმოდგენილია ბგერითი შედგენილობით განსხვავებული, მაგრამ მნიშვნელობით ერთნაირი ან ძალიან ახლოს მდგომი სიტყვები: „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“. სიხშირის ლექსიკონი ისეთი ლექსიკონი, სადაც ყოველ სიტყვას მიწერილი აქვს რიცხვი, რომელიც გვიჩვენებს ამ სიტყვის სიხშირეს რომელიმე ენის ტექსტების გარკვეულ მთლიანობაში (მაგ., თუ სიტყვას მიწერილი აქვს 0,0217, ეს ნიშნავს, რომ 10 000 სიტყვის სიგრძის ტექსტში 217-ჯერ გვხვდება ეს სიტყვა): ცნობილია სიხშირის ლექსიკონები ფრანგული, ინგლისური, გერმანული, ესპანური, რუსული, დანიური, ისლანდიური, ნორვეგიული, შვედური, ჰოლანდიური, ლათინური და სხვ. ენებისათვის. ტერმინოლოგიური ლექსიკონი ლექსიკონი, რომელშიც შეტანილი და ახსნილია მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკისა და კულტურის ამსახველი ტერმინები და მოცემულია მათი განმარტებები: „სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია“, „მეტალურგიული ტერმინოლოგია“, „ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები“. უცხოურ სიტყვათა ლექსიკონი ლექსიკონი, რომელშიც უცხოური სიტყვა განმარტებულია მშობლიურ ენაზე: „უცხოურ სიტყვათა ლექსიკონი“. ფსევდონიმების ლექსიკონი ლექსიკონი, რომელშიც ამოხსნილია ფსევდონიმები...

ლექსიკური ველი ლექსიკის ის სექტორი, რომელიც გაერთიანებულია მიმართებებით პარალელიზმისა (სინონიმები), კონტრასტისა (ანტონიმები), თანამიმდევრობისა (სიტყვათა მეტონიმური და სინეკდოხური ხასიათის ურთიერთობანი) და, რაც მთავარია, სხვადასხვა ხასიათის დაპირისპირებებით.

ლექსიკური მნიშვნელობა მნიშვნელობა, რომელიც გადმოცემულია უშუალოდ სიტყვათა შინაარსით. ამიტომ იგი უფრო კონკრეტული, ხელშესახებია.

ლეჩხუმური კილო (ქართული ენისა) ლეჩხუმური მეტყველება, გავრცელებული ლეჩხუმში, რომელსაც ძველად თაკვერი ეწოდე-

ბოდა; ცაგერის რ.

ლიგატურა (ლათ. ligatura-დან კავშირი) ორი ან მეტი ასო, ერთი ნიშნით, თხზულად დაწერილი; ხელრთვა.

ლიეზონი (ფრანგ. liaison შეერთება, შეკავშირება) ჰიატუსის ასარიდებლად თანხმოვნის ჩართვა სიტყვის ბოლო ხმოვანსა და მომდევნო სიტყვის თავკიდურ ხმოვანს შუა: ფრანგ. nous — წარმოითქმის nu, მაგრამ ხმოვნით დაწყებული სიტყვის წინ წარმოითქმის გამქღერებული სახით (r): nous allons მივდივართ nu zalb.

ლინგვა ფრანკა (Lingua franca) ენათმეცნიერებაში მიღებული ტერმინი, რომელიც გამოიყენება ნარევი ენის აღსანიშნავად. ეს ენა წარმოიშობა იმ ენებში, რომლებისთვისაც დამახასიათებელია შვრეული ეროვნების მოსახლეობა. მისთვის ნიშანდობლივია გამოყენების შედარებით ვიწრო სფერო: ამ ენას მიმართავენ მხოლოდ სხვადასხვა ხალხთა წარმომადგენლების ურთიერთობისას, რომელთაგან თითოეული თავის თანამემამულეთა წრეში საკუთარ მშობლიურ ენაზე ლაპარაკობს.

ლინგვისტი ლინგვისტიკის სპეციალისტი — ენათმეცნიერი.

ლინგვისტიკა (გერმ. Sprachwissenschaft) ენის შესახებ მეცნიერება, შემდგარი პრედლინგვისტიკის, მიკროლინგვისტიკისა და მეტალინგვისტიკისაგან (ტერმინი „ლინგვისტიკა“ ამ დისციპლინას შეარქვა ფრანგმა პოეტმა, რომანისტმა და მწერალმა შარლე ნოდემ). ლინგვისტური პალეონტოლოგია ენათმეცნიერების დარგი, რომელიც ცდილობს ენობრივ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე აღადგინოს ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის უძველესი საფეხურები. ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა (ინგლ. anthropological linguistics) ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს სამწერლობო ენებს. არეალური ლინგვისტიკა (გერმ. Areallinguistik 1. ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს ლინგვისტიკურ არეალებს (ლათ. arealis ზედს. სიტყვისა area ფართობი, მოედანი); შდრ. ლინგვისტიკური გეოგრაფია; 2. მიმართულება ენათმეცნიერებაში, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ლინგვისტიკურ არეალებს. ატომისტური ლინგვისტიკა (ინგლ. atomistic linguistics) მიმართულება ენათმეცნიერებაში, რომელიც სწავლობს ინდივიდუალურ ენობრივ ერთეულებს და იხილავს თითოეულს ცალ-ცალკე. შდრ. სტრუქტურული ლინგვისტიკა. აღწერითი ლინგვისტიკა (სინქრონული ლინგვისტიკა) (ინგლ. descriptive linguistics) ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს ენის თანამედ-

როვე (სინქრონულ) მდგომარეობას; ბიჰევიორისტული ლინგვისტიკა (behaviourist linguistics) მიმართულება ენათმეცნიერებაში, რომელიც ენას განიხილავს, როგორც ადამიანის ყოფაქცევის ერთ-ერთ ფორმას. გამოყენებითი ლინგვისტიკა (ინგლ. applied linguistics) 1. ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც ამუშავებს ენის შესახებ მეცნიერების თეორიას თანამედროვე სპეციფიკური პრაქტიკული ამოცანების საფუძველზე, როგორიცაა: მანქანური თარგმანი, ინფორმაციის ავტომატური ძიება და ა. შ. ენათმეცნიერების დარგი, რომელიც არ შედის მიკროლინგვისტიკაში. დესკრიფციული ლინგვისტიკა (ინგლ. descriptive linguistics აღწერითი ენათმეცნიერება) ენათმეცნიერული მიმდინარეობა, რომელიც აღწერს ენის სინქრონულ მდგომარეობას დისტრიბუციული მეთოდის საშუალებით. ამერიკული დესკრიფციული ენათმეცნიერება სხვა არაფერია, თუ არა ბიჰევიორიზმი ენათმეცნიერებაში. დინამიკური ლინგვისტიკა (ინგლ. dynamic linguistics) 1. იგივეა, რაც ისტორიული ლინგვისტიკა; 2. ენათმეცნიერება, როგორც მეცნიერება, რომელიც სწავლობს ენას მის რეალურ არსებობაში; შდრ. სტატიკური ლინგვისტიკა. ეკზოლინგვისტიკა (ინგლ. exolinguistics) იგივეა, რაც მეტალინგვისტიკა (1 მნიშვნ.). ზოგადი ლინგვისტიკა (გერმ. allgemeine Sprachwissenschaft) ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს სხვადასხვა ენებსა და ენების ჯგუფებს ენობრივი პროცესების ზოგადკაცობრიული თვისებების გამოვლენის მიზნით. ისტორიული ლინგვისტიკა (დიაქრონიული ლინგვისტიკა) დიაქრონიული ლინგვისტიკა, დინამიკური ლინგვისტიკა, ევოლუციური ლინგვისტიკა (ინგლ. historical linguistics) მიმართულება ენათმეცნიერებაში, რომელიც ენის შესწავლას მოითხოვს მისი განვითარების კონკრეტულ ისტორიასთან კავშირში. მათემატიკური ლინგვისტიკა (ინგლ. mathematical linguistics) ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს მათემატიკური მეთოდების შესაძლებლობას ენის აღწერასა და გამოკვლევაში. მაკროლინგვისტიკა (ინგლ. macrolinguistics) 1. ენათმეცნიერება, როგორც კომპლექსური და ამასთანავე ერთიანი მეცნიერება, რომელიც იყოფა პრე, მიკრო და მაკროლინგვისტიკად. 2. ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც ენას სწავლობს ფართო მასშტაბით სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით. მეტალინგვისტიკა (ანუ მეცნიერება ლინგვისტიკური ელემენტების თეორიათა შესახებ) (ინგლ. metalinguistics) 1. ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ენის შინაარსს მოლაპარაკე კოლექტივის აზროვნებასა და საზოგადო-

ებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებით, როგორც აუცილებელ პირობას ლინგვისტიკურ ერთეულსა და მის კანონზომიერებაში ჩასაწვდომად; მეტალინგვისტიკის სფეროში შედის ისეთი საკითხები, როგორიცაა: მეტყველების აღქმა, სემანტიკური დიფერენციაციის საერთო ლოგიკა, ენის შეთვისების კანონზომიერებანი (ბავშვის ენის განვითარება, ორენოვნება და სხვ.). 2. „ძეორე რიგის“ (მეტაენის) მეცნიერება ენის შესახებ, რომლის შესასწავლი ობიექტია ბუნებრივი ადამიანური ენა. მიკროლინგვისტიკა (ინგლ. micro-linguistics) ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს ენობრივი სისტემის შიგნით კავშირს, ურთიერთდამოკიდებულებასა და დაპირისპირებას. შდრ. მაკროლინგვისტიკა, მეტალინგვისტიკა, პრელინგვისტიკა. პრელინგვისტიკა (ინგლ. prelinguistics) (ფონეტიკა (განსხვავებით ფონოლოგიისაგან), გააზრებული, როგორც აუცილებელი საფეხური ბგერითი მეტყველების ფონოლოგიური (სემიოლოგიური) თვისების შესასწავლად. სოციოლოგიური ლინგვისტიკა იგივეა, რაც სოციოლინგვისტიკა. სტატიკური ლინგვისტიკა (ინგლ. static linguistics) ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს ენას ერთ მდგომარეობაში და სრულიად არ ღებულობს მხედველობაში მის განვითარებასა და ცვლილებებს. სტრუქტურალიზმი თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი მიმდინარეობა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ენის სტრუქტურის შესწავლაზე; სტრუქტურალიზმი ენათმეცნიერებაზე ადრე გაჩნდა ფსიქოლოგიაში „გეშტალტ თეორიის“ სახით (ვერტჰაიმერი, კოფკა...). სტრუქტურული ლინგვისტიკა (ინგლ. structural linguistics) თანამედროვე ენათმეცნიერების სხვადასხვა მიმართულების საერთო სახელწოდება (პრაღის ლინგვისტიკური სკოლა, გლოსემატიკა, დესკრიფციული ლინგვისტიკა), გამოიმუშავეს სტრუქტურული დამოკიდებულების ზუსტი აღწერის მეთოდები ენის ერთეულთა შორის; ტრადიციული ლინგვისტიკა (ინგლ. traditional linguistics) სტრუქტურალისტების წარმომადგენელთა მიერ გამოყენებული ტერმინი, რომლითაც აღნიშნავენ ენათმეცნიერების იმ მიმართულებას, რომელიც ტრადიციას მიყვება, და არ იფარგლება ენის მიკროლინგვისტიკური აღწერით, არ გააჩნია ენის შესწავლის ზუსტი მეთოდები და სხვ. ფსიქოლინგვისტიკა (ინგლ. psycholinguistics). 1. ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს მეტყველების პროცესს შინაარსის თვალსაზრისით, ბუნებრივი ენით გადაცემული შინაარსის ბუნებასა და თვისებას; 2. იგივეა, რაც მეტალინგვისტიკა (ტერმინი პირველად იხმარა ამერიკელმა ფსიქოლოგმა ნ. პრონკომ 1946 წ. გამოქვეყ-

ნებულ ნაშრომში „ენა და ფსიქოლინგვისტიკა“, 1953 წელს კი ამ სიტყვამ მიიღო მეცნიერული ტერმინის მნიშვნელობა).

ლინგვისტიკური (ინგლ. linguistic) ლინგვისტიკასთან დაკავშირებული, — ენათმეცნიერული: ლინგვისტიკური ანალიზი, ლინგვისტიკური ატლასი, ლინგვისტიკური შესწავლა, ლინგვისტიკური გამოკვლევა: ლინგვისტიკური გეოგრაფია (დიალექტოგრაფია, ენობრივი გეოგრაფია) დიალექტოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს დიალექტურ თავისებურებებს, მაგრამ დიალექტთა არსებობას უარყოფს. ლინგვისტიკური ისტორიოლოგია (ინგლ. linguistic historiology) საერთო მოძღვრება ენობრივი ევოლუციის შესახებ; ლინგვისტიკური კარტოგრაფია (ინგლ. linguistic cartography) დიალექტურ თავისებურებათა განლაგება რუკებზე ისოგლოსების ან სხვა პირობითი ნიშნების საშუალებით; ლინგვისტიკური პალეონტოლოგია (ინგლ. linguistic paleontology) ენათმეცნიერების ნაწილი, რომლის მიზანია მოცემული ენის თავდაპირველი მომხმარებლების აზროვნების ხასიათის, ცხოვრების პირობებისა და ტერიტორიული გავრცელებულობის აღდგენა ენის ლექსიკისა და სხვა თავისებურებათა გათვალისწინების საფუძველზე; ენობრივ მონაცემთა ანალიზით აღადგენს ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის უძველეს საფეხურებს. ლინგვისტიკური ფსიქოლოგია (მეტყველების ფსიქოლოგია) (გერმ. Sprachpsychologie) ფსიქოლინგვისტიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს ენის განვითარების პროცესების შინაგან მხარეებს; ლინგვისტიკური სტატისტიკა (ინგლ. linguistical statistics) სტატისტიკური მეთოდების გამოყენება მეტყველებისა და ენის სისტემაში; ლინგვისტიკური სტილისტიკა იხ. სტილისტიკა; ლინგვისტიკური ფილოსოფია იგივეა, რაც ენის ფილოსოფია.

ლინგვისტიკური ინტერფერენცია (ლათ. inter შორის, ურთიერთ და ferens გადამტანი) ლინგვისტიკაში წარმოადგენს ორი ენის სტრუქტურის და სტრუქტურული ელემენტების ურთიერთზემოქმედებას ორენოვანი მოსახლეობის ურთიერთობის პროცესში (ტერმინი „ინტერფერენცია“ თავდაპირველად გავრცელდა ფიზიკაში (ოპტიკასა და აკუსტიკაში); ამჟამად ფართოდ იყენებენ პედაგოგიკაში, ფსიქოლოგიასა და ენების სწავლების მეთოდიკებში, სადაც „ინტერფერენცია“ გულისხმობს ჩვევათა გადატანას, ე. ი. ჩვევათა ისეთ ურთიერთმოქმედებას, როცა წინათ შეძენილი ჩვევა მოქმედებს ახლად შეძენილ ჩვევაზე; ინტერ-

ფერენცია შერეული მეტყველება (смешанная речь).

ლინგვისტიკური მახვილი ისეთი მახვილია, რომელიც ტრადიციულია მოცემული ენისათვის.

ლინგვისტიკური პოლიტიკა იგივეა, რაც ენობრივი პოლიტიკა.

ლინგვისტიკური გაწყობა, ენობრივი გაწყობა გაწყობის წესი, რომლის დროსაც ბეჭდვითი ნაწარმოებები ჯგუფდება გამოცემის ენათა მიხედვით; ენობრივი ჯგუფები შიგნით ნებისმიერი წესითაა განლაგებული (მაგ., ანბანურად, სისტემატურად, ქრონოლოგიურად და ა. შ.).

ლინგვისტიკური მსაზღვრელი იხ. ენის მსაზღვრელი.

ლიტერატურის ენა (die Sprache der Literatur) ენა, რომლითაც დაწერილია ესა თუ ის მხატვრული თუ პუბლიცისტური ნაწარმოები.

ლიტერატურული ენა (literarische Sprache) მხატვრული ლიტერატურის ენა, მწიგნობრული ენა საერთოდ. ტერმინი „ლიტერატურული ენა“ განსაკუთრებით გავრცელებულია სსრ კავშირში, საფრანგეთში (langue litteraire), იტალიაში (lingua litterarie) და სხვ., მაგრამ იგი ერთადერთი არ არის, გვხვდება სხვა ტერმინიც, განსაკუთრებით ინგლისურ და ამერიკულ სპეციალურ ლიტერატურაში. აქ იყენებენ: „ენობრივ სტანდარტს“ ან „სტანდარტულ ენას“. უკანასკნელ წლებში ეს ტერმინი გავრცელდა სლავთმცოდნეობაში; გერმანულ ენათმეცნიერებაში ამავე მნიშვნელობით იხმარება Schriftsprache („წერითი ენა“), ამ უკანასკნელ წლებში კი — Gemeinsprache „საერთო ენა“. ამავე მნიშვნელობით ხმარობენ ამ ტერმინს ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში.

ლოგიზმი მიმდინარეობა, რომელიც რაიმე დარგის (მაგ., გრამატიკის) ცნებასა და კატეგორიებს განიხილავს, როგორც ლოგიკის ცნებათა და კატეგორიათა გამოსახულებას.

ლოგიკა (ბერძნ. logikè) მეცნიერება აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ.

ლოგიკური ლოგიკის მიხედვითი, ლოგიკიდან გამომდინარე.

ლოგიკური მახვილი წინადადებაში რაიმე მხრით საინტერესო სიტყვის ხმის აწევით წარმოთქმა.

ლოგიცისტი ლოგიციზმის მიმდევარი.

ლოგიცისტური ლოგიციზმის ხასიათისა, ლოგიციზმის პრინციპზე აგებული.

ლოგოგრიფი (ბერძ. logos სიტყვა, griphos გამოცანა) სიტყვების შემოკლება ასოების გამოკლებით; მაგ., მთელი სიტყვა სახელია ჩვენი გამოჩენილი პოეტისა. მოაკელით წინიდან ერთი ასო და გამოვა სახელი ქალისა... მოაკელით კიდევ ერთი ასო, გამოვა სურნელოვანი ყვავილი, რომელიც ადრე გაზაფხულზე მოდის. მოაკელით კიდევ ერთი ასო და გამოვა პირველი ასო ყველა ანბანისა. მა-

შასადამე, ძირითადი სიტყვაა ი ლ ი ა.

ლოგოპედი ლოგოპედიის სპეციალისტი.

ლოგოპედია (ბერძნ. logos მეტყველება, paideia აღზრდა, სწავლება) მეცნიერება, რომელიც იკვლევს და მკურნალობს დეფექტურ მეტყველებას (ენამოშლილობის სხვადასხვა ფორმას — ენაჩლუნგობას, ენაბლუობას...).

ლოკალური (ლათ. localis -იდან) განსაზღვრული ადგილისათვის დამახასიათებელი, ადგილობრივი.

ლოკალური ბრუნვები (ლათ. localis-იდან) ადგილობითი ბრუნვები, ბრუნვები, რომლებიც განსაზღვრულ ადგილზე მიუთითებენ; ლოკალური ბრუნვებია: სადაობითი, გამოსვლითი, მიწევნითი.

ლოკატივი ადგილობითი ბრუნვა (ზოგიერთ ენაში; ქართ. -ზე ან -ში თანდებულიანი მიცემითის შესაბამისი).

ლურსმული დამწერლობა დამწერლობა, რომელიც უმარტივესი ელემენტის სახით იყენებს ლურსმნის (სოლის) მოყვანილობის ნიშნებს. იგი ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ურთიერთობაში ფართოდ იყო გამოყენებული. ლურსმული დამწერლობა ერთერთ ურთულეს დამწერლობად ითვლება. მას 400-მდე მრავალმნიშვნელოვანი ნიშანი აქვს. ლურსმულ დამწერლობას იყენებდნენ შუამდინარეთის (ტიგროსსა და ევფრატს შორის მოქცეული ტერიტორიის) უძველეს სახელმწიფოებში — ბაბილონსა და ასურეთში, მცირე აზიის უძველესი მოსახლეობის — ხეთების სახელმწიფოში, ხურიტული მოსახლეობის უდიდეს გაერთიანებაში — მითანის სამეფოში, სირიაში, ირანში, ურარტუში. ლურსმული დამწერლობის შემქმნელებად ითვლებიან შუმერები — ბაბილონის უძველესი მცხოვრებლები. შუმერებისაგან ეს დამწერლობა შეითვისეს ბაბილონელებმა, ამათგან კი ხეთებმა. მითანელებმა, ასურელებმა, ელამელებმა, ხოლო ძვ. წ. IX ს-ში — ურარტუელებმა, VI ს-ში — სპარსელებმა. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ლურსმული დამწერლობა მკვდარი დამწერლობა იყო (გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი).

მ

მ. 1. მეთორმეტე ასო ქართულ ანბანში (მეცამეტე — ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია **მან**-ი; 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ორმოცს (40).

მათემატიკური ენათმეცნიერება ერთგვარი „ხიდია" ენათმეცნიერებასა და კიბერნეტიკას შორის. იგი ორივე მეცნიერებას ემსახურება, კიბერნეტიკას — როგორც საფუძველი თარგმანის ავტომატიზაციის მეთოდების შემუშავებისათვის, ენათმეცნიერებას—როგორც საკუთრივ მისი დარგი ენის

სტატიკური სტრუქტურებისა და ენის მოდელირების შესახებ.

მაიუსკული (ლათ. majusculus რამდენადმე დიდი) მთავრული, დიდი ასოები, რომლებსაც იყენებენ ძველი მწერლობის ენებში (უმთავრესად ბერძნულსა და ლათინურში); საპირისპ. მინუსკული.

მაიუსკულური დამწერლობა ძველი ლათინური და ბერძნული დამწერლობის ნაირსახეობა, რომელშიც მხოლოდ მთავრული ასოებია გამოყენებული.

მაკროტოპონიმია დიდი გეოგრაფიული ერთეულების, სახელმწიფოების, ქალაქების, მდინარეების, ზღვების, ტბების, ოკეანეთა და ზღვათა სახელწოდებათა ერთობლიობა.

მამრობითი ნათესავი ძვ. მამრობითი სქესი.

მანუსკრიპტი (ლათ. manuscriptum) ხელნაწერი, უმთავრესად ძველი.

მართვა სიტყვათა ისეთი დამოკიდებულება, როდესაც წამყვანი სიტყვა იკავშირებს დაქვემდებარებულ სიტყვას ისეთი ფორმით, რომელიც მას არა აქვს მოცემულ შემთხვევაში, ანდა შეიძლება საერთოდაც არ გააჩნდეს; მაგ., „ტყის ჰაერმა პავლე გამოაცოცხლა“ (მ. ჯავ.).

მართლ-უბნობა ძვ. იგივეა, რაც ორთოეპია (ტერმინი ეკუთვნის ანტონ პირველს).

მართლწარმოთქმა იგივეა, რაც მართლმეტყველება, ორთოეპია.

მართლწერა წერის წესების სათანადოდ დადგენილი სისტემა ამა თუ იმ სალიტერატურო ენაში — ორთოგრაფია.

მართულია განსაზღვრება, რომელიც არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით არის გადმოცემული (უთანდებულოდ) და აღნიშნავს კუთვნილებას ან მასალას: მაგ., „იმ დალოცვილის რქებში არწივი გაიკეთებდა ბუდესა“ (თ. რაზ.).

მართული მსაზღვრელი ისეთი მსაზღვრელი, რომლის ფორმაც დამოკიდებულია მეორე სიტყვაზე მართვით (მართულ მსაზღვრელს ზოგჯერ „ნათესაობითში დასმულ მსაზღვრელსაც“ უწოდებენ. გამოთქმა ზუსტი არაა: ნათესაობითში დასმული შეიძლება ატრიბუტული მსაზღვრელიც იყოს იხ. ქართველურ ენათა სტრ. საკითხები, ტ. II, 1961, გვ. 75).

მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტი ისეთი კომპოზიტი, რომლის შემადგენლობაში შედის ნათესაობით ბრუნვაში დაყენებული სახელი: ცისკარი, ღვინობისთვე, ერისთავი, წუთისოფელი, ცხვირსახოცი...

მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი (გენიტიური სახელი) ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი მსაზღვრელი, უკან დასმული და ხელახლა ნაბრუნევი: სახლი ხისა, სახლმა ხისამ,

სახლსა ხისას, სახლად ხისად, სახლო ხისავ.

მარიზმი მიმართულება ენათმეცნიერებაში, რომელიც ემყარებოდა „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებას“ (ადრინდელ „იაფეტურ თეორიას“) და 1950 წლამდე წარმოადგენდა ზოგად ლინგვისტიკურ თეორიას, მოძღვრებას ენის განვითარების ზოგადი კანონების შესახებ; ნ. მარი და მისი მიმდევრები უარყოფდნენ ენათა გენეტიკურ ნათესაობას, ებრძოდნენ ისტორიულ-შედარებით მეთოდს, ენას ზედნაშენად მიიჩნევდნენ.

მარისტი ცნობილი ენათმეცნიერის, ნიკო მარის თეორიის მიმდევარი.

მარტივი გაორკეცება ფუძეგაორკეცებული კომპოზიტების ისეთი სახე, როცა გამეორებულია სახელის ფუძე ან ძირი: მამა, დედა, პაპა, გოგო, ძუძუ, წამწამი...

მარტივი სიტყუა ძვ. მარტივი წინადადება.

მარტივია შემასმენელი, რომელიც ზმნის პირიანი ფორმით არის გადმოცემული; მაგ., „აივანზე კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა“ (ი. ევდ.).

მარტივია წინადადება, რომელშიაც აზრი ერთი ან ერთმანეთთან დაქვემდებარებით (და საურთიერთო დაქვემდებარებით) დაკავშირებული რამდენიმე სიტყვით გადმოიცემა; მაგ.: „გადიქუხა. ჩიტებმა მორთეს ერთხმად სიმღერა“ (ვაჟა).

მარტივი წინადადება შედგენილობის მიხედვით შეიძლება იყოს ერთშემადგენლიანი და ორშემადგენლიანი. მაგ., „ქოხში საკმაოდ ჩამობნელდა“ (ა. ყაზ.). „ქარი გრიალებდა“ (თ. რაზ.).

მარცვალი მეტყველების ერთერთი ყველაზე ბუნებრივი ერთეული, სიტყვის ნაწილი (ბგერა ან ბგერათა ჯგუფი), რომელიც ერთი ამოსუნთქვით წარმოითქმება. დახურული მარცვალი ისეთი მარცვალია, რომელიც მთავრდება უმარცვლო ბგერით (მაგ.: სად, ტყეს, მარ-ცვლის, სკამ-თან და ა შ.). „სონორობის თეორია“ მარცვლად აღიარებს წარმოთქმის მონაკვეთს, რომლის ცენტრს წარმოადგენს ნაკლებ სონორთა შუა მოქცეული მათზე მეტი სონორების მქონე ბგერა (ამ თეორიას უფრო მეტი მომხრე ჰყავს). ღია მარცვალი ისეთი მარცვალი, რომელიც მთავრდება მარცვლოვანი ბგერით (მაგ., მა-მა, დე-და, ხა-ხა, კა-კა-ნა-თი და სხვ.). „შემარიგებლობითი თეორია“ გულისხმობს ჯახებისა და სონორობის თეორიის ერთგვარ შერიგებას: ზოგ მარცვალს ჰქმნის ბგერის გაძლიერება, ზოგს — ბგერის სისონორობაო, — ამბობენ ამ თეორიის დამცველები. „ჯახების თეორია“ მარცვლად მიიჩნევს ბგერას ან ბგერათა ჯგუფს, რომელიც წარმოითქმის ჰაერნაკადის ერთი ძთლიანი ჯახებით (ამ თეორიას სპეციალისტთა უმრავლესობა არ იზიარებს) (ტერმინი მარცვალ-

ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს).

მასდარი იგივეა, რაც საწყისი.

მატრონიმი (ინგლ. matronymic) საკუთარი სახელი, ნაწარმოები დედის სახელისაგან. შდრ. პატრონიმი.

მაქსიმა (ლათ. maxima (regula, sententia) ძირითადი წესი, პრინციპი ლოგიკური თუ ეთიკური პრინციპი, რომელიც გამოხატულია მოკლე ფორმულაში, წესი, ქცევის ნორმა; მაღალი აზრების მოკლედ გადმოცემის ხელოვნება.

მაღალი აწეულობის ხმოვნები ქართულში მაღალი აწეულობის ხმოვნებია ი—ჲ, უ, ჳ, რომელთა წარმოთქმისას ენა აწეულ მდგომარეობაშია. ამ ხმოვნებს ეძახიან აგრეთვე ვიწრო ანუ დახურულ ხმოვნებს.

მახვილი მეტყველების ელემენტთა გამოყოფა-გამოჩინება ან. მათი ერთმანეთთან დაპირისპირება სიძლიერე-სიმახვილით და ამათი მოდულაციით. ბარიტონონი (ბერძნ. barytonon) სიტყვა, რომელსაც მახვილი ბოლოდან პირველ მარცვალზე დაესმის (განსაკუთრებით ახასიათებს ძვ. ბერძნულს). მახვილი ლინვისტური ტრადიციულად დაძკვიდრებული ტიპი მახვილისა, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ენისათვის და ამითაც განსხვავდება ეს ენა სხვა ენისაგან. მახვილი ლოგიკური შესიტყვებაში რაიმე მხრივ მეტად მნიშვნელოვანი სიტყვის გამოყოფა-გამოჩინება (ა. ალხაზიშვილი ამ ტერმინის ნაცვლად ხმარობს „პრედიკატულ გამოყოფას"). მახვილის ცვლა ხმის გაძლიერების ან ტონის ამაღლების ცვლა სიტყვის ამა თუ ამ მარცვალზე (ან მარცვლებზე). მაგ., რუს. бéрега — ნაპირსა (მხ. რ., ნათ. ბრ.) და берегá ნაპირები (სახ. ბრ., მრ. რ.); стены — კედლისა და стéны კედლები; мукá ფქვილი და мýка ტანჯვა. წამება. თანამახვილი სიტყვის მეორეხარისხოვანი მახვილი. მარცვალთმახვილი ის ბგერათსიძლიერე ან ბგერათსიმაღლე და მათი ძოდულაცია ერთი მარცვლის ფარგლებში, რითაც ერთი მარცვალი განსხვავდება სხვა მარცვლისაგან ან უპირისპირდება მას. მთავარი მახვილი ერთზე მეტ მარცვლიან სიტყვაში სიძლიერე-სიმაღლით გამოყოფილი მარცვლის მახვილი. მუსიკალური ანუ ტონური მახვილი სიმაღლით გამოყოფა ან გამოჩინება ან მისი მოდულაცია. ოქსიტონონი (ბერძ. oxytonon) სიტყვის მკვეთრი მახვილი ბოლოდან პირველ მარცვალზე. პაროქსიტონონი (ბერძ. paroxytonon) სიტყვის მკვეთრი მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე; პროპაროქსიტონონი (ბერძ. properoxitumenon) სიტყვის მკვეთრი მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე; პერისპომენონი (ბერძ. perispomenon) სიტყვის შემოსული მახვილი ბოლოდან გრძელ პირველ მარცვალზე; პროპერისპომენონი (ბერძ. properispomenon) სიტყვის

შემოსული მახვილი ბოლოდან მეორე გრძელ მარცვალზე (მახვილის ეს სახეები დამახასიათებელია ძვ. ბერძნულისათვის). სიტყვათმახვილი ერთზე მეტ მარცვლიან სიტყვაში ერთ-ერთი მარცვლის დანარჩენ მარცვალთაგან გამოყოფა-გამოჩინებაა, ხოლო ამგვარად გამოყოფილ-გამოჩინებულ მარცვალს მახვილიანი მარცვალი ჰქვია. სიძლიერის ანუ დინამიკური (ანუ ექსპირაციული) მახვილი სიძლიერით გამოყოფა-გამოჩინება ან მათი მოდულაციაა.

მდაბიური მეტყველება ძვ. მდაბიოს შესაფერი, უბრალო, სადა, ხალხური მეტყველება.

მეგრულის კილოკავებია სენაკური და ზუგდიდურ-სამურზაყანური.

მეთოდი (ბერძ. methodos გამოკვლევა) მოვლენის კვლევის ხერხი, — მიდგომა შესასწავლი მოვლენებისადმი, ჰეშმარიტების დადგენის გეგმაშეწონილი გზა. მეთოდი ადიტიური (მეთოდი შეკრების) არაფიქსირებული ფორმების რეკონსტრუქციის მეთოდი (როგორც ვარიანტი შედარებით-ისტორიული მეთოდისა) უბრალო შეკრების გზით აჯამებს რა ცალკეულ ენებში არსებულ ყველა ელემენტს, რომლებიც კი გვხვდება მათს ლექსიკურ-მორფოლოგიურ შემადგენლობაში. მეთოდი ატომური (მეთოდი განმაცალკევებელი) მეთოდი, რომელიც ცალკე იხილავს ლინგვისტიკურ მოვლენას, დამახასიათებელს XIX ს. ენათმეცნიერებისათვის. (განსხვავებით სტრუქტურული ენათმეცნიერებისაგან, რომელიც ენობრივ მოვლენებს აანალიზებს მათი ურთიერთდამოკიდებულების სისტემაში). მეთოდი გეოგრაფიული მეცნიერული ხერხი, რომელიც მდგომარეობს ენის ელემენტების კარტოგრაფიაში, სადაც ასხვავებენ მის დიალექტებს ერთმანეთისაგან. მეთოდი გლოტოქრონოლოგიის (ანუ ლექსიკურ-სტატისტიკური მეთოდი) სტატისტიკური მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა მონათესავე ენების ლექსიკის დაახლოებისა და დაშორება-დაცილების ხარისხის ობიექტურად დადგენისას (ამ მეთოდის წარმომადგენლებია ამერიკელი ენათმეცნიერები: მორის სვოდეში და ჰარი ხოიერი). მეთოდი დესკრიფციული ენის აღწერის მეთოდი, რომელიც მოითხოვს ტექსტის ყველაზე ეკონომიურსა და ამომწურავ ფორმულირებასა და ემპირიულ „აღწერას“. მეთოდი ექსპერიმენტალურ-ფონეტიკური (მეთოდი ობიექტური) მეცნიერული ხერხი, რომელიც იკვლევს მეტყველების ბგერითს მხარეს ბგერის ჩამწერი აპარატის საშუალებით. მეთოდი იმანენტური აბსტრაქტული ენობრივი სტრუქტურის წმინდა ფორმალური აღწერის. მეთოდი „შინაარსის სუბ-

სტანციისა" და „გამოხატვის სუბსტანციის" მიუმართავად. მეთოდი ინტეგრალური (მთლიანი ანალიზის მეთოდი) ენათმეცნიერული კვლევის მეთოდი, რომელიც უპირისპირდება ცალკეული (იზოლირებული) ფაქტების დაკვირვების მეთოდს. მეთოდი ლინგვისტიკური ხერხების ერთობლიობა, გამოყენებული ენის კვლევაში. მეთოდი ობიექტური 1. იგივეა, რაც ექსპერიმენტალურ-ფონეტიკური მეთოდი; 2. ლინგვისტიკური აღწერის მეთოდი, დაფუძნებული ენის ისტორიის შესწავლაზე. მეთოდი სტრუქტურული ენის შესწავლის მეთოდი, რომელიც ყურადღებას აქცევს ეხის შინაგან სისტემას, სტრუქტურას. მეთოდი შედარებით-ისტორიული (მეთოდი კომპარატიული, მეთოდი შედარებით — გრამატიკული) მეცნიერული ხერხი, რომლის საშუალებითაც ხდება ეხის ფაქტების შესწავლა. მეთოდი შეპირისპირებითი მეცნიერული ხერხი ორი ან მეტი ენის შესადარებლად მათი წარმოშობის მხედველობაში მიუღებლად.

მეთოდოლოგიური იმანენტიზმი ენობრივი მოვლენების ენობრივი ნიშნებით დახასიათება, მათთვის იმანენტური საზომის მიყენება.

მეთოდოლოგიური ტრანსცენდენტიზმი ენობრივი მოვლენების ანალიზი არაენობრივი (ლოგიკური ან ფსიქოლოგიური) კატეგორიების მომარჯვებით.

მეინგოფის კანონი ფონეტიკური კანონი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნაზალი თანხმოვნის დისიმილაცია, ნიშანდობლივი მოვლენაა ბანტუს ენებისათვის.

მელოდიკა[1] იგივეა, რაც ინტონაცია.

მელოდიკა[2] (ბერძნ. melódicos) მოძღვრება ბგერათა მუსიკალურ კეთილხმოვნებაზე. იგი სტილისტიკის ნაწილია, რომელიც შეისწავლის ლექსითი მეტყველების მუსიკალობას, სასიმღერო მელოდიების ხასიათს, ინტონაციის სისტემას, ბგერადობას.

მენტალიზმი [(ინგლ. mentalism) სახელწოდება მისცეს ამერიკული დესკრ. ლინგვისტიკის წარმომადგენლებმა (იელის სკოლა)] ეწოდება ენათმეცნიერების იმ მიმართულებას, რომელიც მეტყველების აქტს იხილავდა როგორც მოვლენის რთულ კომპლექსს, დაფუძნებულს მოლაპარაკე ინდივიდის გონებრივ მოქმედებაზე; მენტალიზმს უარყოფს, გამორიცხავს ამერიკული დესკრიფციული ენათმეცნიერება.

მესხური კილო (ქართული ენისა) მესხეთის ძველი ქართული მოსახლეობის მეტყველების გადმონაშთი: ახალციხის, ასპინძის, ადიგენის რარ. (ყოფ. ახალციხის მაზრა).

მეტა-ენა (ინგლ. metalanguage) „მეორე რიგის" ენა, ე. ი. ისეთი ენა, რომლის საშუალებითაც ლა-

პარაკობენ ენის შესახებ (ენა-ობიექტზე): ენა, რომლის ობიექტსაც წარმოადგენს სხვა ენის შინაარსი (ეს ტერმინი შექმნეს ლოგიკოსებმა; მას იწონებს და რეკომენდაციას აძლევს ამერიკელი ლინგვისტი ე რ ი კ ხ ე მ პ ი): მეტა-ენა ის ენაა, რომლითაც ჩვენ აღვწერთ ენებს, როგორც ობიექტებს, ობიექტ ენებს, იხ. მეტალინგვისტიკა.

მეტათეზისი ანუ ბგერათგადასმა სიტყვაში ბგერის გადანაცვლებას ჰქვია: თვრამეტი, ნამგალი ← მანგალი (შგრ. მანგლისი), წინგი, ცალიერი, ავამტყოფი ← ავადმყოფი; ნახშირი ← ნაშხირი, მეგრ. რშიალი ქართ. შრიალი; პროგრესული მიმართულებისაა მეტათეზისი, როცა ბგერა გადაინაცვლებს სიტყვის ბოლოსაკენ (ვნახე—ნავხე); რეგრესულისაა,—როცა ბგერა გადაინაცვლებს სიტყვის თავისაკენ (ღრმა—რღმა); იხ. ბგერათა გადასმა.

მეტონიმია (ბერძ. metonymia სახელის გადარქმევა) ტროპის ისეთი სახეობაა, რომელშიც ერთი მოვლენიდან მეორეზე თვისებათა გადატანა ხორციელდება არა მსგავსების საშუალებით, არამედ მოვლენათა შორის რეალური კავშირის საფუძველზე. მეტონიმია საშუალებას იძლევა სიტყვის სიმოკლისას და ეკონომიისას; ამ დროს სათქმელი იკუმშება; მეტონიმიის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ფრანგული წარმოშობის სიტყვა „ბიურო“, რომელიც პირველად ნიშნავდა აქლემის ბეწვისაგან გაკეთებულ ქსოვილს, შემდეგ იმ მაგიდას, რომელსაც ეს ქსოვილი ეფარა, შემდეგ ეს სიტყვა აღნიშნავდა ოთახს, სადაც ასეთი გადაფარებული მაგიდები იდგა, შემდეგ დაწესებულების განყოფილებას ან მთელ დაწესებულებას, შემდეგ ადამიანთა შეკრებას...

მეტყველება (გერმ. Rede, Sprechen) ლაპარაკის უნარი, აზრის გადმოცემა სიტყვებით. მეტყველება ავტორის ავტორისეული მეტყველების ყველა ფორმა, მხატვრულ ნაწარმოებებში ყველა ის სიტყვა, რომლებიც პირადად ავტორს წარმოუთქვამს; ასეთია: ამბავთ გადმოცემა, გმირთა დახასიათება, გარემოს აღწერა, ე. წ. ლირიკული გადახვევები და სხვ. მეტყველება ბავშვის ბავშვისათვის დამახასიათებელი თავისებური სიტყვა-გამოთქმები და ცალკეული წინადადებები (მაგ., დედაი უდა= დედა მინდა; საბახიტი დაბადა= სავარცხელი დავარდა; ეცა ალა ცემი წინი=ეს არის ჩემი წიგნი და სხვ.). მეტყველება გაბმული მეტყველება, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე წინადადებისაგან თუ აზრის გარკვეული მონაკვეთისაგან. მეტყველება გარეგანი ჩვეულებრივი ბგერითი მეტყველება, რომელიც თანამოსაუბრესა თუ საერთოდ ადამიანებს ესმით და იგებენ; შდრ. შინაგანი მეტყველება. მეტყველება გმი-

რის მხატვრული ნაწარმოების მოქმედი პირის მეტყველება; იგი შეიძლება მეტყველებდეს როგორც ლიტერატურულად, ისე იცავდეს რომელიმე კილოსათვის დამახასიათებელ ლექსიკურ-გრამატიკულ თავისებურებებს. მეტყველება დიალექტური ამა თუ იმ დიალექტისათვის დამახასიათებელი გრამატიკულ-ლექსიკურ თავისებურებათა დაცვა მეტყველებაში, ისე საუბარი, როგორც ამა თუ იმ კუთხის ადამიანები მეტყველებენ. მეტყველება ზეპირი ჩაუწერლად (ან წაუკითხავად) გამოთქმული, გადმოცემული მეტყველება, სიტყვიერი მეტყველება (საპირისპ. მეტყველება წერითი). მეტყველება ინტელექტუალური ინტელექტთან დაკავშირებული, გონებრივი, აზროვნებითი, ლოგიკური მეტყველება (ტერმინი ნაწარმოებია სიტყვიდან ინტელექტი ლათ. intellectus ადამიანის აზროვნების უნარი, გონება, ჭკუა, გონებრივი განვითარების ღონე). მეტყველება ირიბი ვისიმე, ნათქვამის ან განაზრახი აზრის გადმოცემა თავისი თვალსაზრისით (ე. ი. შეცვლილი გრამატიკული ფორმით ზოგჯერ სიტყვების გამოტოვებით ან ჩამატებით); მაგ., როცა ოთახში შევიდნენ, არჩილმა ჰკითხა დას, თუ როგორ მოეწონა მას ეს ამბავი; იგივეა, რაც ირიბი ნათქვამი. მეტყველება კინეტიკური (ბერძ. kinetikos მოძრაობის შესახებ; დინამიკის დარგი, რომელიც შეისწავლის მოძრაობის გამომწვევ ძალებს) — კინეტიკაზე დამყარებული მეტყველება; იგივეა, რაც ჟესტის ენა. მეტყველება ლიტერატურული ლიტერატურის დამახასიათებელი, ლიტერატურასთან დაკავშირებული, ლიტერატურის შესახებ მეტყველება; ლიტერატურული მეტყველება მთელი ერის საერთო მეტყველებაა. იგი ჩამოკვეთილია, დამუშავებული, ამდენად ნაწილობრივ ხელოვნურიცაა. მეტყველება ორატორული ორატორისათვის დამახასიათებელი, საჯაროდ სიტყვის წარმოთქმის სპეციალისტის მეტყველება; იგივეა, რაც მჭევრმეტყველური. მეტყველება პირდაპირი ვისიმე ნათქვამის ან განაზრახი აზრის მოლაპარაკის მიერ სიტყვა-სიტყვით, უცვლელად განმეორება; მაგ., „როგორ მოგეწონა ეს ამბავი?“ — ჰკითხა არჩილმა დას, როცა ოთახში შევიდნენ“ (ი. ჭავჭ); იგივეა, რაც პირდაპირი ნათქვამი. მეტყველება შინაგანი (ენდოფაზა) წარმოუთქმელი, არაჟღერადი, მუნჯური მეტყველება, მიმართული თვითონ სუბიექტისაკენ; შინაგანი მეტყველება, ე. ი. სიტყვათა წარმოდგენები, იქნება ეს აკუსტიკური, მოტორული თუ ოპტიკური, მონაწილეობს აზრის დანაწევრების პროცესში. მეტყველება ციტატებით ისეთი მეტყველება, რომლისთვისაც დამახასიათებელია ციტატების მოჭარბებული ხმარება, სხვისი აზრების დამოწმება. მეტყ-

ველება წერითი მეტყველება, ფიქსირებული წერილობითი ნიშნებით, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოცემული ენის გრამატიკულ-ლექსიკური ნორმების მაქსიმალური დაცვა. მეტყველება ხალხური ხალხის დამახასიათებელი, ხალხის კუთვნილი, ხალხისაგან მომდინარე მეტყველება. მეტყველება ხატოვანი მხატვრული, გამომეტყველებითი, სურათოვანი მეტყველება. მეტყველების აქტი მეტყველების პროცესი, მონაკვეთი, დრო, როცა მეტყველების პროცესი მიმდინარეობს. მეტყველების კულტურა მიმზიდველი, ცოცხალი, დამაჯერებელი საუბრის კულტურა, სადა, უბრალო, დახვეწილი, მკაფიო, ხატოვანი, ბუნებრივი, ლოგიკური მეტყველების უნარი, რათა ენამ უკეთ შეასრულოს თავისი ფუნქციები— იყოს ადამიანთა ურთიერთობისა და საზოგადოების განვითარების იარაღი.

მეტყველებითი მეტყველებასთან დაკავშირებული, მეტყველების შესაფერი, — მეტყველებისა.

მეტყველების ნაწილები სიტყვის ძირითადი გრამატიკული ჯგუფები (ტრადიციული გაგებით ცხრაა: 1. არსებითი სახელი, 2. ზედსართავი სახელი, 3. რიცხვითი სახელი, 4. ნაცვალსახელი, 5. ზმნა, 6. ზმნისართი, 7. თანდებული, 8. კავშირი და 9. შორისდებული).

შორისდებული რომაელმა გრამატიკოსებმა შემოიტანეს მეტყველების ნაწილებში. ზედსართავი სახელი ცალკე გამოიყო საშუალო საუკუნეებში სუბსტანციისა და ატრიბუტის შესახებ ფილოსოფიურ მოძღვრებასთან დაკავშირებით; რიცხვითი სახელი მხოლოდ XVII ს. დაუმატეს.

მეტყველების სტილი ენობრივი საშუალებების (სიტყვების, გამოთქმების, გრამატიკული ფორმების...) ის ერთობლიობა, რომელიც სხვათაგან განსხვავებული გამოსახვის სისტემას ქმნის.

მეტყველებს სიტყვებით აზრს ვადმოსცემს, ლაპარაკობს.

მეტყველი მეტყველების უნარის მქონე.

მეცნიერება ენის შესახებ იხ. ენათმეცნიერება, ლინგვისტიკა.

მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები წინადადების მთავარი წევრებია: შემასმენელი, ქვემდებარე და დამატება—ობიექტი, ხოლო ყველა დანარჩენი — მეორეხარისხოვანი.

მთავარი ფორმები ისეთი ფორმები, რომელთა დასახელება საკმარისია იმისათვის, რომ ადვილად წარმოებულ იქნას ყველა დანარჩენი; მთავარი ფორმებია: აწმყო ან მყოფადი, წყვეტილი, პირველი თურმეობითი და საწყისი.

მთავარი წევრი წინადადებაში იმდენია, რამდენპირიანიც არის ზმნა ერთის მიმატებით.

მთავრის მიმართია ისეთი დამოკიდებული წინადადება, რომელიც მთელ მთავარ წინადადებას მიემართება და გამოხატავს მთქმელის დასკვნას, შეფასებასა თუ რაიმე სახის შენიშვნას იმის შესახებ, რაც მასში (resp. მთავარში) არის გადმოცემული; მაგ., „მაიკო თანდათან ცივი ხმით ჰკიოდა, რაც თეოფილეს გულზე ლურსმანივით ეჭდობოდა“ (რ. გვ.).

მთავრული დიდი ასო, სტრიქონზევით ასული ასო. იხ. აგრეთვე ასომთავრული.

მთარაჭა ონის რაიონის სოფლები — გლოლა, ჭიორა და ღები — საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზემორაჭად ანუ მთარაჭად იწოდება (ტერმინი ეკუთვნის შ. ძიძიგურს).

მთარაჭული მეტყველება ზემო რაჭის სოფლების გლოლის, ღებისა და ჭიორის მცხოვრებთა მეტყველება.

მთის რაჭა იგივეა, რაც მთარაჭა (ტერმინი ეკუთვნის ს. მაკალათიას).

მთიულური კილო (ქართული ენისა) მთიულეთის ძკვიდრთა (მთიულთა) მეტყველება: დუშეთის რ.

მიგებითი ნაწილაკები დადასტურებითია (ჰო, კი, დიახ (დიაღ) და უარყოფითი (არა, ვერა) წინადადების მაგივრობას ეწევიან და ამიტომ მათ, ჩვეულებრივ, სიტყვა — წინადადებას ეძახიან: მაგ., „—გეტყობა, ქართველი უნდა იყო — დიახ, ქართველი ვარ“ (რ. გვ.).

მიზეზის გარემოება აღნიშნავს მოქმედების გამომწვევ მიზეზს; მაგ., „ამ სიმხდალის გამო კურდღელი დღისით სულ თავის ბუნაგში იწვა“ (ი. გოგ.).

მიზეზის გარემოებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც აღნიშნავს იმის გამომწვევ მიზეზს, რაზედაც მთავარ წინადადებაშია ლაპარაკი; მაგ., „ამას „სუტ-კნეინას“ ეძახოდნენ, იმიტომ რომ ამისი უბედური ქმარი მთელ სიცოცხლეში კნიაზობას ეძებდა და ვერ დაიმტკიცა“ (ი. ჭავჭ.).

მიზნის გარემოება გამოხატავს მოქმედების მიზანს; მაგ., „ილია საჩქაროდ მოემზადა წასასვლელად“ (რ. გვ.).

მიზნის გარემოებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც გადმოგვცემს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედების მიზან-დანიშნულებას; მაგ., „ის წამდაუწუმ წყალს ითხოვდა, რათა გამშრალი პირი გაესველებინა“ (ა. ყაზ.).

მიკროტოპონიმია მცირე გეოგრაფიული ერთეულის, ბუნებრივი თუ ხელოვნურად შექმნილი ობიექტის, ერთი ან ორი დასახლებული პუნქტის ფარგლებში მოქცეული ადგილის, სახნავ-სათესი, საბოსტნე, სავენახე, საჩაიე ნაკვეთების, მცირე მდინარეთა, წყაროთა, მაღლობთა, ხეობათა, ხევების, უბნების, ქალაქებში — ქუჩების სახელწოდებანი.

მიმართვა წოდებითში დაყენებული სახელი, რომელიც მეორე პირს ან მეორე პირად წარმოდგენილ საგანს აღნიშნავს; მაგ., „შენ იცნობ კარგად, სოლომონ, ჩემს გულს“ (ნ. ბარ.).

მიმართულებითი ბრუნვა იხ. ვითარებითი ბრუნვა.

მიმატება ძვ. არსებითი სახელით გადმოცემული განსაზღვრება, რომელიც სახელობით ბრუნვაში დგას; მაგ., მდინარე მტკვარი, ციხე არტანუჯი და სხვ. (ტერმინი ეკუთვნის მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე ს).

მიმღეობა ზმნის უუღლებადი ფორმა, რომელიც იბრუნვის და წინადადებაში ისეა გამოყენებული, როგორც ზედსართავი: დამკრეფი, დასაკრეფი, დაკრეფილი, დაუკრეფელი (ტერმინი ეკუთვნის ა ნ ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ს).

მინიმალური წყვილი ანუ გამოხატულების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან მინიმალურად განსხვავებული წყვილი ისეთი ორი გამონათქვამი, რომლებიც ერთმანეთისაგან მხოლოდ ერთი ბგერით განსხვავდებიან.

მინუსკული (ლათ. minusculus ძალიან პატარა, ნამცეცა) ნუსხური ასოები, რომლებსაც უპირატესად იყენებენ ძველი მწერლობის ენებში.

მინუსკურული დამწერლობა ძველი ლათინური და ბერძნული დამწერლობის ნაირსახეობა, რომელშიც მხოლოდ ნუსხური ასოებია გამოყენებული.

მირთვა ორი სრულმნიშვნელოვანი სიტყვის აზრობრივი შეწყობა ერთმანეთთან ისე, რომ ერთი სიტყვა მეორისაგან არ იყოს დამოკიდებული არც შეთანხმებისა და არც მართვის მიხედვით, სიტყვათა დამოკიდებულების ნული ფორმა; მაგ. „ო ქ რ ო პ ი რ ი გ ვ ი ა ნ დ ა ბ რ უ ნ დ ა“ (რ. გვ.).

მირთული სიტყვათშეერთება ისეთი სიტყვათშეერთება, რომელშიც სინტაქსური კავშირი შეცვლილია მირთვით, რა ფუნქციასაც ასრულებს თანდებულდართული, უფორმო ან გარკვეულ ბრუნვაში გაქვავებული სიტყვა: „ტრედებმა ერთი დღე იარეს ესე მშვიდობიანად“ (ვაჟა); „უცბად შარაზე გამოჩნდა თავისი განუყრელი კვერთხით ციციკორე“ (გ. ლეონ.).

მიშვებითი ძვ. დათმობითი.

მიჩემება ძვ. იხ. ქცევა. ტერმინი „მიჩემება“ ეკუთვნის პლ. იოსელიანს (1840).

მიცემითი ბრუნვა (გერმ. Dativ, რუს. дательный, ბერძ. clotike-ს თარგმანია) ობიექტის ბრუნვა ქართული ენის გარდამავალ ზმნებთან (ნაკეთთა აწმყოს წყებაში), აგრეთვე ინვერსიულ ზმნებთან (აწმყოში...., თურმეობითში); მისი ნიშანია -ს—ა: კაც-სა, ქალ-სა. (ტერმინი ეკუთვნის ა ნ ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ს).

მიწევნითი ბრუნვა, ბრუნვა, რომელიც მიგვითითებს გარკვეულ პუნქტამდე მიწევნას სივრცესა თუ დროში: კახეთამდე, ქალაქამდე, ცხინვალამდე, ქუთაისამდე (ტერმინი ეკუთვნის ა. შ ა ნ ი ძ ე ს).

მმართველობა ძვ. იგივეა, რაც მართვა.

მმუფლებელი სახელი ძვ. სუბიექტი, მოქმედი პირი, ქვემდებარე.

მნიშვნელობის პრობლემა ლინგვისტიკაში არის ის, რაც ენობრივ გამოთქმას გასაგებს ხდის და აძლევს მას საშუალებას იყოს ურთიერთობის იარაღი; მნიშვნელობა სხვა არაფერია, თუ არ მიმართება აღსანიშნისადმი; ენასთან დაკავშირებით „მნიშვნელობას“ იკვლევენ: ენის ფსიქოლოგია, ენის ფილოსოფია, ენის სოციოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ლიტერატურისმცოდნეობა და საკუთრივ ენათმეცნიერება.

მოგებითი ძვ. კუთვნილებითი ნაცვალსახელი.

მოდალობის გამოხატვის ენობრივი საშუალებებია: ზმნის კილოს ფორმა, ინტონაცია, მოდალური სიტყვები და ნაწილაკები, წინადადების კონსტრუქცია. მოდალობის ანუ რაგვარობის მიხედვით განასხვავებენ წინადადების სამ ტიპს: თხრობითს, კითხვითსა და ბრძანებითს. დამატებით გამოყოფენ აგრეთვე ძახილისა და კითხვით-ძახილის წინადადებებს. მაგ., „ნამი შეშრა ყანებზე“ (თ. რაზ.); „განა მართლა ხომ არ ვამბობთ?“ (ვაჟა); „გაჩუმდი! გაჩუმდი! ხმა ჩაიწყვიტე!“ (ა. წერ.); „უუჰ, რა ღვინოა!“ (მ. ჯავ.); „მართლა გველეშაპივით არ მოიკლაკნება ეს არაგვი?!“ (ა. წერ.).

მოთხრობითი ბრუნვა ქართული ენის სპეციფიკური ბრუნვა, რომელიც პირველად ანტონ პირველის გრამატიკაშია გამოყოფილი. ტერმინიც მას ეკუთვნის, იგი სომხ. პ ა ტ მ ა კ ა ნ-ის თარგმანს წარმოადგენს, თუმცა პატმაკანი სულ სხვა ოდენობაა; მოთხრობითს ნ. მარი უწოდებდა „ნაცვალსახელოვან მიცემითს“, „არქაულ მიცემითს“, „მეორე მიცემითს“ და „ნაცვალსახელოვანს“.

მონათესავე ენები[1] ენები, რომლებიც საერთო წარმომავლობის არიან და ქმნიან რა შეკრულ ენობრივ ჯგუფს (ოჯახს), საბოლოოდ მომდინარეობენ ერთისა და იმავე ენისაგან, ფუძე-ენისაგან; იხ. ფუძე-ენა.

მონათესავე ენები[2] ენები, რომლებიც კანონზომიერ შეფარდებებს გვიჩვენებენ ერთმანეთს შო-

რის ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე, ენები, რომელთა მორფემებში, მეტ-ნაკლებ შინაარსობრივ დამთხვევასთან ერთად, ადგილი აქვს შესატყვის ფონემათა ერთნაირ განლაგებას.

მონოგრამა (ბერძნ. monos ერთი და gramma ასო) ორი ან რამდენიმე ასოსაგან შეთხზული ნიშანი.

მონოლოგი (ბერძნ. monologos) სიტყვა, რომლითაც პიესის ერთ-ერთი მოქმედი პირი მიმართავს თავის თავს, სხვა მოქმედ პირებს ან მაყურებლებს.

მონოსილაბიზმი (ბერძ. monos ერთი და syllabe მარცვალი) სიტყვების ერთმარცვლიანობა (მაგ., ჩინურ ენაში).

მონოტონური (ბერძნ. monos ერთი, tonos ჟღერადობა) ერთფეროვანი, მოსაწყენი, უღიმღამოდ გაბმული სიმღერა, საუბარი, აქედან მონოტონური ლექსი, სიმღერა, მონოტონური, მოსაწყენი საუბარი და სხვ. მონოტონურობა გამორიცხავს ინტონაციურ სიხალისეს და გამოსახვის მრავალფეროვნებას. მონოტონური შეიძლება სიმღერა, მუსიკა, საერთოდ მეტყველება.

მორფემა (ბერძნ. morphè ფორმა) სიტყვის ნაწილი, რომელსაც აქვს ლექსიკური ან გრამატიკული მნიშვნელობა; მნიშვნელობის მატარებელი ერთეულები, რომელთა შემდგომი დაშლა შეუძლებელია მნიშვნელობის შეუცვლელად და დაუზიანებლად (ეს ტერმინი ლინგვისტიკაში პირველად შემოიტანა ი. ა. ბორდუენ დე კურტენემ გასული საუკუნის 80-იან წლებში).

მორფოლოგია (ბერძნ. morphè ფორმა, logos სიტყვა, სწავლება) გრამატიკის დარგი, რომელიც სწავლობს სიტყვათა ცვლილების წესებს, სიტყვათა ფორმებს და მათს გრამატიკულ მნიშვნელობებს.

მორფოლოგიური მორფოლოგიის ხასიათისა, მორფოლოგიის ბუნებისა, მორფოლოგიასთან დაკავშირებული, მორფოლოგიური შესწავლა, მორფოლოგიური ანალიზი.

მორფოლოგიური კლასიფიკაცია ენათა კლასიფიკაცია, რომელიც ყოფს ჯგუფებად მსოფლიო ენებს; ენათა ჯგუფებად დაყოფას საფუძველად დაედო სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურა.

მორფონოლოგია იგივეა, რაც ფონომორფოლოგია.

მორჩილებითი შვ. იგივეა, რაც ქვეწყობა.

მოქმედებითი ბრუნვა (გერმ. Instrumentalis, რუს. творительный) სახელის ერთ-ერთი ფორმა ქართული ენის ბრუნვათა სისტემაში; მისი ნიშნებია:—ით(ა) (ბოლოთანხმოვნიან და ბოლოკვეცად სახელებში) ან -თ(ი) (ფუძეუკვეცელ სახელებში); მიუგებს კითხვებზე: ვ ი ს ი თ? რ ი ს ი თ? (ტერ-

მინი ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს).

მოხეური კილო (ქართული ენისა) ხევში მცხოვრებ ქართველ მთიელთა მეტყველება: ყაზბეგის რ. (ყოფილი სტეფანწმინდა).

მრავალზნისობა ზმნის ისეთი ფორმა, რომელიც წარსულში მომხდარ მოქმედებას აღნიშნავს და ამავე დროს მოქმედების გამეორებასაც გამოხატავს: მაგ., შევიდის, დააცქერდის, ამოიოხრის, გამობრუნდის (ფორმები დაცულია მთის კილოებსა და ქიზიყურში, აქედან ლიტერატურაშიც არის შემოტანილი, გვხვდება ვაჟასთან).

მრავლობითი რიცხვი ფორმა, რომელიც ერთზე მეტის წარმოდგენას გვაძლევს მაგ.: კაცები... „გათენდა, შეერთდით, შეერთდით, შეერთდით...“ (გ. ტაბ.).

მრგლოვანი იგივეა, რაც ასომთავრული.

მსაზღვრელი სახელი, რომელიც ერთვის მეორე სახელს (საზღვრულს), ხსნის მას რაიმე ნიშნის მიხედვით და შეთანხმებული ან მართულია მის მიერ ბრუნვაში.

მსაზღვრელი განმარტოებულია, როცა მასთან საზღვრული არ არის ნახმარი, მაგრამ იგულისხმება. ამგვარი მოვლენა ჩვეულებრივია, როცა საზღვრულის გამეორება არ სურთ და სტილისტიკური მიზნით გამოტოვებენ ხოლმე. ასეთი მსაზღვრელი ბრუნვის ნიშანს უსათუოდ მიიღებს (მაგ., „სოფლის ამბავს ქალაქში ჩამოიტანს, ქალაქისას სოფელში წაიღებს“).

მსაზღვრელის ადრინდელი წარმოება ისეთი წარმოება, როცა სრული დაბოლოება გვაქვს ნათესაობითსა და მიცემითს ბრუნვებში: დიდის კაცის, დიდს კაცს.

მსაზღვრელის უახლესი წარმოება ისეთი წარმოება, როცა ბრუნვის ნიშნები ჩამოკვეცილია ყველგან სახელობითისა და წოდებითის გარდა: დიდი კაცი, დიდ კაცმა, დიდ კაცს, დიდ კაცის, დიდ კაცით, დიდ კაცად, დიდო კაცო.

მსჯელობა აზროვნების ერთერთი ძირითადი ლოგიკური ფორმა, აზრი, რომელიც ასახავს სინამდვილის საგანთა და მოვლენათა კავშირებსა და მიმართებებს.

მყოფადი ძვ. მომავალი დრო.

მყოფადის ფორმები ძველ ქართულში მყოფადს საკუთარი ფორმები არ გააჩნდა, საამისოდ კავშირებითი იყო გამოყენებული, მაგ., დავწერო დღეს მხოლოდ კავშირებითია, ძველად კი კავშირებითიც იყო და თხრობითიც, მყოფადის გაგებით, ე. ი. ასეც შეიძლებოდა გვეთარგმნა დღევანდელ ენაზე: დავწერ.

მცენარეთა კრებულის სახელები სახელები, რომლებიც გარკვეული სუფიქსის დართვით (ნარ-ის (ნალ) აღნიშნავს ადგილს, სადაც ბლომად მოიპოვება ფუძით დასახელებული მცენარე: ნაძვნარი, ვერხვნარი, დაფნარი...

მძიმე, როგორც სასვენი ნიშანი,

ძირითადად ორგვარი ფუნქციისა: ა) იგი შიჯნავს ანუ აცალკევებს წინადადებაში შემავალ ერთგვარ ენობრივ ელემენტებს; ბ) გამოყოფს წინადადებაში შემავალ სხვადასხვა ელემენტს — მაგ., „ქუჩები, ბაღები და ჰალები მოყვითალო ფოთლით არის დაფენილი“ (მ. ჯავახ.); „იას, ბნელს ხევში მოსულსა, დიდი ჰანდრები ფარავდა“ (ვაჟა) (ტერმინი „მძიმე“ გრამატიკაში შემოიტანა ანტონ კათალიკოსმა).

მწვერვალი იხ. დაყოვნება.

მწკრივი ზმნის პირიან ფორმათა ისეთი ჯგუფი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთისაგან მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებულ ფორმებს (ტერმინი ეკუთვნის ა. შანიძეს, 1938). აწმყო სახელწოდება მწკრივისა, რომელიც მიუგებს კითხვებზე: რას ვშვრები? რას შვრები? რას შვრება? რას ვშვრებით? რას შვრებით? რას შვრებიან?.. ვაკეთებ, აკეთებ, აკეთებს; ვაკეთებთ, აკეთებთ, აკეთებენ. დროის მიხედვით ის ახლანდელია, კილო თხრობითია, შედის I სერიის აწმყოს წრეში: ვწერ, ვაშენებ, ვასწავლი. აწყმოს კავშირებითი სახელწოდება მწკრივისა, რომელიც მიუგებს კითხვებზე: რას ვშვრებოდე? რას შვრებოდე? რას შვრებოდეს? რას ვშვრებოდეთ? რას შვრებოდეთ? რას შვრებოდნენ? ვაკეთებდე, აკეთებდე, აკეთებდეს; დროის მიხედვით ის ახლანდელია ან მომავალი, კილო— კავშირებითი; შედის I სერიის აწმყოს წრეში: ვწერდე, ვაშენებდე, ვცხოვრობდე... მეორე თურმეობითი სახელწოდება მწკრივისა, რომელიც მიუგებს კითხვაზე: რა მექნა? რა გექნა? რა ექნა? რა გვექნა? რა გექნათ? რა ექნათ?.. გამეკეთებინა, გაგეკეთებინა, გაეკეთებინა; კილო თხრობითია, აქტი უნახავი. შედის III სერიაში: ვცხოვრა, ვწერა, ვშენებინა. მეორე კავშირებითი სახელწოდება მწკრივისა, რომელიც მიუგებს კითხვებზე: რა ვქნა? რა ქნა? რა ქნას? რა ვქნათ? რა ქნათ? რა ქნან?.. გავაკეთო, გააკეთო, გააკეთოს. დროის მიხედვით ის მომავალია, კილო — კავშირებითი; შედის მესამე სერიაში: ვწერო, ვაშენო. მეორე სოლმეობითი სახელწოდება მწკრივისა, რომელიც წყვეტილთან და კავშირებით მეორესთან ერთად II სერიაშია („ხოლმეობითი იმიტომ ქვია, რომ ის მრავალგზისობის გაგებას გვაძლებს და, თუ სათანადო ფორმა არა გვაქვს, „ხოლმე“-თი უნდა გადმოიცეს. მაგ., ვისწავლი, ვცხოვრი, ვწერი, ვიშენი. ნაშთის სახით ამ მწკრივის ფორმა „იცის“ და „უწყის“ ფორმებშია შემორჩენილი). მესამე კავშირებითი სახელწოდება მწკრივისა, რომელიც მიუგებს კითხვებზე: რა მექნას? რა გექნას? რა ექნას? რა გვექნას? რა გექნათ? რა ექნათ?.. გამეკეთებ-

ნოს, გაგეკეთებინოს; მესწავლოს, მეჯამოს, მეწეროს... მყოფადი სახელწოდება მწკრივისა, რომელიც მიუგებს კითხვებზე: რას ვიზამ? რას იზამ? რას იზამს? რას ვიზამთ? რას იზამთ? რას იზამენ?.. გავაკეთებ, გააკეთებ, გააკეთებს. დროის მიხედვით ის მომავალია, კილო — თხრობითი, შედის I სერიის მყოფადის წრეში: ვისწავლი, ვიცხოვრებ, მწკრივის ელემენტები მწკრივის ფარგლებში უცვალებელი კატეგორიები (დრო, კილო, ჯერობა, აქტი, თანამდევრობა), რომლებიც მის ხერხემალს წარმოადგენენ. მყოფადის კავშირებითი სახელწოდება მწკრივისა, რომელიც მიუგებს კითხვებზე: რას ვიზამდე? რას იზამდე? რას იზამდეს? რას ვიზამდეთ? რას იზამდეთ? რას იზამდნენ?.. გავაკეთებდე, გააკეთებდე, გააკეთებდეს, დროის მიხედვით ის მომავალია, კილო—კავშირებითი. შედის I სერიის მყოფადის წრეში: ვისწავლიდე, ვიცხოვრებდე. პირველი თურმეობითი სახელწოდება მწკრივისა, რომელიც მიუგებს კითხვებზე: რა მიქნია? რა გიქნია? რა უქნია? რა გვიქნია? რა გიქნიათ? რა უქნიათ?.. გაძიკეთებია, გაგიკეთებია, გაუკეთებია; დროის მიხედვით ის წარსულია, კილო — თხრობითია, აქტი — უნახავი. შედის III სერიაში: მიჭამია, მომიტანია, გამიკეთებია. პირველი ხოლმეობითი სახელწოდება მწკრივისა, რომელიც მიუგებს კითხვებზე: რას ვიზამდი? რას იზამდი? რას იზამდა? რას ვიზამდით? რას იზამდით? რას იზამდნენ?.. გავაკეთებდი, გააკეთებდი, გააკეთებდა. დროის მიხედვით ის წარსულია, კილო — თხრობითი, ჯერობა — მრავალგზისი. შედის I სერიის მყოფადის წრეში: დავიბანდი, ჩავიცვამდი, დავლევდი. სერიები ქართულში არსებული მწკრივთა სამი ჯგუფი, რომელიც გამოყოფილია ფორმათა წარმოებისა და სინტაქსური თავისებურებების თვალსაზრისით. უწყვეტელი სახელწოდება მწკრივისა, რომელიც მიუგებს კითხვებზე: რას ვშვრებოდი? რას შვრებოდი? რას შვრებოდა? რას ვშვრებოდით? რას შვრებოდით? რას შვრებოდნენ?.. ვაკეთებდი, აკეთებდი, აკეთებდა; დროის მიხედვით ის წარსულია, კილო — თხრობითი. შედის I სერიის. აწმყოს წრეში: ვსწავლობდი, ვცხოვრობდი, ვწერდი. წყვეტილი სახელწოდება მწკრივისა, რომელიც მიუგებს კითხვებზე: რა ვქენი? რა ჰქენი? რა ქნა? რა ვქენით? რა ჰქენით? რა ქნეს?.. გავაკეთე, გააკეთე, გააკეთა. დროის მიხედვით ის წარსულია, კილო თხრობითია, შედის II სერიაში: დავიბანე, გავაკეთე, შევჭამე...

მწკრივნაკლი ზმნები ისეთი ზმნები, რომლებსაც არ შესწევთ ძალა ყველა მწკრივის წარმოებისა და დანაკლისს ივსებენ სხვა ფუძისაგან ნაწარმოები ფორმებით:

ვარ—ვიქნები—ვიყავ, დი-ვალ-ებედ (ვიდ): ვამბობ—ვიტყვი—ვთქვი; შრომა—ზმა—ქმნა, მი-მაქვს—მოვიტან—წავიღებ...

მშევრსიტყვაობა ძვ. მშევრმეტყველება.

მხატვრული ენა სიტყვიერ საშუალებათა ერთობლიობა, რომელიც ემოციური მეტყველებით ქმნის ცხოვრების სიხაძვილის სახე-სურათს მხატვრულ ნაწარმოებში.

მხედრული სახელწოდება თანამედროვე ქართული დამწერლობისა, რომელიც განვითარდა ნუსხურიდან XI საუკუნეში.

მხლებელი სიტყვა, ბგერა თუ ბგერათა კომპლექსი, რომელთაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვთ, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი სამსახური აწევს ენაში — ემსახურებიან სხვა სიტყვებს ან მთელ წინადადებას.

მხლებლიანი ბრუნვები ისეთი ბრუნვები, რომლებიც ირთავენ მხლებლებს (თანდებულებს, ნაწილაკებს) (თანდებულს ირთავს ზოგიერთი ბრუნვა, ნაწილაკებს—ყველა).

მხოლობითი რიცხვი ფორმა, რომელიც ერთზე წარმოდგენას გვაძლევს ან გვიჩვენებს ერთის მოქმედებას, ერთზე მოქმედებას ან ერთის მიმართ ჩადენილ მოქმედებას: „ვხნავ, ვთესავ, ვებრძვი მიწასა“ (რ. ერ.).

მხოლობითი რიცხვი იგივეა, რაც მხოლობითი რიცხვი.

ნ

ნ. 1. მეცამეტე ასო ქართულ ანბანში (მეთოთხმეტე ძველ ქართულ ანბანში): მისი სახელია **ნარ-ი**;

2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ორმოცდაათს (50).

ნაგენიტივარი ნაცვალსახელი ნაცვალსახელები, რომლებიც ნაწარმოებია გენეტიური სახელების მსგვსად: ჩემი, შენი, თქვენი, მისი, მათი, თავისი, სხვისი, ვისი.

ნაგენიტივარი სახელი სახელი, რომლის ფუძე მარტო წარმოშობით არის გენეტივი (ნათესაობითი ბრუნვა), მაგრამ გენეტივის გაგება აღარ გვაქვს: ქუთაისი, თბილისი, მანგლისი, ურბნისი, რუისი, ჩხიკვთა, მოწამეთა...

ნაზალიზაცია (ფრანგ. **nasalisation-nasal** ცხვირისა, ცხვირისმიერი) ნაზალურად, ცხვირისმიერად ქცევა (ბგერისა); ნაზალური ელფერის მიცემა (ბგერისათვის).

ნაზალიზებული, რასაც ნაზალიზაცია მოუვიდა, ნაზალურად ქცეული (ბგერა).

ნაზალი თანხმოვნები შერეული რაგვარობის თანხმოვნებია, ისინი, ერთი მხრივ, ხშულებია, მეორე მხრივ, ჰაერნაკადი ცხვირის ღრუსაკენ მიდის, რადგან რბილი სასა დაშვებულია; ნაზალ თანხმოვნებს

ცხვირისეულსაც ეძახიან, ნაზალებია: მ. ნ.

ნაზალობა — ნაზალურის თვისება.

ნაზალური (ფრანგ. nasal) — ცხვირისმიერი (ბგერა); მაგ., ნაზალური ბგერებია: მ, ნ.

ნაზალ-უსრულესი ძვ. პირველი თურმეობითი.

ნათესავი ძვ. სახელებში — სქესი, ზმნებში — გვარი.

ნათესაობითი ბრუნვა (გერმ. Genitiv, რუს. Родительный) სახელის ერთ-ერთი ფორმა ქართული ენის ბრუნვათა სისტემაში; მისი ნიშანია -ის-ა (ბოლოთანხმოვნიან და ფუძეკვეცად სახელებში) ან -ს-ი, -ს-ა (ფუძეუკვეცელ სახელებში) (ტერმინი ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს).

ნაკვეთი ძვ. ფუძის აღნაგობა.

ნაკვთი სათანადო ფუძის სახით წარმოდგენილი უღლების ერთეული (ე. ი. პირისა და რიცხვის ნიშანთა გამოკლებით: — აკეთებ, -აკეთებდა, -აკეთებდე, -აკეთე, -აკეთო — იქნება აკეთა — ზმნის ნაკვთთა ნიმუში). უღლების დასაწყის ეტაპზე გარდამავალი ზმნის ორი ნაკვთი გვქონდა: ხოლმეობითი და ნამყო ძირითადი.

ნაკლობითი ზმნა ძვ. „უწესო ზმნა“, რომელსაც აკლია რომელიმე კატეგორია და ნაკლს ვერ ივსებს (ტერმინი გვხვდება გაიოზ რექტორთან).

ნაკლულნი წინადადებანი ძვ. იგივეა, რაც უსრული წინადადებები.

ნამყო დრო იგივეა, რაც წარსული დრო.

ნამყო სრული ძვ. წყვეტილი (აორისტი).

ნამყო უსრულესი ძვ. თურმეობითი პირველი.

ნამყო უსრული ძვ. უწყვეტელი.

ნამყო უუსრულესი ძვ. თურმეობითი მეორე (ხელოვნურად ნაწარმოები ტერმინია).

ნამყო წარსული (საპირისპ. აწმყო, მომავალი) ზმნის დრო, რომელიც მიუთითებს, რომ ზმნით აღნიშნული პროცესი მიმდინარეობდა მასზე ლაპარაკის მომენტამდე (საპირისპ. აწმყო, მყოფადი),—ნამყო ძირითადი — ნამყო უსრული.

ნამყო ხოლმეობითი ძველი ქართულის ერთ-ერთი მწკრივი, რომლის ფორმები ზოგჯერ მხოლოდ მესამე პირში გვხვდება, ზოგჯერ კი — ყველა პირში; მაგ., წერდის — წერდიან (წერდის — წერდა ხოლმე; წერდიან — წერდნენ ხოლმე); დავწერი, დასწერი, დაწერის, დავწერით, დასწერით, დაწერიან.

ნაპრალოვნება თანხმოვანი ბგერის საწარმოთქმო დაბრკოლების ერთ-ერთი სახეობა, — საარტიკულაციო ორგანოების ერთმანეთთან ძლიერ მიახლოება.

ნაპრალოვანი ნაპრალის (ნაპრალების) მქონე. საარტიკულაციო

ორგანოების ერთმანეთთან ძლიერ მიახლოებით წარმოთქმული თანხმოვანი.

ნარევი ენა მიიღება სხვა ენის მასალის შეთვისების (სესხების) გარკვეულ დონეზე, როცა ენა აღარ შეიცნობა, როგორც გარკვეული სისტემა, როცა ამ სისტემას ეკარგება ის ნიშნები, რაც მის ინდივიდუალობას განსაზღვრავდა; ენათა შერევა უნიფიკაციის (ინტეგრაციის) კანონზომიერი პროცესია.

ნარნარა ვიბრანტი და ლატერალური ბგერების საერთო სახელწოდება, — ლიკვიდური (ბგერა).

ნასესხები სიტყვები სიტყვები, რომლებიც მოცემული ენის ძირითად მემკვიდრეობას არ წარმოადგენს, ამათ გარეშე ენა არსებობდა თავისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე და რომლებიც მან შეითვისა მეზობელი ენებისაგან თავისი ისტორიული განვითარების განსაზღვრულ მომენტში.

ნატვრითი კილო იხმარებოდა ძველ სასკოლო გრამატიკაში, — კავშირებითი კილო.

ნატიფი მეტყველება ლამაზად გამოკვეთილი, — მშვენიერი, მოხდენილი, ფაქიზი; ნაზი მეტყველება.

ნატიფობა (მეტყველებისა) ნატიფის თვისება, — სილამაზე, სინარნარე, სინაზე,

ნატურალიზმი პირველი ზოგადლინგვისტიკური კონცეფცია ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისა. ჩამოყალიბდა XIX ს. 50-იან წლებში. მისი წარმომადგენლები არიან: ავგ. შლაიხერი და მაქს მიულერი, რომლებზეც გარკვეული გავლენა მოახდინა დარვინის მოძღვრებამ, აგრეთვე ჰეგელის შეხედულებებმა, სახელდობრ, ენა გათანაბრებულ იქნა ცოცხალ ორგანიზმთან, რომელიც ისახება, იზრდება, იფურჩქნება, ბერდება და კვდება ბუნებრივი აუცილებლობით; ნატურალიზმისათვის ენათმეცნიერება ბუნებისმეცნიერებაა; მათი აზრით, ენის ცვლა ზრდაა და არა ისტორია.

ნაცვალსახელი ისეთი სიტყვა, რომელიც ფრაზაში ეკვივალენტია რომელიმე სახელისა (არსებითისა, ზედსართავისა, რიცხვითისა): საგანს ან საგნის ნიშანს ის წარმოადგენს არა მისი ჩვეულებრივი სახელით, რომელიც ყოველთვის და ყველასთვის ერთი და იგივეა ამ საგნის ან მისი ნიშნის ერთსა და იმავე ვითარებაში, არამედ ისეთი სახელით, რომელიც მხოლოდ დასახელების მომენტისათვის არის გამოსადეგი (ნაცვალსახელი ერთგვარ მაგივრობას, ანუ ნაცვლობას ეწევა სახელისას, ამიტომ დაერქვა მას „ნაცვალსახელი“, უფრო სწორი იქნებოდა, „სახელთნაცვალი“ — ა. შანიძე); განსაზღვრებითი ისეთი ნაცვალსახელია, რომელიც განსაზღვრულ ობიექტს გვიჩვენებს: თვით (თვითონ, თითონ, თვითან), თავად, თითოეული, ყოველი, ყველა, სხვა, მავანი; განუსაზღვრე-

ლობითი ისეთი ნაცვალსახელია, რომელიც განსაზღვრულ, გარკვეულ ობიექტს არ გვიჩვენებს: ვინმე, რამე, რომელიმე, როგორიმე, ვიღაც, რაღაც, რომელიღაც; კითხვითი ის ჯგუფი ნაცვალსახელებისა, რომლებიც გამოხატავს კითხვას: რა? რომელი? როგორი? რარიგი? რაერთი? კითხვით-კუთვნილებითი ისეთი ნაცვალსახელებია, რომლებიც ერთდროულად კითხვასაც გამოხატავენ და კუთვნილებასაც: ვისი? რისა? (რისი?); კუთვნილებითი ნაცვალსახელი გამოხატავს კუთვნილებით ურთიერთობას საგანსა და ნაცვალსახელით ნაგულისხმევ პირს შორის: ჩემი, შენი, მისი (იმისი), ჩვენი, თქვენი, მათი (იმათი), თავისი (თვისი); მიმართებითი კითხვითი ნაცვალსახელისაგან — ც(ა)—ნაწილაკის დართვით ნაწარმოები ნაცვალსახელი: ვინც, რაც, რომელიც, სადაურიც, ვისიც, რისიც... პირის ნაცვალსახელი ნაცვალსახელი, რომელსაც პირის გაგება ახლავს; მაგ., მე, შენ, ის, ეგ, ის (იგი), ჩვენ, თქვენ, ესენი, ისინი, იგინი (ისინი), თავი; უარყოფითი ნაცვალსახელი შინაარსის უარყოფას გამოხატავს და გაკეთებულია „ვინ“ და „რა“-საგან წინ უარყოფითი ნაწილაკების დართვით: არავინ, ვერავინ, ნურავინ, არაფერი, ვერაფერი... ურთიერთობითი ისეთი ნაცვალსახელია, რომელიც შინაარსობრივად გარკვეულ ურთიერთობას გვიჩვენებს: ერთმანეთი (ერთმანერთი, ერთურთი, ერთიმეორე); ჩვენებითი (მითითებითი) ისეთი სახელებია, რომლებიც გვიჩვენებენ (მიგვითითებენ) რამეს: ეს, ეგ, ის (იგი), ასეთი (აგეთი), ეგეთი (მაგეთი), ისეთი; ამნაირი, იმნაირი, მაგნაირი; ამისთანა, იმისთანა, იმდენი, მაგდენი, იმდენი (ტერმინი „ნაცვალსახელი“ ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს).

ნაწევარი ანუ **ართრონი** დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი ბგერა ან ბგერათა კომპლექსი, რომელიც საზოგადო სახელს ახლავს და გვიჩვენებს, რომ საგანი, რომელსაც ეს სახელი აღნიშნავს, ცნობილია თუ უცნობი, ე. ი. გარკვეულია, თუ არაა გარკვეული, რომელი ერთია დასახელებული იმ მრავალ ერთნაირ საგანთაგან, რომელსაც ეს საზოგადო სახელი აერთიანებს: კაცი ესე, კაცი ეგე, კაცი იგი, კაცი ვინმე, კაცი ერთი...

ნაწილაკი დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი ბგერა, ბგერათა კომპლექსი თუ სიტყვა, რომელიც ერთვის წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და მნიშვნელობას უცვლის მას რაიმე მხრივ: არ, ვერ, ნუ, მე, ვე, ღა, ცა, ოდე...

ნაწილაკიანი ბრუნვები ისეთი ბრუნვებია, რომელთაც ახლავს ნაწილაკები: ც (ცა), და, მე, ვე (ვ), მეთქი, თქო, ო, ოდე, მც და სხვ.

ნახევარხმოვანი (ლათ. **semi-**

vocalis) ბგერები, რომლებიც ხმოვნისა და თანხმოვნის მიჯნაზე არიან: მაგ., ქართული ი და უ (ზოგჯერ ჲ-ს სახითაც გამოიხატება), ნაგ., დედაი, ძაკობ, ჯარი, ჯარესი, რუსული И.

ნეიტრალიზაცია კორელაციაში, გარკვეულ ფონეტიკურ პოზიციაში, განსხვავებულობის წაშლა, მაგ., შ-ქ სიტყვებში დოში — დოჟი, დოჟზე, (დოშზე და დოჟზე — ორივე წარმოითქმის ჟ-თი), დოშს (დოჟს და დოშს — ორივე წარმოითქმის შ-თი).

ნეიტრალური ბგერითი ანალოგია ისეთი ბგერითი ანალოგია, რომლის მოქმედება ან მის მიერ გამოწვეული ცვლილება არ ახდენს გავლენას სიტყვის მნიშვნელობაზე: უფროსი — უმფროსი, დაჯედი — დაჯექი და სხვ.

ნეობიჰევიორიზმი (ინგ. neobehaviorism-ი 1912 წ. გერმანიაში ჩაისახა გეშტალტფსიქოლოგია (ვერტჰაიგერი, კელერი, კოფკა, რუბინი...). ფაშისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ გეშტალტფსიქოლოგიის წარმომადგენლები ამერიკაში გადასახლდნენ. აქ მოხდა გეშტალფსიქოლოგიისა და ბიჰევიორიზმის შერწყმა, რამაც გამოიწვია ნეობიჰევიორიზმი. ნეობიჰევიორიზმი იცავს შემდეგ ძირითად დებულებებს: ფსიქოლოგიის შესწავლის საგანია ქცევა, კვლევის მეთოდი კი — ობიექტური დაკვირვება.

დროთა ვითარებაში გაჩნდა სხვადასხვა მიმართულების ბიჰევიორისტული თეორიები, რომლებიც ორ ჯგუფს შეადგენენ; პირველი რადიკალური ბიჰევიორიზმის სახელითაა ცნობილი, მეორეს ნეობიჰევიორიზმს უწოდებენ. პირველი სრულიად უარჰყოფს ცნობიერებას და ქცევას ყოველგვარი ცნობიერი ფსიქიკურის გარეშე განიხილავს, მეორე კი სრულყოფილად ითვალისწინებს ქცევის მთელ მრავალფეროვნებას, ლაპარაკობს მოთხოვნილებებზე, ქცევის მიზანზე, გაგებაზე და მსგავს ცნებებზე, მაგრამ უარყოფს ამ ცნებათა არაობიექტივისტურ გაგებას. ეს მიმართულება საკმარისადაა გავრცელებული დღესაც, მძლავრი ბურჟუაზიული ფსიქოლოგიური მიმდინარეობაა.

ნეოგრამატიკული სკოლა (გერმ. lunggrammatiker) ლინგვისტიკური მიმართულება გერმანიაში XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში (ბრუგმანი, ოსტჰოფი, ლესკინი, პაული); ამ სკოლის ძირითადი დებულებებია: 1. ფონეტიკურ წესებს გამონაკლისი არა აქვს; 2. ენობრივი ცვლის პროცესში დიდი როლი ენიჭება ანალოგიას; 3. ცოცხალი დიალექტური მეტყველება უნდა იყოს ენათმეცნიერების ძირითადი საგახი, რაძდენადაც ასეთ მეტყველებაშია მოცემული ენის ბუნებრივი განვითარება: ნეოგრამატიკოსებისათვის დამახასიათებელია ისტორიული პრინციპის სრული და უყოყმანო აღიარება.

ნეოლინგვისტიკა (ინგლ. neolinguistics) ენათმეცნიერული მიმდინარეობა, რომელიც წარმოიშვა იტალიაში XX ს-ში (ბარტოლი, ბონფანტე, პიზანი). ამ მიმდინარეობისათვის დამახასიათებელია: ნეოგრამატიკოსთა შეხედულებებთან დაპირისპირება, ენის გამოცხადება ადამიანის ესთეტიკურ შემოქმედებად; ენის საკომუნიკაციო ფუნქციისადმი უყურადღებობა, ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორიის აღიარება და უარყოფა იმისა, რომ სიტყვები ნიშნებია; ენის მიჩნევა შეუზღუდველ ინდივიდუალურ მოვლენად; ყველა ენის გამოცხადება ნარევად, ეჭვის შეტანა ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციაში და სხვ.

ნეოლინგვისტური სკოლა იგივეა, რაც ნეოლინგვისტიკა.

ნეოლოგიზმი (ბერძნ. neos ახალი, logos სიტყვა) ახალი სიტყვა, ახალი ცნება, ახალი ტერმინი. ნეოლოგიზმები ენაში ჩნდება ახალი მოვლენების გაჩენასთან დაკავშირებით. ნეოლოგიზმი ახალი სიტყვების შექმნას, შემოტანას გულისხმობს ყოველთვის; ახალ სიტყვებთან ერთად ნეოლოგიზმი გულისხმობს ახალ გამოთქმებსაც; მაგ., გამოთქმა „ზედმეტი ადამიანი“ ლიტერატურაში ტურგენევმა შემოიტანა.

„ნოვოე ვ ლინგვისტიკე“ არაპერიოდული ენათმეცნიერული კრებული, რომლის გამოშვებაც დაიწყო გამომცემლობა „საზღვარგარეთის ლიტერატურამ“. პირველი კრებული გამოვიდა 1960 წ. ამ სერიას ამოცანად აქვს, საბჭოთა მკითხველს გააცნოს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა საზღვარგარეთის მეცნიერებაში ენის შესახებ, რომელმაც თავისი ასახვა პოვა სტატიებსა და მოცულობით პატარა შრომებში; კრებულში შრომები თარგმნილია უცხოური ენებიდან რუსულად. მასალები დალაგებულია თემატიკური პრინციპის დაცვით; მაგ., პირველ კრებულში დაბეჭდილია მასალები გლოტოქრონოლოგიის მეთოდის, სეპირ-ჟორფის ჰიპოთეზისა და გლოსემატიკის შესახებ; ამ სერიის მეორე კრებული დაიბეჭდა 1962 წ., მესამე — 1963 წ., მეოთხე — 1965 წ., მეხუთე — 1970 წ., მეექვსე—1972 წ. და მეშვიდე—1975 წ.

ნომინატივი [(ლათ. casus) nominativus] სახელობითი ბრუნვა.

ნომინატიური (სახელობითიანი) კონსტრუქცია კონსტრუქცია, რომელშიც რეალური სუბიექტი სახელობითშია, ნივთის ობიექტი — მიცემითში: მ ო ნ ა დ ი რ ე კლავს ირემს, დ ა ვ ი თ ი აქებს ს ი მ ო ნ ს. ტერმინები: ნომინატიური, ერგატიული და დატიური ეკუთვნის პროფესორ ა დ ო ლ ფ დ ი რ ს.

ნომინაცია სახელდება.

ნორმა საყოველთაოდ აღიარებული, როგორც ნამდვილი, ძირითადი, მისაღები, დასაშვები; —

ლიტერატურული ენის ნორმები.

ნოტაცია (ლათ. notatio — შენიშვნა) წერილობითი ხასიათის პირობითი ნიშნების სისტემა, რომელიც მიღებულია ამა თუ იმ დარგში.

ნუსხა გაკრული ხელით ნაწერი.

ნუსხახუცური იხ. ნუსხური.

ნუსხური ქართული დამწერლობა IX—XI საუკ., რომელიც შემდგომი განვითარება იყო ასომთავრულისა (მრგლოვანისა); XI—XII საუკ. მისგან განვითარდა თანამედროვე წერა, ე. წ. მხედრული; ნუსხური გაბატონებული ყოფილა სასულიერო წიგნებში X—XVIII სს.

ო

ო. 1. მეთოთხმეტე ასო ქართულ ანბანში. მისი სახელია ონ-ი. 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა სამოცდაათს (70).

ობიექტი (ლათ. obiectum საგანი) დამატება.

ობიექტური წყობა ისეთი წყობა, როცა ზმნა ობიექტური პირის მიხედვით არის დაწყობილი: მამზადებ, მამზადებს, მამზადებთ, მამზადებენ.

ოთხთავი ძველი ქართული სახელწოდება სახარებისა (დაერქვა იმიტომ, რომ სახარებას ოთხი ავტორი ჰყავს: მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე).

ოთხშემადგენლიანია მარტივი წინადადება, რომელშიაც შემასმენელი სამპირიანი ზმნით არის გადმოცემული: „პატარა მაროს ძმამ ბარტყი მიუყვანა" (ი. ყ-გ.).

ოკრიბული თქმა (თუ ქცევა) ქართული ენის იმერული კილოს თავისებური მეტყველებაა (ოკრიბა იმერეთის კუთხეა, იგი შედის ტყიბულის რაიონში, „ოკრიბა" მეგრ. საბატკნე).

ომონიმი (ბერძ. homos ერთნაირი და onyma სახელი) სიტყვა, რომელიც ბგერითი შემადგენლობით ემთხვევა სხვა სიტყვას, მნიშვნელობითა და წარმოშობით კი განსხვავდება მისგან; მაგ., **ბარი** (მთა და ბარი) და **ბარი** (სასოფლო-სამეურნეო იარაღი).

ომონიმია 1. ლექსიკოლოგიის დარგი, რომელიც ომონიმებს შეისწავლის. 2. რომელიმე ენის ომონიმთა ერთობლიობა; ქართული ომონიმია.

ომონიმური ომონიმის ხასიათისა.

ომოფორმი (ბერძ. homos მსგავსი, ლათ. forma ფორმა); ბგერობრივი დამთხვევა სხვადასხვა წარმოშობისა და მნიშვნელობის სიტყვებისა; მაგ., „აღმართ-აღმართ მივდიოდი მ ე ნ ე ლ ა,

სერზედ შევდექ, ჰმუნვის ალი მ ე ნ ე ლ ა.

მზეშან შუქი მომაფინა
მ ა შ ი ნ ა,
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა
ვერ მ ა შ ი ნ ა.

ონდოგენეზისი იგივეა, რაც ინტოგენეზი.

ონომასტიკა (ინგლ. onomastics, name study ხელოვნება სახელდებისა), 1. პირის სახელების (ადამიანთა სახელები, გვარები, მამის სახელები) ერთობლიობა; 2. ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც საკუთარ სახელებს სწავლობს.

ონომატოლოგია (ბერძ onoma—onomatos სახელი და logos მოძღვრება) იგივეა, რაც ონომასტიკა (მნიშვ. 2).

ონომატოპეა (ბერძ. onomatopoieia წარმოქმნა) ხმაბაძვით წარმოშობილი სიტყვა, საერთოდ ონომატოპეური ხასიათისა. მაგ., ასეთი სიტყვებია: შიშინი, შრიალი, სისინი, ყიყინი, ჩხავილი, ღრუტუნი, ყივილი, ბაკი-ბუკი და სხვ.

ონტოგენეა (ბერძ. on (ontos) არსებული და genos დაბადება, (წარმოშობა) იგივეა, რაც ონტოგენეზი.

ონტოგენეზი (ბერძ on (ontos) არსებული და genesis წარმოშობა, განვითარება) ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარება მისი ჩასახვიდან სიცოცხლის დასასრულამდე.

ორენოვნება ორი ენის დაუფლება ისე, როგორც დედაენა, მშობლიური ენა.

ორთემიანი ზმნა ზმნა, რომელსაც პირველსა და მეორე სერიაში განსხვავებული თემები მოეპოვება: ებრძანებ — ვუბრძანებ — ებრძანო.

ორთოგრამა (ბერძ. orthos სწორი და gramma ნაწერი) დაწერილობა, რომელშიაც ორთოგრაფიის რომელიმე წესია გამოყენებული.

ორთოგრაფია (ბერძ. orthos სწორი და graphó ვწერ) იგივეა, რაც მართლწერა. მართლწერის წესებისა და კანონების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ლიტერატურულად გამართული წერის ხასიათსა და შინაარსს, მართლწერას საერთოდ.

ორთოგრაფიული ორთოგრაფიის ხასიათისა.

ორთოეპია (ბერძ. orthos სწორი და epos მეტყველება) მართლმეტყველება, ენობრივი წესებისა და კანონების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ლიტერატურულად გამართულ წარმოთქმას, სწორ მეტყველებას საერთოდ (ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში „ორთოეპიის“ შესატყვისად იხმარებოდა „სწორი წარმოთქმა“ ანუ „მართლწარმოთქმა“. ანტონ კათალიკოსი იყენებდა ტერმინს „მართალ-უბნობა“, ს. ჯუნდაძემ იხმარა „სწორენა“).

ორთოეპიული ორთოეპიის ხასიათისა. ორთოეპიული წესები.

ორთოლოგია მეცნიერება მეტყველების სისწორის შესახებ (ტერმინი ეკუთვნის ო. ახმანოვას).

ორიგინალური სიტყვები ისეთი სიტყვებია, რომლებიც ეპოქების მანძილზე ემსახურება ენას, შედის მის ძირითად ლექსიკურ შემადგენლობაში და მომდინარეობს ენის განვითარების უძველესი პერიოდიდან.

ორიენტალისტიკა (ლათ. orientalis-დან) აღმოსავლური, იგივეა, რაც აღმოსავლეთმცოდნეობა.

ორიენტალისტი (ლათ. oricntalis-დან) აღმოსავლური, აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკის, ისტორიის, ენათა, ლიტერატურისა და კულტურის სპეციალისტი.

ორიენტალური (ლათ. orientalis-დან) აღმოსავლური.

ორიენტაცია გრამატიკული კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს მოუბარი პირის დამოკიდებულებას ზმნით გამოხატულ მოქმედებასთან: მაახლოვებელი ანუ საქეთო ისეთი ორიენტაცია, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოქმედება მიმართულია იმ ადგილისაკენ, სადაც მოუბარი იმყოფება; მაშორებელი ანუ საიქეთო ისეთი ორიენტაცია, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოქმედების სუბიექტი ან პირდაპირი ორბიექტი იქეთ მიიმართება, შორდება მას; მაგ., ქრის, მიქრის, მოქრის; მაქვს, მიმაქვს, მომაქვს, შემაქვს, გამაქვს, დამაქვს, შემომაქვს, გადამაქვს...

ორი წერტილი იხ. ორწერტილი.

ორმაგი უარყოფა ისტორიული თვალსაზრისით ქართული ენის საგულისხმო სინტაქსური მოვლენა, რომელსაც სამწერლო ენაში X—XI სს. ვხვდებით; არც მეგრულ-ჭანურს და არც სვანურს ორმაგი უარყოფა არ ახასიათებს: საშუალსა და ახალ ქართულში კილოებიდან მოდის; ორმაგი უარყოფის გამოსახატავად ვიყენებთ ნაწილაკებს: არ, ვერ, ნუ და მათი კომბინაცია; მაგ., „არავინ არ ვიცით“ (ვაჟა), „არავის არ ესმის“ (ჯ. ერ.). „არაფერს არ ზოგავს“ (ე. გაბ.).

ორობითი რიცხვი ზოგიერთ ენაში (მაგ., არაბულში, ბერძნულში) სახელის ან ზმნის მორფოლოგიური ფორმაა, რომელიც მიგვითითებს საგნის სიმრავლეზე (როცა ორ რამეზეა საუბარი) — ორი წიგნი ვიყიდე — ქართულ ენას არ შეუძლია უორსიტყვოდ აზრის სიზუსტით გამოთქმა მაშინ, როდესაც ორობითიან ენებში ამ სიტყვის ბადალი სიტყვის ხმარება ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის, იგი ახასიათებდა აგრეთვე სანსკრიტს, სლავურ ენებს. რუსულში ზოგიერთმა არსებითმა სახელმა დღემდე შეინარჩუნა ორობითი რიცხვის ფორმა; მაგ.: **рукава, рога, глаза, плечи, очи,** **уши** და ა. შ. რუსულ ენაში ორობითის ფორმები XV—XVI საუკუნეებში გადავარდა.

ორშემადგენლიანია მარტივი წინადადება, რომელშიც შემასმენელი ერთპირიანი ზმნითაა გადმოცემული: „ქარი გრიალებ-

და," „არწივი კენწეროზე ისვენებდა".

ორცნებიანი კომპოზიტები კომპოზიტები, რომლებიც შინაარსობრივად ორი ცნების გაგებას იძლევიან: ღვინო-ქაში, და-ძმა, დედა-შამალი. .

ორწერტილი სასვენი ნიშანი (:), რომელიც იხმარება რისიმე ჩამოთვლის ან სხვისი სიტყვების გადმოცემის წინ; მაგ., „სხვა ყველაფერი მდუმარებს: ხე, ქვა, ტყე, მთა და მინდორი" (ვაჟა). (ტერმინი ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს).

ოჯახი (თურქ. ოჯაკ „კერა", „სახლი", „სასახლეული") ერთად მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც შედგება უახლოესი ნათესავებისაგან (მშობლები, შვილები, შვილიშვილები...), — კომლი, სახლობა; ენათა ოჯახი ენათა ჯგუფი, რომელშიც შედის მონათესავე ენები ანუ ერთი ენის დიალექტთა დიფერენციაციით წარმოშობილი ენები.

პ

პ. 1. მეთხუთმეტე ასო ქართულ ანბანში: მისი სახელია პარ-ი. 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ოთხმოცს (80).

პაგინაცია (ლათ. pagina-დან გვერდი) წიგნის ან ხელნაწერი გვერდების ნუმერაცია.

პაზიგრაფია (ბერძ. pas ყოველგვარი, graphó ვწერ) ყველასათვის გასაგები წერა: აზრის გამოხატვა ნიშნებით, ცნებებით, რომლებიც გასაგებია მრავალი ხალხისათვის; მაგ., სანოტო წერა, არაბული და რომაული ციფრები და სხვ.

პათეტიკური მეტყველება ცხოვრების სინამდვილის მაღალი განცდებითა და აწეული ტონით გადმოცემის სიტყვიერი ფორმა, აღფრთოვანების, აღტაცების გამომხატველი მეტყველება საერთოდ.

პალატალიზაცია შუა ენის მიახლოება მაგარ სასასთან ბგერის წარმოთქმის დროს, პალატალურად ქცევა, გარბილება (ბგერისა), პალატალური (ლათ. palatum სასა); მაგ., ე, ი.

პალატალიზება პალატალიზაციის მოხდენა.

პალატალიზებული, რამაც პალატალიზაცია განიცადა, გარბილება (ბგერა).

პალატალური (ლათ. palatum სასა) მაგარ სასასთან ენის ზურგის მიახლოებით წარმოქმნილი (ბგერა) მაგ., ლ პალატალურია ი-ს წინ.

პალატალურდება პალატალური ხდება, (ბგერა) რბილდება.

პალატალურობა პალატალურის თვისება, — სირბილე (ბგერისა).

პალეოგრაფოსი პელეოგრაფიის სპეციალისტი.

პალეოგრაფია[1] (ბერძ. palaios ძველი და graphó ვწერ) იგივეა, რაც დამწერლობათმცოდნეობა.

პალეოგრაფია[2] (ბერძ. palaios ძველი, graphó ვწერ) ძველი სამწერლო გრაფიკული ნიშნების შემსწავლელი მეცნიერება, იგი იკვლევს ასოთა მოხაზულობის ისტორიულ პროცესს, ანბანთა გაფორმებისა და ხელნაწერების საქმეს. დამწერლობას საერთოდ.

პალეონტოლოგია (ბერძ. palaios ძველი, on (ontos) არსება და logos მოძღვრება) წარსული გეოლოგიური ეპოქების ორგანიზმთა შემსწავლელი მეცნიერება, მეცნიერება ნამარხ ცხოველთა და მცენარეთა შესახებ. იხ. ლინგვისტური პალეონტოლოგია.

პალი საშუალო ინდური სალიტერატურო ენა, რომელზეც შექმნილია უმთავრესად ბუდისტური შინაარსის საკულტო ნაწარმოებები III საუკუნიდან ძვ. წ. ა. ვედებისა და პრაკრიტის ენებთან ერთად ამჟამად პალი გადაშენებულია.

პალიმფსესტი (ბერძ. palimpsèston) ეტრატი ან სხვა საწერი მასალა, რომელზეც ძველი ტექსტი წაშლილია, გადაფხეკილია თუ გადარეცხილი და ზედახლაა დაწერილი.

პაპირუსი (ბერძ. papyros) 1. მრავალწლოვანი ტროპიკული მცენარე; ხარობს წყლის ნაპირებზე, განსაკუთრებით აფრიკაში; 2. ამ მცენარის ღეროდან დამზადებული საწერი მასალა, ხმარობდნენ ძველი ხალხები (ყველაზე ადრე— ეგვიპტელები); 3. ამ მასალაზე დაწერილი ტექსტი.

პარადიგმა (ბერძ. paradeigma მაგალითი, ნიმუში) რომელიმე სიტყვის ფორმათა ტაბულა, როგორც ბრუნების ან უღლების ნიმუში.

პარალინგვისტიკა (ინგლ. paralinguistics) ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს ადამიანთა ურთიერთობის არაენობრივ ფაქტორებს (ჟესტიკულაცია, მიმიკა...), კომუნიკაციებს; პარალინგვისტიკა, როგორც მეცნიერული მიმართულება, შედარებით ახალი განვითარებულია. იგი გამოჩნდა ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში, თუმცა ჟესტი და სხეულის მოძრაობის სხვადასხვა სახე მეცნიერთა ყურადღებას დიდი ხანია იპყრობდა (ტერმინი „პარალინგვისტიკა" შემოთავაზებულია ამერიკელი მკვლევრის ჯ. ხ ი ლ ი ს მიერ. საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პარალინგვისტური მოვლენების მეცნიერული შესწავლა იწყება ე. ს ე პ ი რ ი ს შრომებიდან).

პარატაქსი [ბერძ. parataxis) თანწყობა (წინადადებათა)] შდრ. ჰიპოტაქსი.

პარაფრაზმი იხ. პერიფრაზი.

პაროდია (ბერძ. paródia; საწინააღმდეგო აზრის შემცველი სიმღერა) 1. სატირული ნაწარმოები, რომელშიც ხუმრობით, დაცინვით ბაძავენ სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებს ამ უკანასკნელის გარეგანი ფორმისა და ტონის დაცვით; 2. გარეგნულად მიმსგავსებული, მაგრამ არსებითად დამახინჯებული მიბაძვა, რომელიც სასაცილო, კარიკატურულ სახეს ატარებს.

პაროდირება 1. პაროდიის დაწერა, 2. ვინმეზე პაროდიის განსახიერება, ვისიმე წარმოდგენა სასაცილოდ.

პაროდისტი 1. პაროდიების მწერალი, პაროდიების ავტორი, 2. მიმბაძველი, იმიტატორი, რომელიც სხვა ადამიანებზე პაროდიებს განასახიერებს.

პაროდიული პაროდიის ხასიათისა.

პარონიმები ისეთი სიტყვები, რომლებსაც სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ერთმანეთს ჰგვანან წარმოთქმით: ამბულატორია — ლაბორატორია, აპარატი — პრეპარატი, ესკადრა — ესკადრონი, იდეალური — იდეალისტური, კომპლექსი — კომპლექტი.

პარონიმია (ბერძ. para ახლოს, გვერდით, იქვე და onyma სახელი) ისეთი მოვლენა მეტყველებაში, როცა ორი სიტყვა, რამდენადმე ერთნაირი ბგერადობის, შეცდომით იხმარება ერთი მეორის ნაცვლად: ადრესატი და ადრესანტი, ბოცმანი და ლოცმანი, ემიგრანტი და იმიგრანტი.

პარონიმული ატრაქცია იგივეა, რაც ხალხური ეტიმოლოგია. იხ. ეტიმოლოგია.

პარონომაზია (ინგლ. paronomasia, ფრანგ. paronomasie, გერმ. Paronomasie) ერთი ზმნის ორი სახით (ფორმით) გადმოცემა, რომელიც მკითხველში ერთ ცნებას იწვევს („უკეთუ ჰამით ჰამოს დღესა მას მესამესა პორციასა მისგანი, არა შეიწირა იგი, რამეთუ შეგინება არს" (მცხეთის ბიბლია), „და ვაცსა მას ცოდვისასა ძიებით ეძიებდა მოსე და იგი დამწუარ იყო" (ოშკის ბიბლია). პარონომაზიას სპეციალისტები მიიჩნევენ სემიტური ენებისათვის, განსაკუთრებით ებრაულისათვის, დამახასიათებელ მოვლენად.

პარხლის ოთხთავი გადაწერილია 973 წ. და მაშინვე შეუწირავთ პარხლის მონასტრისათვის, რომელიც ტაოში მდებარეობს. ეს ოთხთავი, ტყვეობიდან დახსნილი XVIII ს-ში, უკანასკნელად ინახებოდა ს. ზემო ჭალაში (ხაშურის ახლოს), მაგრამ სახელი დაერქვა შეწირვის ადგილის მიხედვით და ამიტომ უწოდებენ პარხლის ოთხთავს.

პასიმოლოგია 1. იგივეა, რაც

ენესტების ენა. 2. იგივეა, რაც კინეტიკა.

პასიური (ლათ. passivus) ვნებითი გვარისა (ზმნა).

პასიური მარაგის სიტყვები სიტყვები, რომელთაც გამოყენება არა აქვთ; მაგ., თოხლი, ჰედილა, შვრია და სხვა.

პატრონიმი (ბერძ. Patronymikon) საკუთარი სახელი, ნაწარმოები მამის სახელისაგან. შდრ. მატრონიმი.

პაუზა (ბერძნ. pausis შეწყვეტა) შესვენება, შეჩერება, გაჩუმება. შეწყვეტა: სინამდვილის ინტონაციით გამოსახვის ფორმა რიტორიკაში, პოეტიკაში, მუსიკაში.

პერგამენტი საგანგებოდ დამუშავებული ტყავი ცხოველთა; ქაღალდის გავრცელებამდე საწერად იყენებდნენ. ასეთი სახელი ამ საწერ ტყავს მცირე აზიის ქ. პერგამონისაგან მიენიჭა. ნ. ეტრატი.

პერიოდი ძვ. რთული სინტაქსური ერთეული, რომელიც მოიცავს ერთ ვრცელ ან რამდენიმე ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ წინადადებას, ახასიათებს დასრულებული ინტონაცია. იმის მიხედვით, თუ რამდენი წინადადებაა გაერთიანებული, პერიოდი შეიძლება იყოს ერთწევროვანი, ორწევროვანი, სამწევროვანი და უმეტესი (ძვ. ქართველი გრამატიკოსები განიხილავდნენ ე. წ. პერიოდს, რომელიც, შეიძლება ითქვას, იგივე რთული წინადადებაა, მაგრამ შემდეგ ს. ხუნდაძეს, მ. ჯანაშვილსა და მ. კელენჯერიძეს პერიოდი ხელოვნური მეტყველების სახედ აქვთ გაგებული. უკანასკნელი მოსაზრება საგულისხმოა სინტაქსისა და სტილისტიკის ურთიერთობის თვალსაზრისით).

პერიოდი რთული წინადადების სახეცვლილებაა. მისი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ გამოკვეთილია აზრობრივი დანაწევრება, ორი ნაწილის აღნაკობა და ინტონაცია: პირველ ნაწილში ჩამოთვლილია ცალკეული მოვლენები, ამბები, პირობები, მიზეზი და ა. შ. პერიოდის მეორე ნაწილი წარმოადგენს დამამთავრებელ ნაწილს, რომელიც შეიცავს დასკვნებს. ამით კი იქმნება მთლიანად რთული წინადადების აზრობრივი და გრამატიკული ერთობლიობა. თავისი ექსპრესიული სტრუქტურის წყალობით პერიოდი გამოიყენეს სტილისტიკური მიზნებისათვის პათეტიკურ, სატირულ, ლირიკულ და იუმორისტულ მეტყველებაში.

პერიფრაზი (ბერძ. periphreisis აღწერა, მინიშნება) სტილისტიკური ხერხი, რომლის შინაარსს განსაზღვრავს საგნის ან მოვლენის დახასიათება თვისებათა მინიშნებით და არაპირდაპირი დასახელებით; როგორიმე საგნის ან ცნების სახელის აღწერითად გად-

მოცემა: ნაცვლად „არწივისა“, ამბობენ „ფრინველთ მეფე“, „ლომის“ ნაცვლად—„ნადირთ მეფე“, „სიმინდის“ ნაცვლად „მინდვრის დედოფალი“.

პერმანსივი (ლათ. permanent გრძელდება, არ წყდება, permanens გაგრძელებული, შეუწყვეტელი) ისეთი განგრძობითი ასპექტია, რომელიც მიგვითითებს, როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი, რა სახისაა იგი; მისთვის ძირითადია პროცესის განგრძობითობა (ჰ. შუხართი პერმანსივის ნაცვლად ხმარობდა ტერმინს „პერპეტუალს“, ნ. მარი — „აორისტ ჩვეულებითს“, ა. შანიძე — „ნამყო მრავალგზითს“, „ხოლმეობითს“, „ნამყო ჩვეულებითს“, „პერმანსივს“, გ. დეეტერსი — „პერმანსივს“).

პერსონაჟის ენა მხატვრულ ნაწარმოებში მოქმედი პირის ენა, სტილი, მეტყველება საერთოდ.

პერფექტი (ლათ. perfectum) ზოგ ენაში ზმნის ფორმა, რომელიც გამოხატავს დასრულებულ მოქმედებას ნამყო დროში.

პირდაპირი დამატება წინადადებაში პირდაპირ-ობიექტური პირის ფარდი სახელია. ასეთი დამატება მხოლოდ გარდამავალ ზმნას მოეპოვება (ორპირიანს თუ სამპირიანს) და აღნიშნავს, რომ ქვემდებარის მოქმედება მას ეხება უშუალოდ (ნელი სიო ოდნავ არხევდა ფოთლებს) ან სხვა პირის მეშვეობით (სიცივემ წიწილას დედის უბე მოაძებნინა, თ. რაზ.).

პირდაპირი თქმა სხვისი ნათქვამის გადმოცემა პირველი პირის ფორმით.

პირდაპირი მნიშვნელობა (სიტყვისა) ძირითადი, შეუცვლელი, არაგადატანითი მხიშვნელობა.

პირდაპირი ნათქვამი ვისიმე ნათქვამის სიტყვა-სიტყვით, უცვლელად განმეორება; მაგ., შოთა წერს: „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია“.

პირდაპირისებრი დამატება პირიანი ზმნის პირდაპირი დამატება საწყისთან და მოქმედებითი გვარის მიმღეობასთან ნათესაობით ბრუნვაში დადგება და უბრალო დამატებად იქცევა: სახლი ავაშენე — სახლის აშენება; სახლი აშენა — სახლის ამშენებელი.

პირველ-საჩინო ძვ. იგივეა, რაც პირველადი (ტერმინი გვხვდება ზ. შანშოვანის გრამატიკაში).

პირი გრამატიკაში ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს ან იმას, ვინც მოუბარია, ან იმას, ვისაც მოუბარი მიმართავს უბნობის დროს, ან კიდევ იმას, ვინც ან რაც არც მოუბარია და არც მისი მიმართვის საგანი, არამედ სხვა.

პირითი ძვ. პიროვნული.

პირისეული ანუ ორალური ხმოვნები ისეთი ხმოვნებია, რომელთა წარმოთქმისას ჰაერნაკადი გამოდის მხოლოდ პირით.

პირისპირობითი ანუ გარემოებითი კავშირი ძვ. მაპირისპირებელი კავშირი.

პირის სახელები ისეთი სახელები, რომლებიც ადამიანებს ჰქვიათ: ავთანდილ, ბაგრატ.

პირმიმართი დამატება დამატება, რომელიც ზმნაში პირის ნიშანს აჩენს (ტერმინი ეკუთვნის ა. შანიძეს).

პირნაკლი ზმნები ზმნები, რომელთაც აკლიათ რომელიმე პირი. ეს ზმნები გამოხატავენ მეტეოროლოგიურ მოვლენებს და თავიანთი შინაარსის შეზღუდულობის გამო მარტოოდენ მესამე სუბიექტური პირის მხოლობით რიცხვში იხმარებიან; მაგ., წვიმს, ქუხს, ქრის, ელავს, თენდება, თოვს, ღამდება და სხვ. (ტერმინი „პირნაკლი“ ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს).

პირობითი დამოკიდებული წინადადება გვიჩვენებს, თუ რა პირობებში შეიძლება მოხდეს, ან შეიძლება მომხდარიყო ის, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი: მაგ., „კოლოც კი წააქცევს ცხენსა, თუ დიდი მგელი უშველის“ (ანდ.); „ეს კეთილი და გონიერი ფინია რომ არ შესწრებოდა, რასაკვირველია, საწყალი ბავშვი დაიხრჩობოდა“ (ი. გოგ.).

პირობის გარემოება ახლავს ზმნას და აღნიშნავს იმ პირობას, რომელშიაც სრულდება მოქმედება, მაგ., „ორივე შემთხვევაში უცილო დაღუპვა მოელოდა შორენას“ (კ. გამს.).

პიქტოგრაფია (ლათ. pictus ფერებით ნაწერი და ბერძ. graphó ვწერ) დამწერლობის უძველესი სახეობა, რომლის დროსაც გადმოსაცემ შინაარსს ხატავდნენ, — ხატოვანი დამწერლობა.

პიქტორალური სიტყვები სიტყვები, რომლებშიც კარგად ჩანს სიტყვების ბგერითი მხარისა და მნიშვნელობას შორის არსებული საერთო მომენტები, მათ შორის არსებული ურთიერთშესატყვისობა (ტერმინი ნაწარმოებია ლათინური სიტყვიდან pictus, რაც ნიშნავს დახატულს); ასეთი სიტყვების აღსანიშნავად სპეციალურ ლიტერატურაში სხვა ტერმინებიც არის გამოყენებული: ბგერითი წაბაძვა, ხმაბაძვა, ონომატოპეა, ექსპრესია და სხვ. (მაგ., ბრახუნი,- ბზრიალი, გრიალი, ტკაცუნი, ქუხილი, ხრიგინი და სხვ.).

პლეონაზმი (ბერძ. pleonasmos ზედმეტობა, სიჭარბე) ისეთი ერთცნებიანი სხვადასხვა სიტყვების გამოყენება წინადადებაში, რომელთა შორის ერთი ან ორი ყოველთვის ზედმეტია; მაგ.: გიორგი უკან დაბრუნდა. სიტყვა უკან რომ ამოვიღოთ, წინადადებაში აზრობრივად არავითარი ცვლილება არ მოხდება, რადგანაც სიტყვა დაბრუნდა ამ შემთხვევაში თავისთავად შეიცავს ცნებას უკან; მრავალსიტყვაობა, ერთისა და იმავე

მნიშვნელობის სიტყვათა ან გამოთქმათა ჭარბად ხმარება.

პლეონასტური პლეონაზმის ხასიათისა, პლეონასტური ფრაზა.

პოეტური ენა სახეობრივი, ემოციური მეტყველება. არსებობს ენის სამი ძირითადი სახეობა: ხალხური, ლიტერატურული და მხატვრული; პოეტური ენა არსებითად მხატვრული ენაა.

პოეტური ლექსიკა პოეტური სტილისტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელმაც უნდა შეისწავლოს პირდაპირი მნიშვნელობის სიტყვები და მათი გამოყენების ხასიათი, მხატვრული მეტყველების სიტყვათა მარაგის შემადგენლობისა და სიტყვათა შერჩევის ორგანიზაციის საქმე.

პოეტური მიმართვა სტილისტიკური ხერხი, როცა განწყობაშეული მწერალი მიმართავს თავის პერსონაჟს, რომელიმე საგანს, მოვლენას, ბუნების ძალებსა და საკუთარ თავს, რითაც მკითხველზე ახდენს ღრმა შთაბეჭდილებას და იწვევს მისი განწყობილების შეცვლას, მაღალ ემოციებს.

მაგ.: „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია.
ჩანგო ჩემო, ტკბილად არ გიჟღერია“ (ა. წერ.).

პოეტური სემანტიკა პოეტური სტილისტიკის მთავარი შემადგენელი ნაწილი, რომელიც შეისწავლის სიტყვის არაპირდაპირი ანუ გადატანითი მნიშვნელობით გამოყენების სპეციფიკას, ხასიათს.

პოეტური სინტაქსი პოეტური სტილისტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც სწავლობს წინადადების მხატვრული ორგანიზაციის ფორმებს, პოეტური შესიტყვების წესებსა და კანონებს.

პოეტური სტილისტიკა პოეტიკის დარგია, რომელიც სწავლობს ექსპრესიული მეტყველების საერთო ბუნებას, ცალკეულ მხატერულ სიტყვათა და ცნებათა ხასიათსა და თავისებურებას.

პოეტური ფონეტიკა პოეტური სტილისტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, პოეტური სტილისტიკის შინაარსი გაპირობებულია ექსპრესიული მეტყველების ბუნების თავისებურებების ახსნით, მხატვრულად გამომსახველი ყველა სიტყვიერი ფორმის ნაირსახეობის გარკვევით (იხ. პოეტური სტილისტიკა).

პოზიციური ბგერათმონაცვლეობა ბგერათმონაცვლეობა. რომელსაც არა აქვს დაკისრებული არავითარი მნიშვნელობითი (სემანტიკური ან გრამატიკული) პოზიციური ბგერათმონაცვლეობა, მხოლოდ ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური მოვლენაა (მაგ., გალობს—გალოფს, წევიდა—წავიდა). აქ წყვილებში სიტყვათა მნიშვნელობა ერთნაირია. ეს კია, რომ გალოფს ერთგვარად ნაძალადევია წარმოთქმაში, წევიდა კი არალიტერატურულია.

პოლიგლოტი (ბერძ. polyglótos მრავალენოვანი: poly მრა-

ვალი და glotta ენა) ბევრი ენის მცოდნე.

პოლიგლოტური პოლიგლოტის დამახასიათებელი; მრავალენოვანი.

პოლივალენტოვანი მრავალჭრილი ღირებულების მქონე, მრავალღირებულებიანი.

პოლისემანტიკური მრავალმნიშვნელოვანი (სიტყვა).

პოლისემია[1] (ბერძ. poly ბევრი, მრავალი და sēma ნიშანი) სიტყვის მრავალმნიშვნელიანობა; პოლისემია ომონიმების (იხ. ომონიმები) წარმოქმნის ერთ-ერთი საშუალებაა: მაგ., ბჭე ნიშნავდა ძველად შესასვლელს, დიდ კარს. შემდეგ — მოსამართლეს; ასევე დარბაზი ძვ. ნიშნავდა მეფის კარს, სასახლეს, შემდეგ — სამეფო საბჭოს, აგრეთვე ბჭობას, თათბირს და სხვ.

პოლისემია[2] გრამატიკაში ისეთი მოვლენაა, როცა ზმნები, წარმოშობით რელატიურები, გარკვეულ შემთხვევაში აბსოლუტურნი გამხდარან: მაგ.: აცივებს შდრ. ავად ვარ და მაციებს.

პოლისინთეზური (მრავალგამერთიანებელი) ანუ ინკორპორირებული ენები ენები, რომელთაც ახასიათებთ არა სიტყვების მორფოლოგიური აგებულება, არამედ ამ სიტყვების გაერთიანება წინადადებაში ერთ სიტყვად ზმნის გარშემო; პოლისინთეზურია, მაგ., ჩრ. ამერიკის ერთ-ერთი ენა — ჩინუკ ენა; პოლისინთეზური ენები შეაქვთ მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში.

პოლონური პოლონეთის ან პოლონელების კუთვნილი, პოლონეთის, პოლონელების დამახასიათებელი, პოლონეთიდან მომდინარე (იგივეა, რაც პოლონური ენა).

პოსტპოზიცია (ლათ. post შემდეგ და positio მდგომარეობა) სიტყვის მდგომარეობა იმ სიტყვის შემდეგ, რომელსაც იგი უშუალოდ უკავშირდება.

პოსტპოზიციური განსასაზღვრი სიტყვის შემდეგ დასმული (მაგ., არტიკლი ზოგ ენაში), აგრეთვე მსაზღვრელი (ქართულ ენაში).

პოსტპოზიციური წარმოქმნა თანდებულის საშუალებით ახალი სიტყვის წარმოქმნა: მაგ., გვაქვს -გან თანდებულიანი სახელები: ერ-სა-გან-ი (ძვ. ქართულში ჯარისკაცი), დევთა-გან-ი (საკუთარი სახელია), ქალაქთაშორისი, აქედან: საქალაქთაშორისო ...თანა-ს შემცველია: ამისთანა, იმისთანა, ტბათანა (გეოგრაფიული სახელია ალაზნის თავში), კარ-თანა; (ფშავში) და სხვ.

პოსტპოზიციური წყობა მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულ სიტყვას: წიგნი ახალი, ვაშლი წითელი.

პოტენციალისის კატეგორია ზმნის კატეგორია, რომელიც შესაძლებლობას გამოხატავს აფიქსების საშუალებით; ქართველური ენებიდან ეს კატეგორია აქვს მეგრულს, სადაც იგი ვნებითი გვარის

ზმნებით გადმოიცემა, ერთპირიანითაც და ორპირიანითაც; მაგ., ი-ჭარ-ე-(ნ)- შეიძლება დაიწეროს, მ-ა-ჭარ-ე-(ნ) მე შემიძლია ვწერო: ქართულში არის პოტენციალისის კატეგორიის კვალი: „ქალი ვინმე მიკითხავსო, ი ნ ა ხ ვ ი ს მ ც ა ამირბარი“ (შ. რუსთ.): „ინახვისმცა ამირბარი“ ნიშნავს — შეიძლება თუ არა ამირბარის ნახვა. „ინახვის“ უდავო პოტენციალისია (არნ. ჩიქობავა).

პრაგმატიზმი (ბერძ. pragma საქმე, მოქმედება) იდეალისტური მიმდინარეობა თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში; თავისთავს მატერიალიზმზე მაღლა აყენებს, ნამდვილად კი სამყარო სუბიექტურ ცდამდე, შეგრძნებამდე დაჰყავს; უარყოფს მეცნიერულ ცოდნას, ობიექტურ ჭეშმარიტებას; ჭეშმარიტად თვლის იმას, რაც სასარგებლოა; ეს მიმდინარეობა განსაკუთრებით გავრცელებულია ინგლისსა და ამერიკაში.

პრაგმატიკოსი პრაგმატიზმის მიმდევარი.

პრაგმატისტული პრაგმატიზმის ხასიათისა, პრაგმატიზმზე დამყარებული; პრაგმატისტის დამახასიათებელი.

პრაღის სტრუქტურალისტური სკოლა (ინგლ. the Prague school) სტრუქტურალისტურ - ფუნქციონალური მიმართულება ლინგვისტიკაში, რომელიც ჩამოყალიბდა 1926 წელს ჩეხი ენათმეცნიერის ვილჰელმ მატეზიუსის (1882—1945) ინიციატივით. ამ სკოლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ რ. ო. იაკობსონი და რუსი ენათმეცნიერები: ნ. ს. ტრუბეცკოი, ს. ო. კარცევსკი. მათ ბევრი რამ გააკეთეს ფონოლოგიისა და გრამატიკის სფეროში: ლიტერატურული ენა გამოიკვლიეს ფუნქციონალური პოზიციებიდან, ჩაძოაყალიბეს გარკვეული შეხედულებები მეტყველების კულტურის საკითხებზე, ენა განიხილეს, როგორც სისტემა, სცადეს შეეღგინათ სტრუქტურული გრამატიკის თეორია, დაამუშავეს ენის, სტილისა და დამწერლობის მქონე ენათა პრობლემები.

პრაღის სკოლამ წამოაყენა თეზისი — ენობრივი ანალიზის ფუნქციონალურ და ტელეოლოგიურ თვალსაზრისზე დაყრდნობით ჩატარების შესახებ, უარყო მოსაზრება სინქრონიულ და დიაქრონიულ ანალიზს შორის გადაულახავი ზღვარის არსებობაზე, გამოიკვლია ენობრივი ცვლილებებისა და ენობრივ სისტემასთან მათი მიმართების აქტუალური საკითხები და სხვ.

პრედიკატი (სამ. ლათ. praedicatum შემასმენელი) 1. ლოგ. ის, რაც მსჯელობაში მსჯელობის საგანზე არის ნათქვამი, — ლოგიკური შემასმენელი. 2. ლიხვ. იგივეა, რაც შემასმენელი.

პრედიკატული (შემასმენლური) განსაზღვრება წინადადების მე-

ორეხარისხოვანი წევრი, რომელიც შემასმენლის ჯგუფში შედის, მაგრამ ამასთანავე დამოკიდებულია ქვემდებარესა თუ დამატება-ობიექტზე და საგანს (ქვემდებარეს ან დამატება-ობიექტს) ახასიათებს ანუ განსაზღვრავს ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულების მომენტთან მიმართებით. მაგ., „გლეხები ხარხარით გარბოდნენ, არსენა კი გამალებული მისდევდა“ (მ. ჯავახ.).

პრედიკატული სიტყვათშეერთება ისეთი სიტყვათშეერთება, რომელშიც წამყვანი პოზიცია უჭირავს ზმნას (პრედიკატს): „გიორგიმ წაავლო ხელი წნელს, ფეხები თივას მიაბჯინა, დასჭიმა წნელი და დაიწყო ჩამოცოცვა თივიდან“ (ი. ჭავჭ.).

პრეპოზიციული ანუ წარმავალი მსაზღვრელი მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულ სიტყვას: ჭრელი პეპელა, წითელი ყელსახვევი.

პრეპოზიციული წარმოქმნა წინდებულის (ზმნისწინის ანუ პრევერბის) მეოხებით ახალი სიტყვის წარმოქმნა; მაგ., მოგება, მიგება, წაგება, დაგება, ჩაგება, აგება, მიხვედრა, მოხვედრა, დახვედრა...

პერერუბტივი ოდნავფშვინიერი ბგერა.

პრეფიქსი (ლათ. praefixus წინიდან მიმაგრებული) სიტყვის მარტივი ფუძის (ძირის) წინ მოთავსებული აფიქსი; თავსართი.

პრივატული ოპოზიცია იგივეა, რაც კატეგორიის გამოხატვა რაიმე ნიშნით.

პროგრესული ასიმილაცია იხ. ასიმილაცია.

პროვინციალიზმი (ლათ. provincialiso-დან) ლიტერატურულ ენაში კუთხური, პროვინციული სიტყვები და გამოთქმები. — დიალექტიზმი.

პროზაიზმი ყოველდღიურ ცხოვრებაში ხმარებული გამოთქმები მხატვრულ ნაწარმოებში.

პროკლიტიკა (ბერძ. proklitikos წინ დახრილი) ერთ ან ორმარცვლიანი სიტყვა, რომელიც კარგავს საკუთარ მახვილს, უერთდება მომდევნო სიტყვას და მასთან ერთად ატარებს ერთ მახვილს (შდრ. ენკლიტიკა).

პროპედევტიკა (ბერძ. propaideuó-დან წინასწარ ვისწავლე) რომელიმე მეცნიერების შესავალი, მოსამზადებელი კურსი, სისტემატურად ელემენტალური სახით დალაგებული; მაგ., არნ. ჩიქობავას „ზოგადი ენათმეცნიერების I გამოცემას (1935 წ.) „პროპედევტიკული კურსი“ აწერია.

პროპედევტიკული პროპედევტიკის ხასიათის მქონე.

პროსოდია (ბერძ. prosódia მახვილი; მისამღერი) მახვილიან და უმახვილო, გრძელ და მოკლე მარცვალთა წარმოთქმის სისტემა მეტყველებაში.

პროსოდიული ხმოვნები ხმოვნები (ა, ო...), რომლებიც გამოყენებულია პოეტურ ნაწარმოებებ-

ში მარცვალთა რაოდენობის შესავსებად. ასეთ ხმოვნებს გრამატიკული ფუნქცია არა აქვთ, მაგრამ რითმის შედგენაში მონაწილეობენ.

პროფესიონალიზმები (ინგლ. professionalism) პროფესიული ლექსიკიდან სალიტერატურო ენაში შემოსული სიტყვები; ამა თუ იმ პროფესიული ჯგუფისათვის დამახასიათებელი სიტყვა-გამოთქმები; ნაწარმოების მოქმედი პირის მეტყველებაში უსათუოდ გამოქონავს მისი პროფესიისათვის დამახასიათებელი სიტყვა-გამოთქმები.

პუნქტუაცია (ინგლ. punctuation, ლათ. punctum-იდან წერტილი) სასვენ ნიშანთა ხმარების წესები, სასვენ ნიშანთა ხმარება, მოძღვრება სასვენი ნიშნებისა და მათი ად-თავის ადგილას ხმარების შესახებ.

პუნქტუაციური პუნქტუაციის ხასიათისა.

პურიზმი (ფრანგ. purisme ლათ. purus-იდან) წმინდა 1. ზნეობრივი სიწმინდის დაცვა (ზოგჯერ მოჩვენებითი). 2. ლინგვ. ენაში უცხო სიტყვათა ჭარბად შემოტანის წინააღმდეგ ბრძოლა (ხშირად მიდის სიტყვათა ყოველგვარი სესხების გაუმართლებელ უარყოფამდე); ცნობილია პურიზმისათვის, ენაში შემოსული უცხოურ ელემენტთა თუ სიტყვათა განდევნისათვის ჩატარებული მწვავე ბრძოლა ჩეხეთში, რუსეთში, საქართველოში... მაგ., ჯერ კიდევ მეფე — პოეტი არჩილი წერდა:

„ეგ ნუ გგონიათ, სხვა ენა მეც
არ ვიცოდე სხვასავით,
მაგრამ ცუდია გარევა ქართულ
ენაში სხვას ავით“.

უ

უ. 1. მეთექვსმეტე ასო ქართულ ანბანში, მისი სახელია ჟან-ი. 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ოთხმოცდაათს (90).

ჟამი ძვ. ზმნის დრო.

ჟარგონი (ფრანგ. jargon) რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფის, კლასის, პროფესიის თავისებური მეტყველება; ჟარგონი დამახასიათებელია ვიწრო სოციალური ჯგუფისათვის და მხოლოდ ამ წრისათვისაა გასაგები. საზოგადოების ნაძირალები — ქურდები, ხულიგნები, ბოროტმოქმედნი, ხოლო ზოგჯერ საზოგადოების ზედაფენები თავიანთ ვიწრო კასტური ინტერესებისათვის ქმნიან პირობით ენას, ჟარგონს, რომელიც წარმოადგენს საერთო-სახალხო ენის სოციალურ განშტოებას, ამისაგან განსხვავებით მას აქვს ზოგიერთი სპეციფიკური სიტყვა-გამოთქმა. ცნობილია, მაგ., ბურჟუაზიის ჟარგონი, თავადაზნაურთა ჟარგონი, ქურდების ჟარგონი, მეზღვაურთა ჟარგონი,

სპორტსმენთა ჟარგონი... (შდრ. არგო, კლასობრივი დიალექტი). ჟარგონის თავისებური ფორმები გვქონდა ქართული სინამდვილეშიც.

ჟარგონიზმები სალიტერატურო ენაში გამოყენებული ჟარგონული სიტყვა-გამოთქმები.

ჟარგონული ჟარგონის დამახასიათებელი,—ჟარგონისა.

ჟესტი (ფრანგ. geste ლათ. gestus-იდან სხეულის მოძრაობა) სხეულის ნაწილების, განსაკუთრებით ხელის გამოსახატველობითი მოძრაობა: ჩვეულებრივ თან ახლავს ბგერით ენას.

ჟესტიკულაცია ჟესტების გამოყენება.

ჟესტიკულირება (ფრანგ. gesticular-დან) ჟესტიკულაციის წარმოება.

ჟესტ-მიმიკა ჟესტები და მიმიკა — ჟესტ-მიმიკის ენა.

ჟღერა სახმო სიმების პერიოდული რხევა.

ჟღერადობა-სიყრუე სამეტყველო ბგერის ჟღერით თუ ყრუდ წარმოთქმის თვისება.

რ

რ. 1. მეჩვიდმეტე ასო ქართულ ანბანში: მისი სახელი რა-ე. 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ასს (100).

რარიტეტი იშვიათი ცალი, ბიბლიოგრაფიული უნიკუმი; მაგ., ჰ. შეხართის ნაშრომი (1895 წ.) „ქართული ენის შესახებ" რარიტეტს წარმოადგენს.

რაფინირებული რის რაფინირებაც მოხდა. — გარეშე მინარევებისაგან გაწმენდილი; გადატ. დახვეწილი, ნატიფი ენა.

რაციონალიზმი (ლათ. rationalis-იდან) გონივრული იდეალისტური მოძღვრება, რომელიც შემეცნების ერთადერთ წყაროდ და ჭეშმარიტების კრიტერიუმად გონებას მიიჩნევს (საპირისპ. ემპირიზმი).

რაციონალისტური 1. რაციონალიზმისაგან, რაციონალისტის დამახასიათებელი, რაციონალიზმის ხასიათისა, რაციონალისტური ფილოსოფია; 2. მხოლოდ გონების ლოგიკის მოთხოვნილებებზე დამყარებული.

რაჭული დიალექტის კილოკავები ქვემორაჭული, ზემორაჭული, რივნისთავური და გლოლური.

რაჭული კილო (ქართული ენისა) რაჭველების მეტყველება: ონისა და ამბროლაურის რკ.

რედუპლიკაცია ანუ ფუძეთგანმეორება (ლათ. reduplicatio გაორკეცება) სიტყვის ფუძის ან ფუძის ნაწილის გაორკეცება; რედუპლიკაცია ზოგ ენაში (მაგ., ინდოევროპულ ენებში) მორფოლოგიურ საშუალებას წარმოადგენს (მაგ., დროთა განსასხვავებ-

ლად), ზოგში კიდევ — სემანტიკურ ფუნქციას ასრულებს (მაგ., ქართულში, აფხაზურში, აგრეთვე სომხურში); მაგ., ბუტბუტი, რაკრაკი, ძაგძაგი, გუგუნი, დუდუნი, ზუზუნი და ა. შ.

რედუპლიკაცია, როგორც სიტყვათა წარმოქმნის ერთ-ერთი საშუალება, ქართველურ ენებში საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. განსაკუთრებით განვითარებულია იგი ქართულსა და მეგრულში, ხოლო ჭანურსა და სვანურში იშვიათად დასტურდება. რედუპლიკაციის საკითხი საფუძვლიანად აქვს განხილული ფრ. ბაისერს ნაშრომში „ქართული სიტყვაწარმოების შესწავლა“ (გერმ. ენაზე) (1953). გვხვდება როგორც დახურული მარცვლის რედუპლიკაცია (ბაჯბაჯი, ძაგძაგი, ცახცახი, ძიგძიგი, ფუსფუსი, ჭიკჭიკი, გიზგიზი, წამწამი), ისე ღია მარცვლის რედუპლიკაცია (გოგო, ჯოჯო, ძუძუ, ფახაფუხი, ბაქიბუქი, ფაცაფუცი, ჭახაჭუხი, ჩხარაჩხური, ციცა...). ქართველურ ენებში რედუპლიკაცია უმეტეს შემთხვევაში ხმაბაძვითი წარმოშობისაა (ს. ჟღენტი).

რედუქცია (ლათ. reducere-დან) დაბრუნება, უკან დახევა, ბგერის დასუსტება მის სრულ დაკარგვამდე (ქართულში რედუქციის მაგალითებია: მაწვნის ← ნაწონის, ნიგვზის ← ნიგოზის).

რევიუ დე ქართველოლოჟი ქართველოლოგთა ჟურნალი საზღვარგარეთ („ბედი ქართლისა“). დააარსეს კალისტრატე და ნინო სალიებმა პარიზში 1948 წელს. ჟურნალი გამოდის საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის დახმარებით, ძირითადად იბეჭდება ფრანგულ ენაზე, მაგრამ მასში ინგლისურ და გერმანულ ენებზეც აქვეყნებენ წერილებს. ჟურნალი ავტორიტეტით სარგებლობს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. მას დიდი წვლილი შეაქვს ქართული კულტურის მსოფლიო არენაზე გატანის საქმეში: აქვეყნებს წერილებს ქართულის, ქართველური ენებისა და საერთოდ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესახებ, აგრეთვე ბეჭდავს მასალებს საქართველოს მეცნიერულ, ეკონომიურ და ლიტერატურულ ცხოვრებაზე. ჟურნალი კარგა ხანია გადაიქცა საერთაშორისო სახელის სამეცნიერო ორგანოდ. მას გარკვეული წვლილი შეაქვს ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეში (ს. თურნავა).

რეკონსტრუქცია სიტყვისა და ფორმის უძველესი სახის აღდგენა, რაც საერთოა ყველა შესადარებელი ენისათვის. ეს ეგრეთ წოდებული წინარეენის რეკონსტრუქციები ისტორიულად შესაძლებელია სხვადასხვა ხარისხითა და მიახლოებით მომხდარიყო.

რეკომპოზიცია (გერმ. Rekomposition) ხერხი, რომლის საშუა-

ლებით აღადგენენ რთული სიტყვის იმ ფორმას, რომელიც მას ჰქონდა მაშინ, როცა დამოუკიდებელი სიტყვა იყო, ამ გზით, მაგ., ლათინურისათვის reclaudo აღადგენენ ფორმას reclaudo claudo-ს მიხედვით.

რეკურსია ანუ დამართვა ბგერის წარმოთქმის მესამე მომენტი, როცა სამეტყველო ორგანოები უბრუნდებიან ინდიფერენტულ მდგომარეობას.

რელატიური (ლათ. relativus-იდან) შეფარდებითი, მიმართებითი (საპირისპ. აბსოლუტური).

რელატიური ზმნები აგებულებით ორპირიანი და სამპირიანი ზმნები (ქართული ზმნის რელატიურობას პირველად ყურადღება მიაქცია დ. ყიფიანმა).

რელევანტური (ლათ. relevant) არსებითი, მნიშვნელოვანი, ღირებული.

რელევანტური ნიშნეულობანი ის ნიშნეულობანი, რომლებიც ერთდროულად განასხვავებენ მოცემულ ფონემას სხვა ფონემებისაგან და ამყარებენ ფონეტიკურ მსგავსებას ერთი ფონემის ალოფონებს შორის.

რემა გამონათქვამის ერთეული ისეთივე, როგორც ფონემა, მორფემა, სემანტემა.

რეფერენტი (ლათ. referens-იდან მომხსენებელი) აზრის ის საგანი, რომელიც შეეფარდება მოცემულ ენობრივ გამოხატულებას.

რეფონოლოგიზაცია (გერმ. Umphonologisierung) ტრანსფორმაცია (გადაქცევა), ზოგიერთი ფონოლოგიური განსხვავების გადაქცევა სხვაგვარ ფონოლოგიურ განსხვავებად, ე. ი. ისეთად, რომელიც პირველთან შედარებით სხვაგვარ დამოკიდებულებაშია მოცემული ენის ფონოლოგიურ სისტემასთან მთლიანად.

რთულია წინადადება, რომელიც რამდენიმე (ორი ან ორზე მეტი) მარტივი ან შერწყმული წინადადებისაგან შედგება; მაგ., „ხმაურობა თანდათან სუსტდებოდა და ღამის უფსკრული მიდამოს ქერდულად ეპარებოდა“ (ა. ყაზ.).

რთული ბრუნვები იგივეა, რაც თანდებულიანი ბრუნვები (ტერმინი ეკუთვნის მ. ბროსეს).

რთული თანხმოვანი იხ. აფრიკატი.

რთული სახელები იგივეა, რაც თხზული სახელები.

რთული ქვეწყობილი წინადადება ისეთი წინადადება, რომელშიაც ერთი წინადადება დამოკიდებულია მეორეზე და ხსნის მას: მაგ., „ტაფობის შუა ადგილს მოჩანდა მრგვალად ამაღლებული გორაკი, რომელსაც ფერდობები შემოსილი ჰქონდა ვერხვის ტყითა“ (ა. ყაზ.).

რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შეცვლის წესი შემდეგში მდგომარეობს:

1. დამოკიდებული წინადადების კავშირი და წევრ-კავშირი ამოვარდება;

2. ამოვარდება აგრეთვე მთავარი წინადადებიდან მისათითებელი ანუ საკორელაციო სიტყვა (თუ მასში ასეთი მოიპოვება);

3. დამოკიდებული წინადადების ზმნა საწყისად ან მიმღეობად გადაქცეთდება და დამოკიდებული წინადადების შესაბამის წევრად მთავარს შეუერთდება, ხოლო დანარჩენი სიტყვები იმავე წინადადებისა მას მიმყოლ სიტყვებად გადაჰყვება; მაგ., „ის წამდაუწუმ წყალს ითხოვდა, რათა გამშრალი პირი გაესველებინა“ (ა. ყაზ.). — „ის წამდაუწუმ წყალს ითხოვდა გამშრალი პირის გასასველებლად“; ვინც კარგ საქმეს აკეთებს, ის საერთო სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს — კარგი საქმის მკეთებელი საერთო სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს.

რთული შემასმენელი შემასმენელი, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება, რომელთაგანაც ერთია პირიანი სიტყვა და მეორე ბრუნვიანი სახელი, რომელიც ძველისძველ ძეგლებში წრფელობით ბრუნვაშია; მაგ., კეთილია (ძვ. კეთილ არიან), ტკბილია, საამურია, მშვენიერია, თბილია და ა. შ.

რთულში გაერთიანებულ წინადადებათა აზრობრივი მიმართების საშუალებებია: 1) ინტონაცია, 2) კავშირი, 3) მიმართებითი სიტყვები, 4) მისათითებელი (საკორელაციო) სიტყვები, 5) წინადადებათა წყობა, 6) ზმნის დროისა და კილოს ფორმები;

მაგ., „წვიმამ გადაიღო, მაგრამ ცაზედ მზე მაინც არა ჩანდა“ (ვაჟა). „მოხდა ის, რაც ფშავში ხშირად ხდება“ (ვაჟა). „ბუნება ნამქერს პირში აყრიდა მგზავრს, სუნთქვას უძნელებდა, სულს უხუთავდა, მაგრამ ის მაინც წინ მიიწევდა“ (ვაჟა). „უკვე ბნელოდა, როცა აკაკიმ თვალი გაახილა“ (რ. გვ.). „ერთბაშად რაღაც შრიალი მოისმა და ამხანაგები შეკრთნენ“ (ა. ყაზ.).

რიგი იგივეა, რაც მწკრივი (ტერმინი ეკუთვნის ა. შანიძეს).

რივნისთავური ღებურ-ჭიორური მეტყველება (მისი გავრცელების გეოგრაფიული მდებარეობის გამო უწოდებენ; თანაც ჭიორა და ღები რიონის სათავის სოფლებია და ამის გამო ღებელები ამბობენ: რივნისთაველები ვართო).

რიტმი (ბერძ. rhythmos) თანაზომიერი, პერიოდული მონაცვლეობა რაიმე ელემენტებისა (მაგ., მოძრაობისა, ბგერებისა და სხვ.).

რიტმიკა (ბერძ. rhythmikos თანაბარზომიერი) მოძღვრება რიტმზე.

რიტმული რიტმის ხასიათისა,

რიტმის შესაბამისი, — რიტმს დაქვემდებარებული.

რიტმულობა რიტმულის თვისება; რიტმული ხასიათის ქონა, რიტმის დაცვა.

რიტორი (ბერძ. rhètór) 1. ძველ საბერძნეთში მჭევრმეტყველების მასწავლებელი; 2. მჭევრმეტყველი, ენამჭევრი, ორატორი.

რიტორიკა (ბერძ. rhètorikè) 1. მჭევრმეტყველების თეორია: მჭევრმეტყველება, ენამჭევრობა, ორიტორობა.

რიტორიკული (ბერძ. rhètorikos-იდან). 1. რიტორიკასთან დაკავშირებული, რიტორიკის წესების შესაბამისი: 2. მჭევრმეტყველური, ორატორული.

რიცხვი გრამატიკული (მორფოლოგიური) კატეგორია, რომელიც გვაძლევს გაგებას ერთ საგანზეა ლაპარაკი თუ მეტზე (ტერმინი ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს).

რიცხვითი სახელი სიტყვა, რომელიც აღნიშნავს საგნის რაოდენობას ან რიგს, ან კიდევ საგნის ნაწილს მთელთან შეფარდებით გამოხატავს. ამის მიხედვით გვაქვს: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები; რაოდენობითია ისეთი სახელი, რომელიც საგნის რაოდენობას აღნიშნავს (მაგ., ერთი, ორი, ხუთი, ასი, მილიონი...); რიგობითია სახელი, რომელიც აღნიშნავს საგნის რიგს (მაგ., პირველი, მეორე, მეხუთე, ოცდამეათე); წილობითია სახელი, რომელიც მთელის ნაწილს რიცხობრივი შეფარდებით გამოხატავს (მაგ., მესამედი, მეათედი, ოცდამეერთედი) (ტერმინი ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს).

რიცხვნაკლი ზმნები ისეთი ზმნები, რომლებიც ჩვეულებრივ ვერ აწარმოებენ მწოლობითიდან მრავლობით რიცხვს და მრავლობითში როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირისათვის სხვა ფუძე აქვთ გამოყენებული: ჯდომა — სხდომა, ვარდნა — ცვივნა, გდება — ყრა, ბმა — სხმა.

რუმინული რუმინეთის ან რუმინელების კუთვნილი, მათი დამახასიათებელი, რუმინეთიდან მომდინარე. იგივეა, რაც რუმინული ენა.

რუნები რუნიული დამწერლობის ნიშნები. იხ. რუნიული დამწერლობა.

რუნიული დამწერლობა ძველგერმანული დამწერლობა, რომლის სპეციფიკასაც ის წარმოადგენდა, რომ მის ნიშნებს ჰრიდნენ ხეზე, ქვაზე და ა. შ.; თავდაპირველად რუნიული ნიშნები მაგიური ძალის მქონედ ითვლებოდა.

რუსთველიზმები ლიტერატურული აფორიზმები, რომლებიც მომდინარეობენ შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“...

რუსიზმი რუსული ენიდან ნასესხები ან რუსულის გავლენით

შექმნილი სიტყვა ან გაშოთქმა რომელსამე სხვა ენაში.

რუსისტი რუსული ფილოლოგიის სპეციალისტი.

რუსისტიკა რუსული ენისა და კულტურის შემსწავლელ მეცნიერებათა ერთობლიობა; რუსული ფილოლოგია.

რუსიციზმი იგივეა, რაც რუსიზმი.

რუსოფილი რუსებისა და ყოველივე რუსულის მოყვარული.

რუსული რუსეთის ან რუსების კუთვნილება, მათი დამახასიათებელი, რუსეთიდან მომდინარე. იგივეა, რაც რუსული ენა.

ს

ს. 1. მეთვრამეტე ასო ქართულ ანბანში; მისი სახელია სან-ი. 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ორასს (200).

საარტიკულაციო არტიკულაციისათვის განკუთვნილი, არტიკულაციისა. საარტიკულაციო ორგანოები. საარტიკულაციო ბაზისი. იხ. ბაზისი.

საარტიკულაციო ბაზისი სამეტყველო აპარატის წარმოთქმის ჩვევები, შემუშავებული და დამკვიდრებული ამა თუ იმ ენაში ტრადიციით.

საბაწმიდური სახარება, რომელიც საბაწმიდაშია გადაწერილი თუ პირველად დაწერილი (ტერმინი გვხვდება XI ს. მოღვაწის გ. მთაწმინდელის ანდერძში: „...ჩვენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილია და კეთილად, ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა“).

სადაობითი ბრუნვა ბრუნვა, რომელიც მიგვითითებს ადგილმდებარეობას: წყალში, ხალხში, უღელზე, თავზე...

სადაობით-გამოსვლითი ისეთი რთული ფორმა, რომელსაც ორი ბრუნვის მნიშვნელობა აქვს, — სადაობითისა და გამოსვლითისა: მაგ., **ბანზეით** ბანზე იყოს და იქიდან; **ცხვარშიით** ცხვარში იყოს და იქიდან (აღნიშნული ფორმები მთის კილოების კუთვნილებაა. ტერმინი ეკუთვნის ა. შანიძეს).

სადაობით-მიწევნითი ისეთი რთული ფორმა, რომელსაც ორი სხვადასხვა ბრუნვის მნიშვნელობა აქვს, — სადაობითისა და მიწევნითისა; მაგ., **ნახევარშიამდი, ჭალაშიამდი** (დასტურდება ხევსურულში. ტერმინი ეკუთვნის ა. შანიძეს).

სადერივაციო სიტყვაწარმოებითი, წარმოქმნისა, სადერივაციო აფიქსი.

საენათმეცნიერო ენათმეცნიერებისათვის განკუთვნილი, ენათმეცნიერების შესახები, ენათმეცნიერების ხასიათისა, — ენათმეცნიერული.

საერთო-ქართველური ენა დროსა და სივრცეში არსებული ერთობლიობა მონათესავე ენებ-

ში ტრანსფორმირებული სახით შემონახული სტრუქტურისა: გ. დეეტერსის აზრით, საერთო-ქართველურ ენას ყველაზე ადრე გამოეყო სვანური, როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეული. უფრო გვიან, ქართულ-ზანური ერთიანობის დაშლის შემდეგ, ჩამოყალიბდა საკუთრივ ქართული და მეგრულ-ჭანური.

საზედასო სახელი ძვ. იგივეა, რაც ზედსართავი სახელი (ტერმინი გვხვდება ზ. შანშოვანის გრამატიკაში).

საზოგადო სახელები ისეთი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ არა ერთ გარკვეულს, არამედ მრავალ ერთგვარ საგანს, როგორიცაა: ხე, ქვა, თითი, სოფელი, კოკა, ხარი...

საზღვრული სახელი სახელი, რომელსაც ერთვის მსაზღვრელი; მაგ., ახალი ცოცხი, ახალი მსაზღვრელია, ცოცხი — საზღვრული.

საიდუმლო ენა ხელოვნური ენა, ვიწრო წრისათვის მიღებული კონსპირაციის მიზნით; კომერციულ წრეებში მიღებული პირობითი ენა.

საკითხავი ნიშანი ძვ. კითხვითი ნიშანი (ტერმინი გვხვდება გაიოზ რექტორთან).

საკუთარი სახელები ისეთი სახელები, რომლებიც ჰქვია ერთ როიელიმე საგანს: ქვეყანას ან კუთხეს, სოფელს ან ქალაქს, ადამიანს, მთას, ადგილს, მდინარეს, ტბას...

საკუთრებითნი ძვ. იგივეა, რაც საკუთარი (არსებითი სახელი).

საკუთრივ ზანური ის ქართველური ენა, რომელიც არსებობდა ქართულ-ზანური ერთიანობის დაშლის ეპოქიდან იმ პერიოდამდე, როდესაც მის საფუძველზე ჩამოყალიბდა ორი დამოუკიდებელი დიალექტი — მეგრული და ჭანური.

სალამისის არამეული თანამედროვე არამეული დიალექტისათვის გამოყენებული ტერმინი სათანადო გეოგრაფიულ სახელთან ერთად.

სამაგიერო სიგრძე ისეთი ფონეტიკური მოვლენა, რომელიც სპირანტ ჰ-ს დაკარგვასთანაა დაკავშირებული: ხმოვანსა და მჟღერ თანხმოვნებს შორის მდგომი სპირანტი ჰ იკარგება, მაგრამ ისე, რომ ტოვებს კვალს: აგრძელებს წინამავალ ხმოვანს და ვღებულობთ ე. წ. სამაგიერო სიგრძეს. ეს გაგრძელება იმდენად დიდია, რომ გაგრძელებული ხმოვანი აკუსტიკურად ორი ხმოვანის შთაბეჭდილებას ახდენს. ამიტომ ეს გაგრძელებული ხმოვანი გრაფიკულად ორი ერთნაირი ხმოვნით აღინიშნება; მაგ., აავალათ (ამბავი, საქმის ვითარება), ჟაანამ (ჯოჯოხეთი) და სხვ. (ტერმინი ეკუთვნის რ. ლამბაშიძეს).

სამართავი სიტყვები ძვ. იგივეა, რაც მართული სიტყვები.

სამეტყველო აპარატი ბგერა-

თა წარმოთქმისათვის საჭირო ორგანოთა ერთობლიობა (ფილტვები, დიაფრაგმა, ხორხი, სახმო სიმები, ციცხვისებრი ხრტილები, სასა, ნაჭი, ქვედა ყბა, ენა, კბილები, ტუჩები).

სამეტყველო ბგერა სიტყვის უმარტივესი ელემენტი. იხ. ფონემა.

სამეულები სამი ცალისაგან შემდგარი ერთეული; მაგ., თანხმოვანთა სამეულები: ბპფ, დტთ, ძწც, ჯჭჩ, გკქ.

სამი სტილის თეორია თეორია, რომლის თანახმადაც, ენა უნდა ყოფილიყო განსხვავებული იმისდა მიხედვით, თუ როგორ საგანზე გვექნებოდა მსჯელობა: „მაღალ მატერიებზე“ — „მაღალი შტილით“ უნდა გველაპარაკა, უფრო ორდინალურ მოვლენებს საშუალი ენა („შტილი“) შეეფერებოდა, ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის „მდაბალი სტილი“ იყო განკუთვნილი (სამი სტილის თეორია ჯერ კიდევ ძვ. რომმა იცოდა; გასავალი ჰქონდა მას საშუალ საუკუნეებში და შემდეგ — უფრო მეტად — აღორძინების ხანაში. რუსეთში მას დიდი პატივი მოუპოვა ლომონოსოვმა. საქართველოში სამი სტილის თეორიას თავგამოდებით იცავდა ანტონ პირველი კათალიკოსი).

სამშემადგენლიანი მარტივი წინადადება წინადადება, რომელშიაც შემასმენელი ორპირიანი ზმნით არის გადმოცემული: „კლდეს ხავერდივით მწვანე ხავსი გადაკვრია“ (ი. გოგ.).

სამცნებიანი კომპოზიტები კომპოზიტები, რომლებიც შინაარსობრივად სამი ცნების გაგებას იძლევიან: ქართლ-კახეთი-იმერეთი.

სანოტო დამწერლობა ნოტებისათვის განკუთვნილი დამწერლობა.

სართი ფუძეზე დართული სიტყვის მაწარმოებელი ელემენტი.

სასაზღვრო ძვ. იგივეა, რაც საზღვრული.

სასვენი ნიშნები წერაში გამოყენებული გრაფიკული ნიშნები — წერტილი (.), მძიმე (,), ორი წერტილი (:) და სხვ., რომლებიც გამოხატავენ სიტყვებს ან სიტყვათა ჯგუფებს შორის სინტაქსურსა და ინტონაციურ კავშირს.

სასხოლიო ნიშანი ძვ. სქოლიოს ნიშანი.

სატელიტი სტრუქტურულ სინტაქსში ტერმინი, რომლითაც აღინიშნება კონსტრუქციის ბირთვზე დამოკიდებული უშუალო შემადგენელი.

საურთიერთო კატეგორია ანუ სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთმოქმედება ქართულში არა გვაქვს. სათანადო შინაარსი გადმოიცემა აღწერითი საშუალებებით; მაგ., მათ ერთმანეთს შეხედეს, ისინი ერთმანეთს დაემალნენ; ზანურ-

ში ზმნა მორფოლოგიურადაც არჩევს ამ კატეგორიას. ამ მიზნით გამოიყენება აკო||ოკო ზმნური ელემენტები; მაგ., აკანთხეს ჟირხოლოქ (მეგრ. ერთმანეთს ეცნენ), ბერეფე ოკვაკიდეს (ვან. ბავშვები წაიკიდნენ).

საფუძველი ძვ. იგივეა, რაც ფუძე.

საქმე იგივეა, რაც აქტი.

საქუნდახო სახელი ძვ. იგივეა, რაც არსებითი სახელი (ტერმინი გვხვდება ზ. შანშოვანის გრამატიკაში).

საშუალი ქართული ენა გულისხმობს სალიტერატურო ქართულ ენას XI საუკუნიდან მოყოლებული XVIII საუკუნემდის (ტერმინი ეკუთვნის ა. შანიძეს).

საშუალო აწეულობის ხმოვანი ქართულში საშუალო აწეულობის ხმოვნებია ე—ო, რომელთა წარმოთქმისას ენას საშუალო ადგილი უკავია შედარებით მაღალი აწეულობის ხმოვნებთან (ი-, უ-) და დაბალი აწეულობის ხმოვანთან (მაგ., ქართ. ა.).

საცვალებელნი ძვ. იგივეა, რაც ფორმაცვალებადი სიტყვები.

საძიებო ძვ. იგივეა, რაც აკუზატივი („ძიება" ძველად ნიშნავდა დამატებას). საძიებო — მართული ანუ საობიექტო, რაც აკუზატივის სინტაქსურ დახასიათებას წარმოადგენს (ტერმინი ეკუთვნის ზ. შანშოვანს).

საწრფელო ძვ. იგივეა, რაც სახელობითი (ტერმინი გვხვდება ზ. შანშოვანის გრამატიკაში, ანტონ I, მაგ., ქართული პირველი ბრუნვის სახელად ხვარობდა წრფელობითსაც და სახელობითსაც. პირველი („წრფელობითი") ბერძნულ ტრადიციას უწევს ანგარიშს, იგი ბერძნული „ორთე"-ს თარგმანია; ხოლო მეორე („სახელობითი") ლათინურის კალკს წარმოადგენს (ნომინატანიუს — „ნომენი" — სახელი).

საწყისი ზმნისაგან ნაწარმოები არსებითი სახელი; მასდარი (ტერმინი ქართულია, გრამატიკაში პირველად შემოიტანა ა. შანიძემ, 1930).

საჭურვლის დამატება იარაღის აღმნიშვნელი უთანდებულო დამატება მოქმედებით ბრუნვაში: დანით დაჭრეს (დანით დაჭრილი, დანით მჭრელი), ნემსით დაჩხვლეტა (ნემსით დასაჩხვლეტი, ნემსით დაჩხვლეტილი).

სახარება (ბერძ. evangelion) კეთილი ამბავი, ხარება.

სახე[1] ძვ. ზმნის გვარი.

სახე[2] ძვ. 1. სახელებში გულისხმობდა სიტყვაწარმოებას, 2. ზმნებში აღნიშნავდა კონტაქტს.

სახელ-გვარი ისეთი სინტაქსური ვითარება, როდესაც რქმევის სახელი გვართანაა და რომელსაც მორფოლოგიურად ის ახასიათებს, რომ სახელი უცვლელია და გვარი იბრუნვის: ვახტანგ მეფე, მოსე გულფუშაძე, დავით აღმაშენე-

ბელი, გიორგი ბრწყინვალე, იერემია წარბა, ტარიელ მკლავაძე, კაცია მუნჯაძე...

სახელდართული ძვ. იგივეა, რაც ნაცვალსახელი (ტერმინი გვხვდება ზ. შანშოვანის გრამატიკაში).

სახელდებითია წინადადება, რომლითაც აღინიშნება საგანი თუ მოვლენა რისიმე მტკიცების გარეშე;

მაგ., უდაბნო. საღამო. იწყება ქარიშხალი. ცა მოღუშული (ქ. ლორთქ.).

სახელზმნა ისეთი სიტყვა, რომელიც შეიცავს სახელის ნიშნებსაც და ზმნისასაც. სახელზმნას აქვს ზმნის კატეგორიები — გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, კონტაქტი, თანამდევრობა; სახელზმნა იბრუნვის (ტერმინი ეკუთვნის ანტონ პირველს).

სახელთა ჯგუფი განისაზღვრება იმ სახელთან ერთად, რომელსაც ის განსაზღვრავს. იხ. მსაზღვრელ-საზღვრული (ტერმინი ეკუთვნის ჰანს ფოგტს).

სახელობითი ბრუნვა (გერ. Nominativ, რუს именительный) სახელწოდება ბრუნვისა, რომელიც მიუგებს კითხვებზე: ვინ? რა? ქართულ ენაში აღნიშნავს სუბიექტს (გარდაუვალ ზმნებთან, აგრეთვე გარდამავალ ზმნებთან ნაკვთთა აწმყოს წყებაში) და პირდაპირ ობიექტს (გარდამავალ ზმნებთან ნაკვთთა ნამყოსა და თურმეობითის წყებაში), ინდოევროპულ ენებში მხოლოდ სუბიექტს აღნიშნავს [ანტონ პირველი სახელობითის ნაცვლად ხმაროვდა „წრფელობითს", საბელობითი ქართულში პ. იოსელიანის გრამატიკიდან შემოვიდა (1840)].

სახეობა მოქმედებისა იგივეა, რაც ასპექტი.

სეგმენტაცია (ფრანგ. segmentation) ენობრივი ერთეულების, მორფემების გამოყოფა.

სეგმენტი (ლათ. segmentum ჩონაკვეთი) ენობრივი ერთეულების მონაკვეთი, ერთეული, სამეტყველო ბგერის რაიმე თვისება; მეტყველების ტექსტის ნებისმიერი მონაკვეთი.

სეგმენტთა რიგი მეტყველების დონის ცნება, აქტუალიზებისათვის მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც წინადადებაში სტრუქტურულ ერთეულთა შორის კავშირი მყარად არის გაფორმებული, როგორიცაა, მაგ., ქართულ, რუსულ და სხვა ენებში. იხ. სიტყვათა რიგი.

სემანტემა მნიშვნელობის ელემენტი, რომლის საგნობრიობა ზოგ შემთხვევაში უდრის ფუძეს.

სემანტიკა (ბერძ. sèmantikos-იდან მნიშვნელობის მქონე) 1. იგივეა, რაც სემასიოლოგია, 2. მნიშვნელობა (სიტყვისა, გამოთქმისა, გრამატიკული ფორმისა) (ტერმინი სემანტიკა გვხვდება XVII საუკუნიდან, მაგრამ ლინგვისტიკური გააზრება მან მიიღო მხოლოდ და მხოლოდ XIX ს. II ნახევარში).

სემანტიკა ზოგადი ზოგად ენათმეცნიერებაში თანამედროვე მიმდინარეობა, რომელიც ამტკიცებს, რომ ბუნებრივი ენებით ვერ დავაკმაყოფილებთ ადამიანთა შორის ურთიერთობას და ამიტომ უნდა მოიძებნოს გზები მათ შესაცვლელად რაციონალური ლოგიკური „ენებით“.

სემანტიკური სემანტიკის დამახასიათებელი, სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირებული, სიტყვის სემანტიკური ანალიზი.

სემასიოლოგია (ბერძ. semasia მნიშვნელობა და logos მოძღვრება) ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს სიტყვათა მნიშვნელობას, მნიშვნელობათა შორის ურთიერთობასა და ამ უკანასკნელის ცვლილებათა მიზეზებს.

სემასიოლოგიური 1. სემასიოლოგიის დამახასიათებელი, სემასიოლოგიასთან დაკავშირებული, 2. შინაარსობრივი.

სემიოლოგია (გერმ. semiologia ბერძ. sema ნიშანი) შედარებით ახალგაზრდა მეცნიერება, რომელსაც ამ უკანასკნელ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში ამუშავებენ განსაკუთრებით გნოსეოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით. სემიოლოგიის ქვეშ უმთავრესად იგულისხმება მეცნიერება ნიშანთა შესახებ (მედიცინაში სემიოტიკა დიაგნოსტიკის ერთ-ერთი განყოფილებაა, სადაც ადგენენ ავადმყოფობის ნიშნებს). მეცნიერებას ნიშანთა შესახებ საფუძველი ჩაუყარა ამერიკელმა ფილოსოფოსმა ჩარლზ მირასმა. საინტერესოა, რომ იდეა სემიოლოგიის, როგორც მეცნიერების ცალკე გამოყოფის შესახებ, ეკუთვნის ჯონ ლოკს.

სემიოტიკა იგივეა, რაც სემიოლოგია.

სემიტები ტომები, ხალხები, რომლებიც სემიტურ ენებზე ლაპარაკობენ (ბიბლიაში მოხსენებული ნოეს ერთ-ერთი შვილის სემის სახელიდან), დღეს მოქმედნი: არაბები, ებრაელები, აისორები, გადაშენებული ასურელები, ბაბილონელები, ფინიკიელები.

სემიტოლოგი სემიტოლოგიის სპეციალისტი.

სემიტოლოგია (სემიტი და ბერძ. logos მოძღვრება) სემიტურ ენათა და სემიტურ კულტურათა შემსწავლელი მეცნიერება.

სემიტური ენები მონათესავე ენათა ჯგუფი, რომელშიც შედის: არაბული, ებრაული, სირიული, აისორული, ეთიოპიური, ასურული, ბაბილონური, ფინიკიური. არამეული და სხვ.

სერია (ლათ. series მწკრივი) ერთგვარი ან ერთნაირი ნიშნების მქონე საგნების, მოქმედებათა, ცნებათა ჯგუფი, მწკრივი; ფორმათა თერთმეტი მწკრივი იყოფა ჯგუფებად, რომლებსაც სერიები ჰქვია.

სესხება სიტყვათა სესხება ერ-

თი ენიდან მეორეში ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრების მუდმივმოქმედი საშუალებათაგანია. ამას ვერც ქართული ენა ასცდა. ქართულში გვხვდება სიტყვები, ნასესხები სირიულიდან, ებრაულიდან, არაბულიდან, სპარსულიდან, თურქულიდან, სომხურიდან, ბერძნულიდან, ლათინურიდან, რუსულიდან და მეტწილად რუსულის გზით გერმანულიდან, ფრანგულიდან, ინგლისურიდან, იტალიურიდან და სხვ.

სესხება ენაში სხვა ენის ლექსიკის შემოსელა ენაში, გადამუშავება საკუთარი ნორმების მიხედვით და თავისი მიზნებისათვის გამოყენება. ნასესხები სიტყვები ყველა ენას მოეპოვება. არ არსებობს ე. წ. „წმინდა“ ენა (ამ მხრივ ერთგვარი გამონაკლისია ჩინური); სესხება ხელოვნური ისეთი ენობრივი წყაროს გამოყენება, რომელსაც ამჟამად დაკარგული აქვს თავისი ცოცხალი ნიადაგი; ევროპის სალიტ. ენებისათვის ასეთებად გვევლინებიან გრეციზმები, ლათინიზმები, ნაწილობრივ არაბიზმები; შეგუებული სიტყვები ანუ ადაპტირებულია სიტყვები, რომლებიც დაქვემდებარებული არიან მსესხებელი ენის ფონეტიკური და გრამატიკული წყობისადმი. ისინი მსესხებელ ენაში შეუმჩნეველი ხდებიან და შედიან საკუთარი ლექსიკის შესაბამის ჯგუფებში. მათი ყოველი უცხოურობა მქრალდება მხოლოდ სპეციალური ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგად. სესხება უშუალო გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც სიტყვის შეთვისება ხდება ცნებასთან ერთად იმ ენიდან, რომელშიც სიტყვა ცოცხალ კავშირშია ცნებასთან; შუალობითი სესხების დროს პირველწყაროსა და მსესხებელ ენას შორის მოქცეულია სხვა ენა.

სეხნია ტოპონიმები ერთნაირი სახელწოდების ადგილის სახელები (ტერმინი ეკუთვნის ალ. ღლონტს).

სვანიზმები სვანური ენისათვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები თუ გრამატიკული ფორმები.

სვანური ენის კილოები სულ ოთხია: ბალს-ზემოური, ბალს-ქვემოური, ლაშხური და ლენტეხური (პირველი ორი ენგურის ხეობაშია, ორი დანარჩენი — ცხენისწყლისაში).

სვარაბჰაქტი იხ. ანაპტიქსი.

სვინაქსარი საეკლესიო მწერლობის თხზულებათა მოკლე გადმოცემა ან საეკლესიო დღესასწაულის განმარტება.

სიმფონია რომელიმე წიგნში ხმარებული სიტყვების სრული ანბანური სია მითითებებით, რომელ ადგილზეა იგი ხმარებული; მაგ., „ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპიური რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ“ (1944).

სინდური ენები იგივეა, რაც აფ-

ხაზურ-ადიღეური ენების ჯგუფი (ტერმინი ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილს).

სინეზისი (აზრობრივი შეთანხმება) მეტყველებაში ქვემდებარე-შემასმენლის არასწორი შეთანხმება: მთქმელი შემასმენელს რიცხვში უთანხმებს ისეთ ქვემდებარეს, რომელიც არა გრამატიკულად, არამედ ლექსიკურად გამოხატავს ერთზე მეტ საგანს; მაგ., გლეხობა იბრძოდნენ(!). გლეხობა კრებითი სახელია. იგი სემანტიკურად გამოხატავს მრავლობითის მნიშვნელობას, მაგრამ გრამატიკულად მხოლობითშია, მაშასადამე, შემასმენელიც მასთან მხოლობითში უნდა ვიხმაროთ

სინეკდოხა (ბერძ. sunecdochè თანავარაუდი) მეტონომიის ერთ-ერთი გავრცელებული სახეა, მნიშვნელობის ისეთი გადატანაა, როდესაც ნაწილის დასახელებით მხედველობაში აქვს მთელი ან მთელის დასახელებისას ნაწილი. ამიტომ, რომაელები სინეკდოხას უწოდებდნენ pars pro toto ნაწილი მთელის ნაცვლად ან totum pro parte მთელი ნაწილის ნაცვლად; მაგ., ვაბარებ ქართულს (ნაცვლად იმისა, რომ თქვან: ვაბარებ გამოცდას ქართულ ენაში); დახმარების ხელი გაუწოდა (ნაცვლად: დაეხმარა).

სინერეზისი (ბერძ. syneresis შეკუმშვა) მეზობლად მყოფი ორი ხმოვნის აღმავალ დიფთონგად შერთვა: იაკობ → ჲაკობ.

სინთეტიკური ანბანი ისეთი ანბანი, რომელიც არ უწევს ანგარიშს, რთული შედგენილობისაა თუ მარტივისა ის ბგერა, რომელიც ასოთი უნდა გამოიხატოს. ქართული და რუსული ანბანი სინთეტიკურია.

სინკოპე (ბერძ. syncopè ჩეხვა, მუსვრა) სიტყვის შიგნით ორ თანხმოვანს შუა ბგერის ჩავარდნა (დაკარგვა); იგივეა ელიზია სიტყვის შიგნით; ხმოვნის სინკოპირება. იხ. ელიზია.

სინონიმი (ბერ. synónymos სახელმსგავსი, თანასახელი, მსგავსმნიშვნელიანი) ფორმით განსხვავებული, მნიშვნელობით მსგავსი სიტყვა; მაგ., შარა—გზა, თხმელა—მურყანი, სახედარი—ვირი, ღვინისი—თიბათვე, პაპა—ბაბუა, ბარათი—წერილი, სვლა—სიარული...

სინონიმია (ბერძ. synonymia ერთსახელიანობა) სხვადასხვა სიტყვის მსგავსება მნიშვნელობის მიხედვით.

სინონიმიკა ამა თუ იმ ენის სინონიმთა ერთობლიობა.

სინონიმური სინონიმის დამახასიათებელი, სინონიმის ხასიათისა. სინონიმური სიტყვები.

სინტაგმა (ბერ. syntagma შეერთებული) სინტაქსური ერთეული ენისა; შედგება წინადადებაში, ფრაზაში ერთმანეთთან სინტაქსურად დაკავშირებული სიტყვებისაგან; **სინტაგმა პრედიკატული** ისეთი წყვილი, რომელიც შემას-

მენელს შეიცავს: „ტარიელი დაბრუნდა“, „აკაკი თქვა“; სინტაგმა არაპრედიკატული ისეთი წყვილი, რომელიც შემასმენელს არ შეიცავს: „ლამაზი ტარიელი“, „ძლიერი ავთანდილი“; სინტაგმა ატრიბუტული ისეთი წყვილი, რომელიც ერთ-ერთ წევრად შეიცავს განსაზღვრებას: „წითელი ვარდი“, „ახალი ცოცხი“; სინტაგმა ობიექტური ისეთი წყვილი, რომლის ერთ-ერთი წევრი ობიექტია: „საბლი გააკეთა“, „ინსტიტუტი დაამთავრა“; სინტაგმა რელაციური ისეთი წყვილი, რომლის ერთ-ერთი წევრი გარემოებაა: „წინ წავიდა“, „ძვირად დაუჯდა“.

სინტაგმატიკა 1. მოძღვრება მეტყველების დანაწევრების შესახებ სინტაგმებად; 2. ენის კვლევის პირველი ფაზა, როცა ტექსტი დანაწილებულია უფრო ნაკლები სიგრძის ერთეულებად.

სინტაქსი (syntaxis შეერთება, შედგენა) გრამატიკის დარგი, რომელიც სწავლობს შესიტყვების, წინადადების აგებულებას, შესიტყვებაში სიტყვების შეკავშირების წესებს.

სინტაქსის საგნის სხვადასხვაგვარი გაგება 1. სინტაქსი არის მოძღვრება შესიტყვებათა შესახებ (ფორტუნატოვი), 2. სინტაქსი არის მოძღვრება წინადადებისა და მისი ნაწილების შესახებ (დელბრიუკი), 3. სინტაქსი არის მოძღვრება სიტყვათა კლასებისა და სიტყვათა ფორმების მნიშვნელობათა შესახებ (შიკლოშიჩი).

სინტაქსური სინტაქსის პრინციპზე დამყარებული: შესიტყვებაში, წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების დამახასიათებელი.

სინტაქსური ერთეული ანუ წყვილი ერთმანეთთან სინტაქსურად დაკავშირებული ორი წევრი, მაგ., „დადგა გაზაფხული. ჰაერში სითბო დატრიალდა. ყველგან ამოყვეს თავები პატარა ნაზმა ყვავილებმა“ (თ. რაზ.).

სინტაქსური კავშირი წინადადების წევრებს შორის ენაში ისტორიულად შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით დამყარებული კავშირი; მაგ., „თოვლმა მთლად დაფარა დედამიწა“ (ი. ევდ.).

სინქრონია (გერმ. synchronie) ენის განვითარებაში ერთი მდგომარეობის, ერთი ისტორიული ეტაპის პირობითად გამოყოფა, ენას განიხილავს დროის გარკვეულ მონაკვეთში, როგორც უცვლელ მოვლენას.

სინქრონიული[1] სინქრონიასთან დაკავშირებული: სინქრონიის შემსწავლელი; ენის სტატიკური მდგომარეობის დამახასიათებელი; სინქრონული ენათმეცნიერება.

სინქრონიული[2] (გერმ. synchronistisch) იგივეა, რაც აღწერითი (ფ. დე სოსიურმა სტატიკური და ისტორიული ენათმეცნიერების სინონიმებად შემოიღო ტერმინე-

ბი — სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერება).

სინქრონისტული იგივეა, რაც სინქრონიული.

სინჰარმონიზმი ანუ **ჰარმონია** სიტყვის ყველა ხმოვნის ასიმილაცია ერთ-ერთი ხმოვნისადმი (ეს დამახასიათებელია თურქული და მონგოლური ენებისათვის, იგი უცხო არ არის ურმიის არამეული დიალექტისათვისაც).

სირიული თანამედროვე არამეული დიალექტების აღსანიშნავი ტერმინი, რომელსაც ჩვეულებრივ კლასიკური სირიულისაგან განსასხვავებლად უმატებენ „ახალს", „თანამედროვეს" ან „ხალხურს".

სისტემა (ბერძ. systèma ნაწილებისაგან შემდგარი, შედგენილი მთლიანობა) გარკვეული წესით განლაგება-კლასიფიკაცია.

სისტემატიკა (ბერძ. systematikos) სისტემის შესახები საგნების, მოვლენების დაჯგუფება, კლასიფიკაცია.

სისტემატიზაცია (ფრან. systematisation) სისტემაში მოყვანა, საგნებს, მოვლენებს შორის არსებულ კავშირთა დადგენა, — მოწესრიგება, დასისტემება.

სისტემოლოგია იგივეა, რაც სტრუქტურალიზმი.

სიტუაცია ანუ **მდებარეობა** ზმნის კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს მოქმედების ლოკალიზაციას ამა თუ იმ საგანთან (ტერმინი ეკუთვნის ა. შანიძეს); სიტუაცია მითითებული აღნიშნავს, რომ მოქმედება ხდება რაზედმე... სიტუაცია მიუთითებელი გვიჩვენებს, რომ ზმნის ფორმა არ მიგვითითებს მოქმედების ლოკალიზაციას ამა თუ იმ საგანთან მიმართებით: წერს — აწერს, სტეხს — ატეხს, ყრის — აყრის...

სიტუაციური ფაქტორი მეტყველების მიზანი — გაიგოს მსმენელმა ჩვენი ნათქვამი — მიიღწევა არასაკმაო წარმოთქმითაც, ასეთ შემთხვევაში არ ვცდილობთ მკაფიოდ წარმოთქმას, რადგანაც ჩვეულებრივი მეტყველება ასეთ პირობებში ხდება, ბგერათცვალებადობაც აქ აისახება (დიახ ← დია ღმერთო ← დიაღ||დიახ. სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მკერივი თანხმოვანი ყრუვდება. ამ კანონმა მოქმედება დაიწყო საშუალო ქართულში, ძვ. ქართულში იგი არ მოქმედებდა). აქ წამყვანია სიტუაცია, ამიტომ ამას სიტუაციურ ფაქტორს ეძახიან.

სიტყვა[1] ძვ. მეტყველება. ნაწილი სიტყვისა, მეტყველების ნაწილი.

სიტყვა[2] მნიშვნელობის მქონე უმარტივესი ელემენტი ენისა.

სიტყვა[3] ბგერათშეერთება, რომელსაც ლექსიკური (საგნობრივი) მნიშვნელობა აქვს; მოსწრებული სიტყვა ენამახვილად, მოსწრებულად ნათქვამი; ფრთიანი სიტყვები საყოველთაოდ გავრცელებული, გონებამახვილური,

მოსწრებული გამოთქმები, აფორიზმები.

სიტყვათა ადგილმდებარეობა სიტყვათა განსაზღვრული წყობა წინადადებაში; სიტყვათა ადგილმდებარეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ენებში, რომლებშიც სიტყვათა ერთობლიობის გამოსახატავად ენას აფიქსები არ გააჩნია, მაგ., გერ. Paul liebt Peter პავლეს უყვარს პეტრე; სუბიექტი პირველ ადგილზეა, მოქმედი, ობიექტი (ვისაც უყვარს) — შემდგომ ადგილზეა.

სიტყვათა თამაში იგივეა, რაც კალამბური.

სიტყვათა რიგი. იხ. სეგმენტთა რიგი.

სიტყვათშეერთება ანუ **შესიტყვება** სინტაქსური ერთეული, რომელიც შედის წინადადებაში, როგორც მისი ელემენტი.

სიტყვათშემოქმედება ახალ სიტყვათა შექმნა, შეთხზვა.

სიტყვათშემოქმედი ვინც ახალ სიტყვებს ქმნის, თხზავს.

სიტყვანი ანბანურად და სხვა წესით გაწყობილი სიტყვები, რომლებიც თარგმნილი ან განმარტებული უნდა იქნეს ლექსიკონზე მუშაობის დროს.

სიტყვასიტყვით თარგმანი თარგმანი, როდესაც სათარგმნი ტექსტის ყოველ სიტყვას მიეწერება შესატყვისი სიტყვა თარგმანის ენაზე.

სიტყვებისა და საგნების სკოლა (გერმ. Wörten und Sachen) XIX ს. ენათმეცნიერებაში მიმართულება, რომლის წარმომადგენლებიც დიალექტთა შესწავლის ახალი მეთოდების გამოსამუშავებლად გაერთიანდნენ ლინგვისტიკურ გეოგრაფიასა და ექსპერიმენტალურ ფონეტიკაში და რომლებიც პოსტულატად მიიჩნევდნენ სიტყვის შესწავლას მის მიერ აღნიშნულ საგანთან განუყრელ კავშირში. 1905 წ. ავსტრიელმა ენათმეცნიერმა რუდოლფ ვერინგერმა დააარსა ჟურნალი „სიტყვა და საგანი“. ინგლისელმა ფილოსოფოსმა ერნესტ გელნერმა წიგნიც კი დაწერა ასეთი სათაურით „სიტყვა და საგანი“, რომელშიც გაკრიტიკებულია ლინგვისტიკური ფილოსოფია. ამის შესახებ ინგლისელი ფილოსოფოსი მორის კორნფორტი წერს: „ლინგვისტიკური ფილოსოფიის გელნერისეულ კრიტიკას ორი ნაკლი აქვს; მარქსისტულისაგან განსხვავებით მას არ გააჩნია განსაზღვრული შეხედულება, რომლისგანაც მისი კრიტიკა გამოვლინდა, მეორე მხრივ, იგი ძალიან შორს მიდის ლინგვისტიკური ფილოსოფიის კრიტიკაში“.

სიტყვიერი კონტექსტი სიტყვები, რომლებიც ახლავან მოცემულ სიტყვას და მას ანიჭებენ სათანადო ერთმნიშვნელოვანებას; მაგ., გამოთქმაში „კაცმა პირი დაიბანა“ სიტყვა პირი სახეს აღ-

ნიშნავს, ხოლო გამოთქმაში „პირში ლუკმა არ ჩაუდვიაო“ იგივე პირი — „ნაპრალია ბაგეებს შორის“.

სიტყვის არაპირდაპირი მნიშვნელობა სიტყვის ისეთი მნიშვნელობა, რომლის გაგებისათვის საჭიროა კონტექსტის მოშველიება.

სიტყვის დავიწროებული მნიშვნელობა ზოგადი მნიშვნელობა ვიწროდ, კონკრეტულად ქცეული.

სიტყვის ერთიანობის ანუ დამოკიდებულების აღმნიშვნელი ნაწილი ისეთი ნაწილია, რომელიც გვარკვევს, რა მიმართულებაშია სიტყვით აღნიშნული საგანი სხვა საგნებთან. სიტყვის დამოკიდებულების აღმნიშვნელი ნაწილებია: ი, მა, ს, ის...

სიტყვის კონა „ლექსიკონი ქართული“, ანუ „სიტყვის კონა ქართული“, სულხან-საბა ორბელიანის ცნობით, მისი ნაღვაწისათვის შეუერთებია ვახტანგ VI-ს. ეს ლექსიკონი დღემდე ოთხჯერ გამოიცა: 1884, 1928, 1949, 1965—1966 (გამომცემელნი: 1. რ. ერისთავი, 2. ა. შანიძე, ი. ყიფშიძე, 3. ს. იორდანიშვილი და 4. ილ. აბულაძე).

„სიტყვის კონის“ სათაურით დღემდე სამი ლექსიკონია გამოსული: ილ. ჭყონიას „სიტყვის კონა“ (1910), ვ. ბერიძის „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“ (1912) და ალ. ღლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“, I (1974), II (1975).

სიტყვის მნიშვნელობის მცველი ნაწილი ის ნაწილია, რომელიც დაერთვის სიტყვის ფუძეს და მნიშვნელობას უცვლის მას მთლიანად ან ნაწილობრივ (ქუდი — ქუდ-იან-ი; სა-ქუდ-ე; ცხენი — ცხენ-ოსან-ი...).

სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება მაშინ გვაქვს, როცა დიაქრონიის შედეგად სიტყვას მიენიჭა უფრო ფართო, ზოგადი მნიშვნელობა (მაგ., „მელანი“ ბერძნული სიტყვაა და შავს ნიშნავს. ამჟამად მელანს ვეძახით შავსაც, წითელსაც და ლურჯსაც და სხვა ფერისასაც).

სიტყვის მნიშვნელობის დავიწროება მაშინ გვაქვს, როცა დიაქრონიის შედეგად სიტყვას ენიჭება უფრო კერძო, ვიწრო მნიშვნელობა. სიტყვის ზოგადი მნიშვნელობა კონკრეტულად წარმოგვიდგება, გვაროვნული ცნების გამომხატველი სიტყვა საბოლოოდ იქცევა (მაგ., „სტუდენტი“ წინათ ნიშნავდა „მოსწავლეს“, ამჟამად — უმაღლესი სასწავლებლისა და ტექნიკუმის მოსწავლეს; „დოცენტი“ ნიშნავდა „მასწავლებელს“, ახლა კი უმაღლესი სასწავლებლის ლექტორის სამეცნიერო წოდებაა...).

სიტყვის ნაწილი ძვ. იგივეა, რაც მეტყველების ნაწილი.

სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობა სიტყვის ჩვეულებრივი, ძირითადი მნიშვნელობაა, რომ-

ლის გაგება კონტექსტს არ საჭიროებს.

სლავთმცოდნეობა სლაველების ენათა, ისტორიის, კულტურისა და ლიტერატურის შემსწავლელ მეცნიერებათა ერთობლიობა.

სლავიზმები არქაიზმის ძირითადი ფორმა რუსულ შწერლობაში. იგი საეკლესიო ლექსიკის, იერისა და ტონის მატარებელია.

სლავისტიკა იგივეა, რაც სლავთმცოდნეობა.

სომხური სომხების კუთვნილი, სომხების დამახასიათებელი, იგივეა, რაც სომხური ენა.

სონანტი (ლათ. sonans მქღერი) ბგერა, რომელიც თავისი ხმიერებით გამოირჩევა ყველა სხვა თანხმოვნისაგან. იგი სონორობის თვალსაზრისით ხმოვნებთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე თანხმოვნებთან; ქართულში სონანტებია: მ—ნ—რ—ლ; (ტერმინი სონანტი ენათმეცნიერებაში ფერდინანდ დე სოსიურმა შემოიტანა).

საყურადღებოა, რომ სონანტი ბგერა გარკვეულ პოზიციაში თანხმოვანია, გარკვეულში — ხმოვანი; მაგ., ლ. მარცვლოვანია: * ძაღლ, შდრ. მეგრ.-ჭან. ჯოღორ, სვან. ლ* არაა მარცვლოვანი: * ძელი: მეგრ.-ჭან. ჯაჯალ, შდრ. ჯალ-ეფ-ი.

სონორი (ლათ. sonorus-იდან) ხმიერი თანხმოვანი, რომლის წარმოებაში მუსიკალური სმა სჭარბობს ჩქამს. რ, ლ, მ, ნ — სონორებია.

სონორობა სონორის თვისება,— ხმიერობა.

სონორული იგივეა, რაც სონორი. სონორული თანხმოვანი.

სოციოლინგვისტიკა (ინგლ. sociolinguistics) (სოციოლოგიური ლინგვისტიკა) 1. ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს მიზეზობრივ კავშირს ენასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტებს შორის; 2. ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს ენათა სოციალურ დიფერენციაციას, ე. ი. მის სხვადასხვა სოციალურ დიალექტს.

სოციოლოგიური სკოლა (ინგ. sociological school) ენათმეცნიერებაში მიმართულება, რომელიც ამოდიოდა ენის საზოგადოებრივი ბუნების აღიარებიდან, მაგრამ საზოგადოება წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ცალკეული ადამიანების უბრალო ერთიანობა.

სპარსული სპარსეთისა და სპარსელების დამახასიათებელი, სპარსეთიდან მომდინარე. იგივეა, რაც სპარსული ენა.

სპექტოგრაფი ბგერის სიხშირული შედგენილობის გამაანალიზებელი ხელსაწყო.

სპირანტოიდი ისეთი ბგერა, რომელსაც შემართვა სპირანტისებური აქვს. ასეთია ქართულში **ჰ**, რომელიც ნახევრად სპირანტული და ნახევრად ხშული ელემენტის

შემცველია (ტერმინი ეკუთვნის ს. ჟ ღ ე ნ ტ ს).

სრულია წინადადება, რომელშიაც გამოტოვებულად არ იგულისხმება რომელიმე წევრი და კონტექსტისა თუ სიტუაციისაგან დამოუკიდებლად გადმოგვცემს დამთავრებულ აზრს; მაგ., „ელიზბარმა თოფს ფალია გამოუცვალა“ (ვაჟა).

სრულმნიშვნელოვანი სიტყვა ისეთი სიტყვა, რომელიც მიგვითითებს ამა თუ იმ საგანსა და მოვლენაზე სხვა სიტყვების დაუხმარებლად: მაგ., სახლი, კაცი, ქვა, აშენებს...

სტატუსი ანუ მდგომარეობა ისეთი ფორმა, რომელიც ვნებითი გვარის მოქმედებას წარმოგვიდგენს დინამიკურად ან სტატიკურად; დინამიკურია ფორმა, რომელიც მოქმედებას აჩენს პროცესის სახით, „ე. ი. მის მსვლელობაში“. სტატიკურია ფორმა, რომელიც მოქმედებას ერთ ვითარებაში წარმოადგენს; მაგ., „ეფინება“, „აფენია“ (ს ტ ა ტ უ ს ი ფრანგ. etat, რუს. состояние — ტერმინი ა. შ ა ნ ი ძ ი ს ა).

სტენოგრამა (ბერძ. stenos ვიწრო და gramma ასო) სტენოგრაფიის საშუალებით ჩაწერილი მოხსენება, სიტყვა.

სტენოგრაფი იგივეა, რაც სტენოგრაფისტი.

სტენოგრაფია (ბერძ. stenos ვიწრო და graphó ვწერ) განსაკუთრებული ნიშნებისა და შემოკლებების გამოყენებით ზეპირი მეტყველების სწრაფად ჩაწერის წესი.

სტენოგრაფირება სტენოგრაფიის საშუალებით რისამე ჩაწერა; დასტენოგრამირება

სტენოგრაფისტი სტენოგრაფიის სპეციალისტი.

სტენოტიპია ზეპირი მეტყველების ჩაწერა სტენოგრაფიული მანქანით.

სტენოტიპისტი (ბერძ. stenos ვიწრო და typos ანაბეჭდი) სტენოგრაფისტი, რომელიც ზეპირი ნალაპარაკევის ჩაწერას აწარმოებს სტენოგრაფიული საბეჭდი მანქანის საშუალებით.

სტერეოტიპული (სიტყვიდან სტერეოტიპი ბერძ. stereos მაგარი, typos ანაბეჭდი) გადატ. უცვლელად გამეორებული; შაბლონური (ითქმის გამოცემაზე—სტერეოტიპული გამოცემა).

სტვენის ენა კანადის არქიპელაგში მდებარე პატარა კუნძულის — ჰომერის მცხოვრებნი ჩვეულებრივ ესპანურად ლაპარაკობენ, მაგრამ ამავე დროს განვითარებული აქვთ სტვენის ენა, რომელსაც შორი მანძილით ურთიერთდაშორებისას იყენებენ. მათ შეუძლიათ გააგებინონ, რა უნდათ არტიკულაციური სტვენით. მათი სტვენა თურმე ორ კილომეტრზედაც აწვდის საჭირო ცნობას.

სტილი (ფრანგ. stule ბერძ. stylos) თავდაპირველად ეწოდებოდა მახვილწვეტიან ჯოხს, რომ-

ლითაც ძველი ბერძნები და რომაელები წერდნენ გასანთლულ დაფაზე. განვითარების შემდგომ საფეხურზე სტილი ლამაზ ხელს, ნაწარმოების კალიგრაფიულ ხელს, ნაწარმოების კალიგრაფიულ ხასიათს აღნიშნავდა, რითაც ცნობდნენ, ასხვავებდნენ ამა თუ იმ პირის ხელნაწერს; ენობრივი თავისებურებანი, რომლებიც ახასიათებს ამა თუ იმ მწერალს, ლიტერატურულ მიმდინარეობას, ჟანრს. სტილისტი პირი, რომელიც კარგად ფლობს ლიტერატურული ენის სტილს, რომელიც ასწორებს რაიმე ნაწარმოების (მაგ., საგაზეთო სტატიის) სტილს; სტილიზაცია ფრანგ. stylisation რომელიმე სტილის ფორმათა მიბაძვა ხელოვნებაში. არქაიზმების, დიალექტიზმების, პროვინციალიზმების, ჟარგონების, „ენობრივი შტამპების“ საკმაო სიხშირით გამოყენება მხატვრულ ნაწარმოებში; სტილისტიკა (ფრანგ. stylistique, styl-იდან) ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ენის გამომხატველობითს საშუალებებს; სტილისტიკა ანალიტიკური ენათა შეპირისპირებითი, სტილისტიკური შესწავლა; სტილისტიკა გრამატიკული გრამატიკულ საშუალებათა გამოხატვის სტილისტიკურ ასპექტში კვლევა; სტილისტიკა თეორიული შეისწავლის სტილიური ნიშნების დადგენას, სპეციალური ტერმინების შერჩევას, ახსნა-განმარტების მიცემას, მათს დასაბუთებას: სტილისტიკა ლინგვისტიკური ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს ენობრივ მოვლენებს მეტყველების ექსპრესიულობის გაძლიერების თვალსაზრისით; სტილისტიკა პრაქტიკული ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც ამუშავებს გარკვეულ რეკომენდაციებს სხვადასხვა ენობრივ სიტუაციაში ენის სწორად გამოყენების შესახებ; სტილისტიკა ფუნქციური სტილისტიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს ფუნქციურ სტილებს, ცალკეული ეპოქების, მწერლების, ნაწარმოებების, ენის სტილურ ნიშნებს; სტილისტიკა შეპირისპირებითი ენათა შორის სტილისტიკური ეკვივალენტების დაძებნა-დადგენის შემსწავლელი მეცნიერება; იგი ეყრდნობა ორ ენაში (დედნისა და თარგმანის) უკვე დადგენილ და დამუშავებულ სტილისტიკურ პრინციპებსა და ეძებს მათი შეხამების უკეთეს ვარიანტებს.

სტილისტიკური სტილისტიკის დამახასიათებელი, — სტილისტიკისა. იხ. სტილისტური.

სტილისტური ამა თუ იმ სტილის დამახასიათებელი, სტილთან დაკავშირებული.

სტილისტურად სტილის მიხედვით, სტილის თვალსაზრისით.

სტრუქტურა (ლათ. structura აგებულება) შემადგენელი ნაწილების ურთიერთმიმართება, —

აგებულება, წყობა, აღნაგობა.

სტრუქტურალიზმი თანამედროვე ენათმეცნიერების მიმდინარეობა, რომელიც მთავარ ყურადღებას უთმობს ენის შინაგან ურთიერთმიმართებებს და ურთიერთდამოკიდებულებებს, ენის სტრუქტურას.

სტრუქტურული სტრუქტურასთან დაკავშირებული, სტრუქტურით განსაზღვრული, სტრუქტურის ხასიათისა; სტრუქტურული თავისებურება.

სუბიექტი (ლათ. subjectum) გრამატიკაში იხმარება ქვემდებარის ნაცვლად.

სუბიექტისებრი დამატება უბრალო დამატება, რომელიც ქვემდებარისაგან არის მიღებული (ან შეიძლება იყოს მიღებული); მაგ., ალერსიანმა სიტყვამ გოგონას გული მოულბო — ალერსიანი სიტყვისაგან გოგონას გული მოულბა (ტერმინი ეკუთვნის ა. შანიძეს).

სუბიექტური გრამატიკაში სუბიექტის გამომხატველი, სუბიექტისა.

სუბიექტური დანართი ენაში გრძნობა, რომელსაც სიტყვა იწვევს, ობიექტური მომენტის სუბიექტური დანართია; თუ ამ დანართმა დაჩრდილა ობიექტური მხარე, მაშინ სიტყვა მხოლოდ გრძნობას გამოხატავს.

სუბიექტური წყობა ისეთი წყობა, როცა ზმნა სუბიექტური პირის მიხედვით არის დაწყობილი: ვამზადებ, ამზადებ, ამზადებს, ვამზადებთ, ამზადებთ, ამზადებენ...

სუბორდინაცია[1] (საშ. ლათ. subordinatio, ლათ. sub ქვე და ordino ვმართავ, ვნიშნავ) უმცროსის სამსახურებრივი დაქვემდებარება უფროსისადმი, სამსახურებრივი დისციპლინის წესთა დაცვა. საერთოდ დაქვემდებარება; სუბორდინაცია ანუ ცალმხრივი მართვა გვაქვს ერთპირიან ზმნასა და სახელს შორის: ბავშვი დგება, ხე ხმება.

სუბორდინაცია[2] სტრუქტურულ სინტაქსში ტერმინი, რომლითაც აღინიშნება უშუალო შემადგენლებს შორის დაქვემდებარებითი მიმართება.

სუბსტანცია (ლათ. substantia არსი) რისიმე საფუძველი, არსი.

სუბსტანტიურია განსაზღვრება, რომელიც გამოხატულია სუბსტანტივით, ე. ი. არსებითი სახელით, ან გასუბსტანტივებული სხვა მეტყველების ნაწილით; მაგ., „ფითრის მარცვალმა ის ზამთარი მსხლის ქერქში გაატარა“ (ი. გოგ.)

სუბსტიტუცია ანუ ბგერათა შენაცვლება ერთი ბგერის შენაცვლება მეორით; მაგ., ბზე—საბძელი; შენაცვლების არალიტერატურული მაგალითებია: საგძალი—სავზალი, უნცროსი—უმცროსი, თებზი—თევზი, ნეფსი—სემსი...

სუბსტრატი (ლათ. substratum საფუძველი) ენათა შერევის დროს ხმარებიდან გამოსული ენა,

რომელიც გამოდევნა მეორე ენამ, მაგრამ რომელმაც შერევის პროცესში გარკვეული გავლენა მოახდინა ამ უკანასკნელზე.

სუპერსტრატი (ინგლ. superstratum) მომსველელთა ენის კვალი ძირითადი მოსახლეობის ენის შემადგენლობაში; შდრ. სუბსტრატი.

სუპლეტივიზმი (ლათ. suppleo, supplotum შევსება, დამატება) ახალი გრამატიკული ფორმის საწარმოებლად არა ახალი მორფემის გამოყენება, არამედ სხვა ძირის შონახვა, რომელსაც დაეკისრება გრამატიკული მორფემის ფუნქცია, მაგ., კაცი—ხალხი; ნაცვალსახელებში (შდრ. სახ. იგი, მოთხ მან, მიც. მას...).

სურდოპედაგოგიკა (ლათ. surdus ყრუ) მეცნიერება, რომელიც ყრუ-მუნჯებს უვითარებს ნორმალურ ბგერითს მეტყველებას.

სუროგატი (ლათ. surrogatus სხვის მაგიერ მოთავსებული, შენაცვლებული) ყალბი, ფალსიფიცირებული რამ.

სუფიქსი (ლათ. suffixus ბოლოს მიმაგრებული) სიტყვის ძირის შემდეგ მოთავსებული აფიქსი; ბოლოსართი, პოსტფიქსი.

სქესი[1] ძვ. კილო (გვხვდება პლ. იოსელიანისა და სხვ. გრამატიკაში).

სქესი[2] სიტყვათა დაჯგუფება აფიქსების მიხედვით სამ (მამრობით, მდედრობით და საშუალო) ან ორ (მამრობით და მდედრობით) კლასად; გვხვდება ინდოევროპულ და სემიტურ ენებში; გრამატიკული სქესები ყოველთვის არ ემთხვევა რეალურს.

სწორენა იგივეა, რაც სწორმეტყველება (ტერმინი ეკუთვნის ს ი ლ. ხ უ ნ დ ა ძ ე ს).

სწორი წარმოთქმა იგივეა, რაც მართლწარმოთქმა.

სწორმეტყველება იგივეა, რაც მართლმეტყველება.

სხმით-გარდასვლითი ძვ. შუალობითი კონტაქტი.

სხმით-გარდასვლითი სახე ძვ. 1. სახელებში — წარმოქმნილი სახელი. 2. ზმნებში — შუალობითი კონტაქტი, აკუზატივი (ტერმინი გვხვდება გ ა ი ო ზ რ ე ქ ტ ო რ ი ს გრამატიკაში).

ტ

ტ. 1: მეცხრამეტე ასო ქართულ ანბანში; მისი სახელია ტარ-ი. 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა სამასს (300).

ტაბუ (ენათმეცნიერებამ ეს ტერმინი ისესხა პოლინეზიური ენების რელიგიური ლექსიკიდან) რელიგიური აკრძალვა, ცრუმორწმუნეობრივი შეხედულება პირველყოფილ ხალხებში. ტაბუს მიხედვით აკრძალულია რომელიმე საგნის ხსენება, მოქმედება თუ ქცევა. ტაბუს დარღვევა, ცრუმორწმუნის აზრით, მკაცრად ისჯება ზეციური ძალით, ამიტომ ეს დარღვევა საშიშია.

ტაბუს გადმონაშთი ცივილიზე-

ბულ ხალხებშიც შეიმჩნევა სხვადასხვა სახით.

ტავტოლოგია (ბერძ. tauto იგივე, loros სიტყვა) ერთისა და იმავე სიტყვების, გამოთქმებისა და აზრების გამეორება, მაგ., „მენა, შენი ჭირიმე, გლახა ჭრიაშვილი გახლავარ, როგორც მოგეხსენებათ, პაპა-ჩემი აზნაური გხლებიათ ნუგზარ-ერისთავის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თორემ მენა ეგ ამბავი საიდან მეცოდინება. დიდი ხნის კაცი ვიყო, კიდევ ჰო, მაგრამ მაგარი ესაა, რომ არა ვარ დიდი ხნისა. ბატონი ჩემი — აი, დალახვროს ღმერთმა, სულ არ მავიწყდება, რომ ეხლა ბატონი აღარ არის“...

ტავტოლოგიური ტავტოლოგიის ხასიათისა.

ტალღების თეორია შექმნა ი. შ მ ი დ ტ მ ა 1872 წ. ეს თეორია მკვლევარს დასჭირდა ინდოევროპული ენების ჩამოყალიბების გზების ასახსნელად თანდათანობითი დიფერენციაციის გზით.

ტატპურუშა ანუ განსაზღვრებითი კომპოზიტები (composita determinativa) ისეთი კომპოზიტებია, სადაც პირველი წევრი უდრის რომელსამე ბრუნვას (მაგ., ციხისძირი, ქინძისთავი).

ტელეოლოგია (ბერძ. telos აზრი, logos მოძღვრება) ანტიმეცნიერული, რელიგიურ-იდეალისტური მოძღვრება, რომელიც თვლის, რომ ყოველი განვითარება არის წინასწარ განსაზღვრული მიზნის განხორციელება; მაგ., ტელეოლოგიზმი პრაღის სტრუქტურალისტების ანუ ფუნქციონალური ლინგვისტიკის დამახასიათებელი ნიშანია.

ტემბრი (ფრან. timbre, ბერძ.-იდან) ბგერის თვისება, რომელიც განასხვავებს ერთმანეთისაგან ერთისა და იმავე სიმაღლის ტონებს.

ტემბრული ტემბრის დამახასიათებელი, ტემბრთან დაკავშირებული.

ტერიტორიალური დიალექტები იხ. დიალექტი.

ტერმინი (ლათ. terminus) ვარკვეული ცნების აღმნიშვნელი სიტყვა მეცნიერების სხვადასხვა დარგში, ხელოვნებაში, ტექნიკაში, წარმოებაში და სხვ.

ტერმინოლოგია ამა თუ იმ დარგში ხმარებულ ტერმინთა ურთიერთობა.

ტერმინოლოგიური ტერმინოლოგიის ხასიათისა, ტერმინების ხმარებასთან დაკავშირებული.

ტეტრაფთონგი ოთხი ხმოვნის შეერთება ერთ მარცვლად; მაგ., პროვანს. pluoei.

ტექსტი (ლათ. textum) 1. წერილობითი ძეგლი ან მისი ნაწილი; 2. რისიმე შინაარსი, ჩამოყალიბებული წერილობით; 3. თხზულების ძირითადი ნაწილი შენიშვნების, კომენტარების, ილუსტრაციების გარეშე.

ტექსტოლოგია ფილოლოგიის დარგი, რომელიც კრიტიკულად

სწავლობს ლიტერატურული ძეგლების ან ისტორიული დოკუმენტების ტექსტებს მათი მეცნიერული გამოცემის მიზნით (ტერმინი ეკუთვნის ბ. ვ. ტომაშევსკის).

ტექსტოლოგი ტექსტოლოგიის სპეციალისტი, ტექსტოლოგიაში მომუშავე.

ტიპები წესებრივი ბრუნების მქონე თავისთავადი სახელების გარკვეული ყალიბი (ტიპებად დაყოფა შედეგია ფონეტიკურ ფაქტორთა ზეგავლენისა ქართული ბრუნების ერთ მთლიან სისტემაზე).

ტიპოლოგია 1. ზოგადლინგვისტიკური თეორია, რომელიც ადგენს ენათა კლასიფიკაციას ტიპების მიხედვით, დამოუკიდებლად მათი წარმოშობისა; 2. განსაკუთრებული ნაწილი ენათმეცნიერებისა, რომელიც იკვლევს ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის პრინციპებსა და ხერხებს (ტიპოლოგია ჩამოყალიბდა XIX ს. დასაწყისში, თუმცა მასზე ადრეც ოცნებობდნენ. ამჟამად თვისობრივად სულ ახალი ტიპოლოგია გვჭვს — ენათა სტრუქტურული ტიპოლოგია).

ტიპოლოგიური ტიპოლოგიის მიხედვით დადგენილი.

ტირე (ფრანგ. tiret) სასვენი ნიშანი — დეფისზე გრძელი სწორი ჰორიზონტალური ხაზი (—); იხმარება წინადადებაში ნაგულისხმევი წევრის მაგივრად, ჩართულ სიტყვათა და ჩართულ წინადადებათა, აგრეთვე დიალოგის მონაწილეთა ნათქვამის გამოსაყოფად და სხვ.

ტმესი ანუ **გაკვეთა** მჟიდროდ დაკავშირებული ორი სიტყვის გაწყვეტა სხვა სიტყვის (ან სიტყვების) შუაში ჩასმით: შე-რა-მეგცე, წა-ვინმე-ვიდა...

ტოლად შერწყმული სახელები, სახელები, რომლებიც უკავშიროდ (ასინდეტურად) არის შეერთებული ერთმანეთთან და იმდენ ცნებას შეიცავს, რამდენი წევრიცაა მასთან გაერთიანებული: ტოლამხანაგი, სვე-ბედი, სიგელ-გუჯარი, ქარ-ბუქი, დედალ-მამალი, ერბო-კვერცხი...

ტომი პირველყოფილი თემური წყობილებისათვის დამახასიათებელი ეთნიკური ერთობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმა; აერთიანებს საერთო კულტურისა და ტერიტორიის მქონე მონათესავე გვარებს.

ტომობრივი ენა ენა, რომელსაც ტომი იყენებს ურთიერთობისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის იარაღად. იხ. ტომი.

ტონეტიკა ფონეტიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს მეტყველების მელოდიური თვისების ბუნებასა და ფონოლოგიურ გამოყენებას.

ტონი (ბერძ. tonos) 1. ჰაერის გარკვეული სიხშირის პერიოდული რხევით წარმოქმნილი ბგერა. 2. მუს. განსაზღვრული სიდიდის შუალედი ორ მეზობელ ბგერას შორის. — ორი ნახევარტო-

ნი, ზოგჯერ იხმარება ტონალობის მნიშვნელობით.

ტოპონიმი დიდი თუ მცირე ადგილის, სახელმწიფოს, მდინარის, ზღვის, მთისა და მათი ნაწილების სახელწოდებათა ერთობლიობა. იხ. ტოპონიმიკა.

ტოპონიმიკა (ბერძ. topos ადგილი, onyma სახელი) 1. რომელიმე ადგილის გეოგრაფიულ სახელთა ერთობლიობა; 2. ლექსიკოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს გეოგრაფიულ სახელებს; 3. მოძღვრება ტოპონიმთა შესახებ.

ტოპონიმიკური ტოპონიმიკის ხასიათისა, ტოპონიმიკისა.

ტოპონიმიკური აფიქსაცია სპეციფიკური ტოპონაწარმოებელი ფორმანტები.

ტოპონიმიკური კონვერსია საზოგადო სახელის გადაქცევა საკუთარ სახელად.

ტრანსკრიფცია ფონეტიკური (ლათ. transcriptio გადაწერა) რომელიმე ენის ბგერათა ზუსტი გადმოცემა პირობითი ასოებით და არა ამ ენის წერის სისტემის საშუალებით.

ტრანსლიტერაცია (ლათ. trans გაელით და littera ასო) ერთი დამწერლობის ბგერების გადაცემა სხვა დამწერლობის ასოებით.

ტრანსფიქსები ისეთი აფიქსები, რომლებიც შეიჭრებიან ხოლმე თანხმოვანთაგან შედგენილ ძირეულ მორფემებში და განლაგდებიან თანხმოვანთა შორის, ისინი განსაზღვრავენ სიტყვა-ფორმას და ანიჭებენ მას გარკვეულ გრამატიკულ თუ ლექსიკურ მნიშვნელობას. ეს მოვლენა დამახასიათებელია სემიტური ენებისათვის. მაგ., არაბულ სამთანხმოვნიან ძირში (ქ თ ბ), რაც წერას აღნიშნავს იჭრება აფიქსები და წარმოიქმნება სხვადასხვა სიტყვა: ქათაბა „მან დაწერა“, ქუთიბა „დაიწერა“, ქათიბუ „მწერალი“ და ა. შ.

ტრანსფორმა ტრანსფორმაციული წესის შედეგად მიღებული ფორმა.

ტრანსფორმაციული მეთოდი (ლათ. transformatio გარდაქმნა, სახეცვლილება) მორფემათა ძირითადი ჯგუფის, სიტყვებისა და სიტყვათა კლასის სახეცვლილება, რის შედეგადაც ერთი კონსტრუქციისაგან ვიღებთ რიგ სხვა კონსტრუქციას; მაგ., მოქმედებითი გვარის გადაქცევა ვნებითად (მონადირე კლავს დათვს — დათვი იკვლება მონადირის მიერ); ტრანსფორმაციული მეთოდი წარმოიშვა დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში უშუალო შემადგენლობათა მეთოდის კრიტიკის საფუძველზე (დაამუშავა ზ. ჰარისმა XX ს. 40-იან წლებში).

ტრაფარეტი (იტალ. traforetto) ერთხელ და სამუდამოდ მიღებული, გავრცელებული ფორმა. მზა ნიმუში, — შაბლონი.

ტრივიალური (ფრან. trivial, ლათ. trivialis ჩვეულებრივი) ყველასათვის ცნობილი, გაცვეთილი, სიახლეს, ორიგინალობას მოკლებული.

ტრიფთონგი (ბერძ. triphthongos) ერთ მარცვალში შეერთებული სამი ხმოვანი — სამხმოვანა; მაგ., იმერული კილოს — რაჲა, დედაჲა; სალიტერატურო ქართულში ტრიფთონგები არა გვაქვს. ტრიფთონგები ახასიათებს ინგლისურს; მაგ., სიტყვაში player (მოთამაშე)...

ტროპი (ბერძ. tropos) სიტყვა ან გამოთქმა, ნახმარი გადატანითი მნიშვნელობით დიდი მხატვრული გამომსახველობის მიღწევის მიზნით.

უ

უ. 1. მეოცე ასო ქართულ ანბანში; მისი სახელია უნ-ი. 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ოთხასს (400).

უალრესობითი ზედშესრული სახელი ძვ. ზედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხი (ტერმინი გვხვდება გ ი ო ზ რ ე ქ ტ ო რ ი ს გრამატიკაში).

უარყოფითი ბრძანებითი ძვ. (იგივეა, რაც უკუთქმითი ბრძანებითი).

უბიხური ენა ამჟამად კავკასიაში აღარ მოიპოვება (1864 წ. უბიხთა ტომი მთლიანად გადასახლდა თურქეთში, სადაც უბიხთა მოსახლეობა შემორჩენილია ქ. იზმირის მიდამოებში).

უდეტერი (ბერძ. სიტყვაა და აღნიშნავს არც ერთს ორისაგან) ყველაფერი, რაც არ არის არც სახელი და არც ზმნა (ტერმინი ეკუთვნის ა. შ ა ნ ი ძ ე ს, 1943).

უდიური ენა დაცულია აზერბაიჯანში ნუხის მახლობლად ორ სოფელში — ნიჯსა და ვართაშენში.

უდროო ფორმები ფორმები, რომლებიც არ გვიჩვენებენ მოქმედების მომენტის შეფარდებას უბნობის მომენტთან: ნადირობს (საერთოდ), დადის (სკოლაში), „მთვარე დედამიწის გარშემო ტ რ ი ა ლ ე ბ ს“, „თევზი ცურავს“ და სხვ.

უზუსი (ლათ. usus) 1. ხმარება, გამოყენება; 2. ჩვევა, ჩვეულება.

უკავშიროა შეერთება (შერწყმულ წინადადებაში), თუ ერთგვარ წევრთა გადასაბმელად გამოყენებული არ არის საგანგებო სიტყვა-კავშირი; მაგ., „ზურაბი გაოცდა, დაღონდა, გაბრაზდა“ (მ. ჯავ.).

უკანა რიგის ხმოვნები ქართულში უკანა რიგის ხმოვნებია ო და უ, რომელთა წარმოთქმისას ენის ზურგის უკანა ნაწილი აიწევა რბილი სასის მიმართ — უ-სათვის მეტად, ო-სათვის ნაკლებად.

უკანონო ზმნები იგივეა, რაც უწესო ზმნები. „ქართულისა ენისა ზმნანი ყოველნივე არიან უკანონონი: თითოეულსა ზმნასა აქვს თვისება გარდაკეთებისა სხუად ზმნად“ (პლ. იოსელიანი).

უკანონონი ძვ. ზმნები, რომელთა უღლება საერთო წესს არ მისდევს.

უკუთქმითია წინადადება, რომელიც აზრს უარყოფითად გამოხატავს, ე. ი. ზმნით გადმოცემული მოქმედების შესრულება გამორიცხულია, არ სრულდებოდა, არ სრულდება ან არ შესრულდება, მაგ., სპილოს ლომსავით ცალკე ცხოვრება არ მოსწონს (ი. გოგ.).

უმლაუტი (გერმ. um+laut გადაბგერება, გადახმოვნება, რუს. перегласовка) ძირეული ხმოვნის დარბილება, პალატალიზაცია; უკანაენისმიერი ხმოვნის (ა-ს, ო-ს ან უ-ს) დარბილება მომდევნო პალატალური ხმოვნის (ი-ს ან ე-ს) გავლენით; მაგ., გერმანულში Kalb — ხბო, Kälber — ხბორები; Hand — ხელი, Hände — ხელები; das Buch — წიგნი, die Bücher — წიგნები, das Dorf — სოფელი, die Dörfer — სოფლები, das Land — ქვეყანა, die Länder — ქვეყნები, das Volk — ხალხი, die Völker — ხალხები... ხმოვანთა უმლაუტი გერმანიკულ ენებში მოიცავს ყველა იმ ფონეტიკურად შეპირობებულ ცვლილებას, რომელიც რეგრესული ასიმილაციის პრინციპს ემყარება და უპირისპირდება ხმოვანთა პროგრესულ ასიმილაციას ან ე. წ. „ხმოვანთა ჰარმონიას“.

უმლაუტი გერმანული წარმოშობის საკმაოდ ცნობილი და გავრცელებული ლინგვისტიკური ტერმინია. იგი პირველად იაკობ გრიმმა შემოიღო გერმანიკული ვოკალიზმისათვის დამახასიათებელი რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე მომხდარ მრავალფეროვან ცვლილებათა აღსანიშნავად. შემდეგ ამ ტერმინის მნიშვნელობა თანდათან დაზუსტდა და იგი მსოფლიოს სხვადასხვა ენათა ანალოგიური მოვლენების გადმოსაცემად ფართოდ გავრცელდა. ჩვენში ამ ტერმინის შემოღება და დამკვიდრება დაკავშირებულია ა. შანიძის სახელთან (1925). ქართველური ენებიდან უმლაუტი ახასიათებს სვანურს; ხმოვანთა პალატალიზაციით გამოწვეული უმლაუტის აღსანიშნავად ქართულში გვხვდება სხვა ტერმინიც—პალატალური უმლაუტი (მ. ქალდანი).

უმცირესი კოორდინატი (coordinata minima) ის კოორდინატი, რომელიც ითანხმებს ზმნის რიცხვს, მაგრამ არ მართავს პირს.

უნიტარული თეორია თეორია, რომლის მიხედვითაც ხანმეტ ტექსტებში ხანის გენეზისი ასეთი იყო: ქართულ ენაში ჯერ გექონდა ხანი, რომელიც მერმე იქცა ჰაედ და შემდეგ სულ დაიკარგა. ამ აზრს იცავდა ივ. ჯავახიშვილი (ტერმინი ეკუთვნის ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს).

უნიფიკაცია (ლათ. unus ერთი და facio ვაკეთებ) გაერთნაირება,

საერთო ნორმაზე, ფორმაზე დაყვანა.

უნიფიცირება იგივეა, რაც უნიფიკაცია.

უნიფიცირებული რის უნიფიკაციაც მოხდა; მაგ., უნიფიცირებული ანბანი.

ურბანიზმი (ფრან. urbanisme, ლათ. urbs-დან ქალაქში) 1. სიტყვა-გამოთქმები, რომლებიც დამახასიათებელია ქალაქის მცხოვრებთათვის (განსხვავებით სოფლის გლეხთა დიალექტური მეტყველებისაგან). 2. ბურჟუაზიულ ხელოვნებასა და ლიტერატურაში — ფორმალისტური მიმდინარეობა, რომელიც აიდეალებს კაპიტალისტური ქალაქის ცხოვრებას.

ურბანისტი ურბანიზმის მომხრე, მიმდევარი.

ურთიერთგამომრიცხველია ბგერები, რომლებიც არასოდეს არ გვხვდებიან ერთსა და იმავე ბგერითს გარემოცვაში, ანუ ხასიათდებიან დამატებითი დისტრიბუციით.

ურთიერთშენაცვლებადია მოცემული ენისათვის ის ბგერები, რომლებიც ერთნაირ ბგერით გარემოცვაში (პოზიციაში) შეიძლება აღმოჩნდნენ, ანუ ბგერები, რომლებიც ხასიათდებიან იდენტური ან გადამკვეთი დისტრიბუციით; მაგ., ქალი-ბალი-ვალი-ნალი-ხალი-ლალი-ცალი-სალი.

ურიცხვო არსებითი ისეთი სახელია, რომელიც მარტოოდენ მხოლობითი რიცხვის ფორმით იხმარება; მაგ., ჰაერი, სუნი, ხილი, მტვერი, ნაცარი, ტვინი, მეხი, თოვლი, ქვიშა და სხვ.

ურმიის არამეული თანამედროვე არამეული დიალექტისათვის გამოყენებული ტერმინი სათანადო გეოგრაფიულ სახელებთან ერთად.

უსრულია წინადადება, თუ მასში გამოტოვებულია ერთი ან რამდენიმე წევრი (მთავარი თუ მეორეხარისხოვანი), რომლებიც ადვილად იგულისხმება კონტექსტის ან სხვა რაიმე გარკვეული პირობის მიხედვით; მაგ., — გამარჯობა, როსტომ! როგორა გყავს საქონელი და დედ-მამა?

— კარგად (მ. ჯავ.).

უსუბიექტო ანუ უქვემდებარო ისეთი წინადადება, რომელშიაც შემასმენელთან ქვემდებარე არ მოიპოვება და არც ივარაუდება; მაგ., „ტყეში თანდათან ჩამობნელდა“ (რ. გვ.).

უფალი ძვ. ქვემდებარე, მთავარი წევრი.

უქვემდებარო წინადადება. იხ. უსუბიექტო წინადადება.

უქონლობის სახელები სახელები, რომლებიც განსაზღვრული სუფიქსების დართვით (უ—ურ და უ—ო) გვიჩვენებენ უქონლობას ძირეული ფუძით აღნიშნული საგნისას: უგუნური, უცოლო...

უღლება პირიან ზმნათა მიმოხრა პირთა მიხედვით ერთ-ერთ მწკრივსა და ერთ-ერთ რიცხვში

(მხ-ში ან მრ-ში) ან ორივე რიცხვში.

უღლების კატეგორია ისეთი კატეგორია, რომელიც ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას არ ცვლის და ამასთანავე აუცილებლად საჭიროა ამა თუ იმ ეწკრივის საწარმოებლად.

უშუალო შემადგენლობები ენის სტრუქტურული აღწერისათვის დამახასიათებელი ტერმინი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მოწესრიგდეს და იერარქიულ ფენებად დალაგდეს რთული ფორმის კომპონენტები: სინტაქსური კონსტრუქციის შემადგენელი წევრები.

უცვალებელი პირი ისეთი რომლობითი პირი, რომელიც მუდამ ახლავს რელატიურ ფორმას და არ არის შესაძლებელი, რომ სხვა პირით შეიცვალოთ.

უცვალებელნი ძვ. იგივეა, რაც ფორმაუცველი სიტყვები.

უძველესდამწერლობის ენები ენები, რომლებსაც რევოლუციამდე ჰქონდათ მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი დამწერლობა; ასეთებია: ქართული, რუსული და სომხური.

უწესო ზმნები ზმნები, რომელთაც აკლიათ ესა თუ ის გრამატიკული კატეგორია.

უწყვეტელი იგივეა, რაც ნამყო უსრული.

უხმო ძვ. იხ. თანხმოვანი.

ფ

ფ. 1. ოცდაპირველი ასო ქართულ ანბანში (ოცდამესამე ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია ფარ-ი. 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ხუთასს (500).

ფალაური სასანიდებისდროინდელი ძველი სპარსული სალიტერატურო ენა (III—VII სს. ჩვენი წელთაღრიცხვით), შემონახული ავესტის თარგმანსა და კომენტარებში, რასაც საშუალო სპარსულად დაერქვა „ზენდ".

ფამილარობა ფამილარულად მოპყრობა,—მოურიდებლობა, შინაურულობა, ზედმეტი სითამამე.

ფამილარული (ლათ. familiaris ოჯახური, შინაურული) მეტად შინაურული, — მოურიდებელი, თამამი, თავისუფალი, უბოდიშო.

ფაოკალური თანხმოვანი (ლათ. faux ხახა, faucalis ხახისმიერი) საზიარო არტიკულაციის წესით ბგერათშეერთების ერთი საყურადღებო მოვლენა, როცა წარმოიქმნება სრულიად ახალი ბგერა, რომლისთვისაც ხშვას ახდენს წინაენა, ხოლო განხშვა ხდება სასის ფარდით (ნდ, თნ, ტნ: დნობა, სათნო, პიტნა).

ფარინგალური თანხმოვნები ის თანხმოვნებია, რომლებიც იწარმოებიან ენისძირის მიბჯენით ან მიახლოებით. ხახის (ფარინგსის)

უკანა კედელთან მიბჯენის შემთხვევაში იწარმოება ხშული ფარინგალური, ხოლო მიახლოვების შემთხვევაში—ნაპრალოვანი ფარინგალური. ხშული ფარინგალურია ქართულში ყ, ხოლო ნაპრალოვანი ფარინგალურია მაგ., აფხაზურში ჰი-მი.

ფარინგოსკოპი ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც ათვალიერებენ პირისა და ხახის ღრუს, არკვევენ ხახის ლორწოვანი გარსის, ენის, სასის ფერს, ადგენენ, არის თუ არა შეხორცებული სასის ღრუ სასის ნუშისებურ ჯირკვლებთან და ა. შ., უფრო დეტალურად ირკვევენ ხახისა თუ პირის ღრუს მდგომარეობას ბგერათა თუ სიტყვათა წარმოთქმისას შუბლის რეფლექტორის განათების საშუალებით ლარინგოსკოპული სარკის დახმარებით. ფარინგოსკოპს იყენებენ ექსპერიმენტურ ფონეტიკაში.

ფაქსიმილე 1. ხელმოწერის ასლი, შესრულებული მექანიკური საშუალებებით: 2. ავტორის ხელნაწერი ან წარწერა.

ფაქსიმილური გამოცემა ხელნაწერის გამრავლება მექანიკური საშუალებებით (ლითოგრაფია, ფოტოგრაფია და სხვ.).

ფერეიდნული კილო (ქართული ენისა) XVII ს. სპარსეთში (ირანის მივარდნილი პროვინცია) გადასახლებულ ქართველთა მეტყველება.

ფილიგრანი (იტალ. filigrana, ლათ. filum-დან ძაფი, granum მარცვალი). 1. საიველირო ნაწარმი, რაც თავისი ხლართულობით მაქმანს მოგვაგონებს, ჩვეულებრივ აკეთებენ წვრილი გრეხილი ოქროს, ვერცხლის და მასთ. მავთულისაგან; 2. იგივეა, რაც ჰვირნიშანი.

ფილოგენეზი (ბერძ. phylè გვარი, ტომი და genesis წარმოშობა) ორგანული სამყაროს (მცენარეთა, ცხოველთა ან მათი ცალკეული ჯგუფების) განვითარების პროცესი.

ფილოგენეზისი იგივეა, რაც ფილოგენეზი.

ფილოგენია (ბერძ. phylès გვარი, ტომი და genos დაბადება, წარმოშობა) იგივეა, რაც ფილოგენეზი.

ფილოლოგია (ბერძ. phileó მოყვარს და logos სიტყვა). 1. ვიწრო გაგებით — ამა თუ იმ ხალხის ენისა და ლიტერატურის შემსწავლელ მეცნიერებათა ერთობლიობა. 2. ფართო გაგებით — ამა თუ იმ ხალხის (ან მონათესავე ხალხების) კულტურის შემსწავლელ მეცნიერებათა ერთობლიობა (მისი საგანია ენა, ლიტერატურა, მასში შედის ეთნოგრაფია, არქეოლოგია და ფოლკლორი).

ფილოლოგიური ფილოლოგიის მეთოდზე დამყარებული, — ფილოლოგიისა.

ფილოლოგობა ფილოლოგად ყოფნა; ფილოლოგიის საქმიანობა.

ფილოსოფია (ბერძ. phileó მოყ-

:უარს და sophia სიბრძნე) 1. მეცნიერება ბუნების, ადამიანთა საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების უზოგადეს კანონზომიერებათა შესახებ.

ფიცხელი სიტყვა ძვ. ძახილის წინადადება (ტერმინი გვხვდება გაიოზ რექტორის გრამატიკაში).

ფლექსია (ლათ. flexio გაღუნვა) სიტყვის ფორმის ცვლა-ბრუნებისა და უღლების დროს ფუძესთან მჭიდროდ დაკავშირებული აფიქსების საშუალებით (მაგ., რუს. Дом-ам — „სახლებს“) ან ფუძისეულ ბგერათა ცვლით (მაგ., გრეხს, გრიხა). შდრ. აგლუტინაცია.

ფლექსიური ფლექსიით დახასიათებული. ფლექსიური ენა.

ფლექსიური ენები ენები, რომელთაც გრამატიკული ფორმის საწარმოებლად აქვთ გარეგანი ფლექსიაც აფიქსების სახით ბრუნებასა და უღლებაში (მაგ., რუს. стол, стола, столом, на столе, читa-ю: читa-ет).

ფონემა (ბერძ. phónèma) სამეტყველო ბგერა, ამა თუ იმ ენის ფონეტიკური სისტემის შემადგენელი ბგერითი ერთეული. ფონემური ფონემის დამახასიათებელი, შესაფერი, ფონემის ბუნებისა. ენის ფონემური შემადგენლობა. ფონემატური იგივეა, რაც ფონემური. ფონოგრამა (ბერძ. phone ხმა, ბგერა და gramma ჩანაწერი), ფირფიტა, რომელზედაც ჩაწერილია ხმა, ბგერა. ფონოგრაფი (ბერძ. phone ბგერა და grapho ჩანაწერი) ბგერის ჩასაწერი (და ჩანაწერის გასამეორებელი) აპარატის ერთ-ერთი სახეობა. ფონემის სუსტი ფონეტიკური პოზიცია ფონეტიკური პოზიცია, რომელიც მოხსნის კორელაციურ ოპოზიციას, ე. ი. ამუქებს დაპირისპირებას, რის გამოც ფონემა გვეელინება თავისი არაძირითადი სახესხვაობით (მაგ., ბასს — ბაზს — ოპოზიცია მოხდენილია, რადგანაც ზ წარმოითქმის ს—დ). ფონემის ტოლფუნქციანი სახესხვაობა ის პოზიციური სახესხვაობა, რომელიც თავის პოზიციაში ასრულებს ისეთივე დისტინქტურ ფუნქციას, როგორსაც მოცემული ფონემის ძირითადი სახესხვაობა; მაგ., ф ქართულში ვ-ს გაყრუებული სახესხვაობაა. (ф) ასრულებს ვ-ს ფუნქციას ყრუ ჩქამიერთა წინ და სიტყვის ბოლოში. ფონემის უტოლფუნქციო სახესხვაობა ფონემის ის პოზიციური სახესხვაობა, რომელიც, ემთხვევა რა ფონეტიკურად სხვა ფონემას, კარგავს იმ ფონემის დისტინქტურ ფუნქციას, რომლის სახესხვაობასაც ის წარმოადგენს (მაგ., წვეთი — წვეტი), მაგრამ მიცემითი ბრუნვაა ორივესაგან წვეთს; დოქი—დოკი, მაგრამ დოქთან — ასეთი წარმოითქმის, როგორც „დოქთან“, „ისე „დოკთან“). ფონემის ძლიერი ფონეტიკური პოზიცია ფონეტიკური პოზიცია, რომელიც არ მოხსნის კორელაციურ ოპოზიციას, რის გამოც თითოე-

ული ფონემა ვლინდება თავისი ძირითადი სახესხვაობით (მაგ., სარი-ზარი, ბახი-ბაზი). ფონომორფოლოგია ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს ფონოლოგიის კავშირს მორფოლოგიასთან, იკვლევს სიტყვის ფონოლოგიურ და მორფოლოგიურ სახეცვლილებებს (ტერმინი „ფონემა“ ლინგვისტიკაში იხმარება გასული საუკუნის 40—50-იანი წლებიდან).

ფონეტიკა (ბერძ. phónetikos ბგერისა) ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს სამეტყველო ბგერებს. ზოგადი ფონეტიკა სწავლობს ისეთ ფონეტიკურ საკითხებს, რომლებიც სცილდება კონკრეტულად მოცემული ენის ბგერითი ფორმის ფარგლებს, ზოგადი ფონეტიკის დარგები აღწერილობითი ფონეტიკა და ისტორიული ფონეტიკაა. პირველის მეთოდია თვითდაკვირვება და ექსპერიმენტი, მეორისა — შედარებითი. კერძო ფონეტიკა ერთი რომელიმე ენის ბგერითი შემადგენლობის შესწავლა, ავრეთვე როგორ წარმოითქმის თითოეული მათგანი, როგორია დღეს მოცემული ენის ბგერათასისტემა; როგორ ეხაცვლებიან ერთმანეთს ბგერები ცოცხალ მეტყველებაში. ყოველივე ეს კერძო ფონეტიკის საქმეა. აღწერილობითი ფონეტიკა კონკრეტული ენის წარმოთქმის ელემენტების (სამეტყველო ბგერები, მათი შეერთებანი, მახვილი და ინტონაცია) შესწავლა სტატიკურად: აღწერითად. ფონაცია იგივეა, რაც სამეტყველო სუნთქვა. ფონეტიკოსი, ფონეტისტი, ფონეტიკის სპეციალისტი. ფონეტიკური აკუსტიკა ფონეტიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს წარმოთქმის ელემენტების ფიზიკურ თვისებებს. ფონეტიკური ბგერათმონაცვლეობა ბგერათა ისეთი მონაცვლეობა, რომელშიც მონაცვლე ბგერათა განსხვავებულობა განპირობებულია პოზიციით და ამიტომ მას (მონაცვლეობას) არა აქვს სადიფერენციაციო ძალა. ფონეტიკური ანატომია-ფიზიოლოგია ფონეტიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის საწარმოთქმო ორგანოების აგებულებასა და მათ ბგერათასაწარმოო მოქმედებას. ფონეტიკური კანონები ბგერათკანონები, რომლებიც მოქმედებენ უგამონაკლისოდ, თუ მათ არ არღვევენ სხვა კანონები და ხელისშემშლელი ცალკეული მიზეზები; დაკვირვების შედეგად მიღებული დასკვნა, ჩამოყალიბებული დებულების სახით, სიტყვაში ბგერათა ერთმანეთთან მიმართების შესახებ. ფონეტიკური ანუ ბგერითი ცვლილებები სიტყვის ან შესიტყვების ბგერათა არტიკულაციური და კოარტიკულაციური ბგერათშეერთების ნიადაგზე წარმოქმნილი სისტემებრივი კანონზომიერი ბგერათცვლილებებია. ფონეტიკური ანუ ბგერითი მოვლენები სიტყვის ან შესიტყვების, როგორც წარმოთქმისა და მნიშ-

ნელობის ერთიანობითი ერთეულის, ყოველგვარი ცვლილებებია; ყოველი ფონეტიკური ცვლილება ფონეტიკური მოვლენაა (იხ. ფონეტიკური ანუ ბგერითი ცვლილებები), მაგრამ ფონეტიკური მოვლენა არაა მხოლოდ ფონეტიკური ცვლილება. **ფონეტიკური ბოლოკიდური ბგერა** ანუ აუსლაუტია ო ბგერა, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი დამოუკიდებელი დამართვა; ასეთია ყოველი ბგერა პაუზის წინ. **ფონეტიკური თავკიდური ბგერა** ანუ ანლაუტია ის ბგერა, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი შემართვა: ასეთია ყოველი პაუზის მიმყოლი ბგერა. **ფონეტიკურად სიტყვის შიგნითა ბგერა** ის ბგერა, რომელსაც არა აქვს საკუთარი, დამოუკიდებელი არც შემართვა და არც დამართვა: ასეთია ტექსტში ყველა ბგერა, გარდა თავკიდურ-ბოლოკიდურისა. **ფუნქციონალური ფონეტიკა** იგივეა, რაც ფონოლოგია. **ისტორიული ფონეტიკა** იკვლევს სამეტყველო ბგერათა ცვლილებებს დროთა განმავლობაში დინამიკურად, ისტორიულად და ადგენს ამ ცვლილებათა გარკვეულ კანონზომიერებას; ამით ფონეტიკამ უდიდესი სამსახური გაუწია შედარებითსა და ისტორიულ ენათმეცნიერებას.

ფონეტიკური გადახრა ჰქვია ბგერათა ცვლილებებს, რომელთაც დიფერენციაციის შედეგად აქვს ადგილი.

ფონეტიკური სიმბოლიზმი ჰქვია ცალკეული ფონემების პიქტორალურ შესაძლებლობებს.

ფონეტიკური ფონეტიკისა, ფონეტიკაზე დაფუძნებული, ფონეტიკის ხასიათისა; ბგერითი შედგენილობისა, მასთან დაკავშირებული. ფონეტიკური მოვლენა.

ფონოლოგიურად არარელევანტური ანუ ირრელევანტური ოპოზიცია ისეთი ბგერითი ოპოზიცია, რომლის საშუალებითაც არ გამოიხატება სხვაობა ორ გამონათქვამს შორის: მაგ., ბ—ბ (ბარი — ბიჭი) არ არის ფონოლოგიურად რელევანტური დაპირისპირება; ბ—ფ (ბარი — ფარი) აქ კი არის დაპირისპირება ფონოლოგიურად რელევანტური.

ფონოლოგიური ერთეული ფონოლოგიური დაპირისპირების წევრი.

ფონოლოგიური ოპოზიცია ანუ ფონოლოგიურად რელევანტური ისეთი ბგერითი ოპოზიცია, რომლის საშუალებითაც შეიძლება გამოიხატოს შინაარსობრივი სხვაობა ორ გამონათქვამს შორის; მაგ., სენი — შენი, სვა — შვა, სარი — ბარი, შარი—კარი, ბალი—ბელი, გოლი — გული...

ფოლკლორი (ინგ. folk-lore ხალხური სიბრძნე) ხალხური ზეპირი შემოქმედება; ზეპირსიტყვიერება („ფოლკლორი" საერთაშორისო ტერმინია, რომელიც პირველად იხმარა ინგლისელმა ისტორიკოსმა ვილიამ ტომსმა 1846 წელს).

ფორმალური სკოლა (ინგლ. for-

nal school) ენათმეცნიერებაში მიმართულება, რომელსაც გრამატიკა ესმოდა, როგორც მოძღვრება ენობრივი ფორმის შესახებ, როგორც მეცნიერება გრამატიკული გამოხატვის შესახებ.

ფორმანტი (ლათ. formans მაწარმოებელი) დამოუკიდებელ მნიშვნელობას მოკლებული ნაწილაკოვანი ელემენტი, რომლის ფუნქციაა სიტყვებს შორის დამოკიდებულების აღნიშვნა ან სიტყვაწარმოება, — აფიქსი, მაწარმოებელი.

ფორმაუცვლელი რასაც ფორმა უცვლელი აქვს. ისეთი სიტყვა, რომელსაც არ შეიძლება დაერთოს დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი, უფორმო.

ფორმაცვალებადი რისი ფორმაც ცვალებადია. ისეთი სიტყვა, რომელიც იცვლის სახეს, ფორმას, რომელსაც შესაძლებელია დაერთოს დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი, — ფორმიანი.

ფორმიანი ფორმის მქონე; ფორმის შემცველი. ფორმიანი სიტყვა.

ფრაზა (ბერძ. fhrasis გამოთქმა) 1. ინტონაციურად დამთავრებული, გარკვეული შინაარსის მქონე სიტყვათა წყობა; იგი შეიძლება ემთხვეოდეს წინადადებასაც; 2. გადატ. მაღალფარდოვანი, უშინაარსო სიტყვები.

ფრაზეოლოგია (ბერძ. phrasis გამოთქმა და logos მოძღვრება) 1. მტკიცედ ჩამოყალიბებული გამონათქვამები, ამა თუ იმ ენის დამახასიათებელი თავისებური სიტყვათშეერთებანი, სიტყვათსაქცევი; 2. ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ასეთ გამოთქმებს; 3. ლამაზი, მაღალფარდოვანი ფრაზები და გამოთქმები, რითაც ცდილობენ აზრის სიღარიბე მიჩქმალონ.

ფრაზიორი (ფრან. phraseur) ადამიანი, რომელსაც უყვარს მჭევრმეტყველური, ლამაზი, მაგრამ უშინაარსო სიტყვებისა და ფრაზების ხმარება.

ფრაზიორობა ფრაზიორის თვისება: მაღალფარდოვანი, უშინაარსო ფრაზებით ლაპარაკი.

ფრაზიორული ფრაზიორის დამახასიათებელი.

ფრანგული ფრანგებთან და საფრანგეთთან დაკავშირებული. იგივეა, რაც ფრანგული ენა.

ფრთიანი სიტყვა — მოსწრებული გამოთქმა, აზრის მახვილად გამოხატვა, რომელსაც ახასიათებს ლაკონიურობა, გამოსახვის მკაფიობა, სიცხადე, აღქმის სისწრაფე; ასეთი სიტყვები სწრაფად მოსწყდება ხოლმე მთქმელის პირს და ბიფრინავს მსმენელის ყურისკენ.

ფრჩხილები ერთიანი ნიშანია: ( ) ერთი ფრჩხილი უმეოროდ არ ხმარება. ფრჩხილებში ჩაისმის: 1. სიტყვა თუ სიტყვათა შეკავშირება, რომელიც წინა სიტყვის ახსნა-განმარტებას შეიცავს; 2. ჩართულია წინადადება (განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ერცელია), როცა ავტორი იძლევა გზადაგზა დამატებითს ცნობას, ახსნას თუ შე-

ნიშენას სხვათა შორის. გაკვრით: 3. ზოგჯერ ფრჩხილებში ჩაისმის წინადადების ნაწილი (მაგ., დამოკიდებული წინადადება), წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა თუ სიტყვათა შეკავშირება; მაგ.: სირა (ჩიბუხის ტარი) დააჭუცმაცეს და აქეთ-იქით გადაყარეს (ვაჟა); ძლივს არ გაისტუმრე ურმები (ტყუილიც უყვარდა ჩვენს ლუარსაბს), ძლივს (ი. ჭავჭავ.): ერთხელ ერთ ყვავსა შავ-ჭრელსა, ავსა (რომელიც არის წიწილის მტერი) სადღაც ეშოვნა ყველის ნაჭერი (ა. წერ.) (ტერმინი „ფრჩხილი“ ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს).

ფსევდოგრაფია უკუღმა წერა.

ფსევდონიმი მოგონილი გვარი, რომელსაც ავტორი ათავსებს თავის ნაწარმოებზე ნამდვილი გვარის ნაცვლად.

ფსიქოლოგიზმი იდეალისტური მიმდინარეობა, რომელიც ფსიქოლოგიას აცხადებს ჰუმანისტურ მეცნიერებათა (ენათმეცნიერების, სამართლის მეცნიერების, ლოგიკის, შემეცნების თეორიის, ესთეტიკის) საფუძვლად.

ფსიქოლოგისტური სოციოლოგიზმი მიმდინარეობა ზოგად ენათმეცნიერებაში XX ს. დასაწყისში. ამ მიმართულებას ჩვეულებრივ „ფრანგულ სოციოლოგიურ სკოლას“ უწოდებენ. ეს სკოლა დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. მისი წარმომადგენლები არიან: ანტუან მეიე, ფერდინანდ დე სოსიური, შ. სეშაი, ჟ. ვანდრიესი, შ. ბაი და სხვ. ფსიქოლოგისტური სოციოლოგიზმის არსი შემდეგში მდგომარეობს: ენა საზოგადოებრივი მოვლენაა, სოციალური ფაქტია; წარმოადგენს რა საზოგადოებრივ მოვლენას, იგი მაინც განსხვავდება პოლიტიკური, იურიდიული მოვლენებისაგან. ენა ნიშანთა სისტემაა; ენათმეცნიერება იქცა ფსიქოლოგიზმის საფუძვლად სოსიურის კონცეფციაში. სოსიურის აზრით, ისტორიული გრამატიკა არაა გრამატიკა, სოსიურის სოციოლოგიზმი ამხედრებულია ისტორიზმის წინააღმდეგ, ეს კი მეცნიერულად უსაფუძვლო და პრაქტიკულად მიუღებელი შეხედულებაა.

ფსიქოლოგიური ფსიქოლოგიაზე დამყარებული, ფსიქოლოგიის შესაბამისი, ფსიქოლოგიის შესახები.

ფუზია (ფრანგ. fusion შედნობა, ლათ. fusio შერწყმა) მორფემათა შერწყმა, რასაც თან ახლავს მათი ფონემური შედგენილობის ცვლა.

ფუნქცია (ლათ. functio სამუშაოს შესრულება) შესრულებული საქმე. სამოქმედო საგანი, მოვალეობა, როლი, მნიშვნელობა, დანიშნულება.

ფუნქციონალური ანუ **მადიფერენციირებელი ბგერითი ანალოგია** ისეთი ანალოგია, რომლის მოქმედება უკავშირდება სიტყვის მნიშვნელობას: განათლება—განათება, გამარჯვება—გამარ-

ჯობა, მაღლა—მაღლად, ახლა—ახლად და ა. შ.

ფუტურუმ იგივეა, რაც მომავალი დრო.

ფუძე რისიმე საყრდენი, — საძირკველი, საფუძველი. სიტყვის ძირითადი ნაწილი, რომელთანაც დაკავშირებულია საგნობრივი მნიშვნელობა ბრუნებისა და უღლილების დროს, ე. ი. რომელიმე მორფოლოგიური კატეგორიის მიხედვით ფორმათა ცვლისას სიტყვაში უცვლელ ნაწილად წარმოგვიდგება.

ფუძედრეკადი სიტყვა, რომელსაც ფორმათა ცვლისას ფუძის დრეკა, ალტერნაცია (ბგერათა კანონზომიერი ცვლა) ახასიათებს, ქართულში ასეთებია, მაგ., ზმნები: გლესს—გლისა, დრეკს—დრიკა, ჩხვლეტს—ჩხვლიტა, წყვეტს—წყვიტა...

ფუძე-ენა (გერმ. ursprüngliche Sprache) იგივეა, რაც წინარეენა; ფუძე-ენის დიფერენციაციის შედეგად ეღებულობთ მონათესავე ენებს; მონათესავე ენათა სტრუქტურების შედარება-შეპირისპირების ძირითადი მიზანია ამ სტრუქტურათა ამოსავალი მოდელების რეკონსტრუქცია, იგივეა, რაც პრეენა (ამჟამად პრეენას ნაკლებად ხმარობენ ლინგვისტიკაში). ტერმინი „ფუძე-ენა“ წარმოადგენს გერმანული ტერმინის Grundsprache-ს“ თარგმანს. „ფუძე-ენა“ ფართოდ გამოიყენება როგორც რუსულ, ისე საზღვარგარეთის ენათმეცნიერებაში. ეს ტერმინი ხმარებაში შემოიტანა ენათმეცნიერთა თბილისის სკოლამ, კერძოდ არნ. ჩიქობავამ.

ფუძე ზმნისა ზმნის ის ნაწილი, რომელსაც უკავშირდება მისი ლექსიკურობა.

ფუძეკვეცადი სიტყვა, რომელსაც ბრუნებისას ან მრავლობით რიცხვში დასმისას ფუძისეული ბოლო ხმოვანი ეკვეცება (შდრ. ფუძეუკვეცელი) მაგ., დედა—დედისა—დედებით... ღვინო—ღვინისა...

ფუძეკუმშვადი სიტყვა, რომელსაც ბრუნების ან უღლების დროს ფუძე ეკუმშება (კარგავს ფუძისეულ ხმოვან ბგერას ან ხმოვან ბგერას ენაცვლება შესატყვისი თახმოვანი ბგერა), მაგ., შდრ. მასწავლებელი — მასწავლებლისა, მასწავლებლები; ბორბალი — ბორბლისა, ბორბლები; მაწონი — მაწვნისა, ნიორი — ნივრისა, დაჭერ—დაჭრას, მოხან—მოხნა...

ფუძეუკვეცელი სიტყვა. რომელსაც ბრუნებისას ან მრავლობით რიცხვში დასმისას ფუძისეული ბოლო ხმოვანი არ ეკვეცება (შდრ. ფუძეკვეცადი): მაგ., რკო—რკოს(ი), რკოები; ყრუ—ყრუს(ი), ყრუები.

ფშაური კილო (ქართული ენისა) ფშავის მკვიდრთა მეტყველება: დუშეთისა და თიანეთის რარ.

ფხიანი რასაც ფხა აქვს. ფხიანი ლაპარაკი, სიტყვა, კილოიანი, გონებამახვილი, გონიერი ლაპარაკი, სიტყვა.

ქ

ქ. 1. ოცდამეორე ასო ქართულ ანბანში (ოცდამეოთხე ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია ქან-ი; 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ექვსასს (600).

ქარაგმა 1. „ასონაკლების ნიშანი“ (საბა), — ძველ ხელნაწერებში — შემოკლებული სიტყვის თავზე დასმული ნიშანი: 2. შემოკლებულად დაწერილი სიტყვა, რასაც ასეთი ნიშანი უზის.

ქარაგმული ორაზროვანი, გადაკრული (სიტყვა, ლაპარაკი).

ქართველთმცოდნე ქართული ენისა და კულტურის (ლიტერატურის, ისტორიის, ეთნოგრაფიის) მკვლევარი სპეციალისტი.

ქართველთმცოდნეობა ქართული ენისა და კულტურის (ლიტერატურის ისტორიის, ეთნოგრაფიის) შემსწავლელ მეცნიერებათა კომპლექსი.

ქართველოლოგი იგივეა, რაც ქართველთმცოდნე.

„ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის პერიოდული ორგანო. პირველი ტომი გამოქვეყნდა 1959 წ. (რედაქტორები: ვ. თოფურია, ა. კიზირია); მეორე ტომი — 1961 წ. (რედაქტორები: ვ. თოფურია, ა. მარტიროსოვი); მესამე ტომი — 1963 წ. (რედაქტორები: ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი). IV ტომი—1974 წ. (სარედაქციო კოლეგია: ა. კიზირია, ა. მარტიროსოვი, ვ. ფანჩვიძე, მ. ქალდანი). ქართველური ენებისადმი და მათი დიალექტებისადმი მიძღვნილ ამ სპეციალურ კრებულებში ქვეყნდება ენათმეცნიერების ინსტიტუტში მრავალი წლის მუშაობის შედეგად დაგროვილი ნაშრომები და სტატიები ქართველური ენების შესახებ (ოთხივე ტომში სულ გამოქვეყნდა 53 ნაშრომი ლინგვისტიკის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე).

ქართველური ენები ქართული, მეგრულ-ჭანური (ზანური) და სვანური ენები (ტერმინი პირველად გვხვდება ისეთ ცნობილ პუბლიკაციაში, როგორიცაა ზაგურსკის „კავკასიური ენების ეთნოგრაფიული კლასიფიკაცია“, 1895).

ქართლური ქართლურისათვის ან ქართველებისათვის დამახასიათებელი, ქართულიდან მომდინარე, — ქართლისა, ქართლური კილო.

ქართლური კილო (ქართული ენისა) ქართლის ძირითადი მოსახლეობის მეტყველება; ქართლური კახურთან ერთად საფუძვლად უდევს ქართულ ლიტერატურულ ენას: თბილისის, კასპის, ქარელის, გორის, ცხინვალის, მარნეულის, თეთრი წყაროს, წალკის, ბოლნისის, დმანისის, ხაშურის, ბორჯომის რა.

ქართული ენის განმარტებითი

ლექსიკონი 1950—1964 წწ. გამოვიდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული. იგი ახალი სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონია (ქართული ან არაქართული, მაგრამ ქართულში ხმარებული სიტყვა ახსნილია ქართულადვე); სახელები დალაგებულია მხ. რ. სახ. ბრუნვის ფორმით, ზმნა კი — აწმყო დროის მხ. რ. III პ. ფორმით. ლექსიკონი დაიბეჭდა პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით.

ქართული ენის გრამატიკის ალბომი პ. ლორთქიფანიძის, ე. გელაშვილისა და ს. დვალის მიერ შედგენილი გრაფიკული თვალსაჩინოების ნიმუშები მოკლე ახსნა-განმარტებებითურთ (გამოქვეყნდა 1968 წ.).

ქართული ენის დიალექტებია: ზევსურული, მოხეური, მთიულური, გუდამაყრული, თუშური, ფშაური, კახური, ქიზიყური, ინგილოური (აზერბაიჯანის სსრ ტერიტორია: კახის, ზაქათლისა და ბელაქნის რრ.), ფერეიდნული (ფერეიდანი ირანის მივარდნილი პროვინციაა. 1616 წ. შაჰაბას პირველმა კახეთი აოხრა და 100000 სულზე მეტი სპარსეთში გადაასახლა, ფერეიდნელები მათი შთამომავალნი არიან), ქართლური, ჯავახური, მესხური, იმერხეული, აჭარული, გურული, იმერული, ლეჩხუმური და რაჭული.

ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება დაარსდა 1923 წ. 18 თებერვალს. საზოგადოების წევრები იყვნენ: გ. ახველედიანი, კ. კეკელიძე, ლ. მელიქსეთ-ბეგი, სერ. გორგაძე, ვუკ. ბერიძე, დ. მგელაძე, მ. ხუბუა, არნ. ჩიქობავა, სტ. ჩხენკელი, ვ. თოფურია, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, დ. უზნაძე, ი. აბულაძე, მ. ჯანაშვილი, ს. ჯანაშია, ს. იორდანიშვილი და სხვ. საზოგადოებას ჰქონდა თავისი წესდება, საჯარო სხდომებზე იკითხებოდა საინტერესო მოხსენებები ქართული და ქართველური ენების, დიალექტებისა და საერთოდ ზოგადი ენათმეცნიერების აქტუალურ საკითხებზე.

„ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული“ ჟურნალი, რომელიც პირველად გამოვიდა 1923—1924 წ. (ტ. I—II). მასში შევიდა ა. შანიძის, გ. ახველედიანის, არნ. ჩიქობავას, ს. ჯანაშიას, ვ. თოფურიასა და ბეს. გაბუურის შრომები, რომლებიც ეხება სიტყვათა ეტიმოლოგიის, ენათა ფონეტიკური შესატყვისობის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და დიალექტოლოგიის აქტუალურ საკითხებს. ტომს დამატების სახით ერთვის ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების სხდომათა ოქმები.

1974 წელს თბილისში დაიბეჭდა „**იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული**“, რომელიც

პერიოდულად გამოვა (ტერმინი წელიწდეული გვხვდება ძველ ქართულში (იხ. ლვ. 9,3; გამოსლ. 15,5). ამ სიტყვის ეტიმოლოგია მოგვცა ა. შანიძემ. მანვე შემოიტანა და დაამკვიდრა იგი საენათმეცნიერო პრაქტიკაში.

ქართულოლოგია იგივეა, რაც ქართველოლოგია (ტერმინი გვხვდება იუსტინე აბულაძის „ირანული ენის გრამატიკაში", 1936).

ქართულ-შარომატული ენები იგივეა, რაც იბერიულ-კავკასიური ენები (ტერმინი ეკუთვნის ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს).

ქარტა (გერმ. karte, ლათ. charta — ბერძ. chartes-დან პაპირუსის ფურცელი, საწერად გამოყენებული). ძვ. „ქაღალდი" (საბა) ფ უ რ ც ე ლ ი (X—XII სს საქართველოში ჩვეულებრივ საწერ მასალას აღნიშნავდა).

ქაჯური ენა ენა, რომლის დანიშნულებაცაა იყოს გაგებინების საშუალება გარკვეულ პირთათვის ისე, რომ სხვათათვის ნათქვამი გაუგებარი დარჩეს; ესაა დაშიფრული მეტყველება; მაგ., მეწა საწაღამოსწა გაწამოწავიწავლიწა — ეს იქნება: მე საღამოს გამოვიცვლი.

ქვემდებარე წინადადების წევრი, რომელიც შემასმენლით აღნიშნულ მოქმედებას ასრულებს, ან რომელსაც ეს მოქმედება მიეწერება; მაგ., „ია მშვენიერი პაწაწინა სუნიანი ყვავილია" (თ. რაზ.).

ქვემდებარულია დამოკიდებული წინადადება, რომელიც ხსნის მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით გამოხატულ ქვემდებარეს ან კიდევ მთავარში არაა ისეთი ნაცვალსახელი და დამოკიდებული წინადადება თვითონ ასრულებს ქვემდებარის როლს მთავარი წინადადების შემასმენელთან, მაგ.: „ვინც ძმა არ გაიტანოს, იყოს წყეული უკუნითი უკუნითამდე" (მ. ჯავ.).

ქვემოადიღეურის დიალექტებია აბძახური, შაფსუღური, ჰემგუური, ბჟედუღური.

ქვეწყობა ანუ **ჰიპოტაქსი** წინადადებათა ისეთი დაკავშირება, როცა შემადგენელი წინადადებები გრამატიკულად არ არიან თანასწორნი: ერთი გაბატონებულია, მეორე კი მასზეა დამოკიდებული; მაგ., როცა ხეს სჭრიან, ნაფოტები სცვივა.

ქისტურ-ღილღური ენები იგივეა, რაც ჩაჩნური ჯგუფის ენები (ტერმინი ეკუთვნის ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს).

ქონების სახელები სახელები, რომლებიც განსაზღვრული სუფიქსების დართვით (-იან, -იერ, -ოსან, -ოვან, -ედ, -ა) ქონებას გამოხატავენ: ფულიანი, კანონიერი, ცხენოსანი, კრიალოსანი, სახელოვანი, ჯუარედი, პერანგა, სამფეხა... (საპირისპ. უქონლობის სახელები).

ქრონიკონი ქართული წელთაღრიცხვის პერიოდი (532 წ.).

ქცევა ზმნის ფორმა, რომელიც

გვიჩვენებს კუთვნილებით-დანიშნულებითს ურთიერთობას სუბიექტსა და ობიექტს შორის (ტერმინი ეკუთვნის ა. შანიძეს, 1926 წ.); ქცევა საარვისო ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი არავის კუთვნილება არ არის და არც ვისმეზეა განკუთვნილი: აშენებს სახლს, აკეთებს საქმეს, ანათებს გზას; ქცევა სათავისო ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი სუბიექტისაა ან მისთვისაა განკუთვნილი: იხატავს სურათს, იშენებს სახლს, იკეთებს ბოსელს. ქცევა სასხვისო ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი ან სუბიექტი ირიბისაა, ანდა ირიბისთვისაა განკუთვნილი; უკეთებს ბავშვებს სადილს, უმზადებს მოსწავლეებს წიგნებს და სხვ. უქცეო ზმნები ზმნები, რომელთაც სპირისპირო ფორმები აკლიათ კუთვნილება-უკუთვნელობის თვალსაზრისით: იცის, უყვარს, ჰქვია, აქვს, ახსოვს... ქცევა ნეიტრალური. იხ. ქცევა საარვისო; ქცევა სასუბიექტო იხ. ქცევა სათავისო. ვერსია იგივეა, რაც ქცევა. ქცევა საობიექტო იხ. ქცევა სასხვისო.

ქცევანაკლი ზმნები ძველი ქართული ნორმის მიხედვით ისეთი ზმნები, რომელთაც არ მოეპოვებათ ერთი ფუძისაგან ქცევის ყველა პრეფიქსით ნაწარმოები ფორმა, იხმარება მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი, დაირთავს რა მარტოოდენ ერთ პრეფიქს — ი-ს, უ-ს. ან ა-ს ან არც ერთ მათგანს (ტერმინი ქცევა ეკუთვნის ა. შანიძეს); მაგ., იცინის, ივაჭრებს, იცის, უწყის და სხვ.

ღ

ღ. 1. ოცდამესამე ასო ქართულ ანბანში; მისი სახელია ღან-ი; 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა შვიდასს (700).

ღაღადებითი შორისდებული ძვ. შორისდებულის ერთ-ერთი ჯგუფი, რომელშიც შედიან: ოჰ, ჰ, ჰ ღმერთო (ტერმინი გვხვდება გაიოზ რექტორის გრამატიკაში).

ღრამმატიკა ძვ. გრამატიკა.

უ

უ. 1. ოცდამეოთხე ასო ქართულ ანბანში. მისი სახელია უარ-ი; 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა რვაასს (800).

უიზლარ-მოზდოკური კილო კავი (ქართული ენისა) მეტყველება იმ ქართველთა, რომელნიც სახლობენ ჩრდილოეთ კავკასიაში, ქ. მოზდოკსა და ქ. უიზლარში, უიზლარის ოლქის ორ სოფელ-

ში — სასოფლოსა და სარაფანში.

ყრილი ძვ. იგივეა, რაც რთული (ტერმინი გვხვდება ზ. შანშიანის გრამატიკაში).

შ

შ. 1. ოცდამეხუთე ასო ქართულ ანბანში, მისი სახელია **შინ-ი**; 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ცხრაასს (900).

შედარება ერთმანეთთან შეპირისპირება მსგავსება-განსხვავების გამოსარკვევად, — შეფარდება. შეჯერება, შეწამება.

შედარებითი შედარებაზე დაფუძნებული, ურთიერთმიმართებითი, იგივეა, რაც ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა. „ადამიანის გონებამ მიაგნო ერთგვარ გზას კვლევისას, რომელსაც „შედარებითი მეთოდი“ ჰქვია“ (ი. ჭავჭ.).

შედარებით-ისტორიული მეთოდი სისტემა მეცნიერულ-კვლევითი ხერხებისა, რომლებიც გამოიყენება მონათესავე ენათა შესწავლისას ამ ენათა ისტორიული წარსულის სურათების აღდგენის მიზნით მათი განვითარების კანონზომიერების დასადგენად (მარქსისტულ ენათმეცნიერებაში შედარებით-ისტორიული გამოკვლევების მიმართულება და შინაარსი განისაზღვრება დიალექტურ. მატერიალიზმის საერთო მეთოდოლოგიით. მონათესავე ენათა შესწავლა ექვემდებარება მარქსისტული ენათმეცნიერების ძირითად ამოცანას — ენის განვითარების კანონთა შემეცნებას).

შედგენილია შემასმენელი, რომელიც შეიცავს ბრუნებად სიტყვასა (სახელს ან სახელზმნას) და მეშველ ზმნას; მაგ.: „ისინი ჩვენი მეგობრები არიან“ (ი. გოგ.).

შედეგობითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც გვიჩვენებს შედეგს იმისას, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი; მაგ., „ფარაჯაში გახვეულს გახადეს ფარაჯა, გადააცვეს თეთრი პერანგი თავიდან ფეხებამდე, ასე რომ პირისახე აღარ უჩანდა“ (ი. ჭავჭ.).

შედეგობითია ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ზმნით აღნიშნული მოქმედება მოხდებოდა, თუ სათანადო პირობა იქნებოდა შესრულებული.

შეერთებითი ძვ. მაერთებელი კავშირი.

შეერთებითნი კავშირნი ძვ. იგივეა, რაც მაერთებელი კავშირები.

შეთანხმება ორი სიტყვის ისეთი შეწყობა ერთმანეთთან, რომ ერთი მათგანის ბრუნვის ფორმა ან რიცხვის ფორმა დამოკიდებული იყოს მეორის ბრუნვის ან რიცხვის ფორმისაგან; მაგ.: „შემკრთალი ბეღურები ღობეზე აფრინდნენ“ (ი. ევდ.).

შეთანხმებული ვინც (რაც) შეათანხმეს ან შეუთანხმდა.

შეთანხმებულია განსაზღვრება თუ მისი ბრუნვის ფორმა დამოკიდებულია საზღვრული სიტყვის ბრუნვის ფორმისაგან; მაგ., „შიმშილით შ ე წ უ ხ ე ბ უ ლ ი მ გ ლ ე ბ ი ღმუოდნენ“ (თ. რაზ.).

შეთვისებული სიტყვები იგივეა, რაც ნასესხები სიტყვები (ტერმინი ეკუთვნის ა. რ ე ფ ო რ მ ა ც კ ი ს).

შეთქმითი ძვ. პირობითი.

შეკვეცილი სიტყვები იგივეა, რაც ნებისმიერი სიტყვები (ტერმინი ეკუთვნის ო. შახრაის).

შემართვა იხ. ექსკურსია.

შემასმენელი წინადადების ძირითადი წევრი, რომელიც გამოხატავს საგნის მოქმედებას, მდგომარეობას, გრძნობითს დამოკიდებულებას ერთი საგნისას მეორისადმი, ყოლა-ქონებას, მოქმედებასა და კუთვნილებით-დანიშნულებითს დამოკიდებულებას სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს შორის ან კიდევ ობიექტებს შორის, ან მიგვითითებს, რა მოსდის საგანს, როგორია საგანი, ვინ არის, ან რა არის საგანი და სხვ.

შემასმენლისი იგივეა, რაც შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი [ტერმინი ეკუთვნის ი ვ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ს (1943 წ.)].

შემასმენლობითი შემასმენლობითი ბრუნვა. იხ. მიმართულებითი ბრუნვა.

შემასმენლობითი ბრუნვა ძვ. უდრის ინდოევროპულ ენათა აკუზატივს (ტერმინი გვხვდება გ ა ი ო ზ რ ე ქ ტ ო რ ი ს გრამატიკაში).

შემდგომითი ძვ. შედეგობითი.

შეპყრელი ძვ. იგივეა, რაც კავშირი (ტერმინი გვხვდება ზ. შ ა ნ შ ო ვ ა ნ ი ს გრამატიკაში)

შემოკლებული ზმნები ზმნები, რომლებსაც ჩამოკვეცილი აქვთ ბოლო მარცვალი ან ასო (ასოები): მო (მოდი), დაჯე (დაჯექი), მაცა (მაცალე)...

შემოკლებული სიტყვა-გამოთქმები სიტყვა-გამოთქმები, რომლებიც შემოკლებულად იწერება და ზოგჯერ გამოითქმის, რამაც დიდი გასაქანი ჰპოვა ქართულში რუსული ენის მეშვეობით. ზაჰესი ზ(ემო) ა(ვჭალის) ჰ(იდრო) ე(ლექტრო) ს(ადგური), აღმასკომი აღმას(რულებელი) კომ(იტეტი), კოლმეურნეობა კოლ(ექტიური მეურნეობა) სხვ. (სხვა); იხ. აბრევიატურა.

შემოქმედებითი ნათესავი ძვ. მოქმედებითი გვარი ზმნისა.

შენაცვლება შეცვლა, მონაცვლეობა.

შენაცვლებითი რაც შენაცვლების საშუალებით ხდება — შეცვლითი. მონაცვლეობითი.

შენაცვლებული რაც შეანაცვლეს ან შეინაცვლეს, — შეცვლილი.

შერეული კავშირებითი IX—X საუკუნეთა ძეგლებში დადასტუ-

რებული ფორმები, რომლებიც ვერ თავსდება აქამდე ცნობილი მწკრივების ფარგლებში: წარმოების თვალსაზრისით ისინი II სერიას ეკუთვნიან, მაგრამ ზედ ურთავენ -ოდ სავრცობს, რომელიც I სერიიდან არის აღებული. ამის გამო ისინი ორგვარ ბუნებას იჩენენ: სინტაქსური თავისებურებანი II სერიის მწკრივებისა აქვთ, ხოლო მორფოლოგიური კატეგორიის მიხედვით პირველი სერიის მწკრივთა რიგებში დგანან: ასპექტი უსრული აქვთ, დრო — მომავალი, კილო თხრობითი ან კავშირებითი, ზოგჯერ ბრძანებითიც. ამგვარად, ფუნქციით ისინი ეტოლებიან მწკრივს, რომელიც I კავშირებითის (ან I მყოფადის) სახელწოდებით არის ცნობილი: მაგ., „საყურძენი იგი მისცეს სხუათა მოქმედთა, რომელთა მიხცოდიან მას ნაყოფი ჟამთა მათთა“; ან კიდევ: შეწიროდის (მან იგი), /მაგრამ შეწირნოდის (მან იგინი). ეს ახალი მწკრივია შერეული კავშირებითი (ტერმინი და განმარტება ა. შანიძისა).

შერეული სახის წინადადება მაშინ გვაქვს, როცა რთულ წინადადებაში თანწყობასაც აქვს ადგილი და ქვეწყობასაც: მაგ., „ორი კაცი ჰიშკრის უკან აიტუზა, ექვსი კი ისე აცოცდა აივანზე, რომ ხის კიბეს ერთხელაც არ დაუკვნესია“ (მ. ჯავ.). შდრ. ზერთული წინადადება.

შერწყმულია წინადადება, რომელშიაც მოიპოვება რამდენიმე ერთგვარი წევრი (თ. ჟორდანიამ პირველად გამოყო შერწყმული წინადადება, როგორც დამოუკიდებელი სახის წინადადება, 1889 წ.). მაგ.: „მურია ღრინავს, ჰყეფს, ტრიალებს“ (თ. რაზ.).

შერწყმული ზმნები რთული ზმნების ისეთი სახე, რომლებიც ერთად იხმარება, მაგრამ პირველი ბოლოშეკვეცილია, მეორე კი სრული ფორმითაა წარმოდგენილი; მაგ.: დაწყნარდ-დადუმდა, გასუქ-გალაღდა...

შერწყმული სახელები სახელები, რომლებიც გადმოსცემენ ორ ან მეტ ცნებას და ფორმალურად არიან გაერთიანებული ერთმანეთთან: ხელ-ფეხი, შიშველ-ტიტველი, მიყრილ-მოყრილი, აქა-იქ...

შესიტყვება მნიშვნელობის მქონე სიტყვათა ისეთი კავშირი (შეწაერთი), რომელიც გადმოგვცემს დასრულებულ მსჯელობას (აზრს) ან მის ნაწილს, — სიტყვათ შეერთება.

შეუთვისებელი სიტყვები იგივეა, რაც ნასესხები სიტყვები (ტერმინი ეკუთვნის ა. რეფორმაცკის).

შეუკვეცელი სიტყვები იგივეა, რაც ნასესხები სიტყვები (ტერმინი ეკუთვნის ო. შახრაის).

შეწყნარება ძვ. იგივეა, რაც მიმღეობა (გვხვდება ზ. შანშოვანის გრამატიკაში).

შინაგანი პაუზა (internal pause) დროის შუალედი, რომლის დროსაც არ ხდება სამეტყველო ორგანოების არტიკულაცია ოდნავ შესამჩნევადაც კი.

შიშინა (ბგერები) უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი ბგერები (ჟ, შ), აგრეთვე მათი მონაწილეობით მიღებული რთული ბგერების (ჯ, ჩ, ჳ) სახელწოდება (შდრ. სისინა ბგერები) უკანანუნისმიერ ბგერებს (ხშულსა და ნაპრალოვანს): (ჯ ჩ ჳ ჟ შ) შიშინა ბგერებს ეძახიან, რადგანაც მათი წარმოთქმისას აკუსტიკური შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს შიშინი მოისმისო.

შიფრი (ფრანგ. chiffre) 1. პირობით ნიშანთა სისტემა საიდუმლო წერისათვის; 2. პირობითი ნიშანი (ციფრი), რომელიც ესმება საგანს.

შმიდტის ი. (1843—1901) „ტალღების თეორია“ თეორია, რომლის მიხედვითაც ლინგვისტური ფაქტები ვრცელდება, როგორც ტალღები ქვის ჩაგდების შემდეგ.

შორისდებული უცვლელი ბგერა, ბგერათა ჯგუფი ან სიტყვა, რომელიც ადამიანის გრძნობასა და ნება-სურვილს გამოხატავს, მაგრამ ისე, რომ არ ასახელებს მას. მაგ.: ახ, ვიშ, უჰ, ეი, ფუ, აი, ბარაქალა, ბიჭოს... (ტერმინი ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს).

შორისდებულთა თეორია ენის წარმოშობის ინდივიდუალისტური თეორია, რომელიც პირველ სიტყვებად თვლის უნებლიე წამოძახილებს; ძლიერი ტკივილით, შიშით, აღტაცებით ან სხვა ძლიერი განცდით გამოწვეულს. ამ წამოძახილებს უნდა გაეკვლიათ გზა დანარჩენი სიტყვების შექმნისათვის.

შრიფტი (გერმ. Schrift) ასაწყობად საჭირო ლიტერების სრული კომპლექტი (ერთგვარი ნახატისა), რომელშიც შედის ანბანი, სასვენი ნიშნები და ციფრები.

შტილი ძვ. სტილი.

შუამავალი ენა დამხმარე ენა, რომელსაც იყენებენ საერთაშორისო ურთიერთობისათვის.

შუა რიგის ხმოვანი ქართულში შუა რიგის ხმოვანია ა, რომლის წარმოთქმისას ენის ზურგი ოდნავ აიწევა სასისაკენ და დაიხევს უკან, ან სრულიად ნეიტრარულ მდგომარეობაშია — უკან არ გაიწევა.

ჩ

ჩ 1. ოცდამეექვსე ასო ქართულ ანბანში. მისი სახელია **ჩინ-ი**. 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ათასს (1000).

ჩართული წინადადების წევრებთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა თუ სიტყვათა შეკავშირება, რომელიც გადმოგ-

ვცემს, როგორ უყურებს მთქმელი წინადადებაში გამოხატულ აზრს ან თვით გამოთქმის ფორმას, ან კიდევ მიუთითებს წყაროს და სხვ. მაგ.: „მამათქვენი, მ გ ო ნ ი ა, მაშინ მიცვალებული იყო“ (ი. ჭავჭ.).

ჩართული წინადადება განკერძოებული წინადადება (სიტყვა), რომელიც გადმოგვცემს მოლაპარაკის დამოკიდებულებას საუბრის საგნისადმი; მაგ., „იმ წუთებში ბეჟიას (ა ს ე ე ძ ა ხ დ ნ ე ნ მ წ უ ე მ ს ს) ფრინველად გადაქცევა უნდოდა“ (ვაჟა); „დავითი — მ ე ო რ ე დ ღ ე ს პ ა ტ ა რ ძ ა ლ ი ა რ ა ჩ ვ ე ნ ე ს — შინ წამოვიდა და მოსე თავის სახლში დარჩა“ (ი. ჭავჭ.).

ჩასართი იხ. ინფიქსი.

ჩქამი ხმაური, გახმაურება: ერთობლიობა ბგერებისა, რომელთა სიმაღლე და სიძლიერე სწრაფად იცვლება.

ჩქამიერი ჩქამის მქონე; ჩქამის ხასიათისა; ჩქამიერი ბგერა.

ც

ც 1. ოცდამეშვიდე ასო ქართულ ანბანში, — მისი სახელია ცან-ი; 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ორი ათასს (2000).

ცალეული რაიმე საგნების ერთი ცალი — ეგზემპლარი. იგივეა, რაც ცალობით; ცალეული თანხმოვანი ქართულში შვიდია: ამათგან ხუთი მეღერია: **ვ, მ, ნ, რ, ლ,** ორი—ყრუ; **ჰ** (ფშვინვიერი) **ყ** (მკვეთრი).

ცარიელი სიტყვები ენაში ისეთი სიტყვები, რომლებიც თავიანთი სემანტიკით უპირისპირდებიან ცნებებს (ტერმინი ეკუთვნის ჩინელ გრამატიკოსებს).

ცვალებადი პირი ისეთი რომლობითი პირი, რომელიც მუდამ ახლავს რელატიურ ფორმას და მისი შეცვლა შეიძლება.

ცნება შემეცნების ფორმა, რომლის მეშვეობითაც შეიცნობა ობიექტური სინამდვილის (საგანთა, მოვლენათა) არსებითი ნიშნები (მიიღება ცალკეულ მოვლენათა განზოგადების შედეგად).

ცოცხალი სიტყვა სიტყვა, რომელიც გვესმის სმენის ორგანოებით და რომელიც ჩვენზე ახდენს ამა თუ იმ შთაბეჭდილებას.

ცხვირისმიერი ცხვირის ღრუს მონაწილეობით წარმოებული ბგერა — ნაზალური, ცხვირისმიერი თანხმოვანი.

ცხვირისმიერი ანუ ნაზალიზებული ხმოვნები ის ხმოვნები, რომელთა წარმოთქმისას ჰაერნაკადი გამოდის ცხვირიდანაც და ცხვირიდანაც: **ã ẽ.**

ძ

ძ. 1. ოცდამერვე ასო ქართულ ანბანში, მისი სახელია **ძილ-ი.** 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა სამი ათასს (3 000).

ძახილის ნიშანი სასვენი ნიშანი (!), რომელიც ამა თუ იმ ემოციის (აღტაცებას, გაკვირვებას) გამომხატველ წინადადებას დაესმის.

ძახილისაა წინადადება, რომელსაც მთქმელის დიდი გრძნობა, ემოცია ახლავს; მაგ., „ეეე, რა ბლომადა ჰყვანან მაგ ჩვენს კნიაზსა და!“ (ვაჟა).

ძველი დიდი ხნისა (საპირისპ. ახალი).

„ძველი ქართული ენა“. ეს ტერმინი ორი მნიშვნელობით იხმარება: ვიწრო მნიშვნელობით იგი გულისხმობს ენას უძველესი ქართული წერილობითი ძეგლებისას XI საუკუნის ჩათვლით, ფართო მნიშვნელობით „ძველი ქართული ენა“ შეიცავს ყველაფერს, რაც ახალი არ არის, ე. ი. რაც არ განეკუთვნება XIX—XX საუკუნეებს.

ძველდამწერლობის ენები ენები, რომელთაც დამწერლობა შეექმნათ ლათინურის საფუძველზე; მაგ., ლიტველები, ლატვიელები, ფინელები, ესტონელები.

ძიება ძვ. დამატება, ობიექტი.

ძირი[1] სიტყვის მარტივი ფუძე, რომლის დაშლა არ შეიძლება (ტერმინი ეკუთვნის ა ნ ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ს).

ძირი[2] **ზმნისა** ის ნაწილი, რომელიც შემადგენელ ნაწილებად არ იშლება.

ძირეული სახელი სახელი, რომლის ფუძისაგანაც სხვა სახელია ნაწარმოები.

ძირეული ანუ იზოლირებული ენები ისეთი ენები, რომლებშიც ფორმათა საწარმოებლად აფიქსები არ იხმარება, ე. ი. მორფოლოგიურად ასეთი ენები არ იცვლებიან; ძირეული იმიტომ ჰქვია მათ, რომ იყენებენ მხოლოდ სიტყვის ძირებს; ძირეული ენებია, მაგ., ჩინური, ვიეტნამური და სხვ. ენები.

წ

წ 1. ოცდამეცხრე ასო ქართულ ანბანში (ოცდამეთერთმეტე ძველ ქართულ ანბანში). მისი სახელია **წილ-ი;** 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ოთხი ათასს (4 000).

წამოძახილების თეორია ეხ. შორისდებულთა თეორია.

წართქმითია წინადადება, თუ აზრი დადებითად არის გამოთქმული; მაგ.: გაზაფხული მალე დადგება.

წარმოებითნი ძვ. იგივეა, რაც ნაწარმოები (სიტყვები).

წარმოთქმა 1. ხმამაღლა (საჯა-

როდ) თქმა; 2. სამეტყველო ბგერის წარმოება.

წარმომავლობის სახელები სახელები, რომლებიც განსაზღვრული სუფიქსების დართვით (-ელ, -ეულ, -ურ, -იურ, -დელ) აღნიშნავენ გარკვეულ წარმომავლობას: ქალაქელი, ჩემეული, ქალაქური, ხვალინდელი...

წარმოქმნა ანუ დერივაცია (ბერძ. derivatio) ახალი სიტყვის შექმნა ფუძეზე მნიშვნელობისმცვლელი აფიქსის დართვით (ქართულში დერივაციით მიიღება მარტივ სიტყვათა წარმოება, ძველ ბერძნულში კი დერივაცია ხდება ზმნის ან სახელის ფუძეზე სუფიქსთა დართვით და ამ გზით მიიღება ნაზმნარი სახელები და ნასახელარი ზმნები); წარმოქმნა იგივეა, რაც სიტყვაწარმოება.

მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა იმაზე, ენათმეცნიერების რომელ დარგს ეკუთვნის წარმოქმნა; ზოგი მკვლევარი მას თელის მორფოლოგიის შესწავლის საგნად (ა. შანიძე, ვ. ვინოგრადოვი, ლ. ბულახოვსკი, ლ. კვაჭაძე), ზოგი—გრამატიკის დამოუკიდებელ დარგად წარმოგვიდგენს (ა. შახმატოვი, ნ. ფელდმანი...), ზოგიც—ლექსიკოლოგიის შემადგენელ ნაწილად (ვ. თოფურია, ა. სმირნიცკი, ალ. ღლონტი, ი. ქავთარაძე, ა. კიზირია, მ. ანდრონიკაშვილი, თ. ზურაბიშვილი, თ. სანიკიძე, რ. გაბეჩავა...), ზოგი კიდევ — გრამატიკისა და ლექსიკოლოგიის შესწავლის ობიექტად მიიჩნევს (ა. ჩიქობავა, ბ. ფოჩხუა...).

წარმოქმნილი სახელი ძირეული სახელი, რომლისგანაც სხვა შინაარსის სახელია გაკეთებული.

წარმოქმნის კატეგორია ისეთი კატეგორია, თუ ის მოდიფიკაციას უშვრება ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას და თანაც იმეორებს ძირეული ზმნის მწკრივებს, ყველას თუ არა, უმეტესობას მაინც.

წარმწერელი ძვ. წარწერის ამომჭრელი თუ გამომქანდაკებელი ადამიანი, ხელოსანი.

წარსული ძველი დრო, განვლილი დრო, — ნამყო (საპირისპ. აწ-ბოყო, მომავალი).

წევრი იგივეა, რაც მწკრივი (ტერმინი ეკუთვნის ა. შანიძეს).

წერა ბგერითი ენის მნიშვნელოვანი საშუალებაა ადამიანთა ურთიერთობისათვის გრაფიკული ნიშნების გამოყენებით, რაც შესაძლებლობას იძლევა მეტყველების ფიქსირებისათვის სივრცესა და დროზე დამოუკიდებლად. **ანბანი** (ბერძ. alphabet, რუს. азбука) ჰქვია მწერლობიან ენაში ხმარებულ ასოთა ერთობლიობას (სამივე ტერმინი წარმომდგარია ასოთა ტრადიციული რიგის პირველი ორი ასოს სახელწოდებისაგან: ანბანი, ალფა-ბეტა, аз-буки). ალფაბეტური ანუ ანბანური წერა ეწოდება ისეთ სისტემას, რომელ-

შიც გამოყენებულია ასოები და სხვა დამატებითი ნიშნები. ანალფაბეტური ანუ არაანბანური ჰქვია ფონეტიკური წერის ისეთ სისტემას, რომელშიც არაა გამოყენებული ასოები, როგორც ბგერის გამომხატველი ნიშნები. ასო (ლათ. litera, რუს. буква) სამეტყველო ბგერის გრაფიკული (წერილობითი) გამოსახულება; სამეტყველო ბგერის პირობითი ნიშანი. ბუსტროფედონი (ბერძ. boustrophedon ხარის ტრიალი, მობრუნება) წერის ისეთი ხერხი, როცა ერთი სტრიქონი იწერება მარჯვნიდან მარცხნივ, მეორე — მარცხნიდან მარჯვნივ და ა. შ., რაც ძველ ბერძნებს აგონებდა ხარის მოძრაობას მინდორზე ხვნის დროს. ეტიმოლოგიური დამწერლობა ჰქვია ისტორიული პრინციპით დამწერლობას იმ შემთხვევაში, როცა მასში გამოიხატება, თუ როგორი წარმოშობისაა სიტყვა ან ფორმა (მაგ., თვრამეტი, თაყვანისცემა, ბედშავი და სხვ.). იდეოგრაფიული წერა (ბერძ. idea ცნება, graphó ვწერ). წერილობითი ნიშანი, რომელიც აღნიშნავს (ბგერისაგან განსხვავებით) არა რომელიმე ენის ბგერას, არამედ მთელ ცნებას; წერა იდეოგრამების დახმარებით; იდეოგრაფიულია ძვ. ეგვიპტური დამწერლობა, თანამედროვე ჩინური დამწერლობა, შუმერულ-ბაბილონური და ხეთური დამწერლობა. ორთოგრაფიის ისტორიული ანუ ტრადიციული პრინციპი მაშინაა დაცული, როცა სიტყვას ისე ვწერთ, როგორც ეს დამკვიდრებულია ტრადიციის ძალით მოცემულ ენის დამწერლობაში — მიუხედავად მორფოლოგიური პრინციპის დარღვევისა; მაგ.: კაცი, სახლი, ცივი, მინდორი, თვრამეტი, თაყვანისცემა... მარცვლობითი ანუ სილაბური წერა იმაში მდგომარეობს, რომ ასო აქვს არა თვითეულ ბგერას, როგორც ანბანში, არამედ მთელ მარცვალს: იწერება ასო მხოლოდ თანხმოვნისათვის, ხოლო ხმოვანი იგულისხმება ან გამოიხატება დამხმარე ნიშნით, ასეთია, მაგალითად, არაბული მარცვლობითი წერა. ორთოგრაფიის მორფოლოგიური პრინციპი ეწოდება ბგერითი ომონიმების განზრახ სხვადასხვანაირად წერას, ე. ი. ერთნაირად წარმოთქმადი სიტყვების განზრახ განსხვავებულად გამოსახვას (მაგ.: Мир მშვიდობიანობა და Мір ქვეყანა). ორთოგრაფიის ფონეტიკური პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვას წერენ ისე, როგორც წარმოთქვამენ, ე. ი. მოცემული სიტყვის დასაწერად საჭირო თითოეულ ასოს აქვს მხოლოდ ძირითადი ბგერის მნიშვნელობა; მაგ., სიტყვა **ამაგი** დაწერილია ფონეტიკურად. პიქტოგრაფიული წერა (ლათ. pictus დახატული და ბერძ. graphe გამოსახულება) წერის ისეთი სახეა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ის, რომ გრაფიკული ნიშანი (ნახატის ან პირობითი გამოსახულების სახით)

გამოიყენება მეტყველების შინაარსის გადმოსაცემად, მაგრამ ეს ენობრივად არ არის გაფორმებული. პიქტოგრაფია ინტერნაციონალური წერაა. პოლიფონია (ბერძ. poly მრავალი და phone ხმა, ე. ი. მრავალხმიანობა) მრავალხმიანობა, რომელიც ემყარება რამდენიმე დამოუკიდებელი მეოდის ერთდროულ ჰარმონიულ შეხამებას; ერთი და იმავე მნიშვნელობის, მაგრამ განსხვავებულად მბგერი სიტყვების ერთი და იმავე იდეოგრამით გამოსახულება. პოლიფონიური რასაც პოლიფონია ახასიათებს, — მრავალხმიანი. ფონეტიკური წერა იგივეა, რაც ანბანური, ბგერითი წერა.

წერითი წერის ხასიათისა; წერილობითი.

წერითი მეტყველება აზრი, გადმოცემული წერილობით, გრაფიკული ნიშნებით.

წერილმეტყველება იგივეა, რაც წერითი მეტყველება.

წერტილი რისამე წვერით დასმული ნიშანი (პუნქტუაციაში — თხრობითი წინადადების ბოლოს) (ტერმინი ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს).

წერტილ-მძიმე ყოველთვის ერთნაირი ენობრივი ელემენტების— ერთგვარი წევრებისა თუ ერთგვარი წინადადებების სასვენი ნიშანია, რომელსაც საშუალო ადგილი უჭირავს საკუთრივ წერტილსა და მძიმეს შორის; მაგ.: მზე დასავლეთისაკენ გადაიწურა; საღამო ახლოვდებოდა; მონადირენი შინ წასასვლელად გაემზადნენ, ქალები ურემში ჩალაგდნენ; ვაჟები ცხენებზე ამხედრდნენ (ვაჟა).

წესებითი ძვ. რიგობითი.

წიგნი[1] 1. ტექსტის შემცველი ფურცლები, ერთად აკინძული (ჩვეულებრივ ნაბეჭდი); 2. ძვ. წერილი, ბარათი, 3. ძვ. წერილობითი საბუთი; ხელწერილი.

წიგნი[2] ძვ. იგივეა, რაც ასო (ტერმინი გვხვდება ანტონ კათალიკოსის გრამატიკაში).

წინააღმდეგობითნი კავშირნი ძვ. იგივეა, რაც მაპირისპირებელი კავშირები.

წინადადება გაბმული მეტყველების ერთი ისეთი მთლიანი ენობრივი ერთეული, რომელიც შედგება გრამატიკის წესების შესაბამისად გაფორმებული ერთი ან რამდენიმე ერთმანეთთან შეწყობილი სიტყვისაგან და დამთავრებულ აზრს გამოხატავს; მაგ.: „ხავერდივით მწვანე ბალახს აბიბინებს სიო ნაზად“ (ა. წერ.).

წინადადებანი თანასწორნი ძვ. იგივეა, რაც თანასწორუფლებიანი წინადადებები.

წინადადებანი უთანასწორონი ძვ. იგივეა, რაც არათანასწორუფლებიანი წინადადებანი.

წინადადების წევრი ყოველი თავისთავადი სიტყვა, რომელიც უპასუხებს გარკვეულ კითხვას (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ზმნა, ზმნიზედა) წინადადებაში ასრულებს წევრის ფუნქციას.

წინაენისმიერნი ისეთი ბგერა, რომლის წარმოქმნაში ენის წინა ნაწილი მონაწილეობს, წინაენისმიერი თანხმოვნებია: დ, თ, ტ, ნ, ლ.

წინა ვითარების სახელები სახელები, რომლებიც გარკვეული აფიქსების დართვით (ნა—არ, ნა—ევ) საგანს ასახელებენ იმის მიხედვით, თუ რას წარმოადგენდა იგი წინათ, ან როგორი ვითარება ახასიათებს მას წინანდელთან შედარებით: ნამასწავლებლარი, ნამამამთილევი.

წინარეენა[1] (ფუძე-ენა) (ვერმ. Ursprache, Grundsprache) შედარებითი მეთოდისა და შინაგანი რეკონსტრუქციის შედეგად მიღებული გენეტიკურად დაკავშირებული ენების უძველესი სახეა, რომ გავითვალისწინოთ ენის განვითარების ის საფეხური, საიდანაც ჩვენამდე წერილობითს ფიქსირებულ მასალას არ მიუღწევია.

წინარეენა[2] ცალკეულ სტრუქტურათა ის ერთობლიობა, რომელიც სხვადასხვა სახითაა ტრანსფორმირებული ისტორიულად დამოწმებულ მონათესავე ენებში.

წინა რიგის ხმოვნები ქართულში წინა რიგის ხმოვნებია ე და ი. რომელთათვისაც საერთოა ენის ზურგის წინა ნაწილის მიმართულება მაგარი სასისაკენ — წინ და ზევით.

წოდებითი ბრუნვა (ლათ. vocativus, რუს. звательный) სახელის ერთ-ერთი ფორმა ქართული ენის ბრუნვათა სისტემაში; მიმართვის ფორმა. მისი ნიშნებია (ზოგად სახელებთან): ო და ზოგჯერ -ვ: მეგობარო! ძმაო! დედა-ვ! (ტერმინი ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს).

წოვა-თუშური წოვა-თუშურის კუთვნილი, წოვა-თუშების დამახასიათებელი, — ბაცბური. წოვა-თუშური, ანუ ბაცბური ენა — სოფ. ქვემო ალვანში, კახეთში, ალაზნის გაღმა.

წრფელობითი სახელწოდება ძველ სალიტერატურო ქართულ ენაში გაუფორმებლად (უნიშნოდ) წარმოდგენილი ფუძისა, რომელიც გამოყენებული იყო შედგენილი შემასმენლის ნაწილიდან ზოგჯერ (საკუთარ სახელებში) სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების ნაცვლად. წრფელობითი უნიშნო იყო და სუფთა ფუძეს წარმოადგენდა. გრამატიკის ძველ სახელმძღვანელოში ზოგჯერ იხმარება სახელობითის მნიშვნელობით (ტერმინი ეკუთვნის ანტონ პირველს).

წყვილბაგისმიერნი ისეთი (ბგერა), რომლის წარმოთქმაში ზედა და ქვედა ბაგეები მონაწილეობს, — ბილაბიალური. ბ, ფ, პ, მ წყვილბაგისმიერი ბგერებია.

წყვილეული ორი ცალისაგან შემდგარი ერთეული, თანხმოვანთა წყვილეულები: ზ—ს, ჟ—შ, ღ—ხ.

წყვილთა რაოდენობა მარტივ წინადადებაში მარტივ წინადადებაში იმდენი წყვილია (იმდენი სინტაქსური ერთეულია), რამდე-

ნი წევრიც მოიპოვება შიგ ერთის გამოკლებით.

წყობა აგებულება, სტრუქტურა. გრამატიკული წყობა.

ჱ

ჱ. 1. ოცდამეათე ასო ქართულ ანბანში (ოცდამეთორმეტე ძველ ქართულ ანბანში). მისი სახელია **ჰარ-ი.** 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ხუთი ათასს (5 000).

ჰანური ჰანების დამახასიათებელი, ჰანების კუთვნილი. ჰანური კილო.

ჰანურის კილოკავებია: ხოფური, ვიწურ-არქაბული და ათინური.

ჰილი იგივეა, რაც პაპირუსი.

ხ

ხ. 1. ოცდამეთერთმეტე ასო ქართულ ანბანში (ოცდამეცამეტე ძველ ქართულ ანბანში). მისი სახელია **ხან-ი.** 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ექვსი ათასს(6 000).

ხაზგასმა ტექსტის ზოგი ადგილისადმი ყურადღების მისაქცევად მისი დაბეჭდვა მუქი ან დიდი ასოებით, კურსივით და სხვ.

ხალხი ამა თუ იმ ქვეყნის მცხოვრებნი. ერთი ქვეყნის ან სახელმწიფოს მოსახლეობა ერთობლივად.

ხალხის ენა ენა, რომელსაც ხალხი იყენებს ურთიერთობისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალებად. იხ. ხალხი.

ხალხური ხალხის დამახასიათებელი, ხალხის კუთვნილი, ხალხისაგან მომდინარე,—ხალხისა. ხალხური ეტიმოლოგია. იხ. ეტიმოლოგია.

ხანმეტი სახელწოდება ძველი ქართული ენის უძველესი ძეგლებისა (V—VII სს.), სადაც მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების ნიშნად... იხმარებოდა **ხ** (ხანი); მაგ., ხპოვე, ხიხილე, ხკითხვიდა, ხრქუა (ტერმინი გ. ჩ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ს ეკუთვნის).

ხანმეტი მრავალთავი წარმოადგენს ლექციონარს, ანუ სახარება — სამოციქულოდან ამოკრებილ საკითხავებს. ხანმეტი მრავალთავისათვის გამოყენებული ეტრატი და მელანი ადასტურებს ქართველების კულტურის მაღალ დონეს: მდიდრულად და ადგილის დაუზოგავად გაშლილი ნაწერი იძდროინდელი ქართველების განათლებული წრეების საერთო ქონებრივ სიმდიდრეს მოწმობს.

ხანმეტი ტექსტები V—VII სს. ისეთი ტექსტები, რომლებშიც ხანი პრეფიქსებად სამი ფუნქციითაა ნახმარი: ზმნებში მეორე პირის სუბიექტისა (ხ-ზი, ხ-დგა,

ხ-იხილო) და მესამე პირის ობიექტის (ხ-ერქვა, ხ-ესმა) გამოსახატავად, ინიან ენებითში (ხ-იყო, ხ-იქნების), ხოლო სახელებში ზედსართავთა შედარებით-აღმატებითი ხარისხის საწარმოებლად, პირველი ნაშთის სახით დარჩენილია ხა-არ, მი-ხ-ვალ ზმნებში, ხოლო მეორე ხ-უცესში, რომლის მეგრული შესატყვისია უჩაში („უფროსი“) და სვანური ხოშა („უფროსი“): უძველესი ტექსტების ხანი თავსართები ზედმეტი იყო X—XI სს. ქართ. სალიტ. ენის ნორმების მიხედვით, ამ ნორმებზე იყო აღზრდილი გ. მთაწმინდელი და სწორედ ამიტომ უწოდა მან მათ ხანმეტი.

ხარისხის სახელები სახელები, რომლებიც გარკვეული აფიქსების დართვით (უ—ეს, მო—ო) საგნის ნიშანს გვიჩვენებენ მეტი ან ნაკლები ოდენობით, რაც დამყარებულია ძირეულისა და წარმოქმნილის შედარებაზე: უახლესი, ჰომჟაო... („უფროობითი ხარისხი“ ა. შანიძის შემოღებული ტერმინია).

ხარისხობითი ძვ. თანადამოკიდებული წინადადების სახეობა.

ხატმოქმედებითი ძვ. მოქმედებითი გვარის ზმნა.

ხატოვანი თქმა საქვეყნოდ გავრცელებული მახვილგონიერი სიტყვები, ფრაზები, აფორიზმად ქცეუ გამოთქმები, იდიომები. ხატოვანი თქმისათვის დამახასიათებელია კონკრეტული ცნების განზოგადებული მნიშვნელობით წარმოდგენა, მეტაფორული გააზრება, მაგ.: 1. ვინც გააჩინა თხა, მან მოუღუნა რქა (ხალხური); 2. თავზე ლაფის დასხმა, თავლაფდასხმული (ხალხური); 3. სიტყვის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო (ხალხური).

ხევსურული კილო (ქართული ენისა) ხევსურეთის მკვიდრთა მეტყველება: დუშეთის რ.

ხეთების პრობლემა შავი ზღვის სამხრეთით, მდ. ღალისის მარჯვენა მხარეზე, დიდი ბორცვია აღმართული. ამ ბორცვზე ძველად უზარმაზარი ქალაქი ყოფილა გაშენებული. 1906 წ. ზაფხულზე გერმანელმა მეცნიერმა ჰუგო ვინკლერმა მაკრიდ-ბეისთან ერთად ერთ-ერთ დაფერდებაზე, ანკარადან 200 კმ. მანძილზე, აღმოაჩინა მრავალი თიხის ფირფიტა, ლურსმული წარწერით დაფარული. ზოგ ფირფიტაზე შესრულებულმა ბაბილონურმა წარწერამ ვინკლერს საშუალება მისცა დარწმუნებულიყო, რომ ამ ბორცვზე ხეთების სატახტო ქალაქი უნდა ყოფილიყო, ხოლო თიხის ფირფიტები უძველესი სახელმწიფო არქივი აღმოჩნდა. აქვე მიაკვლიეს ეგვიპტის ფარაონ რამზეს II-სა და ხეთების მეფის ხატუშილ III შორის დადებულ ზავის პირს, შესრულებულს ბაბილონურ ენაზე. აღმოჩენილ არქივში ხეთურ ენაზე შესრულებულ

20 000-მდე ფირფიტას მიაკვლიეს: ეს ხეთების მეფის სახელმწიფო არქივი აღმოჩნდა, ტექსტები რვა სხვადასხვა ენაზე ყოფილა შესრულებული; ეს ენებია: ხეთური ენა, პროტოხეთური ანუ ძველი ხეთური ენა, ხარული ენა, ბალაური ენა, ლევური ენა, პრეინდური ენა, აკადური ენა და სუმერული ენა; ხეთური ენა და ხეთები პრობლემად იქცა მეცნიერებაში. სხვადასხვა აზრი გამოითქვა იმაზე, თუ რომელ ენათა ოჯახს ეკუთვნოდა ხეთური, წამოიჭრა ათასნაირი ვარაუდი. ნ. მარი ამ ენას აკუთვნებდა იაფეტურს, ე. ი. კავკასიურ ენებს; მეცნიერები ხეთებს თვლიან მცირე აზიის ეროვნებად (დაწვრილებით იხ. კ. კერამი, ხეთების საიდუმლოება, თბ., 1966).

ხეთოლოგია მეცნიერება, რომელიც სწავლობს ხეთების ენების ისტორიასა და კულტურას (ხეთოლოგიის დაბადების თარიღად თვლიან 1915 წ.).

ხეთური ენა ხეთების (მცირე აზიის მკვიდრი მოსახლეობა უძველეს ხანაში) ენა (შუმერული, ჰურიტული, ურარტული, ელამური და ხეთური ენები მკვდარი ენებია). ხეთური დამწერლობა ორგვარია: იეროგლიფური და ლურსმული.

ხელმეორედ ბრუნება ნათესაობითსა და წოდებითში დაყენებული სახელების ისევ ბრუნება: ძმაოს, ღოროი; „მისმა თავო ჩემო მუერები წაიღო“.

ხელობის სახელები სახელები, რომლებიც გარკვეული აფიქსების დათვით (მე—ე, მე—ურ) მიგვითითებენ ხელობას; მაგ., მესაათე, მეთაური.

ხმა ძვ. იხ. გვარი.

ხმამიბაძვითი თეორია ენის წარმოშობის ინდივიდუალისტური თეორია, რომელიც ვარაუდობს, რომ პირველი სიტყვები ხმისმიბაძვითი სიტყვები იყო; საგანს სახელი ერქმეოდა იმის მიხედვით, თუ რა ხმას გამოსცემდა იგი. გუგულს „გუგული“ დაერქვა იმიტომ, რომ ის „გუგუ“-ს გაიძახის.

ხმარებიდან გადავარდნილი ასოები გვხვდებოდა ძველ ქართულში. თანამედროვე სალიტერატურო ენაში კი აღარ იხმარება. ესენია: ჱ, ჲ, ჳ, ჴ, ჵ, ჶ, ჷ.

ხმოვანი ისეთი ბგერაა, რომელიც ხორხში ისახება ისე, რომ ფილტვებიდან ამონადენი ჰაერი ხმის სიმებს შეარხევს და წარმოიშობა ტონი (ხმოვნებია: ა, ე, ი, ო, უ) (ტერმინი ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს).

ხმოვანთა შეხვედრა (ბერძ. hiatus ღიაობა) ორი ხმოვნის უშუალო მეზობლობა სიტყვის შიგნით ანდა სიტყვის ბოლო ხმოვანსა და მომდევნო სიტყვის თავკიდურ ხმოვანს შორის (თუ სიტყვები სასვენი ნიშნებით არაა გამიჯნული). ქართულში ამის მაგალითებია: დააწერა, დაუწერა, არა აქვს...

ხმოვანთჰარმონია სიტყვის ფუძისეული ხმოვნის მიერ სუფიქსის ხმოვნის მიმსგავსება.

ხმოვანმონაცვლე რაც ფუძის ხმოვნის მონაცვლეობით ხასიათდება (შდრ. ფუძედრეკადი). ხმოვანმონაცვლე ზმნები.

ხმოვანმონაცვლეობა ხმოვან ბგერათა კანონზომიერი მონაცვლეობა ზიარფუძიან სიტყვებში (მაგ.: გლეჯს — გლიჯა, გრეხს — გრიხა).

ხორხისმიერი ხორხში წარმოქმნილი, ხორხში ნაწარმოები, ხორხისმიერი ბგერაა ჰ.

ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფში შედის: ხუნძური (ანუ ავარიული) ენა და ანდიური ხეობის ენა — კილოთა წყება: ანდიური, ბოთლიხური (ღოდობერიული კილოთი), კარატაული, ახვახური, ხვარშიული, ბაგვალური (ანუ კვანადური), დიდოური, კაპუჭური და სხვ.

ხუცური საერთო სახელწოდება ძველი ქართული დამწერლობისა — ასომთავრულისა და ნუსხურისა.

ხშვა საკვესებით ხურვა, კეტვა. ჰაერნაკადის ჩაკეტვა საარტიკულაციო (საწარმოთქმო) ორგანოებით ბგერის წარმოთქმის დროს.

ხშვა-სკდომა ხშვა და სკდომა.

ხშულთა დისიმილაციური გამყღერება სიტყვაში შემავალი ორი ყრუ ხშულიდან ერთ-ერთის გამყღერება. პირველად ეს ფონეტიკური მოვლენა შეამჩნიეს ოსურ ენაში, სადაც იგი მოქმედებს ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში; მაგ.: ოსური ბიტნა ← ქართ. პიტნა, ოსური გოტოში ← ქართ. კოტოში, ოსური დიჭი ← ქართ. ტიკი.

ხშულ თანხმოვანთა ოთხეულებრივი სისტემა ისეთი სისტემა, რომელიც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ზოგიერთი კავკასიური ენისათვის: მკღერი, სრულფშვინვიერი, ოდნავფშვინვიერი და აბრუპტივი. ხშულთა ოთხეულებრივი სისტემა გვხვდება ქვემოადიღეური ენის დიალექტებში:

ბ	ფ	ფ	პ
დ	თ	თ	ტ
ძ	ც	ი	წ
ჯ	ჩ	ყ	ჭ
გ	ქ	ჴ	კ

(გადაბრუნებული ასოები ჰიპოთეტურად აღდგენილი ოდნავფშვინვიერი ბგერებია).

ჯ

ჯ. 1. ოცდამეთორმეტე ასო ქართულ ანბანში (ოცდამეთხუთმეტე—ძველ ქართულ ანბანში); მისი სახელია **ჯან-ი**. 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა რვა ათასს (8 000).

ჯავახური კილო (ქართული ენისა) სამხრეთ საქართველოს მცხოვ-

რებთა მეტყველება: ბორჯომის, წაწილობრივ ასპინძისა და ახალქალაქის რრ. (ყოფილი ახალქალაქის მაზრა.).

ჯერობა ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ არის მოქმედება ჩადენილი, ერთხელ თუ მრავალჯერ, ანუ ერთგზის თუ მრავალგზის; ჯერობა ერთგზისი ფორმა, რომელიც ერთხელ მომხდარ მოქმედებას აღნიშნავს: დაჯდა, გააკეთა, შეჭამა; ჯერობა მრავალგზისი ფორმა. რომელიც რამდენჯერმე გამეორებულ მოქმედებას გამოხატავს: დაჯდის, მოიტანის, გააკეთის, შეჭამის (ა. შანიძე „ჯერობის“ ნაცვლად ამჟამად „გზისობას“ ხმარობს).

ჯრუჭის ოთხთავი გადაწერილია 936 წ., ხოლო სურათები შესრულებულია 940 წ. უკანასკნელად ის დაცული იყო ჯრუჭის მონასტერში (ზემო იმერეთში), საიდანაც წარმოდგა მისი სახელი.

ჰ

ჰ 1. ოცდამეცამეტე ასო ქართულ ანბანში (ოცდამეთექვსმეტე ძველ ქართულ ანბანში). მისი სახელია **ჰაე**. 2. ძველ ქართულ სათვალავში აღნიშნავდა ცხრა ათასს (9 000).

ჰაემეტი სახელწოდება ძველი ქართული ენის ძეგლებისა, სადაც მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების ნიშნად იხმარებოდა ჰ (ჰაე); მაგ., ჰუნდა, ჰ̇შინოდა, მოჰუწოდა, ჰდევით.

ჰაემეტი ტექსტები (გვხვდება VIII საუკუნიდან) ისეთი ტექსტები, რომლებშიც ზმნებში ჰაე იხმარებოდა მეორე პირის სუბიექტისა და მესამე პირის ობიექტის პრეფიქსად, ხმოვნების წინაც კი შენახულია ხოლმე: ჰიცოდე, მიჰუგო, ჰუბრძანა, ინიან ენებითებში ჰაე გვხვდება იმგვარადვე, როგორც ხანმეტ ტექსტებში ბანი: ჰიყო||ჰიყო (ტერმინი ჰაემეტი გ. მთაწმინდელის ხანმეტის ანალოგიით აწარმოვა ა. შანიძემ).

ჰაზრი ძვ ანბრი.

ჰაპლოლოგია (ბერძ. haploos მარტივი, არართული) ჰქვია დისიმილაციურად სიტყვიდან მარცვლის ამოვარდნას: ბიცოლა ← ბიბი(ს) ცოლა, ფეხშველა ← (დიალექტ.) ← ფეხ(ში)შველა.

ჰარმონიული კომპლექსები ქართულში. იხ. დეცესიური კომპლექსი.

ჰებრაიზმი (ბერძ. hebraios ებრაელები) ძველი ებრაული ენიდან (ივრიტიდან) ნასესხები სიტყვა ან გამოთქმა.

ჰებრაისტიკა იმ მეცნიერებათა ერთობლიობა, რომელიც სწავლობს ძველ ებრაელთა ენას, დამწერლობას, ისტორიასა და კულტურას.

ჰენდიადისი (გერმ. Hendiadyoin) კონსტრუქცია ორი ერთგვაროვანი წევრით, რომლებიც გამოხატავენ ერთ რთულ ცნებას და გამონათ-

ქვამის ძირითადი ელემენტის სემანტიკური დაშლის საშუალებას იძლევიან; ეს მოვლენა ახასიათებს ბერძნულ ენას, ეფრემ მცირის თარგმანებში შეინიშნება ჰენდიადისები — ორი მსგავსი ბერძნული სიტყვის გადმოცემა მარტივით, მხოლოდ ერთი შესატყვისით, ერთი ცნებით.

ჰეტერორგანული თანხმოვნები ისეთი ბგერებია, რომლებიც იწარმოებიან სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა ორგანოებით; მაგ., ერთმანეთის ჰეტერორგანულია: ბ და დ; გ და ყ და ა. შ.

ჰიატუსი (ლათ. hiatus ნაპრალი, პირის გაღება) ორი ხმოვნის უშუალო მეზობლობა სიტყვის შიგნით ან სიტყვის ბოლო ხმოვანსა და მომდევნო სიტყვა შუა (არა აქვს, რა უნდა).

ჰიბრიდული სიტყვა სიტყვა, რომლის ელემენტები ნასესხებია სხვადასხვა ენიდან, მაგ.: ფრან. bicyclette მიღებულია ლათინური სუფიქსი bi-ს ბერძნული სიტყვის cycle და ფრან. კნინობითის გამომხატველი სუფიქსის ette-ს მიმატებით (შდრ. რუს. автобус; ბერძ. ფუძე auto და ლათ. სუფიქსი — bus).

ჰიდრონომი მდინარეების, ზღვების, ტბების, ოკეანეების სახელწოდებათა ერთობლიობა.

ჰიპოტაქსი (ბერ. hypotaxis) ქვეწყობა (წინადადებათა). შდრ. პარატაქსი.

ჰომერიზმები ლიტერატურული იდიომები, რომლებიც მომდინარეობენ ჰომეროსის პოემიდან. ასეთებია: ჰერკულესის სვეტებამდე მისვლა, გორდის ნასკვის გაჭრა, სიზიფის შრომა, არიადნას ძაფი, რუბიკონზე გადასვლა, წილის ყრა და ა. შ.

ჰომორგანული ბგერები ისეთი ბგერებია, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ბრკოლდებიან ერთსა და იმავე საარტიკულაციო ადგილას, ანუ იწარმოებიან ერთი და იმავე ორგანოს მონაწილეობით; მაგ.: ბ და ფ, ფ და მ, დ და ზ...

ჰომოფონია (ბერ. homos ერთგვარი, ტოლი, phone ხმა) ერთგვარხმიანობა, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა მნიშვნელობის, მაგრამ ერთნაირად მბგერი სიტყვების სხვადასხვა იდეოგრამით გამოსახულებას.

ჰრთული სახელი ძვ. კომპოზიტი.

ჰრთული სიტყვა ძვ. რთული წინადადება (ტერმინი გვხვდება გაიოზ რექტორის გრამატიკაში).

ჰსქესი ძვ. კილო.

სარჩევი

წინასიტყვაობა 3
ლექსიკონის აგებულება 5
შემოკლებათა ახსნა 6
ლექსიკონის წყაროები 7
ქართული ანბანი 10
ა 11
ბ 28
გ 33
დ 45
ე 55
ვ 69
ზ 71
თ 74
ი 76
კ 84
ლ 93
მ 102
ნ 118
ო 124
პ 127
ჟ 137
რ 138
ს 143
ტ 159
უ 163
ფ 166
ქ 174
ღ 177
ყ 177
შ 178
ჩ 181
ც 182
ძ 183
წ 183
ჭ 188
ხ 188
ჯ 191
ჰ 192

შეცდომების გასწორება

გვ.	სვეტი	სტრიქონი ზემოდან	სტრიქონი ქვემოდან	არის	უნდა იყოს
35		1		განმარტებითნი	განმარტებითი
40	2		6	gotik	Gotik
44	2		11	grammatologia	Grammatologie
58	1	8		Srpach zeichen	Srpachzeichen
72	1		2	კრუჩინიხმა)	კრუჩიონიხმა).
73	1		15	Фидл —	Фидл
81	2	16		jnlaut	Inlaut
87	1	20		ფაქტორად	ფაქტად
100	1			ლინგისტიკური	ლინგვისტიკური
122	2		18	lunggrammatiker	Junggrammatiker
123			1	პარაფრაზში	პარაფრაზი
151	2		17	synchronie	Synchronie
153	2	3		Wörten	Wörter
164	1	14		um+laut	Umlaut
176	1	17		karte	Karte

Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. [illegible]
1975

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა
სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 5
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი 11.
Типография № 5 Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по делам издателств,
полиграфии и книжной торговли.
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.